



K 48 990  
2

ქართული



ზეპარია

ვერაზაფიშვილი



ხალხური



თამაშობანი







ზავარია  
შერაზადიშვილი

---

# ქართული ხალხური



# თამაშობენი

77.21 (2T)  
398.5 = 99—962.1(2)  
ვ. 51

ქართველი

ნუსა  
ლი

საქართველო  
კიბის მინისტრი

ქრებულში აღწერილი ქართული ხალხური  
თამაშობანი მნიშვნელოვანი მეგზური იქნება  
მოზარდი თაობის ყოველდღიურ ცხოვერებაში.  
ამ მრავალფეროვან თამაშობათა გამოყენება დი-  
დად შეუწყობს ხელს მოზარდის ჭანმრთელობისა  
და ხალისიანი ბავშვობის სწორად და მიწანუ-  
წონილად წარმართვას.

K 60902

ქ. ლეჩებეს ს. 6.  
სასახლე და მუზეუმი  
რესპუბლიკური  
მთავრობის მინისტრი



III 60902—067  
M 601 (08)—80 266—80

## შესავალი

სწავლასთან, მეცადინეობასთან და დასკენებასთან შეთანაბრებული თამაში ბავშვის ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ზომიერი, ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვა, რაც თამაშობების სახით შეიძლება შეასრულოს ბავშვმა, დიდად შეუწყობს ხელს ორგანიზმის, სხეულის ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების: სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მონელებისა და საერთოდ ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას, ეს კი ჯანმრთელი, მაგარი ორგანიზმის, ახოვანი აგებულებისა და ხალისიანი ბავშვობის უპირველესი საწინდარია.

სწორად გამიზნული და ორგანიზებული თამაშობანი ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ბავშვებს შორის ქრლექტივიზმის, ამხანაგობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის წყაროს წარმოადგენს. მოსწავლებს აჩვევს წესსა და რიგს. თამაშის ამ წესებისა და პირობებისადმი მორჩილებას, და, საერთოდ, აწრთობს მათ ნებისყოფასა და ხასიათს, უყალიბებს სიმტკიცეს, დაუინებულობის, სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვის უნარს, უძლიერებს აქტიურობის, ინიციატივის გამოჩენისა და გამოყენების წყურვილს.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თამაშობათა ზედმეტმა გამოყენებამ ადვილი შესაძლებელია ვნებაც მოიტანოს და ორგანიზმზე უარყოფითი გავლენა შოახდინოს. ამიტომ თამაშის

დროს საჭიროა ზომიერების დაცვა. მაგალითად, ბოლო დროს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში არასასურველი ხასიათი მიეღო ფეხბურთის თამაში. პატარა ბავშვები საათობით დასდევენ ბურთს.

უნდა გვახსოვდეს, რომ განუწყვეტელი რბენა იწვევს ბავშვის ნერვული და გულსისხლარღვთა სისტემების მეტისმეტად დაბაბვის, გადაღლის, მათი ფუნქციის დაქვეითებასა და მოშლას, ცუდ ძილს, უმაღლობას. ყოველივე ამის შედეგად ბავშვებში ხშირად ვითარდება ამა თუ იმ დაავადების საშიში მოვლენები, რომელთა სრული განკურნება ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. აღსანიშნავია, რომ ამას, აგრეთვე, ხშირად თან სდევს სწავლისა თუ მუშაობის უნარის სწრაფი და საგრძნობი დაქვეითება. ამიტომ მშობლებმა, აღმზრდელებმა და მასწავლებლებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ იმაზე, თუ როგორ თამაშობენ ბავშვები.

თამაშის პრაქტიკულად დანერგვის დროს გასათვალისწინებელია წლის დრო, ამინდი, სათამაშო საგნების ოდენობა და ხარისხი, მონაწილეთა სქესი და ასაკი, ფიზიკური და გონებრივი განვითარება, ჯანმრთელობა, მონაწილეთა რიცხვი, ურთიერთნაცნობობა, ჩაცმულობა, თამაშის წესების ცოდნა, განწყობილება, ამა თუ იმ მოთამაშის მიერ თამაშის წარმართვის უნარი და სხვა.

მდიდარი და შესანიშნავი ქართული ხალხური თამაშობების მნიშვნელობის შესახებ ხშირად მიუთითებდნენ დიდი ილია, აქავი, ვაჟა, გამოჩენილი პედაგოგი ო. გოგებაშვილი და ბევრი სხვა.

თამაშობებსა და სპორტს ამ განუზომლად დადებითი თვისებების გამო უნდა მიეცეს შეგნებული, ორგანიზებული ხასიათი და შესაძლებლობის მიხედვით დაინერგოს სკოლებში.

აკადემიანი, ავაკალური, პენჭლაობა

. თამაშობენ ვაჟები 10 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა პატარა „ბურთი“ (ნაჭერში სიმინდის ან ლობიოს მარცვლებია ჩაყრილი, ანდა — კენჭები).

1. ცალ ფეხზე მდგომი მოთამაშე ასეთ ბურთს დაიგდებს მეორე ფეხის ტერფზე და ათამაშებს (ყოველ აკვრაზე ააგდებს მაღლა).

ვინც მეტჯერ აპკრავს ბურთს ისე, რომ მიწაზე არ დაუვარ-დება, გამარჯვებულიც ის არის.

2. მოთამაშენი შეთანხმდებიან, თუ რამდენამდე უნდა იყოს კენჭვლა. დამწყები მოთამაშე ბურთს დაიგდებს ფეხზე და ფე-ხის აკვრით ათამაშებს. თითოეული აკვრა იქნება თითო კენჭ-ვლა. თუ მოთამაშეს „ბურთი“ ძირს დაუვარდა, თამაში იწყებს მოწინააღმდეგე და ასე, ვიდრე ერთ-ერთი არ შეასრულებს დათქმულ ჩიცხვს. ვთქვათ, დათქმულია 50. მოთამაშე 51-ე კენჭვლის მაგიერ „ბურთს“ ფეხის გაკვრით გაისცრის შორს. მოწინააღმდეგემ ბურთი ჰაერში უნდა დაიჭიროს. თუ ვერ დაიჭირს, უნდა მოუტანოს და ფეხზე დაუგდოს („მიაწოდოს“) გამარჯვებულს. იგი „მიწოდებულ“ ბურთს კვლავ გაპკრავს ფეხს და ა. შ., ვიდრე მოწინააღმდეგე ვერ მოასწრებს ჰაერში მის დაჭერას. ამის შემდეგ თამაში თავიდან დაიწყება.



მონაწილეობს ორი მოთამაშე გოგონა ან ვაჟი ჭარბი წლის  
ასაკიდან. თამაშის დამწყები ერთი ხელის ხუთივე თითქ ისე  
დაკუცერს მეორე ხელში, რომ მხოლოდ თითის წვერები მოუჩან-  
დეს, ამასთან ძნელი გასარჩევი იყოს, თუ რომელია შუათითი.  
ამის შემდეგ მოპირდაპირეს ეკითხება:

ანათითი, ბანათითი,  
რომელია შუათითი?

თუ მოპირდაპირემ გამოიცნო შუათითი, გამარჯვებულია  
და ახლა იგი იმეორებს თამაშს.

შუათითის გამოცნობის გასაძნელებლად დასაშვებია გამო-  
საცნობ თითებს შორის ერთ-ერთის მაგიერ, მეორე ხელის  
რომელიმე თითის (უფრო მოსახერხებელია, არათითის) შერე-  
ვა, „შეპარება“, რაც თამაშსაც სახალისოს ხდის.

### ა ხ ა ი ნ ა ი ლ ა, ს ი პ ი ნ ა ი ლ ი

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები  
8 წლის ასაკიდან. მონაწილენი შემოხაზვენ 10-მდე ნაბიჯის  
სიგანის წრეს, რის შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად. ქენჭისყრის  
შემდეგ რომელიმე ჯგუფი წრეში ჩადგება. მოწინააღმდეგეთა  
ერთ-ერთი მოთამაშე წრეში შედის და ასკინკილით დასდევს  
წრეში ჩამდგარ მოთამაშეებს, ვისაც ხელს დაჰკრავს „ჩაჭრი-  
ლია“.

წრეში ჩამდგარ მოთამაშეებს წრიდან გამოსვლის უფლება  
არა აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაჭრილებად ჩაითვლებიან.

თუ წრეში ასკინკილით შესულმა მოთამაშემ მეორე ფეხი

დააკარა მიწას, თვითონვე ითვლება. ჩაჭრილად და მის მაგიერ  
წრეში შედის მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე და ა. შ.

ჩაჭრილები თამაშიდან გადიან. რომელ ჯგუფშიც უფრო მომარ-  
ად ადრე ჩაჭრება ყველა მოთამაშე, ის ჯგუფი ითვლება „დამარ-  
ცხებულად“.

შემდეგ ხელზე წრეში დგება დამარცხებული ჯგუფი.

### აზრინდა-აზრინდა

მონაწილეობს 2-დან 10-მდე გოგონა და ვაჟი 4-5 წლის  
ასაკიდან. მოთამაშეზე აირჩევენ „უფროსს“. იგი დაჯდება, ცალ  
ფეხს წინ გამოსწევს, დანარჩენები შემოუსხდებიან გრძელო  
და თითოეული მათგანი მუხლზე დაადებს რომელიმე ხელის  
საჩვენებელ თითს.

უფროსი იძახის: „აფრინდა, აფრინდა...“ და ასახელებს  
რაიმე საგანს, მაგალითად „აფრინდა, აფრინდა... ფისო აფრინ-  
და“, „აფრინდა, აფრინდა... ჩიტი აფრინდა“, „ხე აფრინდა“,  
„ქათმი აფრინდა“ და ა. შ. თუ დასახელებულ საგანს მართლა  
შეუძლია ფრენა, მონაწილეებმა „უფროსის“ მუხლზე დადებუ-  
ლი თითი მაღლა უნდა ასწიონ. ვინც თითს არ ასწევს, ანდა  
ასწევს ისეთი საგნის დასახელებისას, რომელსაც ფრენა არ  
შეუძლია (ფისო, ხე და ა. შ.), მას წკიპურტი მოხვდება თითზე,  
ანდა ამ ხელზე თამაშიდან გავა.

ვინც ბოლომდე დარჩება შეცდომის დაუშვებლად, გამარ-  
ჯვებულია და მომდევნო ხელზე „უფროსი“ გახდება.

### ბორა-ბორა

მონაწილეობს 6-დან 20-მდე გოგონა და ვაჟი 10 — 12  
წლის ასაკს ზევით. თამაში შეიძლება ყველგან, საღაც კი სა-  
ამისო ადგილი გამოიძებნება.

მოთამაშენი გაავლებენ ხაზს და მისგან ათიოდე ნაბიჯის  
მოშორებით რაიმე საგნით (ხე, ქვა, ჭოხი) მონიშნავენ აღვილს.  
ამის შემდეგ „არჩევან-არადანის“ წესით გაიყოფიან ორ ჯგუ-  
ფად და ყრიან კენჭს<sup>1</sup>, რის შემდეგაც ერთ ჯგუფს მოუწევს  
„ჩადგომა“.

ამ ჯგუფის მოთამაშენი ხაზზე დადგებიან მოპირდაპირე-  
ებისაკენ ზურგშექცევით და ხელებს ისე მიიფარებენ საფეთ-  
ქლებზე, რომ მხოლოდ წინ ცქერა შეეძლოთ. ერთ-ერთ მათ-  
განს მოწინააღმდეგ ჯგუფის რომელიმე მოთამაშე ზურგზე  
თითს მიადებს და წინ წაყვანს. „წაყვანილს“, რომელსაც უკან  
მოხედვის უფლება არა აქვს, მისივე ჯგუფის ერთ-ერთი მოთა-  
მაშე ეძახის:

— ბორა-ბორა!

— ნავთის გორა! — უპასუხებს წაყვანილი.

— ვინ წაგიყვანა? — ეკითხება იგივე მოთამაშე.

წაყვანილმა თუ გამოიცნო, ვის მიჰყავს, ჯგუფების მდგო-  
მარეობა შეიცვლება და ახლა მოპირდაპირენი „ჩადგებიან“,  
თუ ვერ გამოიცნო, მაშინ მისი ჯგუფის მოთამაშეებმა „გამარ-  
ჯვებულები“ ზურგზე უნდა მოიკიდონ და ხაზიდან წინასწარ  
მონიშნულ ადგილამდე მიიყვანონ.

გოგონები ზურგზე მოკიდებისაგან თავისუფლდებიან.

### ბ უ რ თ ა მ ბ ა

ა) ბ უ რ თ ი ს დ ა მ ა ლ ვ ა

თამაშობს 6-დან 20-მდე გოგონა და ვაჟი 4-5 წლის ასაკი-  
დან.

მოთამაშენი გაიყოფიან ორ ჯგუფად. ჯგუფები ერთიმეო-

<sup>1</sup> ჯგუფებად განაწილების, აგრეთვე გათვლის და კენჭისყრის წესები  
იხ. წიგნის ბოლოს.

რის პირდაპირ ჩამწკრივდებიან. ერთი ჯგუფის მოთამაშეები ზურგს უქან ბურთს ერთმანეთს გადასცემენ. ბოლოს ერთ-ერთ მათგანი ბურთს ხელში გააჩერებს და გადაცემა შეწყდება, მაგრამ თითოეული მათგანი ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება და ტოვოს, თითქოს ბურთი მას აქვს. მოწინააღმდეგენი ცდილობენ გამოიცნონ, ვის უჭირავს ბურთი. ერთ-ერთი ასახელებს მოთაშაშეს, რომელსაც, მისი ფიქრით, ბურთი აქვს. თუ გამოიცნო, ბურთის დამალავი თამაშიდან „გამოდის“ და ახლა მეორე ჯგუფი დამალავს ბურთს, თუ ვერა — „გამოდის“ დამსახელებელი და ბურთს ისევ პირველი ჯგუფი მალავს. რომელი ჯგუფის მოთამაშენიც ადრე „გამოვლენ“ თამაშიდან, ის ჯგუფი დამარცხებულია.

### ბ) გადაკიდობანა

მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი, 10 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი.

**1. ხაზებზე** მოთამაშენი ერთმანეთისაგან 7-8 ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ ორ პარალელურ ხაზს, რის შემდეგ „არჩევან-არადანის“ მიხედვით გაიყოფიან ჯგუფებად.

ქენჭისყრის შემდეგ ერთი ჯგუფის ორი მოთამაშე დადგება პარალელურ ხაზებზე. ისინი ერთიმეორეს სწრაფად გადასცემ-გადმოსცემენ, ანუ „გადაუკიდებენ“ ბურთს. მათ შორის დგას მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მოთამაშე, მას ხელსაყრელი მდგომარეობის დროს რომელიმე ესვრის ბურთს. თუ მოხვდა, მოწინააღმდეგეთა ეს მოთამაშე (რომელიც ცდილობს ბურთი აიცილოს), „ჩაჭრილია“, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ჩაჭრილია“ თვით ბურთის ამცილებელი. ჩაჭრილი გადის თამაშიდან და მის ადგილს ჯგუფის სხვა მოთამაშე იჭერს. ასე მიმდინარეობს

თამაში, ვიდრე ერთ-ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშე არ ჩაიჭრება; ჩაჭრილები დამარცხებულად ჩაითვლებიან, თამაში კი თავიდან დაიწყება.

ბურთს ერთმანეთს ყოველთვის გამარჯვებულები გადასცემენ.

2. ხაზებს შორის მდგომ მოთამაშეს უფლება აქვს დაიჭიროს „გადაკიდებული“ ბურთი და ხაზებიდან გამოუსვლელად ესროლოს ბურთის რომელიმე „გადამკიდებელს“, რომელსაც შეუძლია გაქცევა და ბურთის აცილებება. თუ „გადამკიდებელმა“ ეს მოახერხა, ბურთის ამცილებელი ჩაჭრილია და მის მაგიერ ხაზებს შორის ჩადგება მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე. მაგრამ ბურთის მოხვედრების შემთხვევაში ჩაჭრილია ხაზებზე მდგომ მოწინააღმდეგეთა მთელი გუნდი და გუნდების (ჯგუფების) მდგომარეობა იცვლება.

3. წრეზე მონაწილენი შემოხაზავენ 7-8 ნაბიჯის დიამეტრის წრეს.. ამის შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად.

კენჭისყრის შედეგად ერთ-ერთ ჯგუფს წრეში ჩადგომა მოუწევს. მეორე ჯგუფის ორი მოთამაშე დგება წრის გარეთ — მოპირდაპირე მხარეებზე. ისინი რაც შეიძლება სწრაფად გადასცემენ ერთმანეთს ბურთს და, როცა ხელსაყრელ დროს იპოვიან, ესვრიან წრეში ჩამდგარ მოწინააღმდეგებს, რომელნიც თავის მხრივ ცდილობენ ბურთის აცილებას. ის მოთამაშე, რომელსაც ბურთი მოხვდება, „ჩაჭრილია“, აცილების შემთხვევაში კი ბურთის მსროლელი მოთამაშეა ჩაჭრილი და მის აღგიღს მისივე ჯგუფის სხვა მოთამაშე იჭერს. ჩაჭრილი მოთამაშენი დროებით გადიან თამაშიდან.

ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ერთ-ერთი ჯგუფის მოთამაშენი მთლიანად არ ჩაიჭრებიან. ამის შემდეგ თამაში თავიდან იწყება. წრეში დგება წაგებული გუნდი.

ზოგჯერ მოთამაშენი თითო-თითოდ დგებიან წრეში.

4. წიაბურთი. წრეში დგება ერთ-ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშე დგება წრის გარშემო. ეს უკანასკნელი ბურთს ერთმანეთს გადასცემენ, სურვილი-სამებრ ადგილსაც ინაცვლებენ და, როგორც კი ღროს იხელთე-ბენ, ესვრიან წრეში მდგომებს, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობენ ბურთის აცილებას. თუ აიცილეს, მსროლელი მოთამაშეა ჩაჭრილი, მაგრამ, თუ რომელიმეს მოხვდა, ეს უკანასკნელია ჩაჭრილი. წრეში მდგომებს უფლება აქვთ, ვიდრე ბურთი წრიდან გამოგორდებოდეს, სტაციონ ხელი და წრი-დან გამოუსვლელად ესროლონ მოწინააღმდეგებს, რომლებიც ცდილობენ ბურთის აცილებას. თუ ბურთი რომელიმეს მოხვდა, ჩაჭრილია.

გარდა ამისა, წრეში მდგომებს შეუძლიათ, თუკი მოახერხე-ბენ, ბურთი მაღლა, პარშივე დაიჭირონ, როცა მას წრის გარეთ მდგომნი ერთი-მეორეს გადასცემენ, და ესროლონ მოწინააღ-მდეგებს.

წრის გარეთ მდგომებს, როცა მათ წრეში მდგომნი ბურთის სროლას უპირებენ, უფლება აქვთ, თუკი მოასწრებენ, შეხტნენ წრეში, რადგან წრეში ყოფნის ღროს მოხვედრილი ბურთი აღარ ითვლება.

5. მოთამაშენი შემოხაზავენ წრეს (წრის სიღიღე მოთამა-შეთა სურვილსა და რაოდენობაზეა დამოკიდებული), დადგები-ან წრეხაზზე ერთმანეთის მოპირდაპირედ და ბურთს ერთიმე-ორეს გადასცემენ. თითოეულ მოთამაშეს ერთხელ უნდა შეხვდეს ბურთის დაჭერა-გადაცემა, შემდეგ ყოველი მათგანი იჩოქებს ცალ მუხლზე და ახლა ასე ხდება ბურთის დაჭერა-გა-დაცემა. შემდეგ ორივე მუხლზე იჩოქებენ, მერე დასუჭივენ

ცალ თვეალს, ბოლოს კი ცალი ხელით დაჭრა-გადაცემაშე  
გადადიან.

ის მოთამაშე, რომელიც რომელიმე მდგომარეობაში ბურთს  
ვერ დაიჭრს, ან ცუდად „გადაუკიდებს“ მოწინააღმდეგეს,  
ჩაჭრილია და თამაშილან გადის. ვინც ბოლომდე დარჩება,  
გამარჯვებულია.

გ) გ ა კ პ რ ა - გ ა მ ი კ პ რ ა

მონაწილეობს 2-დან 20-მდე გოგონა და ვაჟი 10 წლის  
ასაკიდან. მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად.

მოწინააღმდეგ ჯგუფები ერთომეორისაგან ოციოდე ნაბი-  
ჭის დაშორებით გაავლებენ ხაზებს და ჩამწკრივდებიან ხაზების  
წინ (ხაზების უკან გადასვლა არ შეიძლება).

ერთ-ერთი ჯგუფის რომელიმე მოთამაშე ბურთს აისვრის  
მაღლა და გაპკრავს ხელს. მოწინააღმდეგენი ბურთს დახვდები-  
ან და ცდილობენ უკანვე დააბრუნონ ხელისავე გამოყვრით.  
უკან დაბრუნებულ ბურთს ისევ პირველები ხვდებიან, ცდი-  
ლობენ კვლავ გაპკრან მოწინააღმდეგებისაკენ და ა. შ.

რომელი მხარეეც გაკრულ ბურთს მოწინააღმდეგის ხაზს  
გადააცილებს, იმ მხარეს ეწერება ერთი ქულა (და თამაშს  
მოპირდაპირენი აგრძელებენ), მაგრამ, თუ ბურთი ჰაერიდანვე  
(ძირს დაუვარდნელად) გააბრუნეს და გადააცილეს — 2 ქულა.  
მოწინააღმდეგები (რომელ მხარესაც არ უნდა ეკუთვნოდნენ  
ისინი), თუ ბურთის მხოლოდ შეჩერებას მოახერხებენ და  
უკან ვეღარ გამოაბრუნებენ, ბურთს თვითონ გაპკრავენ.

თუ მოთამაშე ბურთის უკან დაბრუნებისას თავის ხაზს გა-  
დასცდა, ბურთი ხაზგადაცილებულად ჩაითვლება და მოწინააღ-  
მდეგებს ქულა დაუწერებათ.

რომელი მხარეც მეტ ქულებს შეაგროვებს — გამარჯვებულია.

დ) გ ა ტ ა ნ გ უ რ თ ი

ერთოვებული  
პირების მიერ

1. გატანია. თამაშობენ გოგონები და ვაჟები 10 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შემდეგ ერთი ჯგუფის მოთამაშენი ბურთს ერთიმეორეს გადასცემენ, მეორენი კი ცდილობენ, ბურთი თვითონ იგდონ ხელში. თუ ამას მოახერხებენ, თვითონ გადასცემენ ერთიმეორეს და ა. შ.

2. (ბურთის უბეში დამალვით)<sup>1</sup> მონაწილეობს 20-მდე ვაჟი 10 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი და ვრცელი ადგილი. მოთამაშენი გაიყოფიან ორ ჯგუფად, რის შემდეგ მოეღნის თავსა და ბოლოს მონიშნავენ ხაზებით, ანუ „საზღვრებით“. საზღვრებს შორის მანძილი 100-მდე ნაბიჯია (შეიძლება ნაკლებიც).

ხდება კენჭისყრა, შემდეგ ჯგუფები დგებიან საზღვრებზე. ერთ-ერთი მოთამაშე იმ გუნდისა, რომელსაც კენჭისყრის შედეგად თამაშის დაწყება ერგო, ბურთს მალავს უბეში, ისე რომ მოწინააღმდეგებმა ვერ შენიშნონ.

ნიშანზე (თვლაზე) ბურთის დამმალავი ჯგუფი გარბის მოპირდაპირეთა საზღვრისაკენ, მოპირდაპირენიც გამორბიან შესახვედრად, ცდილობენ, წინ გადაუდგნენ მათ, შეახერონ და მოძებნონ ბურთი. თუ იპოვეს, ბურთი მათია და ახლა თვითონ დამალავენ. ხოლო თუ ბურთი დამმალავებმა მოწინააღმდეგის საზღვარს გადააცილეს, ე. ი. „გაიტანეს“, მაშინ ისინი გამარჯვე-

<sup>1</sup> ფრჩხილებში ჩასმული ავტორის მიერ შერჩეული ახალი სახელწოდებები.

ბულებად ითვლებიან და შემდეგ თამაშზე ბურთს ისევ თვითონ მალავენ.

3. (ფეხით) მონაწილეობს 20-მდე ვაჟი 12 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ბურთი (უმჯობესია დიდი ბურთი). სა- თამაშო ადგილი უნდა იყოს ვრცელი და თავისუფალი. მოთა- მაშენი ნაწილდებიან ორ ჯგუფად, თოთოეული ჯგუფი თავის მხარეზე მოთამაშების ნაწილს მცველებად აყენებს, დანარჩე- ნები შემტევნი („წინ წამსვლელი“) არიან. კენჭისყრის შედე- გად ერთ-ერთი გუნდი იწყებს თამაშს. თამაშობენ ფეხით. ბურთზე ხელით შეხების უფლება არავის არა აქვს. გამარჯვე- ბულია ის მხარე, რომელიც მეტჯერ მიიტანს ბურთს მოწინააღ- მდეგის „საზღვრამდე“ (ლობემდე, ყორემდე) ან გადააცილებს ამ საზღვარს.

### მ) პალობურთი

მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა მცირე ზომის ბურთი და კალოსოლენა მოედანი. მოთამაშენი შემოხაზავენ 2-3 ნაბიჯი ღიამეტრის წრეს. წრის სიღილე დამოკიდებულია მოთამაშეთა რაოდენო- ბაზე და ასაკზე.

თავისი სურვილით ან კენჭისყრის შედეგად ერთ-ერთი მოთამაშე ჩადგება წრეში, დანარჩენები 4-5 ნაბიჯის დაშორებით დადგებიან წრის გარშემო და ერთიმეორეზე გადაცემით ცდილობენ შეურჩიონ დრო და ბურთი წრეში ჩააგდონ.

თუ ბურთი წრეში დაეცა — „ჩაგდებულად“ ითვლება.

წრეში მდგომს, ანუ წრის მცველს, უფლება აქვს, ბურთი მოიგერიოს ყველა საშუალებით (ხელით, ფეხით, თავით) და დაიცვას წრე. მოგერიებულ ბურთს ყოველი მოთამაშე ისვრის

იმ ადგილიდან, საღაც მოასწრებს მის აღებას, ან ჰაერში და-  
ჭერას.

ბურთის წრეში ჩამგდები გამარჯვებულია და ახლა თვითონ  
დადგება წრის მცველად. ვინც წრეში იდგა — დანარჩენებს  
შეუერთდება. წინათ ეს თამაშობა იმართებოდა უმთავრესად  
კალოზე, კალოობის შემდეგ.

### 3) ლელო

1. ბურთის გატანა მოწინააღმდეგის ლელოში. მონაწილეობს  
30-მდე ვაჟი 15 წლის ასაკიდან. თამაშის ადგილი ვრცელი და  
თავისუფალი უნდა იყოს, მოედნის თავი და ბოლო კი — მო-  
ნიშნული ხაზებით ან ქვებით (ზოგჯერ ნიშნის როლს ასრუ-  
ლებს ღობე, ხე და ა. შ.).

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. თამაში იწყება მოედნის  
შუაგულში ბურთის აგდებით (შეიძლება ბურთს შეეხონ ხე-,  
ლით, ფეხით და თავითაც). თითოეული გუნდი ცდილობს ბურ-  
თი გადააცილოს მოწინააღმდეგეთა ხაზს („საზღვარს“), რასაც  
„ლელოს გატანა“ ეწოდება. გუნდები საზღვრის დასაცავად გა-  
მოჰყოფენ მცველებს. ხშირად წინასწარ დათქვამენ, რამდენ  
ლელოს გატანამდე ითამაშონ; რომელიც უფრო ადრე „მოთა-  
ვებს“ დათქმულ რიცხვს, ის გუნდია გამარჯვებული.

2. საკუთარ ლელოში გატანა. თამაში იმგვარადვე წარმოებს,  
როგორც პირველ შემთხვევაში, მხოლოდ ბურთის გატანა ხდე-  
ბა არა მოწინააღმდეგის, არამედ საკუთარ ლელოში. ამ ვარიან-  
ტში თამაშის დედაზრი ბურთის მოტაცებაა, ამიტომ საკუთარ  
საზღვარს მცველები არ სჭირდება, მოწინააღმდეგის საზღვარ-  
თან მცველის დაყენება კი არ შეიძლება.

2. ზ. შერაზადიშვილი.

მონაწილეობს ორი მოთამაშე 7 წლის ასაკიდან. ოამაშისათვის საჭიროა პატარა, რბილი ბურთი. მოთამაშენი უწერდებოდა ათი ნაბიჯის დაშორებით გაატარებენ ხაზს. კანჭისყრის შემდეგ ერთ-ერთი დადგება კედელთან, მეორე კი ხაზზე. ხაზზე მდგომი მოთამაშე ბურთს ესვრის კედელთან მდგომს, ცდილობს, როგორმე მოარტყას. თავის მხრივ კედელთან მდგომიც ცდილობს, ადგილიდან ფეხის მოუცვლელად ბურთი აიცილოს. აცილების შემთხვევაში მოთამაშენი ადგილებს შეუცვლიან ერთმანეთს. ვინც მეტჯერ მოარტყას — გამარჯვებულია.

⑧) ମନ୍ଦିରାଳୟ ପତ୍ରକଟି

მონაწილეობს 20-მდე გოგონა და ვაჟი 8 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი.

მოთამაშენი დგებიან წრიულად. რომელიმე მათგანი ჰაერში  
ააგდებს ბურთს და იძახის ერთ-ერთი მოთამაშის სახელს. და-  
სახელებული მოთამაშე თუ ბურთს ჰაერშივე დაიჭერს, მაშინვე  
ისევ მაღლა აისვრის და სხვა რომელიმე მოთამაშის სახელს  
დაიძახებს, ხოლო თუ ბურთს ჰაერში ვერ დაიჭერს, ან ხელიდან  
გაუვარდება, გამოუღება დასაჭერად, დანარჩენები კი გარბიან.  
ბურთის დამჭერი მოთამაშე ბურთის დაჭერისთანავე იძახის:  
„სდექ!“ ყველა მოთამაშე ვალდებულია, ადგილზე გაჩერდეს.  
ის კი ბურთს ესვრის მათ იმ ადგილიდან, სადაც ბურთი დაიჭი-  
რა. ვისაც ბურთს მოარტყაას, შემდეგ ხელზე იმ მოთამაშემ  
უნდა აისროლოს ბურთი, ხოლო თუ ბურთი ვერავის მოახვედ-  
რა, ისევ თვითონ აისვრის.



მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 10 წლის ასაკურთხევა. თამაშისათვის საჭიროა პატარა, რბილი ბურთი. მოთამაშენი ერთიმეორის ახლოს ამოთხრიან ისეთი ზომის ორმოებს, ანუ ჭურებს, რომ შიგ ბურთი ჩაეტიოს.

ერთ-ერთი მოთამაშე ბურთს გააგორებს ორმოების მიმართულებით ისე, რომ რომელიმე ორმოში ჩაგორდეს. ვის ორმოშიც ბურთი ჩავარდება, ის მოთამაშე სტაცებს ხელს ბურთს და ესვრის დანარჩენებს, რომლებიც ბურთის ასაცილებლად აქეთიქით გარბიან. თუ ააცილა, თვითონ არის ჩაჭრილი, თუ მოარტყა, ჩაჭრილია ის, ვისაც ბურთი მოხვდა. შემდეგ ჯერზე ბურთს ჩაჭრილი მოთამაშე გააგორებს. ჩაჭრილის ორმოში ყოველ ჩაჭრაზე ჩადებენ კენჭს.

მოთამაშეს, რომელსაც ათი კენჭი მოუგროვდება, დააყენებენ კედელთან და ყველა დანარჩენი 10-15 ნაბიჯიდან სათითაოდ ესვრის ბურთს. ამის შემდეგ მის ორმოდან კენჭებს ამოყრიან და თამაში ისევ გრძელდება. ახლა იმ მოთამაშეს დააყენებენ კედელთან, რომელსაც ამის შემდეგ მოუგროვდება 10 კენჭი, და სე აგრძელებენ თამაშს, ვიდრე არ მოსწყინდებათ.

ତ) ସାମ୍ରାଜ୍ୟକାନ୍ତିର

## I (გაკვრით)

1. მონაწილეობს 2-დან 10-მდე გოგონა და ვაჟი 8 წლის  
ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი. სათამაშო  
მოედანი ვრცელი უნდა იყოს. მოთამაშები მოედნის ერთ-  
თავში „დადგამენ“ ბრტყელ ქვას, რომელსაც საყე ეწოდება.

საყის სიმაღლე 40-მდე, სიგანე კი 30-მდე სმ უნდა იყოს. ბავ-შვები „არჩევან-არღანის“ მიხედვით იყოფიან ორ ჯგუფად თამაში იწყებს ის მხარე, რომელსაც კენჭი შეხვდება, მშენების ერთ-ერთი მოთამაშე დადგება საყესთან. ჯგუფის დანარჩენი მოთამაშენი კი ელოდებიან თავის რიგს. მოწინააღმდეგენი მოედანზე განლაგდებიან სურვილისამებრ. თამაშის დამწყები ცალი ხელით ბურთს მაღლა აისვრის და იმავე ან მეორე ხელით მოედნისაკენ ლონივრად გაჰკრავს, რომ შორს გადაისროლოს.

მოწინააღმდეგენი ცდილობენ ბურთი ჰაერშივე დაიჭირონ. თუ დაიჭირეს, ბურთის გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია და მის ადგილს იჭერს მისივე ჯგუფის სხვა მოთამაშე. თუ ბურთი მიწაზე დაეცა, მოწინააღმდეგენი აჩერებენ მას და შეჩერების ადგილიდან ესვრიან საყეს (დასაშვებია მიწაზე გაგორებით სროლაც). თუ ბურთი საყეს მოხვდა, ბურთის გამკვრელი ჩაჭრილია, აცილების შემთხვევაში გამკვრელებს ეწერებათ ერთი ქულა. როდესაც დამწყები ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება, საყესთან მოწინააღმდეგენი დგებიან. ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ერთ-ეროვნი მხარე არ შეასრულებს ქულათა წინასწარ დათქმულ რაოდენობას.

2. გაკრულ ბურთს თუ რომელიმე მოწინააღმდეგე ჰაერშივე (ძირს დავარდნამდე) დაიჭერს, ნება აქვს ბურთი უმაღვე, დაუმიზნებლად, ესროლოს საყეს და, თუ მოარტყა, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია; ამასთან, ამ უკანასკნელის ჯგუფი მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ კარგავს 1. ქულას (თუ ქულები ჯერ კიდევ არ აქვთ, ვალად ედებათ).

3. ბინაბურთი. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე, უმთავრესად ვაჟები 15 წლის ასაკიდან. თამაშის ადგილი უნდა იყოს ვრცელი. მოთამაშენი მოედნის ერთ თავში „დადგამენ“ ქვას, ანუ „ბინას“. რომლის სიგანე დაახლოებით 40 სმ-ია, სიმაღლე

კი — 30 სმ; გარდა ამისა, გათლიან პატარა ფიცარს, რომლის მოყვანილობაც ნიჩბისებური იქნება (მისი ტარი სიგრძით 30 სმ) უნდა იყოს, სიგანით — 4-5 სმ, სისქით — 2-3 სმ; ნიჩბის ზორის სიგრძე 15 სმ უნდა აღწევდეს, სიგანე — 10-12 სმ, სისქე — 1-2 სმ.) ზოგჯერ ნიჩბის მაგიერ ფიცრის უბრალო ნაჭერსაც ხმარობენ. მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. გაყოფა ხდება თითების ჩვენებით, ანდა არჩევან-არადანის წესით.

შემდეგ ხდება კენჭისყრა. იმ ჯგუფის მოთამაშენი, რომელთაც თამაშის დაწყება მოუწევთ, იქნებიან „მებინავეები“, მოწინაღმდეგენი — „დარჩენილები“.

მებინავეები დადგებიან „ბინასთან“ (ქვასთან), ერთ-ერთი მოთამაშე დაიწყებს თამაშს, იგი ერთი ხელით აისვრის ბურთს და მეორე ხელში დაჭერილი ფიცრით (ნიჩბით) გაპკრავს. ბურთს დახვდებიან მოწინაღმდეგეები („დარჩენილები“), რომლებიც მოედანზე ნებისმიერად არიან განლაგებულნი; თუ დარჩენილებმა ბურთი ჰაერში დაიჭირეს, ბურთის გამკვრელი ჩაჭრილია, თუ არადა, სადაც ბურთს შეაჩერებენ, იქიდანვე ესვრიან „ბინას“, თუ მოახვედრეს, ბურთის გამკვრელი ჩაჭრილია, აცილების შემთხვევაში კი იგი იწყებს „კენჭვლას“: ბურთს დადებს ფიცარზე და ფიცრისავე აკვრით ათამაშებს. რამდენჯერ უნდა აპკრას, ეს წინასწარ არის დათქმული. ზოგჯერ ეს რიცხვი 100-დან 1000-მდე აღწევს. თუ კენჭვლის დროს მოთამაშეს ბურთი მიწაზე დაუვარდა, იგი ჩაჭრილია, ხოლო თუ კენჭვლა შეასრულა, ბურთს მეორედ გაპკრავს ფიცრით. ბურთის მეორედ გაკვრას ეწოდება „საწიაწო გაკვრა“. თუ „დარჩენილებმა“ ბურთი ჰაერშივე დაიჭირეს, გამკვრელი ჩაჭრილია, თუ არადა, ისევ ესვრიან „ბინას“. მოხვედრების შემთხვევაში ჩაჭრილია გამკვრელი, აცილების შემთხვევაში კი „მებინავეები“ წავლენ „დარჩენილებთან“ და იმ ადგილზე. სა

დაც ამ უკანასკნელებმა „საწიაწო“ ბურთი შეაჩერეს, შეასხდებიან ზურგზე. „დარჩენილები“ ვალდებული არიან „მებინავები“ ბინასთან მიყვანილ, რის შემდეგ თამაშს იგივე მოთამაშე აგრძელებს, ვიდრე არ ჩაჭრება. ჩაჭრის შემდეგ კი მას თავისი ჯგუფის სხვა მოთამაშე ცვლის. როცა ყველანი ჩაჭრებიან, ბინასთან დადგებიან „დარჩენილები“.

4. (რკალსაყე) . მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 4-5 წლის ასაკიდან.

გრძელ სახრეს მოხრიან რკალისებურად. სახრის ბოლოებს ჩაასობენ მიწაში (ეს იქნება საყე).

მოთამაშენი დადგებიან საყედან რამდენიმე ნაბიჯზე და ცდილობენ ბურთი ხელის გარტყმით (როგორც ეს პირველ ვარიანტშია მოცემული) ან სროლით საყეში გააძვრინონ. ვინც მეტჯერ გააძვრენს, გამარჯვებულიც ის არის.

## II (ნიშანში სროლით)

1. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 4—5 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი დადგამენ საყეს, ანუ ნიშანს, დადგებიან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით და ბურთს რიგრიგობით ესკრიან მას.

ვინც მეტჯერ მოარტყამს, გამარჯვებულიც ის არის.

2. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 15 წლის ასაკიდან.

საყეს ბურთის მაგიერ ესკრიან პატარა ქვებს, ისკრიან რიგის მიხედვით. ვინც მეტჯერ მოარტყამს — გამარჯვებულია.

3. მონაწილეობს 2 ვაჟი 10 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი მოედნის შუაგულში დადგამენ ჩვეულებრივ ქვის საყეს, მისგან თანასწორ მანძილზე (15-20 ნაბიჯი) დად-

გებიან — ერთი — ერთ მხარეს და მეორე — მეორე მხარეს.  
ისინი საყეს რიგრიგობით ესვრიან ბურთს ერთი — ერთი მხრი  
დან და მეორე — მეორე მხრიდან. რომელიც უფრო აღრე ზო-  
ახვედრებს ათვერ — გამარჯვებულია. იგი დამარცხებულმა  
ზურგზე უნდა მოიკიდოს და 10 ნაბიჯზე გაატაროს.

4. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან.  
მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. ჯგუფები დადგებიან საყის  
აქეთ-იქით. კენჭისყრის შედეგად, ერთ-ერთი ჯგუფის რომელი-  
მე მოთამაშე წინასწარ მონიშნული ადგილიდან ბურთს ესვრის  
საყეს. თუ ბურთი საყეს ასცდა, დახვედრებიან მოპირდაპირენი  
და რომელი მოთამაშეც შეაჩერებს, შეჩერების ადგილიდან  
ესვრის საყეს. თუ კვლავ ასცდა — ბურთს დახვედრებიან თამაშის  
დამწყებნი და ა. შ.

თუ ბურთი საყეს მოხვდა და უკან დაბრუნდა, ბურთს დახ-  
ვდებიან ისევ ამ გუნდის მოთამაშენი, ხოლო ბურთის წინასწარ  
მონიშნული ადგილიდან ისვრის ის მოთამაშე, რომელიც მას  
შეაჩერებს.

ბურთის ყოველ მორტყმაზე იწერება ერთი ქულა. რომელი  
ჯგუფიც უფრო აღრე შეასრულებს ქულათა წინასწარ დათ-  
ქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

5. **საყეობა.** მონაწილეობს 2 მოთამაშე 12 წლის ასაკიდან.  
თამაშისათვის საჭიროა 2 საყე (ქვა), 2 კოჭი და ბურთი (უმჯო-  
ბესია 2 ბურთი).

სათამაშო ადგილის თავსა და ბოლოში დადგამენ თითო სა-  
ყეს. საყე ისეთი ქვისაგან უნდა შეირჩეს, რომ მასზე შეიძლე-  
ბოდეს „კოჭის“ (კვერცხისოდენა ქვის) „დადგმა“. თვით საყე-  
ები იდგმება ერთიმეორისაგან 8-8 ნაბიჯის დაშორებით.

მოთამაშენი დგებიან თავ-თავიანთ საყესთან და რიგრიგო-  
ბით ესვრიან ბურთს ერთიმეორის საყეებს მათზე დადებული

კოჭების ჩამოსაგდებად. ყოველი ათი აცილებისათვის მოწინა-  
აღმდეგის საყის ძირთან დაიდება პატარა ქვა, ანუ უგუდის, რომელსაც უფრო ადრე შეუსრულდება 10 კუდი, დამარცხე-  
ბულია. მან მოწინააღმდეგე ზურგზე უნდა მოიყიდოს და  
შემოატაროს საყების გარშემო.

თუ ბურთი ძლიერად მოხვდა საყეს და გადააბრუნა, მოთა-  
მაშე ჩაჭრილია (ჩამწვარია) და მან ამ შემთხვევაშიც უნდა მოი-  
კიდოს ზურგზე მოწინააღმდეგე (გადააბრუნებული საყეს პატ-  
რონი) და შემოატაროს საყების გარშემო.

თამაში ბურთის ნაცვლად შეიძლება რიკებითაც, სალები-  
თაც.

### ლ) ზოჯდომაზურთი

მონაწილეობს 10-მდე ვაჟი 15 წლის ასაკიდან. თამაშისა-  
თვის საჭიროა პატარა ბურთი. მოთამაშენი გაიყოფიან ორ ჯგუ-  
ფად და შემოხაზვენ წრეს (წრის ფართობი მოთამაშეთა რიც-  
ხვზეა დამოკიდებული). შემდეგ კენჭს ყრიან, რის შედეგადაც  
ერთ ჯგუფს წრეში ჩადგომა მოუწევს. მოპირდაპირენი 50-60  
ნაბიჯის დაშორებით დანიშნავენ „ბინას“ — ხეს, ქვას და ა. შ.

ყოველი მოთამაშე უწყვილდება მოპირდაპირე ჯგუფის რო-  
მელიმე მოთამაშეს. ყოველი წყვილი წრეხაზზე დადებს ქვას,  
რაც ამ წყვილისათვის საყუთარი „ბინა“ იქნება. ქვები თანას-  
წორი მანძილით უნდა იყოს ერთიმეორისაგან დაშორებული.  
„ჩამდგარნი“ დადგებიან ამ ბინებთან, ხოლო მოწინააღმდეგენი  
მათ მხრებზე შეასხდებიან და ასე, მხრებზე შემსხდარნი,  
ბურთს ერთიმეორეს გადასცემენ; თუ ბურთი ხელიდან გაუ-  
ვარდათ, სწრაფად ჩამოხტებიან და გარბიან, რომ მოშორებით  
მონიშნულ „ბინასთან“ მიასწრონ და ხელი დაჰკრან, თორემ

წრეში მდგომნი ბურთს ხელს დასტაცებენ, გაქცეულებს ესვრი-  
ან და რომელიმეს ბინაში მისვლამდე რომ მოარტყან, ჩაჭრიან.  
წრეში „ჩაჭრილები“ ჩადგებიან.

სამართლებრივი  
პირების მიერ

### მ) ცხანობანა ბურთი

მონაწილეობს 10-მდე ვაჟი 12 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი დგებიან წრიულად, ერთმანეთისაგან რამდენი-  
მე ნაბიჯის დაშორებით და ერთიმეორეს გადასცემენ ბურთს.  
ბურთი მოძრაობს წრის გარშემო; მოწოდებული ბურთი უნდა  
გადაეცეს მხოლოდ მიმწოდებლის მარჯვნივ მდგომ მოთამაშეს.

ვინც ბურთს ვერ დაიჭირს, ან სწორად არ გადააწოდებს,  
ზურგზე უნდა მოიკიდოს ბურთის მსროლეული და გაატაროს.  
10-მდე ნაბიჯზე, რის შემდეგ ორივე თამაშიდან გაღის. ასე  
გრძელდება თამაში, ვიდრე ყველა მოთამაშე ამგვარად არ  
„დაწყვილდება“. როცა უკანასკნელი წყვილიც ჩაიჭრება, თამა-  
ში თავიდან დაიწყება.

### ნ) ჭრებურთი

1. (ბურთი მცველით). მონაწილეობს 10-14 ვაჟი 12 წლის  
ასაკიდან.

მოთამაშენი შემოხაზავენ წრეს და მონიშნავენ ცენტრს,  
ამის შემდეგ გაიყოფიან ორ ჯგუფად და ჰყრიან კენჭს.

კენჭისყრის შედეგად ერთი ჯგუფი იქნება მცველი. ჯგუფები  
დგებიან წრეხაზის გარეთ ერთმანეთის პირდაპირ, მხოლოდ  
დამცველი ჯგუფის ერთი მოთამაშე დგება წრის შიგნით, წრეხა-  
ზის ახლოს. ეს მოთამაშე ბურთის „მცველია“. ბურთი იდგბა.  
წრის ცენტრში.

მოწინაალმდეგეთაგან: ერთ-ერთი მოთამაშე მცველს შეუხტება წრეში, რომ ბურთი მოსტაცოს. როგორც კი ჩგი წრე-ხაზს გადააბიჯებს და ბურთისაკენ გაიქცევა, მაშინვე შცველსაც შეუძლია გაიქცეს ბურთის მოსატაცებლად.

რომელიც მოასწრებს ბურთის აღებას, წრიდან ესვრის მოწინაალმდეგებს, რომლებიც ბურთის ასაცილებლად აქეთ-იქით გარბიან. ვისაც ბურთი მოხვდება, მისი ჯგუფი ჩაჭრილია, ამ ჯგუფის მოთამაშეებმა გამარჯვებულები ზურგზე უნდა მოიკიდონ და წინასწარ დათქმულ ადგილამდე (10-15 ნაბიჯის მანძილზე) მიიყვანონ. შემდეგ ხელზე ბურთის მცველები გამარჯვებულები იქნებიან. აცილების შემთხვევაში ბურთის მცველებად მოწინაალმდეგენი ღვებიან.

2. ბურთის დამალვა. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 8 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი. თამაშის ადგილზე შემოავლებენ 7-8 ნაბიჯი დიამეტრის მქონე წრეხაზს. ხოლო მისგან 20-მდე ნაბიჯის დაშორებით წინასწარ დანიშნავენ ბურთის დასამალვ ადგილს (ხე, ქვა, ხაზი, ჯოხი და ა. შ.). ამის შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შედეგად ერთ ჯგუფს წრეში ჩადგომა მოუწევს.

მეორე ჯგუფის მოთამაშენი დგებიან მოშორებით, წინასწარ მონიშნულ ადგილზე, იქ ერთ-ერთი მათგანი უბეში ან ჯიბეში მალავს ბურთს, შემდეგ ბრუნდებიან უკან და ჯიბეებსა და უბეებში ხელებჩაწყობილნი შემოერტყმიან წრეს. ყოველი მათგანი ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქოს მას აქვს ბურთი დამალული.

მოთამაშე, რომელსაც ბურთი აქვს დამალული, უცდის ხელ-საყრელ დროს, რომ წრეში მდგომთ ბურთი ესროლოს. თუ ააცილა, თვითონაა ჩაჭრილი, ხოლო თუ მოარტყა, ის მოთამა-

შეა ჩაჭრილი, რომელსაც ბურთი მოხვდა. ამ უკანასკნელ შე-  
მთხვევაში წრეში მყოფთ უფლება აქვთ, აიღონ ბურთი, ვიდოვ  
წრიდან გამოგორდებოდეს და წრიდანვე ესროლონ მოწინააღ-  
მდეგებს, რომლებიც გარბიან ბურთის დასამალავი ადგილისა-  
კენ. თუ რომელიმე მათგანს ბურთი ამ ადგილზე მისვლამდე  
მოხვდა, ჩაჭრილია. დანიშნულ ადგილზე მისვლის შემდეგ  
მოხვედრილი ბურთი ალარ თვლება.

ჩაჭრილი მოთამაშენი დროებით გადიან თამაშიდან, დანარ-  
ჩენები ასეთივე წესით აგრძელებენ თამაშს, ვიდრე ერთ-ერთი  
ჯგუფის ყველა მოთმაშე არ ჩაიჭრება, რის შემდეგ თამაში  
თავიდან იწყება. ბურთს ყოველთვის გამარჯვებულები მალავენ.

ზოგჯერ წრეში სათითაოდ დგებიან: ერთის ჩაჭრის შემ-  
დეგ — მეორე, მეორის შემდეგ — მესამე და ა. შ.

3. წრიდან წრეში. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი  
8 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი.

თამაშის ადგილზე ერთიმეორისაგან 20-25 ნაბიჯის დაშორე-  
ბით შემოხაზავენ ორ წრეს, წრის სიგანე 4-5 ნაბიჯი უნდა იყოს.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად.

კენჭისყრის შედეგად რომელიმე ჯგუფს მოუწევს თამაშის  
დაწყება. ამ ჯგუფის მოთამაშენი ჩადგებიან ერთ-ერთ წრე-  
ში, მოწინააღმდეგენი კი მეორე წრეში, ან სურვილისამებრ  
განლაგდებიან მოედანზე. თამაშის დამწყებთაგან ერთ-ერთი  
ბურთს ცალი ხელით აისვრის მაღლა და იმავე ან მეორე ხელით  
გაპრავს მოწინააღმდეგებისაკენ (მეორე წრისაკენ). თამაშის  
დამწყები ჯგუფის მოთამაშენი ბურთის გაკვრისთანავე გაიქცე-  
ვიან, რომ შეასწრონ მეორე წრეში, რადგანაც მოწინააღმდე-  
გებს უფლება აქვთ აიღონ ბურთი და მოარტყან, ვიდრე ისინი  
წრეში შევლენ. თუ მოარტყეს, ახლა თვითონ გარბიან, რომ

თამაშის დამწყებთა წრეში შეასწრონ, რადგანაც, უკანასკნელ  
შემთხვევაში, თამაშის დამწყებთაც ეძლევათ ბურთის დაჭრი—  
სა და სროლის უფლება.

მოწინააღმდეგებმა ბურთი თუ ააცილეს, ბურთს ისევ თა-  
მაშის დამწყებნი გაჰქრავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში — მოპი-  
რდაპირები.

ვისაც ბურთი მოხვდება, ჩაჭრილია და თამაშიდან გადის.

რომელი ჯგუფის მოთამაშენიც უფრო აღრე ჩაიჭრებიან,  
ის ჯგუფია დამარცხებული.

წრეში შემოსულ მოთამაშეზე ბურთის მორტყმა არ ითვლე-  
ბა.

### ო) ჭაჭუნი

#### 1. ჭაჭუნი.

ჭაჭუნის ამა თუ იმ ვარიანტში მონაწილეობს 4-დან 30-მდე  
ვაუ 15 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი.  
ბურთი მზადდება: 1. მსხვილფეხა საქონლის მოთელილი ბეჭ-  
ვისაგან (უმეტესად გაზაფხულობით). 2. ტყავისაგან (შიგ ჩატე-  
ნიან ბეჭვს ან მისთ.). 3. მოხარული წიფლის სოკოსაგან. 4.  
გამოთლიან ხისგან, ცაცხვის ან მუხის კუნძისგან (უმჯობესია  
გამოხარული იყოს).

თამაშისათვის საჭიროა აგრეთვე იმდენი ჯოხი, რამდენიც  
მოთამაშეა. ჯოხს ჭაჭუნი ეწოდება. მისი დამზადება უმჯობესია  
შინდის ან თხილის ხმელი ტოტისაგან. ჭაჭუნი ძირითადად  
ორი სახისაა: კომბლისმაგვარი, დაახლოებით, მუშტისოდენა  
თავით, და თავმოხრილი (ჯობია, როცა თავი რამდენადმე უფრო  
მსხვილია ტარზე). ამ სახის ჭაჭუნს „კვაჭინსაც“ ეძახიან. ჭაჭუ-

ნის ტარის სიგრძე, დაახლოებით 6-7 მტკაველი უნდა იყოს.

სასურველია, თამაშის ადგილი იყოს ვრცელი და თავისუფლადი. მოედნის თავსა და ბოლოს (უფრო სწორად — მოედნის ბოლოებს) „ელოები“ (ზოგჯერ „ჰელოები“, „ლელოები“) ეწოდება. თითოეული ელო მონიშნულია ხაზებით, ანდა სხვა ნიშნებით (ქვა, ხე, ლობე და ა. შ.), ზოგჯერ კი „ქარს“ წარმოადგენს. ელოს განსაკუთრებული მცველი არა ჰყავს და საჭიროების მიხედვით ყველა იცავს.

1. ბურთის გატანა მოწინააღმდეგის ელოში. მოთამაშენი ნაწილდებიან ჯგუფებად და ყრიან კენჭს, თუ რომლისა იყოს მოედნის ესა თუ ის მხარე.

თამაში იწყება მოედნის შუაგულში ბურთის აგდებით. ბურთის ტარება წარმოებს მხოლოდ ჯოხებით. ამასთან, ერიდებიან ჯოხების მაღლა (მუხლზემოთ) აწევას, რათა ერთიმეორეს არ მოახვედრონ.

მოწინააღმდეგის ელოში ბურთის გატანა იძლევა ერთ ქულას. ვინც მეტჯერ გაიტანს — გამარჯვებულია.

მოთამაშენი შეიძლება წინასწარაც შეთანხმდნენ, თუ რამდენ ელოს გატანამდე იყოს თამაში.

2. (საკუთარ ელოში გატანა). ბურთის გატანა ხდება არა მოწინააღმდეგის, არამედ საკუთარ ელოში. თამაშის დანარჩენი წესები იგივეა (შეადარეთ „ლელო“, 2. „საკუთარ ლელოში გატანა“, გვ. 12).

3. (შერეული). როცა ბურთი რბილია, ერთი ჯგუფი თამაშობს ჭაკუნებით, მეორე — ფეხით. ელოს ყოველი გატანის შემდეგ ჯგუფების მდგომარეობა იცვლება: ვინც ჭაკუნით თამაშობდა — თამაშობს ფეხით და პირიქით. ეს ვარიანტი უფრო მიზანშეწონილია მაშინ, როცა ჭაკუნები საკმარისი არ არის, მოთამაშეთა რიცხვი კი დიდია.

**4. (რიცით).** ბურთის მაგიერ გამოყენებულია „რიცი“, სიგრძით — 7-8 სმ, დიამეტრით — 5-6 სმ, დაახლოებით 3-დან 7 ნაბიჯამდე და დამოკიდებულია მოთამაშეთა რიცხვზე და ადგილის ზომისა. ასეთი ჭაკუნით თამაშის დროს ელო უმთავრესად წარმოადგენს ქვებით ან ხეებით მონიშნულ კარს, მისი სიგანე აღწევს 3-დან 7 ნაბიჯამდე და დამოკიდებულია მოთამაშეთა რიცხვზე და ადგილის ზომაზე. თამაშის დანარჩენი წესები იგივეა.

**5. (ჩვეულებრივი, ან ქვის ბურთით).** „დასვამენ“ ჭაკუნის ბურთს, ან კვერცხისოდენა მრგვალ ქვას, რომელსაც მოთამაშენი რიგრიგობით გასტყორცნიან ჭაკუნის შემოკვრით. ვინც უფრო შორს გადააგდებს, გამარჯვებულია.

**6. (კეჭუნობა).** მონაწილეობს 10-მდე ვაჟი 12 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის გამოყენებულია ჭაკუნის ან ჩვეულებრივი ბურთი და ჭაკუნის ან უბრალო ჭოხები.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად და ყრიან კენჭს, თითო-ეული ჯგუფის მოთამაშენი ერთიმეორისაგან 10-15 ნაბიჯის დაშორებით შემოხაზვენ 6-7 ნაბიჯი სიგანის ორ წრეს.

მოპირდაპირენი ჩადგებიან თავიანთ წრეებში. დამწყები ბურთს დადებს წრეს შუაგულში და ჭოხის (ჭაკუნის) შემოკვრით მოპირდაპირების წრისაკენ გასტყორცნის.

მოპირდაპირენი ბურთს დახვდებიან თავიანთი ჭოხებით. თუ ბურთი წრეში შეიჭრა, აჩერებენ ჭოხებით და შეჩერების ადგა-ლიდან ისევ ჭოხის შემოკვრით აბრუნებენ უკან და ა. შ.

თუ ბურთი წრეზე გავლით გასცდა მოთამაშეებს, გამკვრელებს ეწერებათ ერთი ქულა, მაგრამ, თუ ბურთი წრეს ასცდა (განზე ჩაუარა) ისე, რომ მას მოპირდაპირე არ შეხებია, ქულა ეწერება ამ უკანასკნელებს და ბურთსაც ესენი გაპრავენ.

თამაშის დროს ბურთს ყოველთვის ის მხარე გაპკრავს, რო-

მელსაც ქულა დაეწერა, ანდა რომელმა მხარემაც ბურთი შეა-  
ჩერა.

წრეს გადაცილებული ბურთის შეჩერება არ ითვლება.  
რომელი ჯგუფიც აღრე შეასრულებს წინასწარ განსაზ-  
ღვრული ქულების ოდენობას, გამარჯვებულია.

## II (ჯოხბურთა) ღორობანა

1. (ჯოხბურთა) მონაწილეობს 2-დან 10-მდე გოგონა და ვა-  
უ 12 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი, უმჯობესია მოთე-  
ლილი ბეჭვის ბურთი, ან ტყავისაგან შეკერილი (როცა შიგ ბეჭ-  
ვი ან სხვა რამ არის ჩატენილი); ასევე კარგია წიფლის სოკოსა-  
გან გამოხარშული ბურთიც. თამაშისათვის საჭიროა აგრეთვე  
იმდენი ჯოხი, რამდენიც მოთამაშეა. უმჯობესია, ჯოხები იყოს  
ისეთივე, როგორსაც ჭაკუნის თამაშის დროს ხმარობენ.

მოთამაშენი მოედნის შუაგულში ამოთხრიან ერთი მტკავე-  
ლი სიგანისა და სილრმის ორმოს. ორმოს ორივე მხარეზე ხუთ-  
ხუთი ნაბიჯის დაშორებით მონიშნავენ ბურთის დასადებ აღ-  
გილს, შემდეგ გაიყოფიან ჯგუფებად და ყრიან კენჭს.

ჯგუფები დგებიან ორმოს აქეთ-იქით, მისგან 6-7 ნაბიჯის  
დაშორებით, ბურთის დასადები ადგილის უკან. დამწყები ჯგუ-  
ფის რომელიმე მოთამაშე ბურთს დადებს მონიშნულ ადგილზე  
და ჯოხის (ჭაკუნის) შემოკვრით გააგორებს ორმოსაკენ, რომ  
შიგ ჩააგდოს.

თუ ბურთი ორმოს ასცდა და მოწინააღმდეგეთა მხარეზე  
გადაგორდა, ჯოხით დახვდებიან მოპირდაპირენი და ახლა ისი-  
ნი გამოჰკრავენ ორმოსაკენ, შემდეგ ისევ პირველები და ასე,  
ვიდრე ბურთი ორმოში არ ჩავარდება.

ბურთის გაკვრა ხდება იქიდან, სადაც მიუსწრებენ, მაგრამ შემოლოდ ერთი შეხებით (ერთი და ოგვე ჯგუფის მოთამაშენი ორჯერ ვერ გაჰკრავენ). როდესაც ბურთი ორმოში ჩავარდება, ჩამგდებ მხარეს ეწერება ერთი ქულა და თამაშსაც ისინი იწყებენ.

თუ ბურთმა ორმომდე ვერ მიაღწია, ბურთს გამოჰკრავენ მოწინააღმდეგენ.

რომელი მხარეც უფრო ადრე შეასრულებს ქულათა წინასწარ დათქმულ რიცხვს, გამარჯვებულია.

2. ღორობანა. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე ვაჟი 12 წლის ასაკიდან.

თამაშის ადგილი თავისუფალი უნდა იყოს. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბურთი და თავმოხრილი 4-5 მტკაველი სიგრძის ჯოხები („კომბლები“). კომბალი ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს. მოთამაშენი მონიშნავენ ადგილს ე. წ. „საბარგო“ ორმოსათვის და მის გარშემო ორ-ორი, სამ-სამი ნაბიჯის დაშორებით იწყებენ საკუთარი ორმოების ამოთხრას. ვინც საკუთარი ორმოს ამოთხრას დაამთავრებს, იწყებს საბარგო ორმოს ამოთხრას, ვინც ყველაზე გვიან მორჩება საკუთარი ორმოს ამოთხრას, ის იქნება პირველი „მელორე“.

ორმოებს თხრიან ჯოხებით. საკუთარ ორმოში ფეხის ქუსლი უნდა ჩაეტიოს, საბარგო ორმოში კი — მთელი ტერფი.

თამაშის დაწყებისას მოთამაშენი დგებიან თავიანთ ორმოებთან და შიგ ჯოხები აქვთ ჩაყოფილი. მელორეს „ღორი“ (ბურთი) „მოჰყავს“, რომ საბარგო ორმოში ჩააგდოს. დანარჩენები ხელს უშლიან ბურთზე ჯოხის გარტყმით, რითაც იცავენ საბარგო ორმოს, რომ მელორემ ბურთი, ანუ „ღორი“ არ ჩააგდოს („ჩაამწყვდიოს“) შიგ. თუ მოთამაშეს, რომელიც ბურთზე გასარტყმელად ჯოხს ამოილებს საკუთარი ორმოდან, მელორემ

ამ ორშოში თავისი ჯოხის ჩაყოფა დაასწრო, ორმო მისია, იგი თავისუფლდება მელორეობისაგან და „მელორე“ ხდება ის მო-  
თამაშე, რომელმაც ორმო დაკარგა. თუ „მელორემ“ მოახერხა  
საბარგო ორმოში „ღორის“ (ბურთის) ჩაგდება, გამარჯვებულია  
და „მელორეობას“ სხვა მოთამაშე იქისრებს ნებით ან კენჭის-  
ყრით.

**3. ვირიბაბა.** თამაშისათვის საჭიროა თავისუფალი ადგილი.  
მონაწილენი კენჭისყრით ან სურვილით შეარჩევენ ერთ მოთა-  
მაშეს — „მწყემსს“. დანარჩენები ერთიმეორისაგან ორი-სამი  
ნაბიჯის დაშორებით, ორ მწყრივად ჩასობენ თითო ჩეირს (პა-  
ლოს), მწყრივებს შორის მანძილი ოთხი-ხუთი ნაბიჯი უნდა  
იყოს.

ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ჯოხი. გარდა ამისა, საჭი-  
როა ერთი ხის ბურთი (კუნძი), რომელსაც „ვირიბაბა“ ეწოდე-  
ბა.

მოთამაშენი ჯოხებით დგებიან თავ-თავიანთ პალოებთან, ჯო-  
ხები მიღებული აქვთ პალოებზე.

იწყება თამაში. მწყემსი „ვირიბაბას“ დადებს მწყრივებს  
შორის და ჯოხით მიუგდებს რომელიმე მოთამაშეს. ეს უკანას-  
კნელი თავის მხრივ ისევ მწყემსს ან სხვა რომელიმე მოთამაშეს  
მიუგდებს. როდესაც მოთამაშენი „ვირიბაბას“ ერეკებიან, თუ  
მწყემსმა დაასწრო და თავისუფალ პალოს თავისი ჯოხი შეახო,  
თვითონ დგება პალოსთან, ხოლო ის, ვინც პალოსთან იდგა,  
გახდება მწყემსი.

ამრიგად, აქ პალოები თითქმის იმავე ფუნქციას ასრულებენ,  
რასაც ორმოები „ღორობანაში“.

**4. კოჟო.** მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე ვაჟი 12 წლის  
ასაკიდან.

3. ზ. შერაზადიშვილი.

თამაშის ადგილი უნდა იყოს ვრცელი და თავისუფალი. თა-  
თოეულ მოთამაშეს აქვს 2-3 მეტრი სიგრძის ჭოხი. თამაშისა-  
თვის აგრეთვე საჭიროა „კოუო“ (ჩის პატარა ნაჭერი, მდგრადად გა-  
ებით, ჩაის ჭიქის მოყვანილობის ან ბურთისმაგვარი.) მოთამა-  
შენი ამოთხრიან ისეთი ზომის ორმოს, რომ შიგ ფეხის ქუსლი  
ეტეოდეს. კოუოს დადებენ ორმოდან 3 ნაბიჯზე და იწყება თა-  
მაში.

ერთ-ერთი მოთამაშე სურვილით ან კენჭისყრის შედეგად  
იწყებს თამაშს. იგი ერთი ფეხის ქუსლს ჩადგამს ორმოში, მის-  
წვდება კოუოს და ჰქონდება ჭოხის წვერს. დანარჩენებმაც იმავე  
წესით უნდა გაჰქრან და კოუო უფრო წინ გააგორონ. როცა ვე-  
ღლარ მისწვდებიან, ჭოხი უნდა ესროლონ. ასე გრძელდება თამა-  
ში, ვიდრე ერთ-ერთი არ ააცილებს. ამცილებელი გახდება  
ე. წ. „მოკუნტრუშე“. ამის შემდეგ ყველა მოთამაშე ცდილობს,  
როცა კი მოახერხებს, ჭოხი გაჰქრას კოუოს და შორს გადააგ-  
დოს. „მოკუნტრუშე“ ვალდებულია კოუო ორმოში „დაამ-  
წყვდიოს“. მას უფლება აქვს კოუოს გაჰქრას ჭოხი, ხელი ან  
ფეხი, მხოლოდ არ შეუძლია ხელში აღებული კოუოთი სირბი-  
ლი. დანარჩენებს უკრძალებათ კოუოზე ხელის შეხება. „მო-  
კუნტრუშეს“ აქვს „დაჭრის“, ანუ „დაკოდვის“ უფლება. თუ  
მან მოასწრო და კოუოს გამგორებელს კოუოს გაჩერებამდე მი-  
აკარა ჭოხი (თუ კოუო გაგორებული იყო ჭოხით), ან ფეხი (თუ  
კოუო გაგორებული იყო ფეხით), ეს უკანასკნელი „დაკოდი-  
ლია“ და ცვლის „მოკუნტრუშეს“. თუ „მოკუნტრუშემ“ კოუო  
ორმოში ჩამწყვდია, თამაში თავიდან იწყება.



მონაწილეობენ ვაჟები 10 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი დაწყვილდებიან, ერთმანეთის პირისპირ კომუნიკაციების სახით „მარჯვენა მხრეზე და ფეხებზე“ (ხელებზე და ფეხებზე) დადგებიან, ერთიმეორეს მარჯვენა ან მარცხენა მხრებით მიეყრდნობიან და ოვლაზე (ერთი, ორი, სამი!) ერთმანეთს მიაწვებიან. მიწოლა მხოლოდ მხრებით შეიძლება. რომელი მოთამაშეც მოწინააღმდეგეს უკან დაახევინებს — გამარჯვებულია. გამარჯვებულები ხვდებიან გამარჯვებულებს, დამარცხებულები — დამარცხებულებს, ვიდრე არ გაირკვევა, ვინაა საბოლოოდ გამარჯვებული.

### გასწორობანა, შარა-შარა

მონაწილეობს 2 მოთამაშე გოგნა ან ვაჟი 6-7 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი რაიმე საგანზე (ქალალდზე, მუყაოზე, ფიცარზე, ქვაზე, მიწაზე და ა. შ.) დახაზავენ ერთი მტკაველი ზომის კვადრატს, შიგ გაატარებენ დიაგონალებს და შუახაზებს, რაც ყველა ხაზზე და ყოველი მიმართულებით მოგვცემს ხაზების გადაკვეთის სამ-სამ წერტილს. მოთამაშენი შეარჩევენ სამ-სამ „ქვას“ (კენჭი, ჩეირი და მისთ.). ერთი მოთამაშის კენჭები მეორისაგან უნდა განსხვავდებოდეს ზომით ან ფერით; კიდევ უფრო უმჯობესი იქნება, თუ ერთისა იქნება კენჭები, მეორისა — ჩეირები (ნახაზებზე, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი, მრგვალი და კვადრატული ქვებია).


თამაშის დამწყები თავის ერთ-ერთ კენჭს დადებს ხაზების გადაკვეთის რომელიმე წერტილში, ჩვეულებრივად, ცენტრში. შემდეგ მოთამაშენი ხაზების გადაკვეთის წერტილებში (სურვი-

ლისამებრ) მორიგეობით ალაგებენ დანარჩენ კენჭებს. კენჭების დალაგების შემდეგ პირველი სვლა ექუთვნის დამწყებ მოთამაზეს. შემდეგ თამაშობენ რიგ-რიგობით. სვლა მდგომარეობს ხაზების გადაკვეთის ერთი წერტილიდან მეორე, გვერდით მდებარე (სულ ერთია, რა მიმართულებითაც არ უნდა იყოს) თავისუფალ წერტილზე, ქვის გადატანაში. გადაკვეთის წერტილის გამოტოვება („გადახტომა“) არ შეიძლება. თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშემ მოახერხოს თავისი სამი ქვის ერთ სწორ ხაზზე (რომელი ხაზიც არ უნდა იყოს იგი) განლაგება, რაც გამარჯვებას ნიშნავს, ამიტომაც მოთამაშენი თავიდან ვე ცდილობენ, მოხერხებულად განალაგონ ნახაზზე თავიანთი ქვები.


დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ თუ ძალაში დარჩება თამაშის ეს წესები, ყოველთვის პირველივე ან მეორე სვლაზე გაიმარჯვებს დამწყები მოთამაშე, რომელიც პირველ ქვას ნახაზზე ცენტრში ათავსებს. ამ გამარჯვების მისაღწევად დამწყები მოთამაშე კარგად უნდა დაეუფლოს ორი სახის კომბინაციას და შეძლოს მათი ყველა ცარიინტის (თითოეულ კომბინაციას აქვს 8 ვარიანტი) ჩატარება. აი, ეს კომბინაციები:

ა) 1. დამწყებმა მოთამაშემ ქვა დადო ცენტრში. მოწინააღმდეგებ საპასუხო ქვა თავისი სურვილით დადო ვთქვათ „ბ“ წვეროზე.

2. ასეთ შემთხვევაში დამწყებს შეუძლია თავისი მეორე ქვა მოათავსოს „თ“ წერტილში. ახლა კი მოწინააღმდეგე იძულებულია თავისი მეორე ქვა მოათავსოს „გ“ წერტილში, რათა ხელი შეუშალოს დამწყები მოთამაშის მიერ სამივე ქვის „თგ“ ხაზზე განლაგებას (რაც წაგებას ნიშნავს).



ნახ. 1.



ნახ. 2

3. თავის მხრივ დამწყებმა მოთამაშემ ამავე მიზეზით მესამე ქვა უთუოდ უნდა დადოს „დ“ წერტილში, ხოლო მოპირდაპირემ — „ზ“ წვეროზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამწყებ მოთამაშეს გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვს. მას შეუძლია გააკეთოს ჭერ „ავ“ შემდეგ ჯე „თი“ სვლები (ანდა პირიქით). და თავისი ქვები განალაგოს „იდ“ ხაზზე, რითაც თამაში მთავრდება (ნახ. 1).


შესაბამისად უნდა ჩატარდეს კომბინაცია, თუ დამწყებმა თავისი მეორე ქვა დადო არა „თ“, არამედ „ვ“ წერტილში.

დამწყებს შეუძლია ორ-ორი მსგავსი ვარიანტით ჩატაროს კომბინაცია, თუ მოწინააღმდეგე ქვას დადებს დაფის სხვა („დ“, „ზ“ ან „ი“) წვეროზე.

ბ) 1. ვთქვათ, მოწინააღმდეგემ თავისი საპასუხო ქვა დადო არა დაფის წვეროზე, არამედ „ბ დ“ გვერდითი ხაზის შუა „გ“ წერტილზე.

2. ასეთ შემთხვევაში თამაშის დამწყებმა თავისი მელტო ჭვა უთუოდ უნდა მოათავსოს „ზ“ წვეროზე. მოწინააღმდეგამიზულებული ხდება, მეორე ქვა მოათავსოს „დ“ წვეროზე.

3. ახლა დამწყებმა მოთამაშემ თავის მხრივ მესამე ქვა უნდა მოათავსოს უთუოდ „ბ“ წვეროზე, ხოლო მოწინააღმდეგემ „ა“



ბახ. 3.

წერტილში, რათა ხელი შეუშალოს პირველივე სვლაზე წაგებას, მაგრამ მეორე სვლაზე მაინც წაგებულია (ნახ. 2). შესაბამისად უნდა ჩატარდეს კომბინაცია, თუ მოპირდაპირემ მეორე ქვა დადო არა „ზ“, არამედ „ი“ წვეროზე. მსგავსი ორ-ორი ვარიანტის ჩატარება შეიძლება, თუ მოწინააღმდეგემ თავისი ქვა მოათავსა არა „გ“, არამედ „ე“, „ვ“. ან „თ“ წერტილებში. გასაგებია, რომ მოთამაშისათვის, რომელიც ამ ორი კომბინაციის კველა ვარიანტს დაუფლება, შემდგომი თამაში ერთგვარად მოსაწყენი გახდება. ეს თამაშის ერთგვარი ნაკლია, მაგრამ თვით ამ კომბინაციების დაუფლება არაა იოლი საქმე, მით უმე-

ტეს, უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის და განსაკუთრებით  
მათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან უფრო რთული  
თამაშობანი. ამიტომ მათვის ეს თამაში, ერთგვარ საფეხურ-  
ადაც შეიძლება გამოდგეს, რადგან გზას ხსნის უფრო ძნელი  
კომბინაციების დასაუფლებლად.

გარდა ამისა, მოთამაშებს შეუძლიათ გვერდი აუარონ თა-  
მაშის დადგენილ წესებს. მაგალითად, თავდაპირველად, ქვების  
განლაგების ღროს, აკრძალონ ცენტრში ქვის მოთავსება; ანდა  
თამაში ჩათვალონ ფათად (ყაიმად), თუ მოწინააღმდეგებაც  
მომდევნო სვლაზე შეძლო ქვების ერთ სწორ ხაზზე განლაგება  
და ა. შ., რაც თამაშს გამრავალფეროვნებს. თამაშში ხერხდება  
სხვა მარტივი კომბინაციების ჩატარებაც, მაგალითად, „ჩაკეტ-  
ვა“, როცა მოწინააღმდეგე იძულებულია დათმოს ცენტრი,  
რის გამოც მარტხდება კიდეც (იხ. ნახ. №3.) სვლა მისია, ვისაც  
მრგვალი ქვები ყჟუთვნის. თამაშის დადებითი, ამასთან, თავის-  
ებური მხარე ისიცაა, რომ ქვები წინასწარ არ არის დაფაზე  
დაწყობილი და ამით შეზღუდული არაა მოთამაშის ფანტაზია.  
მოთამაშეს შეუძლია ქვები განალაგოს თავისი სურვილისამებრ.

## გვირჩება

### ა) გვირჩების პირაობა

1. თამაშში მონაწილეობს ორი ბავშვი 10 წლის ასაკიდან.  
თამაშისათვის საჭიროა გვიმრის კავები. ერთი მოთამაშე თავის  
გვიმრის კავს მეორისას გამოსდებს. კავებს გასწევენ, სანამ  
ერთ-ერთი არ გატყდება (მოსტყდება კაპი). ვისაც კავი გაუტ-  
ყდება, დამარტხებულია. შემდეგ ახალი გვიმრის ღეროებს აი-  
ღებენ და თამაშს ისევ გაიმეორებენ. თითოეული ცდილობს  
ისეთი გვიმრა შეარჩიოს, რომელსაც ღეროცა და კავიც მაგარი  
ექნება.

2. მონაწილეობენ ვაჟები 10 წლის ასაკიდან. დამარცხებულ-  
მა გამარჯვებული ზურგზე უნდა მოიკიდოს და, ათ ნაბეჭხზე ვთქული  
ატაროს.

### ბ) ე ფ რ ო ბ ი ლ ა

მონაწილეობს უმთავრესად 2 მოთამაშე — გოგონები და  
ვაჟები 7 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ეჭრის ანუ  
გვიმრის ჩეირები — დაახლოებით ერთი ციდა სიგრძისა.

ჩეირებს აიღებენ იმდენს, რამდენიც მუჭში („მჯილში“) ჩა-  
ეტევათ (დაახლოებით 40-მდე).

ერთ-ერთი დაიწყებს თამაშს. იგი ჩეირებს ერთად აისკრის  
და ცდილობს, ხელის ზურგზე შეიკავოს ისინი. ხელის ზურგზე  
შეკავებული ჩეირები (სულ ერთია რამდენიც იქნება) ხელახლა  
უნდა აისროლოს და ზემოდან ხელის დატაცებით ჰაერშივე  
დაიჭიროს. ჩეირებს, რომლებსაც ამგვარად დაიჭერს, გვერდზე  
გადასდებს და თამაშს დანარჩენი ჩეირებით აგრძელებს. თუ  
არც ერთი ჩეირი არ შეაკავდა ხელის ზურგზე, მოთამაშე „ჩა-  
ჭრილია“ და დარჩენილი ჩეირებით თამაშს მოპირდაპირე  
იწყებს. ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ყველა ჩეირს არ დაი-  
ჭერენ. ბოლოს დათვლიან თავიანთ ჩეირებს და რომელსაც  
მეტი აღმოაჩნდება დაჭერილი, მოგებულიც ის არის.

2. მოთამაშენი წინასწარ შეთანხმდებიან, თუ რომელი იყოს  
„კენტი“ და რომელი „ლუწი“.

„კენტის“ მიერ დაჭერილი ჩეირების ოდენობა ყოველ  
ხელზე უნდა იყოს კენტი, „ლუწისა“ — ლუწი (დაჭერილი ჩეი-  
რების საერთო რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს), წინააღ-  
მდეგ შემთხვევაში მოთამაშე „ჩაჭრილია“ და თამაშს იწყებს  
მოპირდაპირე.

მოთამაშეს უფლება არა  
ჩხირი განზრას გადმოაგდოს.

ჩხირების ყოველი დაჭერის შემდეგ მოთამაშე თავისტვის გადასდებს ერთ ჩხირს. როცა ჩხირები „გამოილევა“, დაოვლიან და, რომელსაც მეტი აღმოაჩნდება, გამარჯვებულიც ის იქნება.

3. მოწინააღმდეგენი შეთანხმდებიან, „წყვილის“ დაჭერა იყოს თუ „კენტისა“. დაჭერილი ჩხირების საერთო ოდენობას მნიშვნელობა არა აქვთ.

ჩხირების ყოველ დაჭრაზე მოთამაშენი გადასდებენ თითო ჩხირს. როცა ჩხირები გათვდება, ის მოთამაშე, რომლის თამაშის ჯერიცაა, თავისი „მოგებული“ ჩხირებიდან ერთს შე-იგდებს ხელის ზურგზე და შემდეგ მის გარდიგარდმო დაიდებს მოწინააღმდეგის მიერ მოგებულ ჩხირს. ჩხირებს აისვრის და ისევ დაიჭროს, რის შემდეგ მოწინააღმდეგის ჩხირიც მას ეკუ-თვნის. ამას იმეორებს მანამდე, ვიდრე არ ხაიჭრება. მოთამაშე-ნი ამგვარად წაართმევენ ერთიმეორეს ჩხირებს. თუ თავიდან წყვილი ჩხირის დაჭრა იყო დათქმული, მაშინ ჩხირების წარ-მევაც წყვილ-წყვილად ხდება. გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც ყველა ჩხირს წაართმევს თავის მოპირდაპირეს.

**4. გვიმრობანა (ჩხირობანა).** თამაშისათვის საჭიროა გვიმრის 10 ღერო. დამწყები მოთამაშე ათივე ღეროს დაიჭირს ხელში და ისე აისვრის, რომ ისინი ხელის ზურგზე შეიყენოს. ახლა ხელის ზურგზე შეყენებულ ჩხირებს აკყრის, ისე, რომ ზემოდან ხელის დატაცებით ჰაერშივე დაიჭიროს; ამას იმეორებს მანამდე, ვიდრე არ ჩაიჭრება; თითოეულ ხელზე დაჭირილი ჩხირების რიცხვი ქულებად ითვლება და ერთიმეორეს ემატება. თუ მოთამაშემ ვერც ერთი ჩხირი ვერ შეიყენა ხელის ზურგზე, ან ყველა შეყენებული ჩხირი ვერ დაიჭირა (ვერ „ჩამოკაფა“),

იგი ჩაჭრილად ითვლება და თამაშს იწყებს მოწინააღმდეგი რომელი მოთამაშეც უფრო აღრე შეასრულებს წინასწარ და თქმულ რიცხვს (100-200), გამარჯვებულია.

## გუნდაობა, თოვლაზროვნობა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 12 წლის ასაკიდან. მოთამაშენი განაწილდებიან ორ ჯგუფად. ჯგუფები ერთმანეთის მოშორებით დანიშნავენ ორ ადგილს, საიდანც ერთიმეორეს დაუშენენ თოვლის გუნდებს. რიპული მხარეც გარეკავს მოწინააღმდეგებს და მიაღწევს მათ ნიშნამდე, გამარჯვებულია. გამარჯვებულებს შეუძლიათ ნიშნის იქითაც განაგრძონ მოწინააღმდეგთა „დევნა“.

## დანისპირაობა, დანასობანა

მონაწილეობს 2-3 მოთამაშე — ვაჟები 12 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ჭიბის დანა. სათამაშოდ უნდა აირჩიონ რბილი მიწა. თუ სამი მონაწილეობს, თითოეული ღამოუკიდებელი მხარეა. როცა ერთი დაამთავრებს თამაშს, დარჩენილები აგრძელებენ, ვიდრე ამათგანაც ერთ-ერთი ორ გაიმარჯვებს. შოთამაშემ-დანა სხვადასხვა მდგომარეობიდან მიწაზე უნდა დასოს. მოთამაშენი ჰყრიან კენჭს. ერთ- ერთი მხარე იწყებს თამაშს.

თითოეულმა მხარემ უნდა შეასრულოს: „ხელისგულა“ — დანა დაიდება გაშლილ ხელისგულზე წვერით თითებისაკენ; „ხელისზურგა“ — დანა დაიდება გაშლილი ხელის ზურგზე წვერით თითებისაკენ; „ცერული“ — დანა დაიდება მომუჭულ ხელზე ცერსა და მოკეცილ საჩვენებელ თითს შორის წვერით

წინ; „მუჭა“ — დანა დაიდება მომუჭულ ხელზე, მოკეცელ წვერით და ხელისგულის დარჩენილ ნაწილს შორის, წვერით ცერისაკენ; „ფიწალა“ ანუ „თითა“ — დანა დაიდება გაშლილ საჩვენებელსა და ნეკა თითებზე, წვერით ცერისაკენ (დანარჩენი თითები მოკეცილია); „ნიკაპა“ — დანის წვერს საჩვენებელი და ცერა თითებით მიიდებენ ნიკაპზე; „შუბლა“ — დანის წვერს იმგვარადვე მიიდებენ შუბლზე; „ცხვირა“ — დანის წვერს იმგვარადვე მიიდებენ ცხვირზე; „თავა“ — დანას წვერით დაიდებენ თავზე; „ფრიალა“ ანუ „ბუუალა“ — საჩვენებელ და ცერა თითებში დანას დაიჭირენ წვერით; „ჩასმა“ — დანას დაიჭირენ ტარით. ყველა ამ მდგომარეობიდან მოთამაშემ დანა ისე უნდა აატრიალოს ჰაერში, რომ წვერით მიწაზე დაესოს, რას შემდეგ მომდევნო ილეთი შესრულდება. თუ დანა იმდენად გადახრილად დაესო, რომ მიწასა და დანის ტარის ბოლოს შორის მანძილი „ორი თითის დადებაზე“ მცირეა, დანა „წაქცეულად“ ითვლება და თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე. „ფრიალა“ და „ჩასმა“ სრულდება საშ-სამჯერ, დანარჩენი თითოვერ. ვიხც პირველად შეასრულებს ყველა ილეთს, გამარჯვებულია. გამარჯვებულს უფლება აქვს ნება დართოს, რომ დამარცხებულმა გამოტოვოს ყველა დარჩენილი ილეთი და შეასრულოს მხოლოდ „ფრიალა“, რისთვისაც მისცემს სამ ცდას. თუ შეასრულა, დამარჯვებას ალარ ჩაუთვლის. მაგრამ თუ ვერ შეასრულა, გამარჯვებული ორი გოჯი სიგრძის ჩხირს წვერს წაუთლის და მიწაში დანის ტარის იმდენი დარტყმით ჩაასობს, რამდენი ილეთითაც ჩამორჩა მოწინააღმდეგე. დამარცხებულმა ჩხირი ხელით, რაიმე საგნის დაუხმარებლად, უნდა ამოაძროს.



მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 10 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ნაჭირისაგან შეკერილი პატარა ბურთი (ან ბალიში) და დიფტი — მაგარი, სამკაპა ჯოხი. დიფტის ფეხები (კაპები) სიგრძით, დაახლოებით, ორ-ორი მტკაველი უნდა იყოს, ტარი კი — ერთი მტკაველი. გარდა ამისა, ყოველ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს, დაახლოებით, ორი მტკაველი სიგრძის ჯოხი (ჭოლოკი). მოთამაშენი შემოხაზავენ 7-10 ნაბიჯი სიგანის წრეს, მის შუაგულში კი ერთი ნაბიჯი სიგანის „დიფტის წრეს“, რომელშიც დადგამენ (ფეხზე დააყენებენ) დიფტს. დიფტის წრიდან 2-3 ნაბიჯის დაშორებით შემოხაზავენ ამავე ზომის წრეს — „მცველის აღგილს“ („მცველის წრეს“, ხოლო ამ უკანასკნელიდან 15-მდე ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ „ჯოხის სასროლ ხაზს“).

კენჭისყრით ან გათვლით, ვისაც მოუწევს, ჩადგება მცველის წრეში და დაიჭერს ბურთს (ან ბალიშს), დანარჩენი მოთამაშენი ჩამწერივდებიან ჯოხის სასროლ ხაზზე და თავიანთ ჯოხებს რიგრიგობით ესვრიან დიფტს, რათა მოარტყან და წააჭციონ. აცილების შემთხვევაში, ვიდრე დიფტი ფეხზე დგას, ყველა ჯოხი ადგილზე რჩება, ადგილზე რჩება ყველა მოთამაშეც.

თუ რომელიმე მოთამაშემ დიფტს ჯოხი მოარტყა და წააჭცია, მოთამაშენი დაიწყებენ ძახილს — „დიფტი გორავს, დიფტი გორავს!..“ და გარბიან თავ-თავიანთი ჯოხის ასაღებად. თავის მხრივ მცველიც გარბის დიფტის წრეში დიფტის ფეხზე დასაყენებლად, მაგრამ ჯოხის ასაღებად მოსულ ყოველ მოთამაშეს უფლება აქვს, კვლავ წააჭციოს დიფტი (ჯოხით, ფეხით).

მცველი, როგორც კი დიფტს ფეხზე დააყენებს, ბურთს ესვრის ჯოხების ასაღებად წრეში შემოსულ მოთამაშეებს. ვისაც

მოახვედრებს, ჩაჭრილია, მაგრამ ჩაჭრილსაც შეუძლია, თუ დიფტი კვლავ ფეხზე დგას, ბურთი ესროლს დანარჩენებს, მათ შორის მცველსაც, ვიდრე ჯოხის სასროლ ხაზამდე მიასწრებ დნენ ისინი. მაგრამ თუ დიფტი წაქცეულია, ჯერ ფეხზე უნდა დააყენოს. ჩაჭრილი უმალვე მცველად იქცევა, თუ არავინ არ ჩაიჭრა, მცველად დგება იგივე მოთამაშე და თამაში გრძელ-დება. ჯობია, დიფტს პირველად ესროლონ შედარებით სუსტმა მოთამაშებმა, ეს თამაშს უფრო საინტერესოს ხდის.

### დულუაობა, აიზონა-დაიზონა, პონა-პოჭა

მონაწილეობს 6-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები მცი-რე ასაკიდან. თამაშის ადგილზე არ უნდა ეყაროს ქვები და სხვა მაგარი საგნები. დადებენ მორს ან ქვას, მასზე გადადებენ 3 — 4 მეტრის სიგრძის ფიცარს, ფიცრის ბოლოებზე დასხდე-ბიან ბავშვები, რამდენსაც ფიცარი გაუძლებს (სიმძიმე ორივე მხარეზე თანასწორად უნდა განაწილდეს). მიწაზე ფეხის დაჭ-ვრით ხან ერთი მხარე აღის ჰერში და ხან მეორე. მოთამაშენი მალლა ასვლისას იძახიან „აიზონას“, ხოლო დაბლა დაშვები-სას — „დაიწონას“, ან პირველ შემთხვევაში „კონას“, მეორეში კი — „კოჭას“.

### დ ღ ე ღ ა მ ო ბ ა ნ ა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა პატარა ბრტყელი ქვა.

მონაწილენი მოედნის შუაგულზე გაავლებენ სწორ ხაზს; ამ ხაზის ორივე მხარეზე, ოც-ოცი ნაბიჯის დაშორებით, გაავ-

ლებენ კიდევ თითო ხაზს, უკანასკნელი ხაზები „ბინები“ იქნება. შემდეგ ბრტყელი ქვის ერთ მხარეს დასცელებენ ან „გაფაფებენ ნახშირით; ქვის ამ მხარეს ეწოდება „ღამე“ მუორეს კი — „დღე“.

გუნდები შეთანხმდებიან: ერთი გუნდი დაირქმევს „დღეს“, მეორე — „ღამეს“. შემდეგ გუნდები დადგებიან პირველად გავლებული ხაზის აქტით, ერთმანეთის პირისპირ (შეიძლება ზურგშექცევით დადგომაც). ერთ-ერთი გუნდის მოთამაშე ასევრის ქვას და თუ „დღე“ დადგა — „დღეები“ გარბიან, ხოლო „ღამეები“ გამოუდგებიან დასაჭრად, ვისაც ხელს დაჭრავენ, დაჭრილები არიან. დაჭრა შეიძლება, ვიდრე გაქცეულები თავიანთ ბინას მიაღწევდნენ.

დაჭრილები თამაშიდან გადიან, ხოლო გუნდები ისევ პირველ ხაზზე დგებიან, ახლა კი ქვას ააგდებს მეორე გუნდის რომელიმე მოთამაშე (ქვის აგდება გუნდებს შორის ხდება რიგრიგობით).

როდესაც ერთ-ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშეს დაიჭრენ, თამაში დამთავრებულია.

ზოგჯერ თამაშში ქვას არ ხმარობენ, არამედ გამოჰყოფენ „დედას“, რომელიც რიგრიგობით იძახის „დღესა“ და „ღამეს“ და თამაშიც ამის მიხედვით მიმდინარეობს: რომელი გუნდის სახელსაც „დედა“ დაიძახებს, ის გუნდი გარბის, მეორე გუნდის მოთამაშენი კი დასაჭრად გამოუდგებიან.

## ეს სახლ-კარი ვისია

მონაწილეობს 4-5 წლის ასაკის ბავშვები, რიცხვით 20-30-მდე.

თამაშისათვის საჭიროა ქუდი ან ხელსახოცი.

მონაწილენი აირჩევენ „ჩამომვლელს“, დანარჩენები კი ჩა-  
იმუხლებენ წრის გარშემო. ჩამომვლელი ქუდს ხელში დაი-  
ჭირს, დარბის წრის გარშემო და გაიძახის: „ეს სახლ-კარი ვი-  
სია“. დანარჩენები უპასუხებენ: „ჩემ და ჩემი ძმისია“. ეს მე-  
ორდება რამდენჯერმე.

ჩამომვლელი, როცა მოესურვება, ქუდს რომელიმე მოთამა-  
შეს მალულად დაუგდებს ზურგს უკან (შეიძლება წინ დაგდე-  
ბაც). ეს უკანასკნელი ქუდს ხელს დასტაცებს, წამოხტება და  
გამოუდგება „ჩამომვლელს“, რომელიც წრის გარშემო დარბის.  
თუ დაეწია და ქუდი დაარტყა, ისევ თავის ადგილზე დადგება,  
ხოლო თუ ვერ დაეწია, მის ადგილზე დადგება „ჩამომვლელი“,  
თვითონ კი „ჩამომვლელად“ დარჩება.

### ვისი მეზობლობა გაურს

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები  
12 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ჩამოსხდებიან წრიულად და  
აირჩევენ ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი ერთ-ერთ მოთამაშეს  
ეკითხება: „ვისი მეზობლობა გსურს?“ მოთამაშე ასახელებს  
რომელიმეს. ამ უკანასკნელის მარჯვნივ მჯდომი მოთამაშე ვალ-  
დებულია შეუცვალოს ადგილი პირველ მოთამაშეს, რის მერു  
ხელმძღვანელი იმავე შეკითხვას აძლევს სხვა მოთამაშეს; როცა  
მოისურვებენ, ხელმძღვანელსაც გამოსცვლიან.

### ზურს

მონაწილეობს 3 ვაჟი 15 წლის ასაკიდან .მოთამაშენი  
სხედან ერთიმეორის გვერდით, შუაში მჯდომი „ზურაა“;  
მას ნახევრად მომუჭული ხელები მიტანილი აქვს პირთან

და ზუის. აქეთ-იქით მსხდომთ ლოყაზე აფარებული აქვთ ხელი, ისე, რომ ხელისგული მიქცეულია ზუილისაკენ. ზუილა ცდილობს, რომელიმე მათგანს მოულოდნელად დაკ-კრას ხელი აფარებულ ხელისგულზე, ისინი კი ცდილობენ დაკ-ვრა აიცილონ, რომელიც დაკვრას ვერ აიცილებს — თვითონ ხდება ზუილა, თუ არადა, თამაში ჩვეულებრივად გრძელდება.

### „ზურგონა“

**1. გრძელი „ზურგი“.** მონაწილეობს 10-12 მოთამაშე — ვა-ჟები 15 წლის ასაკიდან. თამაშის ადგილზე არ უნდა იყოს ქვები და სხვა მაგარი საგნები.

მოთამაშენი „არჩევან-არადანის“ მიხედვით ნაწილდებიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შედეგად ერთ-ერთ ჯგუფს მოუწევს „დადგომა“. ამ ჯგუფის რომელიმე მოთამაშე ზურგით მიეყ-რდნობა რაიმე სავანს (ხე, კედელი და ა. შ.), მას მეორე მოთა-მაშე წელში მოხრილი მიეყრდნობა მხრით. ამ უკანასკნელს კი დანარჩენები ასევე წელში მოხრილნი მოებმებიან უკან. მოწი-ნააღმდეგენი სათითაოდ გამორბიან და „დამდგარებს“ ზურგზე ახტებიან. შეხტომის მერე გასწორება არ შეიძლება. უკანასკ-ნელმა შეხტომის შემდეგ ტაში უნდა დაკვრას. თუ ტაშის დაკ-ვრამდე „შემსხდართაგან“ რომელიმე მოთამაშე ჩამოვარდა ან ფეხი დააკარა მიწას, გუნდი ჩაჭრილია და მდგომარეობა იც-ვლება (ახლა ჩაჭრილები უნდა „დადგნენ“), თუ არა და, ტაშის დაკვრის შემდეგ მოთამაშენი სურვილისამებრ ჩამოხტებიან და თამაში იმგვარადვე მეორდება.

**2. (წრეზურგობანა)** მონაწილეობს 20-მდე ვაჟი 15 წლის ასაკიდან. მოთამაშენი შემოხაზავენ 5-6 ნაბიჯის დიამეტრიან წრეს და ორ ჯგუფად ნაწილდებიან.

კენჭისყრის შედეგად ერთ გუნდს მოუწევს წრეში ჩადგომა.  
 წრეში ჩამდგარნი გამოჰყოფენ „მცველს“, დანარჩენები კი წრეში  
 ულად დადგებიან და ერთმანეთს გადახვევენ ხელს. მოწინაპლ-  
 მდეგებს უფლება აქვთ ზურგზე შეახტნენ წრეში მდგომებს.  
 მცველი ამ ღროს ცდილობს მათ „დაჭრას“. მოთამაშე დაჭრი-  
 ლად ითვლება, თუ მას მცველი მუხლს ქვემოთ შეახებს ფეხს.  
 მაგრამ დაჭრა არ ჩაითვლება, თუ ამ ღროს მცველს ერთი ფეხი  
 მანც არ ედგა წრის შიგნით. ზურგზე შემხტარი მოთამაშის  
 „დაჭრა“ არ შეიძლება. ზურგზე შემხტარ მოთამაშეს შეუძ-  
 ლია, ვიდრე არ მოესურვება, არ ჩამოხტეს. შეიძლება შეახტნენ  
 მცველსაც, ამ შემთხვევაში მცველს უფლება აქვს მოწინააღ-  
 მდეგე გაიყვანოს წრის გარეთ, რის შემდეგ ეს უკანასკნელი უნ-  
 და ჩამოხტეს. ერთ-ერთი მოთამაშის „დაჭრა“ იწვევს მთელი  
 მისი გუნდის წრეში ჩადგომას.

## თავზე გადახტოვა

### ა) სახტოვილა

1. თამაშში მონაწილეობას იღებს 10-მდე ვაჟი 15 წლის ასა-  
 კიდან. ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს სარტყელი. სათამაშო  
 ადგილზე არ უნდა ეყაროს ქეები და მაგარი საგნები.

სათამაშო ადგილზე გაავლებენ 2-3 ნაბიჯი სიგრძის ოთხ  
 სწორ ხაზს, ყოველი ხაზი წინა ხაზიდან ნებისმიერადაა დაშო-  
 რებული მოთამაშეთა სურვილის მიხედვით. ერთ-ერთი მოთა-  
 მაშე თავისი სურვილით ან კენჭისყრით „ჩადგება“. ეს მოთამა-  
 შე იქნება „სახტომელა“. სახტომელა წელში წახრილი დგება  
 პირველ ხაზზე და გამართული ხელებით ებჯინება მუხლისთა-  
 ვებს. დანარჩენები რიგრიგობით გამორბიან, სახტომელას ზურ-

4. ბ. შერაზადიშვილი.

გზე ხელს დაპკრავენ და გადაახტებიან. ხელის დაკვრის დროს  
იძახიან: „გამარჯობა, სახტომელა!“

როცა ყველა გადაახტება, სახტომელა დადგება მჭროლა ზე  
ზე, დანარჩენები პირველი ხაზის წინ ფეხის დარტყმით ისევ გა-  
დაახტებიან და იძახიან: „როგორა ხარ, სახტომელა?“ შემდეგ  
სახტომელა დადგება მესამე ხაზზე. მოთამაშენი კვლავ გამორ-  
ბიან, ზურგზე ხელებს დაპკრავენ, გადაადებენ თავიანთ სარ-  
ტყელებს და იძახიან: „გტვირთავ, სახტომელა“, შემდეგ „სახ-  
ტომელა“ დადგება მეოთხე ხაზზე, დანარჩენები კვლავ გადაახ-  
ტებიან, მხოლოდ გადაახტომისას ყველამ თავისი სარტყელი  
უნდა წაიღოს და დაიძახოს: „ტვირთი მიმაქვს, სახტომელა“.  
ფეხის დარტყმა ყოველთვის ხდება პირველი ხაზის წინ, დახ-  
ტომა კი იმ ხაზის იქით, რომელზედაც „სახტომელა“ დგას.

ზოგჯერ პირველი ხაზის წინ, ხაზიდან ერთი ფეხის დადება-  
ზე დებენ პატარა ჯოხს ან ბაჭარს, რომელსაც ყველა მოთამაშემ  
ფეხი უნდა დაპკრას. ვინც ამ პირობებს ვერ შეასრულებს, ჩაჭ-  
რილია და თვითონ უნდა „ჩადგეს“. მოთამაშე აგრეთვე ჩაჭრი-  
ლია, თუ თავის დროზე არ დაიძახა სათანადო სიტყვები, ვერ  
დატოვა თავისი სარტყელი სახტომელას ზურგზე, ვერ აიღო  
ის, ანდა აიღო და გადმოაგდო სხვისი სარტყელი. თუ თამაში  
გათვდა ისე, რომ არავინ ჩაიჭრა, სახტომელად დადგება იგივე  
მოთამაშე. სარტყელების მაგიერ შეიძლება ქუდების ხმარებაც.

2. მონაწილეობენ ვაჟები 10 წლის ასაკიდან. თამაში მიმდი-  
ნარეობს იმგვარადვე, როგორც პირველ ვარიანტში; მხოლოდ  
სახტომელა მუდამ ერთ ადგილზე დგას.

3. თამაშობს 10-მდე ვაჟი, 15 წლის ასაკიდან, ყველას უნ-  
და ჰქონდეს ქამარი. თამაშის ადგილზე არ უნდა ეყაროს ქვები  
და სხვა ამგვარი საგნები კენჭისურებით ან ნებასურებილით ერთ-  
ერთი მოთამაშე „ჩადგება“, დანარჩენები რიგრიგობით გამორ-

ბიან და თავზე გადაახტებიან. თავზე გადაახტომის დროს პირ-ველად იძახიან: „გამარჯობა, სახტომელა!“ შემდეგ: „ნახვაშ-დის, სახტომელა!“ შემდეგი გადაახტომისას კი — „ორხელია, კაცურად!“ და ზურგზე ორივე ხელის დაკვრით გადაახტებიან. შემდეგ მოსდევს „ცალხელია კაცურად!“ — ცალი ხელის დაკ-ვრით გადაახტომა. ამას მოსდევს „ორხელია ქალურად!“ — მო-თამაშე ორი ხელის დაკვრით ისე უნდა „გადაევლოს“ სახტო-მელას; როგორც ქალი ზის ცხენზე (ქალის უნაგირზე), შემდეგ იგივე ქეთდება ცალი ხელის დაკვრით. ამას მოსდევს უხელოდ ზურგზე შეხტომა (შეჯდომა). ამ შემთხვევაში სახტომელა იწყებს თვლას და თუ მის ზურგზე მჯდომს გასწორება ოცის დათვლამდე დასჭირდა, ან ფეხი დააკარა მიწას — ჩაჭრილია.

შემდეგ არის ხელის დაკვრით გადაახტომა, მხოლოდ მოთა-მაშემ უნდა დაიძახოს: „არ მოედვა სახტომელას!“ — და გარ-და ხელისა, არაფერი არ უნდა მიაკაროს მას. ამის შემდეგ მო-დის „სადაო“ — თითოეული მოთამაშე გადაახტომის წინ სახ-ტომელას თავზე დაადებს დახვეულ ქამარს, გადაახტომის დროს ქამარს ხელი უნდა გაპკრას და შორს გადააგდოს. გადაყრილი ქამრები ადგილზე რჩება.

ვინც ჩამოთვლილ წესებს ვერ დაიცავს — ჩაჭრილია. ჩაჭ-რილი ჩაჭრისთანავე თვითონ ჩადგება, ყოფილი სახტომელა კი დანარჩენ მოთამაშეებს შეუერთდება. თუ არავინ ჩაიჭრა, მაშინ ჩაჭრილად ითვლება ის მოთამაშე, ვის მიერ გადაგდებუ-ლი ქამარიც ყველაზე ახლოს დაეცა სახტომელასთან.

4. ამ ვარიანტში ზოგჯერ სარტყელებს და ქუდებს არ ხმა-რობენ, სამაგიეროდ ავლებენ, რამდენადაც შესაძლებელია, მეტ ხაზს და გადაახტომის დროს ყოველთვის იძახიან: „გამარ-ჯობა, სახტომელა“.

5. ხაზები იმდენია გავლებული, რომ ფეხის ერთი დაკვრით

გადახტომა შეუძლებელი ხდება, ამიტომ მოთამაშენი შეთანხმდებიან, რომ მიწაზე ფეხის დაკვრა იყოს ორჯერ (ან შეტრერ), როცა სახტომელა მეხუთე ხაზზე დადგება, ყოველ მოთამაშეს უფლება აქვს, ფეხი დაპკრას ჭერ პირველ ხაზს, მერე მეოთხეს და შემდეგ გადაახტეს სახტომელას. ვინც წესებს ვერ დაიცავს, ის ჩაჭრილია და სახტომელად დადგება.

თამაშში სურვილის მიხედვით შეიძლება სარტყლების ან ქუდების გამოყენება, როგორც პირველ ვარიანტში.

### ბ) გადახტი — გადამიტობანა (თავხტომელა)

მონაწილეობენ ვაჟები 8-9 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი დადგებიან ერთიმეორის უკან, ერთიმეორისაგან სამი-ოთხი ნაბიჯის დაშორებით, წელში მოიხრებიან და გამართული ხელებით მუხლისთავებს დაეყრდნობიან; სულ უკანა იწყებს თამაშს, იგი გარბის, ყველა მოთამაშეს ერთმანეთის მიყოლებით ზურგზე ხელის დაკვრით გადაახტება, და სულ წინ წელში მოხრილი დადგება; ამასვე გაიმეორებს უკან და-რჩენილი შემდგომი მოთამეშე და ა. შ. ვინც ვერ გადახტება, თამაშიდან უნდა გავიდეს.

როცა ადგილი ვრცელი არ არის (მაგალითად, კალოზე), მოთამაშენი წრიულად დგებიან და ასე „უვლიან“ გარშემო მოედანს.

### თავხდგურობანა

მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე — ვაჟები 12 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ირჩევენ „შვილს“ და „თავმდგურს“.

„შვილი“ ზის, „თავმდგური“ კი თავზე ადგას და ხელი მის

მხარზე ან თავზე აქვს დადებული. დანარჩენი მოთამაშენი ცდი-  
ლობენ, „შვილს“ ხელი დაკრან მხარზე.

თუ „თავმდგურმა“ მოასწრო და „შვილზე“ ხელისმოუცი-  
ლებლად რომელიმე მოთამაშეს დაჭრა ხელი, ეს უკანასკნელი  
„ჩაჭრილია“ და „შვილის“ ადგილზე ჯდება, ხოლო ის მოთამა-  
შე, რომელიც „შვილი“ იყო, მას „თავმდგურად“ დაუდგება.

## თვალახვაულა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — მცირე ასაკის გოგონე-  
ბი და ვაჟები. ორ ბავშვს აუხვევენ თვალებს, ერთ-ერთ მათ-  
განს ხელში უჭირავს ორი ქვა, დადის და ქვებს ერთმანეთს  
უჭიახუნებს. მეორე მოთამაშე კი ჭახუნის ხმაზე დასდევს დასა-  
ჭერად, თანაც იძახის: „სად ხარ, ვანო!“ „აქა ვარ, ბატონი“, —  
უპასუხებს პირველი. ამ უკანასკნელის (ქვაჭახუნას) დაჭერის  
შემდეგ სხვებს აუხვევენ თვალებს და თამაში იმავე წესით ვავ-  
რძელდება. ზოგჯერ დანარჩენი მოთამაშენი წრეს ჩააბამენ და  
თვალებახვეულებს წრის გარეთ არ უშვებენ.

## თითების გადავლა

თამაშობენ გოგონები და ვაჟები 5-6 წლის ასაკიდან.

ერთი ხელის ცერზე დაიღება მეორე ხელის ნეკი (ე. ი. ცე-  
რები შეერთდება ნეკებთან), ამის შემდეგ დაიწყება თითების  
მორიგეობითი გადავლა, „გადაბიჯება“ (გადატანა) ცერებზე,  
რაც გაწაფვის შემდეგ სწრაფად მეორდება და დაუსრულებლო-  
ბის შთაბეჭდილებას ქმნის. ვისაც უფრო გვიან შეეშლება თი-  
თების მორიგეობა — გამარჯვებულია.

## თოპის გაფევა

მონაწილეობს 2 მოთამაშე — ვაჟები 12 წლის ასკურდან;  
თამაშისათვის საჭიროა 5 — 6 მეტრი სიგრძის მაგარითოვი,  
რომლის ბოლოებს მოთამაშენი ერთმანეთზე გადანასკვავენ,  
შიგ ერთიმეორისადმი ზურგშექცევით ჩადგებიან, თოკს წელ-  
ზე შემოიდებენ და ერთმანეთს ერთიმეორის საწინააღმდეგო  
მხარეს ეწევიან, რომელიც „დაითრევს“, გამარჯვებულია.

## თოლაზრია, ჩაპა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები  
12 წლის ასკურდან. თამაშობენ ზამთარში, კარგად მოტკეპნილ  
თოვლზე.

რიკტაფელას ჯოხზე ჩააბამენ ღვლერჭს, ღვლერჭის ბოლოს  
თავის ჯოხიანად ჩაფლავენ თოვლში და წყალს დაასხამენ, რომ  
ჩაიყინოს. ღვლერჭის სიგრძე თოვლის ზემოთ დაახლოებით  
6 — 7 მტკაველია.

ერთ-ერთი მოთამაშე კენჭისყრის შემდეგ ან თავისი სურ-  
ვილით „ჩადგება“: იგი ხელს ჩასჭიდებს ჩაყინული ღვლერჭის  
თავისუფალ ბოლოს და, თამაშიც იწყება.

„ჩამდგარს“ უფლება არა აქვს ღვლერჭს ხელი გაუშვას.  
დანარჩენები გარს უტრიალებენ და ცდილობენ, ხელი დაკრან  
მას. „ჩამდგარი“ თავის მხრივ ცდილობს, „დაჭრას“ ეს უკანას-  
კნელი, რისთვისაც რომელიმე მოთამაშეს ღვლერჭზე ხელის  
გაუშვებლად უნდა შეახოს ფეხი მუხლს ქვემოთ. თუ ეს მოა-  
ხერხა, ღვლერჭს „დაჭრილი“ მოთამაშე ჩაეჭიდება და თამაშიც  
ჩვეულებრივად გრძელდება. „ჩამდგარს“ უფლება აქვს მოთა-  
მაშე ჯერ ხელით დაიჭიროს და მერე „დაჭრას“. თუ „ჩამდგარ-

მა“ მოთამაშის „დაჭრის“ დროს ღვლერჭს ხელი გაუშვა, „დაჭრა“ არ ითვლება. თამაში შესაძლებელია ზაფხულშიაც. ამ შემადგრულებით ხვევაში ღვლერჭს თოვლის ნაცვლად მიწაში ჩაფლავენ ღვლერჭის მაგიერ შეიძლება თოკის ან თასმის ხმარებაც.

## თ უ ლ ა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — ვაჟები 15 წლის ასაკი-დან. თამაშისათვის საჭიროა ძველი ყაბალახი ან რაიმე ქსოვილის ნაჭერი. მონაწილენი დადგებიან წრეზე. ერთ-ერთი მოთამაშეთაგანი თავისი ნებით დადგება წრის შიგნით, ის იქნება „მორბენალი“, დანარჩენებს ზურგს უკან დამალული აქვთ დაგრეხილი ყაბალახი ანუ „თულა“, რომელსაც ორივე ბოლო ერთად აქვს გამონასკული.

მოთამაშენი წრეში ჩამდგარს ანუ „მორბენალს“ როგორც კი დროს უხელოებენ, ურტყამენ ყაბალახს და ისევ მალავენ ან გადასცემენ ერთიმეორებს. მორბენალი ცდილობს, „თულა“ იპოვოს და მოთამაშეებს წართვას. ის მოთამაშე, რომელსაც მორბენალი „თულას“ უპოვის, დგება „მორბენალის“ აღგილზე.

## თხილის მირთყმა, მტკავლაობა

მონაწილეობს 2-დან 5-მდე ვაჟი 8 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა თხილი. გაინაწილებენ თანასწორად.

თამაში წარმოებს რაიმე საგანთან (ხე, ქვა, კედელი...). ერთ-ერთი მოთამაშე ერთ ცალ თხილს მიარტყამს დანიშნულ საგანს. ძირს დავარდნილი თხილი აღვილზე რჩება. ასევე იქცევიან დანარჩენი მოთამაშენიც რიგრიგობით, ვიდრე რომელიმე

მათგანის თხილი ძირს დავარდნილი თხილის ახლოს არ გაჩერდება. თუ მანძილი მათ შორის ერთი მტკაველი ან უფრის ნაკლებია, ძირს დავარდნილი ყველა თხილი უკანასკნელზე მოზრდა მაშისაა!

ვისაც თხილი გამოელევა, თამაშიდან გადის. გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც ბოლომდე დარჩება. იგი თხილს ხელახლა გაანაწილებს და თამაშიც თავიდან იწყება.

თამაში შეიძლება კენჭებითაც.

## თხილის ტაკაობა

მონაწილეობს ორი მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 9 წლის ასაკიდან. მონაწილენი თანასწორად გაინაწილებენ რამდენიმე თხილს. შემდეგ აიღებენ 2 — 3 მტკაველი სიგრძის ჭოხს, რომელიც ცერა თითზე მსხვილი უნდა იყოს, და შუა ადგილზე ისე გათლიან, რომ ჭოხი მაშასავით მოიხაროს. ჭოხის მოსახრელ ადგილას თითოეული მოთამაშე ჩადებს თითო თხილს. ისე უნდა ჩალაგდეს, რომ ჭოხის მოხრის დროს ისინი ერთმანეთს დააწვნენ. ჭოხის ბოლოებს ისე მოუჭერენ ხელს, რომ ერთმა თხილმა მეორე გატეხოს. ვისი თხილიც მთელი დარჩება, გატეხილი თხილიც მას ეკუთვნის, მოპირდაპირებ კი სამაგიერო უნდა ჩადოს. რომელ მოთამაშესაც უფრო მაღე გამოელევა თხილი, წაგებულია. თხილს ხელახლა გაინაწილებენ და აგრძელებენ თამაშს. ჭოხს ყოველთვის ის მოთამაშე იჭერს ხელში, რომლის თხილიც მთელი დარჩება.

## კ ა კ ლ ა მ ბ ა

კაქლაობის ამა თუ იმ ვარიანტში მონაწილეობს 2-დან 10-მდე მოთამაშე 8 წლის ასაკიდან.

ყოველ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს რამდენიმე ცალი კაკალი,  
მათ შორის ერთი შედარებით მსხვილი და მძიმე, სროლესათ  
ვის. კაკლამბა სხვადასხვაგვარია: ა) კოდობანა, ბ) სასირტლი  
კაკლით, გ) წკიპურტით, დ) დაგორებით (ეს უკანასკნელი იხ.  
ქვემოთ „ტყემლაობასთან“ ერთად).

### ა) ტყემლაობა

**1. ჩაყრია.** მონაწილეობს ორი მოთამაშე — ვაჟები 8 წლის.  
ასაკიდან. მოთამაშენი კაკლებს გაინაწილებენ თანასწორად,  
რის შემდეგ ამოთხრიან ერთი მტკაველი სიგანისა და სიღრმის  
კოდს ანუ ორმოს. ერთ-ერთი მოთამაშე წინასწარი შეთანხმების.  
ან კენჭისყრის შემდეგ დადგება ორმოსთან, მეორე — ორმო-  
დან 5-6 ნაბიჯის მოშორებით გავლებულ ხაზზე. იგი ორმოში  
გადაყრის იმდენ კაკალს, რამდენიც მას სურს. თუ ორმოში  
ჩაყრილი კაკლების რიცხვი კენტი აღმოჩნდა, კაკლები ორმო-  
სთან მდგომისაა, ხოლო თუ წყვილი — ჩამყრელის ანუ „გამ-  
ქნევის“. უკანასკნელ შემთხვევაში ორმოს კაკლის ჩამყრელი  
ეპატრონება.

რომელსაც კაკალი გამოელევა — დამარტებულია. გამარტ-  
ებული კაკალს ხელახლა ანაწილებს და თამაშიც თავიდან-  
იწყება.

თამაშის დამთავრების შემდეგ თითოეულ მოთამაშეს მიაქვს  
იმდენი კაკალი, რამდენიც დაწყებისას ჰქონდა. თამაში შეიძლე-  
ბა თხილითაც.

**2. ამოთხრიან პატარა ორმოს და მისგან რამდენიმე ნაბიჯის**  
დაშორებით გაავლებენ ხაზს, მოთამაშენი დგებიან ხაზზე და  
ორმოში რიგრიგობით ისვრიან თითო კაკალს; თუ რომელმე  
კაკალი ორმოში ვერ ჩავარდა, კაკალი რჩება იქ, სადაც გაჩერდა.

და იწყება წკიპურტის გაკვრა. წკიპურტს მოთამაშენი გაკრავენ  
იმავე რიგის დაცვით, ორგორც მოხდა ორმოში კაკლის სრულობა.

თუ მოთამაშემ წკიპურტის გაკვრით ორმოში ჩაგდლა კაკლ  
ლი, უფლება აქვს, წკიპურტი გაჰკრას დანარჩენ კაკლებსაც,  
ვიდრე არ ააცილებს. შემდეგ გაჰკრავს მეორე მოთამაშე და  
ასე შემდეგ, სანამ ყველა კაკალს არ ჩაგდებენ ორმოში. ვინ  
რამდენ კაკალსაც ჩაგდებს — იმდენი ეკუთვნის. თამაშის  
დამთავრების შემდეგ ყველას მიაქვს იმდენივე კაკალი, რამდე-  
ნიც ჰქონდა თამაშის დაწყებისას. თამაში შეიძლება თხილითაც.

### გ) სასროლი კაკლით

#### I. წრეზო.

**1. ტანაობა.** მოთამაშენი დააწყობენ („დადგამენ“) კაკლებს  
თითოს ან ორ-ორს, ზოგჯერ კი მეტსაც. კაკლების გარშემო  
შემოხაზავენ ერთი-ორი მტკაველი სიგანის წრეს, რის შემდეგ  
გადადიან „სასროლ“ ანუ „სატანაო“ კაკლებს.

ბოლოს დარჩენილ მოთამაშეს უფლება აქვს არ გადავიდეს,  
ამას „სახლში დარჩენა“ ეწოდება.

„დადგმულ“ კაკლებს პირველად ესვრის ის მოთამაშე, რომე-  
ლის სატანაო (სასროლი) კაკალიც უფრო შორს იქნება „გადა-  
სული“ (გაგორებული), და ასე თანმიყოლებით.

#### 2. სათითაოდ ირჩევენ სროლის მანძილს:

„მე აქ ვდგავარო“, — იტყვის ერთი მოთამაშე, „მე თვზე  
გახტივარო“, — დასძახებს მეორე და ა. შ. მხოლოდ ყოველი  
მომდევნო მოთამაშის ფეხის წვერი წინმდგომის ქუსლს არ  
უნდა გასცდეს. შეიძლება პირველი მოთამაშის წინ ჩადგომაც.  
ვისაც „ბელტა“, ანუ სასროლი კაკალი არა აქვს, ან ვისაც მხო-

ლოდ ერთი ცალი კაქალი დარჩა, მას შეუძლია მოითხოვოს „სახლში ყოფნა“. „სახლში დარჩენილ“ მოთამაშეს ეკუთვნის ყველა კაქალი, რომლებიც სროლის შემდეგ წრეში დატებული ანდა, წინასწარი შეთანხმების მიხედვით, იგი მოწინააღმდევე-თაგან ყოველი აცილების შემდეგ წრიდან აიღებს თითოს, ან ორ-ორ კაქალს.

### II. (წყვილ-წყვილად, ერთიმეორის უკან)

მოთამაშენი „დგამენ“ („ჩამოდიან“) ორ-ორ კაქალს. კაქლები ერთიმეორს გვერდით კი არ იდგმება, არამედ წყვილ-წყვილად, ერთიმეორის უკან. წყვილებს შრრის მანძილი ერთ მტკაველს არ უნდა აღემატებოდეს.

ათიოდე ნაბიჯის დაშორებით დადებენ რაიმე ნიშანს, ან გაავლებენ ხაზს, შემდეგ „გრძელ-მოკლე ჩხირების“ (იხ. წესები) საშუალებით ხდება კენჭისყრა. კენჭისყრის მიხედვით ყოველი მოთამაშე თავის სასროლ კაქალს ნიშნიდან (ხაზიდან) ესკრის დადგმულ კაკლებს. რამდენ წყვილსაც მოხვდება ამა თუ იმ მოთამაშის ნასროლი კაქალი, იმდენია მოგებული. ზოგ-ჯერ დათქვამენ, რომ ერთ წყვილზე მოხვედრება ყველა წყვილის მოგებას ნიშნავდეს. სასროლად ამჯობინებენ „ოთხწიბოიან“ (ოთხწახნაგიან) კაქალს. მას გათლიან და გაასწორებენ, რომ უფრო სწორად გაგორდეს. თამაშის შემდეგ თითოეულს მიაქვს იმდენი კაქალი, რამდენიც დაწყებისას ჰქონდა.

### III. ხაზე

ერთ-ერთი მოთამაშე თავის კაქალს „დასვამს“ („დადგამს“) ხაზზე და აქედან გადადგამს რაც შეიძლება დიდ ნაბიჯს. ფეხის

დადგმის ადგილს მონიშნავს პატარა ხაზით, საიდანაც მოწინა-  
აღმდეგემ თავისი კაკლები უნდა ესროლოს დადგმულ ჭაჭალს;  
ყველა აცილებული კაკალი კაკლის დამდგმელს ეცუთვნის  
მორტყმის შემთხვევაში მომრტყმელი აიღებს დადგმულ კაკალს  
და იმავე წესით დადგამს თავისას. ხოლო თუ ვერ მოარტყა,  
ამ შემთხვევაშიაც, უფლება ეძლევა უკანასკნელი კაკალი  
მოწინააღმდეგეს დაუდგას.

ორი კაკალი თუ დაიდგმება, ნაბიჯიც ორი უნდა გადაიდგას.  
დამდგმელი რამდენ კაკალსაც დადგამს, მოწინააღმდეგემაც  
იმდენი ნაბიჯიდან უნდა ესროლოს. თამაშის დასასრულს  
თითოეულს მიაქვს იმდენი კაკალი, რამდენიც დასაწყისში  
ჰქონდა.

2. თითოეული მოთამაშე, წინასწარი შეთანხმების მიხედ-  
ვით, „ჩემოდის“ ერთს, ორს ან მეტ კაკალს. კაკლებს ჩამწკრი-  
ვებენ ერთ სწორ ხაზზე, ერთიმეორის გვერდით.

მოთამაშენი დგებიან ჩამწკრივებულ კაკლებთან და,  
საითაც უფრო მოსახერხებელია, „გადადიან“ „სასროლ“  
(„ბელტ“) კაკლებს, რომლებიც შედარებით უფრო მსხვილებია.

გადასვლის დროს ბოლოს დარჩენილ მოთამაშეს შეუძლია  
თქვას, ვრჩებიო. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს არ „გადა-  
ვიდეს“ და ყველაზე ბოლოს ნებისმიერ მანძილიდან ესროლოს  
დარჩენილ კაკლებს (თუკი დარჩა ისინი).

მოთამაშენი მონიშნავენ თავიანთი სასროლი კაკლების შე-  
ჩერების ადგილს, საიდანაც რაგრიგობით იწყებენ სროლას.

ყოველი მათგანი ცდილობს თავისი სასროლი კაკალი მოახ-  
ვედროს ჩამწკრივებულ კაკლებს.

პირველად ისვრის ის მოთამაშე, რომლის სასროლი კაკა-  
ლიც ყველაზე შორს შეჩერდა (და ასე თენმიყოლებით).

ის კაკლები, რომლებიც სასროლი კაკლის მოხვედრებით

გაიფანტება, მოგებულად ითვლება. სხვა მოთამაშეებიც ასევე  
ცდილობენ დარჩენილი კაქლების მოგებას.

თუ ყველამ ესროლა და კაქლები მაინც დარჩა ძირს, ხელახ-  
ლა „გადადიან“ (ზოგჯერ ამ დარჩენილ კაქლებს ახლებსაც  
მიუმატებენ).

რომელთაც კაქლები გამოელევათ, თამაშიდან გადიან.

გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც ბოლომდე დარჩე-  
ბა, ე. ი. ყველა კაჭალს მოიგებს. იგი კაქლებს ხელახლა გაანა-  
წილებს მოთამაშეთა შორის და თამაშიც თავიდან დაიწყება.

თამაშის დამთავრების შემდეგ ყველას მიაქვს იმდენი  
კაჭალი, რამდენიც დასაწყისსათვის ჰქონდა.

### გ) ფარავრტით

1. მონაწილეობს 5-მდე მოთამაშე, გოგონები და ვაჟები  
6-7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი კაქლებს თანასწორად გაინა-  
წილებენ, რის შემდეგ „ჩამოდიან“ თითო კაჭალს (ან მეტს).  
დამწყები მოთამაშე რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით დადებს  
სხვა კაჭალს და წკიპურტის გარტყმით გააგორებს, რომ დას-  
მულ კაქლებს მოარტყას. თუ მოხვდა, ყველას აიღებს. აცილე-  
ბის შემთხვევაში კაჭალი ადგილზევე რჩება. დანარჩენებიც ამ-  
გვარად რიგრიგობით ესვრიან. თუ ვერც ერთმა ვერ მოარტყა,  
მაშინ ისევ პირველი გაპკრავს წკიპურტს იმ ადგილიდან, სადაც  
მისი კაჭალი იყო გაჩერებული.

ვისაც კაქლები გამოელევა, თამაშიდან გადის. გამარჯვებუ-  
ლია სულ ბოლოს დარჩენილი. იგი კაქლებს ხელახლა გაანაწი-  
ლებს და თამაშიც თავიდან იწყება. თამაშის დასასრულს ყვე-  
ლა. მოთამაშე წაიღებს იმდენ კაჭალს, რამდენიც თამაშის და-

საწყისში ჰქონდა. თამაში შეიძლება აგრეთვე თხილეთ ტყეების ლით და ა. შ.

2. წკიბურაობა. მონაწილეობს 5-მდე ვაჟი, 6-7 წლის ასაკიდან. ყოველი მოთამაშე დებს თითო კაკალს. კაკლები ლაგდება ერთ სწორ ხაზზე ერთიმეორისაგან თითო ნაბიჯის დაშორებით, სურვილის მიხედვით შეიძლება უფრო დიდი ან მცირე მანძილით დაშორებაც.

პირველი წკიბურტით გაჰკრავს თავის კაკალს და, თუ მეორე მოთამაშის კაკალს ერთ მტკაველზე მაინც მიუახლოვა, ეს კაკალი მოგებულია, შემდეგ წკიბურტითვე ესვრის მესამე მოთამაშის კაკალს და ასე ბოლომდე. როცა ვეღარ მიუახლოებს, თამაშში ებმება ის მომდევნო მოთამაშე, ვისი კაკალიც აუღებელია. თუ ყველა მოიგეს და ბოლო კაკალს ააცილეს, ორივე კაკალი დაბლა რჩება. მომდევნო მოთამაშე, იმ ადგილზე, სადაც მისი კაკალი იყო, დადებს სხვა კაკალს და წკიბურტითვე ესვრის ძირს დარჩენილ კაკლებს, თუ ვერ მიუახლოვა, ამავე წესით ესვრის მისი მომდევნო მოთამაშე და ა.შ.

როცა წკიბურტით გაკრული კაკალი მეორე კაკალს ერთ მტკაველზე და „ერთ ფრჩხილზე“ (ე. ი. ნეკა თითის სიჭართეზე) მაინც მიუახლოვდება, წკიბურტის გამკვრელი იტყვის — „სახელია“ და ხელმეორედ გაჰკრავს წკიბურტს იმავე ადგილიდან, საიდანაც პირველად გაჰკრა. როცა ყველა კაკალი ალაგდება — თამაში თავიდან იწყება.

### „კაპლაობა“ პოვებით

მონაწილეობს 2-დან 10-მდე ვაჟი, 7 წლის ასაკიდან.

კაკლების მაგიერ შეიძლება საკერავი ძაფის ცარიელი კოჭების გამოყენება. ამ შემთხვევაში თამაშს კოჭაობა ეწოდება:

კოჭებით შეიძლება კაქლაობის ყველა ფარიანტის თამაში. რადგან კოჭი მსუბუქია, „ბელტა“ კოჭს ზოგჯერ ტყვიას ჩასხაშენით გულში, ანდა ტალახით ან სხვა რამით მატებენ სიმძიმეს.

## კატათაგვობანა

1. მონაწილეობს 20—30-მდე მცირე ასაკის ბავშვი. ბავშვები აირჩევენ „კატას“ და „თაგვს“. დანარჩენები ერთმანეთს ჩაჰკიდებენ ხელს და ჩააბამენ წრეს.

თაგვი დადგება წრეში, კატა — წრის გარეთ, იწყება თამაში. კატა ცდილობს შეიჭრას წრეში, რომ თაგვი დაიჭიროს, დანარჩენი მოთამაშენი კი არ უშვებენ და თუ მაინც შეიჭრა, თაგვს საშუალებას აძლევენ, რომ კატას წრიდან გაექცეს, კატას კი გზას უღობავენ. როცა დაიჭერს, ახალ „კატასა“ და „თაგვს“ ირჩევენ.

2. აირჩევენ ერთ „კატას“ და რამდენიმე „თაგვს“. თაგვებს წრიდან გამოსვლის ნებას არ აძლევენ. ყოველი თაგვი დაჭირისთანავე თამაშიდან გადის. როცა კატა ყველა თაგვს დაიჭერს, ახალ კატასა და თაგვებს აირჩევენ, ძველები კი ჩვეულებრივ ჩაებმებიან წრეში და თამაში ახლდება.

## კანკაობა

მონაწილეობს 2 ან მეტი გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან, თამაშისათვის საჭიროა თხილისოდენა 5 კენჭი. (იხ. აგრეთვე კოდობანა კენჭებით).

თამაშის დამწყები ხუთივე კენჭის ნებისმიერად დაილაგებს ხელის ზურგზე, მოწინააღმდეგე ერთ-ერთ კენჭის ამოარჩევს. მოთამაშემ იმავე ხელისა და თითების სხვადასხვაგვარი მოძრაობით (მეორე ხელის დაუხმარებლად), ამორჩეულ კენჭის გარდა, ყველა ძირს უნდა ჩამოყაროს, ბოლოს „ჩამოკაფოს“ ამორჩეული კენჭი. ეს იქნება „ზურგა“. ამას მოსდევს „კაფა“ — მოთამაშე მუჭუში დაიჭერს ხუთივე კენჭის, ერთად აისვრის ჰაერში და შეუშვერს გაშლილ ხელის ზურგს, რომ კენჭები შეაკვის. ხელის ზურგით კენჭები კვლავ უნდა ისიროლოს და იმავე ხელის ზემოდან დატაცებით. ყველა ჰაერშივე დაიჭიროს. მოთამაშეს უფლება აქვს კაფა იმდენჯერვე გაიმეოროს, რამდენჯერაც ჩამოჰკაფავს ხუთივე კენჭის. ყოველ ასეთ კაფაზე ეთვლება 5 ქულა. თუ მხოლოდ ოთხი, ან სამი კენჭი ჩამოკაფა, ამდენივე ქულა ეთვლება, მხოლოდ კენჭაობა ისევ ზურგიდან უნდა დაიწყოს და ჩვეულებრივად გააგრძელოს. თუ მოთამაშეს ამორჩეული კენჭი გაღმოუვარდა, კაფას დროს შეკავდა 3-ზე ნაკლები კენჭი, ანდა შეკავებულთაგან ყველა ვერ ჩამოკაფა — ჩაჭრილია და თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე.

ვინც უფრო ადრე შეასრულებს ქულათა დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია და შეუძლიათ თამაში თავიდან დაიწყონ.

## ბ) შალური

1. დამწყები მოთამაშე ხუთივე კენჭის ერთად გააბნევს. მათგან ამოარჩევს ერთს და აისვრის ჰაერში. მან უნდა მოასტროს ერთი კენჭის აყვანა და ჰაერში ასროლილის დაჭრაც. ასე, სათითაოდ აკრეფს ძირს დარჩენილ სამივე კენჭსაც. ამას ეწო-

დება „თითონა“. მას მოსდევს „ორონა“. „ორონაც“ ასევე  
სრულდება, მხოლოდ თითოს ნაცვლად იყვანენ ორ-ორ კენჭი.

შემდეგ არის „სამონა“ — ჯერ ერთ კენჭს აიყვანს და შემ-  
დეგ სამს.

„სამონას“ მოსდევს „ოთხონა“. „ოთხონას“ შესრულების  
დროს მოთამაშეს ოთხი კენჭი მუჭუში აქვს, ერთი კი ცერითა  
და საჩვენებელი თითოთ უჭირავს. ამ უკანასკნელს აისვრის,  
დანარჩენებს ერთად დააწყობს მიწაზე და მოასწრებს ასრო-  
ლილის დაჭრას; ისევ აისვრის, დალაგებულ ოთხივე კენჭს  
ერთად აიყვანს და ასროლილსაც დაიჭერს.

ამის შემდეგ იწყებს ჩვეულებრივ „კაფას“, როგორც ეს მო-  
ცემულია კენჭაობის ვაჟურ ვარიანტში.

თუ მოთამაშეს დაუვარდა ჰაერში ასროლილი კენჭი, ვერ  
მოასწრო სათანადო ოდენობის კენჭების აყვანა, ხელის ზურ-  
გზე გაუჩერდა სამზე ნაკლები კენჭი, ან „კაფას“ დროს გაუ-  
ვარდა კენჭი, იგი „ჩაჭრილია“ და თამაში იწყებს მოპირდაპირე.  
თამაში ყოველთვის გრძელდება იქიდან, საღაც შეჩერდა მო-  
თამაშე. ვინც უფრო ადრე შეასრულებს დათქმულ რიცხვს  
(100-200) — მოგებულია.

2. თამაში მიმდინარეობს ჩვეულებრივად: „ერთოლა“,  
„ოროლა“, „სამოლა“, „ოთხოლა“, „ხუთოლა“ (ანუ კაფა).  
კაფას დროს მოთამაშე კენჭებს პირდაპირ დაილაგებს ხელის  
ზურგზე და შემდეგ „ჩამოკაფავს“. ვინც უფრო ადრე მოას-  
წრებს ყოველივე ამის თავიდან ბოლომდე ათჯერ გამეორე-  
ბას — გამარჯვებულია და თამაშიც თავიდან იწყება. .

3. (დაბეგვა). თამაში მიმდინარეობს ჩვეულებრივად: „თი-  
თოლა“, „ოროლა“, „სამოლა“, „ოთხოლა“, „კაფა“.

მოთამაშემ „კაფას“ დროს ხელის ზურგზე უნდა შეიყენოს  
ხუთივე კენჭი და შემდეგ ჩამოკაფოს; კაფა უნდა გაიმეოროს

5. ზერაზადიშვილი.

ხუთჯერ. ხოლო მთელი თამაში, დაწყებული თითოლადან და დამთავრებული კაფას ხუთჯერ შესრულებით, გამარჯვებულია ათჯერ. ვინც უფრო ადრე შეასრულებს — გამარჯვებულია და შეუძლია დაიწყოს მოპირდაპირის „ხელის დაბეგვა“ — ხელს დაადებინებს ძირს და თითოეულ თითოან, გარდა ცერისა, დაულაგებს თითო კენჭის, ხოლო მეხუთე კენჭის ასროლით იწყებს დანარჩენების აყვანას. თითოეულის აყვანის ღრის უნდა მოასწროს და ხელი დაჰკრას მოწინააღმდეგის ხელს. მა უკანასკნელს ხელის განძრევის უფლება არა აქვს.

ხელის დაბეგვა მანამ გრძელდება, ვიდრე „დამბეგვავს“ თამაში არ შეეშლება (თუ ვერ მოასწრო კენჭის აყვანა, ხელის დაბეგვა ან კენჭის დაჰკრა).

4. (კენჭის დამალვა). თამაში მიმდინარეობს ჩვეულებრივად: „თითოლა“, „ოროლა“, „სამოლა“, „ბურთვა“ (ოთხონა), „კაფა“, კაფა უნდა შესრულდეს ორჯერ და ჩაეთვლება ათი ქულა. კაფას ღრის მოთამაშეს ხელის ზურგზე ორ კენჭზე ნაკლები არ უნდა „შეადგეს“ და „გადაკაფულად“ ეთვლება. თუ ერთი კენჭი შეაკავდება, ეს კენჭი უნდა დამალოს ხელში და თუ მოწინააღმდეგე ან მარჯვივ მჯდომი მოთამაშე (როცა მოთამაშეთა რიცხვი ორზე მეტია) უპოვის, თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე, თვითონ კი „ჩამწვარია“; ხოლო, თუ ვერ უპოვის, — თვითონ ვე აგრძელებს თამაშს. კაფას შემდეგ თამაში ყოველთვის ოროლადან იწყება და ჩვეულებრივად გრძელდება. ვინც ადრე შეასრულებს წინასწარ დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

5. (ნაცვლია). თამაში მიმდინარეობს ჩვეულებრივად. „კალა“, „ორონა“, „სამონა“, „თოფა“ (იგივე ოთხონა), „კაფა“, კაფა ათჯერ უნდა შესრულდეს. კაფას ღრის მოთამაშე მხოლოდ იმ შემთხვევაშია „ჩაჭრილი“, როცა ხელის ზურგზე არც

ერთი არ შეაკავდება, ანდა შეაკავდება მხოლოდ ორი კენჭი.  
ამის შემდეგ იწყება „ნაცვლია“.

ნაცვლია პირველად სამი კენჭით სრულდება, მოთამაშე  
სამი კენჭიდან ერთს დაბლა დადებს, მეორეს მუჭში დაიჭერს,  
მესამეს მაღლა აისვრის, მის დაჭერამდე, უნდა მოასწროს მე-  
ორე კენჭის ძირს დადება და პირველი კენჭის ხელში აღება.  
ეს უნდა გაიმეოროს ათვერ. ამას მოსდევს ნაცვლია ხუთი კენ-  
ჭით — ორს აიღებს, ორს დადებს იმავე წესით. შემდეგ არის  
ნაცვლია სამი კენჭის აღებით და ერთი კენჭის დადებით და  
პირიქით — ერთი კენჭის აღებით, სამი კენჭის დადებით. სრულ-  
დება იმავე წესით. შემდეგ მოსდევს: „ციდა“ — მოთამაშე  
ორ-ორ კენჭს დადებს ერთიმეორისაგან ერთი ციდის დაშორ-  
ებით და ხელის ერთი მოსმით აიყვანს მეხუთე კენჭის ასრო-  
ლით. „მტკაველა“ — ორ-ორ კენჭს დადებს ერთმანეთზე ერთი  
მტკაველის დაშორებით და აიყვანს ისე, როგორც „ციდას“  
დროს. „წყრთა“ („წდა“) — კენჭებს დადებს ერთი წყრთის  
(იდაყვიდან თითებამდე) დაშორებით და აიყვანს იმგვარადვე,  
როგორც „ციდას“ დროს. ბოლოს სრულდება „კაფა“. ვინც  
შეასრულებს ამ თამაშის ყველა ნაწილს — გამარჯვებულია.

### გ) ღორების დამწყება

1. (კოჩტნა). თამაშის დამწყები ერთ ხელს ცერითა და საჩ-  
ვენებელი თითით დაბლა დააყრდნობს, ამ ხელის იდაყვს  
ქვემოდან ამოუტარებს მეორე ხელს (რომელშიც კენჭები უჭი-  
რავს) და კენჭებს მის ზემოდან შიწაზე გადმოყრის. შემდეგ  
ერთ-ერთს ისევ აიღებს, დანარჩენი 4-დან მოწინააღმდეგ შე-  
არჩევს „დედოს“, რომელიც ყველაზე „ძნელად დგას“ (ცუ-  
დი „მისადგომია“). მოთამაშემ მის მიერ აღებული კენჭის ას-  
როლით შიწაზე დაყრდნობილ ცერსა და საჩვენებელ თითს

შორის სათითაოდ უნდა შეყაროს კენჭები „დედოს“ გაუნ-  
ძრევლად, ბოლოს კი დედოც შეაგდოს.

ამის შემდეგ კენჭებს დაილაგებს ხელის ზურგზე, შუა თით  
თის აქეთ-იქით, ხელის აქნევით აყრის ჰაერში და დაიჭერს, რის  
შემდეგ გამარჯვებულია და თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე.

თუ მოთამაშეს რომელიმე ნაწილი შეეშალა, მოწინააღმდე-  
გე მას ხელს მიწაზე დაადებინებს, გამოართმევს „დედოს“,  
ერთი ხელით აისვრის მაღლა, იმავე ხელით „დაკორტნის“ ან  
უჩქმეტს მიწაზე დადებულ ხელზე და დაიჭერს მაღლა ასრო-  
ლილ კენჭს, რის შემდეგ თამაშს თვითონვე დაიწყებს თავიდან.

2. თამაში მიმდინარეობს ჩვეულებრივად: „თითოლა“, „ოროლა“, „სამოლა“, „ოთხოლა“, „კაფა“. ამას მოსდევს „ძალურა“. მოთამაშე კენჭებს დაყრის დაბლა, მათგან აიღებს ერთს, მოწინააღმდეგე დანარჩენთაგან ამოარჩევს ერთ-ერთს.  
აღებული კენჭის მაღლა ასროლით მოთამაშემ კენჭები სათი-  
თაოდ უნდა შეყაროს ცერსა და შუა თითზე დაყრდნობილი  
ხელისგულის ქვეშ (დაბლა დაყრდნობილი ხელის საჩვენებელი  
თითი ზემოდან უნდა იყოს გადაჯვარედინებული შუა თითზე)  
მოწინააღმდეგის მიერ ამორჩეული კენჭის გაუნდრევლად. ეს  
უკანასკნელი ბოლოს უნდა შეაგდოს და შემდეგ ყველა ერთად  
აიყვანოს.

ამას მოსდევს „ჩურჩხელა“ — ყოველი მომდევნო კენჭის  
ასაყვანად მაღლა უნდა აისროლოს ყველა აყვანილი კენჭი.

ჩურჩხელას შესრულებით მოთავდება ერთი „გუდა“. სულ  
უნდა მოთავსდეს ხუთი ასეთი გუდა, რის შემდეგ იწყება მოწი-  
ნააღმდეგის ხელის „წიწკნა“ („დაკორტნა“).

3. დაკორტნის დროს მოთამაშე დამარცხებულს დაბლა  
დაადებინებს ხელს და თითებთან, გარდა ცერისა, სათითაოდ  
დაულაგებს კენჭებს. ამის შემდეგ იწყებს კენჭის მაღლა ასრო-

ლას და კენჭების სათითაოდ აყვანას. კენჭების აყვანამდე დამარცხებულს ჯერ უნდა მოწიწქნოს, როგორც „ქორმა“, შემდეგ როგორც „კრუხმა“, ბოლოს — როგორც „წიწილამ“ (თანდათან უფრო მსუბუქად). სულ ბოლოს უნდა მოასწროს მოფერება (ხელის მოსმა), „თაფლი“. მოთამაშემ თითოეული ამ „ქორტნის“ დროს უნდა თქვას შესაბამისი სიტყვა („ქორი“, „მიმინო“, „კრუხი“, „წიწილა“, „თაფლი“). ამის შემდეგ თამაში თავიდან იწყება.

4. მოთამაშე ცალი ხელის ცერა და საჩვენებელ თითებს იმგვარად დააყრდნობს დაბლა, რომ მათ შორის კენჭის გაგორება შეიძლებოდეს, ამას ეწოდება „კარები“. მეორე ხელით კენჭებს დაყრის დაბლა, აქედან აარჩევს ერთ-ერთს, რომელსაც მაღლა აისვრის, ვიდრე ის დავარდება, დანარჩენი კენჭებიდან ერთს ხელის გაკვრით შეაგდებს „კარებში“, რის შემდეგ დაიჭრს მაღლა ასროლილ კენჭს.

ასე, სათითაოდ უნდა შეყაროს კარებში ყველა კენჭი, ეს იქნება „თითონა“, თითონას მოსდევს „ორონა“ — მოთამაშემ კარებში უნდა შეყაროს ორ-ორი კენჭი. „ორონას“ მოსდევს „სამონა“ — კარებში უნდა შეაგდოს ჯერ ერთი კენჭი და შემდეგ სამი ერთად. სულ ბოლოს სრულდება „ოთხონა“ — მოთამაშემ ოთხივე კენჭი ერთად უნდა შეჰყაროს კარებში. ამას მოსდევს „კაფა“, რაც იმგვარადვე სრულდება, როგორც თამაშის „ქალურ“ და „ვაჟურ“ ვარიანტებშია მოცემული. თუ მოთამაშემ ხელის ერთი გაკვრით ვერ მოასწრო კენჭების სათანადო რიცხვის შეყრა „კარებში“, ჩაჭრილია და თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე. დანარჩენი წესები იგივეა, რაც წინა ვარიანტებში.

5. კენჭობის ეს ვარიანტი შემდეგი თანამიმდევრობით სრულდება: „თითოლა“, „ოროლა“, „სამოლა“, „ოთხოლა“,

„ღორობია“, „ციდა“, „მტკაველა“, „წყრთა“, „კაფა“. „თითო-ლა“, „ოროლა“, „სამოლა“, და „ოთხოლა“ ისევე სტულფება, როგორც წინა ვარიანტებში იყო აღნიშნული. „ფორმბის“ შესრულებისათვის კი მოთამაშემ კენჭები ჯერ სათითაოდ უნდა შეჰყაროს კარებში და შემდეგ ერთად იყვანოს (მეხუთე კენჭის ასროლით). ამას მოსდევს „ციდა“, „მტკაველა“, „წყრთა“ („წდა“), რომლებიც იმგვარადვე სრულდება, როგორც ზემოთ არის მოცემული (იხ. 5. ნაცვლია). ბოლოს სრულდება „კაფა“. „კაფას“ დროს ხელის ზურგზე ერთი ან ორი კენჭის შეკავებაც ითვლება.

თუ მოთამაშემ კენჭი ვერ იყვანა, ან ხელის ზურგზე დაყრილი ყველა კენჭი ვერ ჩამოკაფა, ჩაჭრილია და თამაში დაიწყებს მოპირდაპირე. ვინც პირველად შესრულებს 30-ს, გამარჯვებულია და თამაში თავიდან დაიწყება.

6. (უნძრეველა, გვარი). კენჭაობის მომდევნო ვარიანტი შემდეგი თანმიმდევრობით სრულდება: „თითონა“, „ორონა“, „სამ-სამა“, „ოთხ-ოთხა“, „კაფა“. „კაფას“ დროს მოთამაშე ჩაჭრილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელის ზურგზე ორი კენჭი „შეადგა“, ან ხელის ზურგზე „შეყენებული“ ყველა კენჭი ვერ ჩამოკაფა. გარდა ამისა, რამდენი კენჭიც არ უნდა ჩამოკაფოს, სულ ერთია, კაფას მაინც აგრძელებს ვიდრე 30-ს არ შესრულებს. 30-ის შესრულების შემდეგ იწყება „უნძრეველა“, რაც სამერ უნდა შესრულდეს: მოთამაშემ ოთხივე კენჭი სათითაოდ უნდა იყვანოს გაუნძრევლად. „უნძრეველა“ თუ შეეშალა, ჩაჭრილია, ამასთან შესრულებული რიცხვი 30 ნახევრდება და მომდევნო თამაშის ჯერზე ხელახლა უნდა შესრულოს ეს რიცხვი. „უნძრეველას“ მოსდევს „ჩუმჩუმა“: ოთხივე კენჭი სათითაოდ უნდა იქნას აყვანილი, მხოლოდ ისე, რომ კენჭის აყვანის და ასროლილი კენჭის დაჭრის დროს კენ-

ჭები ერთმანეთს არ მოხვდნენ და ხმა არ გაიღონ. „ჩუმჩუმა“  
სამჯერ სრულდება. ამას მოსდევს „ჭახუნა“, რაც იმგვარადვე  
სრულდება, როგორც „ჩუმჩუმა“. მხოლოდ აქ, პირიქით,  
კენჭებმა აყვანის დროს ხმა („ჭახუნი“) უნდა გამოსცენ. „ჭა-  
ხუნა“ სამჯერ სრულდება.

შემდეგია „ციდა“ (როგორც წინა ვარიანტშია ახსნილი).  
„ციდა“ სრულდება გაჭიმული ცერა და შუა თითის სიგრძეზე,  
შემდეგ ცერა და არათითის სიგრძეზე და ბოლოს მტკაველზე  
(ყველა ილეთს „ციდა“ ეწოდება). ამას მოსდევს „ჯვარი“. ორი  
კენჭი დაიდება ერთიმეორეზე ერთი ციდის დაშორებით, ორიც  
მათ გარდიგარდმო იმავე მანძილზე (ხაზები რომ გავატაროთ,  
პირველებს შორის გატარებული ხაზი, მეორეებს შორის გატა-  
რებულ ხაზს გადაჰკვეთს და ჯვარს მოვცემს).

მოთამაშეს უფლება აქვს ჭერ შეაჯგუფოს კენჭები და  
შემდეგ აიყვანოს. კენჭების შესაჯგუფებლად თითოეულ კენჭს  
მხოლოდ ერთხელ უნდა გაჰკრის ხელი, როცა მეხუთე კენჭი  
მაღლაა ასროლილი. „ჯვარი“ სრულდება ხუთჯერ. ამას მოს-  
დევს „წყრთა“, რაც იმგვარადვე სრულდება, როგორც წინა  
ვარიანტშია ახსნილი. შემდეგია „ჯვარი წყრთაზე“. „ჯვარი  
წყრთაზე“ იმგვარადვე სრულდება, როგორც „ციდა“, მხოლ-  
ოდ კენჭები დალაგდება ერთიმეორეზე ერთი წყრთის დაშორე-  
ბით.

შემდეგ არის „ღორების დამწყვდევა“ — მოთამაშემ კენ-  
ჭები სათითაოდ უნდა შეპყაროს დაბლა დაყრდნობილი ხელის  
ჭერ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის, შემდეგ ცერსა და  
შუა თითს შორის, მერე ცერსა და არათითსა და ბოლოს კი  
ცერსა და ნეკა თითებს შორის. ამით თამაშიც დამთავრდება.  
ვინც პირველად შეასრულებს ყველა ილეთს, გამარჯვებულია  
ის ილეთები, რომლებიც სამჯერ ან ხუთჯერ სრულდება, უნდა

მოთავდეს ერთ ხელზე. თუნდაც მესამედ ან მეხუთედ შესრულებისას შეეშალოს, ჩაჭრილია და შემდგომ ჯერზე ამ ძლიერის შესრულება კვლავ თავიდან უნდა დაიწყოს.

7. ქვაპაპულონი (ლაზური კენჭაობა). თამაში მიმღინარეობს ჩვეულებრივად: ერთობანა — „არარიში“, ორობანა — „ურურიში“, სამობანა — „სუმ-სუმიში“, ოთხობანა — „დოტალონი“, შემდეგ კი დამწყვდევა — „მეშა-ჩუმლე“.

მეშა-ჩუმლე შემდეგნაირად სრულდება: მოთამაშე ერთი ხელის ცერს და შუა თითს (რომელზედაც გადადებულია საჩვენებელი თითი) დააყრდნობს მიწაზე, მეორე ხელით კი იკენჭავებს და თითებს შორის გაჟყრის კენჭებს (როგორც წინა ვარიანტებშია). კენჭების შეყრის შემდეგ ხელისგული მიწაზე უნდა დაუშვას. თუ კენჭები კარგად, „სწორად“ იყო შეყრილი, მაშინ ხელისგულის ქვეშ არც ერთი კენჭი არ უნდა მოყვეს. ამას მოსდევს „კროხი“, ანუ კაფა. მაგრამ თუ კაფა მოხდა ხელის ზემოდან დატაცებით, ყოველ კენჭზე ეთვლება 2 ქულა; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მოთამაშე კაფას დროს ხელს (მუჭს) ქვემოდან შეუშვერს, თითო კენჭზე ეთვლება თითო ქულა.

მოთამაშეს თუ ხელის ზურგზე არ შეაკავდა ერთ კენჭზე მეტი, ან შეეშალა თამაშის რომელიმე ნაწილი, ჩაჭრილია და თამაშს იწყებს მოპირდაპირე. როცა მოთამაშეს კაფა შეეშლება, უბრუნდება თითონას (არარიშს) და აგრძელებს თამაშს. რომელიც მალე შეასრულებს ქულათა დათქმელ რიცხვს — გამარჯვებულია.

8. (წვიმა). თამაში მიმღინარეობს ჩვეულებრივად: „კაკალა“, „ორონა“, „სამონა“, „ბურთო“ (ოთხონა), „ცხინვო“ (კაფა). ცხინვოს დროს მოთამაშეს ხელის ზურგზე ოთხზე ნაკლები კენჭი არ უნდა შეაკავდეს. შემდეგ მოდის „ძალლა“. მოთამაშე

ძირს დაყრის ოთხ კენჭის, მოწინააღმდეგე ამოარჩევს ერთ-  
ერთს.

მოთამაშე ხელს თითებით დააყრდნობს დაბლა, აშასთან  
საჩერებელი თითო უნდა გადაავგარედინოს შეუა თითზე და  
მეტო კენჭის ასროლით, ხელისგულის ქვეშ, სათითაოდ შეყა-  
როს დანარჩენი კენჭები, მაგრამ ისე, რომ მოწინააღმდეგის  
მიერ არჩეული კენჭი არ გაინძრეს. ეს უკანასკნელი ყველაზე  
ბოლოს უნდა შეაგდოს.

შემდეგ არის „ჩუმა“ — იგივე კაჯალა, მაგრამ კენჭის  
„აყვანის“ დროს კენჭები ერთიმეორეს არ უნდა მოხვდეს —  
ხმა არ უნდა გამოიღოს. „ჭეხოს“ დროს კი — პირიქით,  
კენჭები ერთიმეორეს უნდა მოხვდეს და ხმა გამოსცეს.  
„ფაცფაცა“: იგივე, მხოლოდ თითოეული კენჭის აყვანის დროს  
ხელი უნდა მოაფათუროს მიწაზე. „ბაკბაკა“: იგივე, მხოლოდ  
ხელი უნდა დააბაკუნოს. „წვიმა“: ყოველი მომდევნო კენჭის  
აყვანის დროს მაღლა უნდა აყაროს ყველა აყვანილი კენჭი.  
„ცისარტყელა“: კენჭები ლაგდება კვადრატულად ერთიმეორი-  
საგან თითო მტკაველის დაშორებით. კენჭების აღება ხდება.  
წყვილ-წყვილად, ოღონდ, მოპირდაპირე კუთხეებიდან (დიაგო-  
ნალურად) „გულა“: ისევ კაჯალა, მხოლოდ მოთამაშემ თითო-  
ეული კენჭის აყვანის დროს უნდა მოასწროს მკერდზე ხელის.  
მირტყმა. ამას მოსდევს „ბურთო“, სამჯერ ზედიზედ. შემდეგ,  
არის „ცხინვა“, აგრეთვე სამჯერ ზედიზედ. ვინც ადრე დაამთა-  
ვრებს თამაშს — გამარჯვებულია.

9. (ჭიკჭიკა). თამაში მიმღინარეობს ჩვეულებრივად: „კაკა-  
ლა“, „ორონა“, „სამონა“, „ოთხონა“, „ჭიკჭიკა“.

ჭიკჭიკას დროს ოთხივე კენჭი ლაგდება ერთ სწორ ხაზზე  
ერთმანეთისაგან რამდენიმე თითის დადების დაშორებით და  
ხდება მათი აყვანა. ჭიკჭიკას მოსდევს „წყრთა“, ანუ „ცხთა“.

წყრთის დროს კენჭები ლაგდება ერთმანეთისაგან ერთი წყრთის  
დაშორებით.

წყრთის მოსდევს „ბაყაყური“: მოთამაშე ერთ ხელს გაშლი-  
ლი თითებით დააბჯენს დაბლა, მეორე ხელით აისვრის ერთ-  
ერთ კენჭს და მის დაჭერამდე ძირს გაბნეული ოთხი კენჭიდან  
ერთ-ერთს შეაგდებს ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის,  
მეორეს — საჩვენებელ და შუა თითებს შორის და ასე თანმიმ-  
დევრობით. კენჭების შეყრას რომ დაამთავრებს, მერე ყველას  
ერთად აიყვანს.

შემდეგ არის „ცხინვა“, ანუ „ქაფა“: ხუთივე კენჭი მაღლა  
ასროლით უნდა შეიყენოს ხელის ზურგზე, კვლავ აისროლოს  
და ზემოდან ხელის დატაცებით ჰაერშივე დაიჭიროს. ყოველ  
კაფაზე ეთვლება ხუთი ქულა. ვინც უფრო აღრე შესრულებს  
ას — გამარჯვებულია. ვისაც შეეშლება რომელიმე ნაწილის  
შესრულება — ჩაჭრილია და მომდევნო ჯერზე თამაშს აგრძე-  
ლებს იქიდან, სადაც შეწყვიტა.

#### დ) ჟირი ურთი

1. პწყალაობა. დამწყები მოთამაშე დაბლა დაყრის 4 კენჭს,  
თუ ამათგან ორი ან მეტი კენჭი ისე ახლოს დაეცა ერთმანეთ-  
თან, რომ მათ შორის ნეკი არ გაეტია, დამწყები „ჩაჭრილია“  
და თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე. თუ კენჭები ერთმანეთისა-  
გან უფრო შორიშორს გაჩერდა, მაშინ მოთამაშე ერთ კენჭს  
წყიპურტით მოარტყამს მეორეს — ამით დაეწერება ათი ქულა.  
თუ მან მესამე კენჭიც ასევე მოარტყა მეოთხეს — კიდევ ათი  
ქულა მოემატება. ამის შემდეგ უფლება აქვს, კენჭები ხელახლა  
აყაროს და თამაში იმგვარადვე გააგრძელოს. თუ კენჭი წყი-  
პურტის ერთი გაკვრით ორ კენჭს მოხვდა — მაშინ მოთამაშეს

ეთვლება ასი ქულა, ხოლო თუ სამივეს ერთად — ას ათი ქულა.  
ვინც ადრე შესრულებს ქულების წინასწარ დათქმულ რიცხვს  
(ჩაგალითად, 300), გამარჯვებულია.

2. **სკიპაობა.** ძირს დაყრილი 5 კენჭიდან მოთამაშე ერთს  
„გამოხშირავს“ (გამოარჩევს და აიღებს), დანარჩენებიდან  
ერთ-ერთს წყიპურტს გაჰქრავს, რომ რომელიმე სხვა კენჭს  
მოახველოს, თუ მოახველოა, 1 ქულა ეთვლება; თუ ერთდრო-  
ულად ორ კენჭს მოხვდა, ეთვლება 10 ქულა, ხოლო თუ სამი-  
ვეს — 20 ქულა. ყოველი 100 ქულის შესრულებაზე მოწინა-  
ალმდეგეს „ებმება“ ერთი „კუდი“.

ანდა, გამარჯვებული მოპირდაპირეს ხელისგულზე დააყრის  
სილას (მიწას), შიგ ჩასობს პატარა ჩხირს, დაახუჭინებს თვალს  
და თვალზე ხელდაფარებულს გაატარებს, საღმე დააყრევინებს  
ქვიშას (მიწას) და დააბრუნებს იმავე აღვილზე, საიდანაც წაიყ-  
ვანა. ამის შემდეგ უშვებს ხელს, იგი კვლავ თვალდახუჭული  
უნდა წავიდეს და დაახლოებით მაინც იპოვოს ის ადგილი,  
სადაც მოწინაალმდეგემ ქვიშა (მიწა) დააყრევინა, თვალი აახი-  
ლოს და მონახოს ჩხირი. თუ ეს მოახერხა — დამარცხებული  
არაა, თუ ვერა — მოწინაალმდეგეს უფლება აქვს, ასის დათ-  
ვლამდე მიხვეულ-მოხვეულად ატაროს.

თუ მოთამაშეს დაავიწყდა „გამოხშირვა“, ხოლო მოწინა-  
ალმდეგემ „ფუწის“ თქმა დაასწრო, ანდა კენჭს ააცილა, „ჩაცი-  
ებულია“ და თამაშს იწყებს მოწინაალმდეგე.

### კოდოჩანა (პენვაით)

1. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — ვაჟები 12 წლის  
ასაკიდან. თითოეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ხუთი კენჭი.  
მოთამაშენი თხრიან კოდს ანუ პატარა ორმოს (შიგ მუჭი

უნდა ჩაეტიოს). ორმოდან 10—15 ნაბიჯის დაშორებით დანი-  
შნავენ ადგილს, შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად და 3—4 ნაბი-  
ჯიდან კოდში რიგრიგობით ყრიან კენჭებს. იმ ჯგუფს მორი-  
მაშენი, ორმლებიც მეტ კენჭებს ჩაყრიან კოდში, მოწინააღ-  
მდეგებებს შეასხდებიან ზურგზე, ამ უკანასკნელებმა ზურგზე  
მსხდომნი უნდა მიიყვანონ წინასწარ დანიშნულ აღვილამდე  
და მოიყვანონ უქანვე და ა. შ.

2. ხაპუწონია, მოჭყა-მოჭყა. მონაწილეობს ორი ან ექვსი  
გოგონა და ვაჟი 10 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა 36 ცალი კენჭი, ანუ „თხის ნიგოზი“.

ერთმანეთისაგან ერთი მტკაველით დაშორებული ორი  
პარალელური ხაზის გასწვრივ მოთამაშენი ამოთხრიან სამ-  
სამ პატარა ორმოს (დაახლოებით, ქათმის კვერცხი რომ ჩა-  
ეტიოს), ორმოებიც ერთიმეორისაგან თითო მტკაველით  
უნდა იყოს დაშორებული.

თუ ორი თამაშობს, წინასწარ შეთანხმდებიან, რომელი  
იყოს „კენტი“ და რომელი „ლუწი“, კენჭებს გაიყოფენ  
შუაზე და დადგებიან ორმოებიდან ორი-სამი ნაბიჯის დაშორე-  
ბით. შეუძლიათ გაატარონ ხაზი, საიდანაც ორმოებში რიგრი-  
გობით ისვრიან ექვს-ექვს კენჭს. რომელ ორმოშიც კენჭების  
კენტი რიცხვი აღმოჩნდება — „კენტისა“ იქნება, ლუწი რიც-  
ვი კი — „ლუწისა“. შეკრებენ და ორმლისაც მეტი აღმოჩნდე-  
ბა, გამარჯვებულია.

თუ მოთამაშეთა რიცხვი 6-ია, უნდა გაიყონ ორ ჯგუფად  
და ორმოებში თითოეულმა ისროლოს 6-6 კენჭი. ამ შემთხვე-  
ვაში გამარჯვება დარჩება ჯგუფს და არა მოთამაშეს.



მონაწილეობს 10-მდე ვაუი 10 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა 6 „კორა“, ანუ ბრტყელი ქვა, ზომით დაახლოებით  $20 \times 30$  სმ. გარდა ამისა, თითოეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს სამი „სატანაო“, ანუ პატარა ბურთის სიმსხო მრგვალი ქვა.

მოთამაშენი მოედნის თავსა და ბოლოში ერთმანეთისაგან 20—25 ნაბიჯის დაშორებით დადგამენ თითო კორას, წინ გაავლებენ თითო პატარა ხაზს, ხოლო უკან ერთმანეთისაგან თითო ნაბიჯის დაშორებით დაწყობენ კიდევ ორ-ორ კორას. ამის შემდეგ „არჩევან-არადანით“ ნაწილდებიან ორ ჯგუფად და დგებიან მოედნის თავსა და ბოლოში. კენჭისყრით ერთი მხარე იწყებს თამაშს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი მოთამაშე დგება პირველი კორის წინ გავლებულ ხაზზე და თავის სამივე სატანოს რიგრიგობით ესვრის მოწინააღმდეგეთა კორებს. ცდილობს, რომ მოარტყას და წააქციოს ისინი. შემდეგ პირიქით, თამაშის დამწყები ჯგუფის კორებს თავის სატანოებს ესვრის მოპირდაპირე ჯგუფის რომელიმე მოთამაშე. ასე რიგრიგობით, ვიდრე ერთ-ერთი მხარის კორები მთლიანად არ წაიქცევა. ეს მხარე დამარცხებულად ითვლება და თამაში თავიდან დაიწყება.

### (პორაობა, მსაჯულობა)

1. მონაწილეობს 10-მდე ვოგონა და ვაუი 10 წლის ასაკიდან. თითოს სიგრძე და სიმსხო მრგვალ ჯოხს გააპობენ შუაზე. თითოეულ ნაპობს ჰქვია „კოტა“. მოთამაშენი რიგრიგობით „აყრიან“ (მაღლა ააგდებენ) ერთმანეთზე მიტყუპულ კოტებს.

თუ ორივე კოტა მიწაზე აღმა დაეცა, მოთამაშე — „მსაჯულია“, თუ ორივე დაღმა დაეცა — „აღმასრულებელი“, ხოლო თუ ერთი დაღმა და მეორე აღმა — „ცრუპენტელი“. ორცა რამდენიმე მსაჯული და აღმასრულებელია, მათ ხელახლა უნდა აყარონ კოტები, ვიდრე ბოლოს ერთი მსაჯული და ერთი აღმასრულებელი არ დარჩება. მაგრამ თუ არც ერთი მსაჯული და აღმასრულებელი არ „დადგა“, მაშინ თავიდან აყრიან კოტებს, კოტების აყრა მაშინვე შეწყვება, როგორც კი „მსაჯული“ და „აღმასრულებელი“ „დადგება“.

მსაჯულს გამოაქვს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ცრუპენტელას დასჭის შესახებ (რიგრიგობით), აღმასრულებელს სისრულეში მოჰყავს გადაწყვეტილება. სასჭელს წარმოადგენს ხელის ზურგზე წკიპურტის ან თითის დაკვრა იმდენჯერ, რამდენსაც მსაჯული მიუსჭის.

2. თამაშისათვის საჭიროა ოთხი კენჭი, მოთამაშენი ამო-თხრიან პატარა ზომის ორმოს, მისგან ორი-სამი ნაბიჯის და-შორებით გაავლებენ ხაზს (ან დადებენ ნიშანს), დადგებიან ხაზზე (ან ნიშანთან) და ორმოში რიგრიგობით ისვრიან ოთხი-ვე კენჭს ერთად. თუ ოთხივე ჩაცვივდა, მოთამაშე — „მსაჯულა“, თუ სამი ჩავარდა — „აღმასრულებელი“, თუ სამზე ნაკლები — „ცრუპენტელი“. თუ ორი ან მეტი „მსაჯული“ და „აღმასრულებელი“ გამოვიდა, ისინი ხელახლა ისვრიან კენჭებს, ვიდრე თითო არ დარჩება. თამაშის დანარჩენი წესები იგივეა.

### პოჭლაობა

მონაწილეობს 2-დან 50-მდე ვაჟი 15 წლის ასაკიდან. თამაშის ადგილი თავისუფალი უნდა იყოს და შეეფერებოდეს მოთამაშეთა ოდენობას.

ყოველ მოთამაშეს აქვს კოშალი. კოშალი კომბლისმაგვა-  
რია. მას თავი აქვს მუშტის სიმსხო, ტარი კი — სამი-ოთხი  
მტკაველი სიგრძისა. კოშალი მაგარი ჯიშის ხისა უნდა იყოს.  
მის თავს ეწოდება „კორკოშალი“, ტარს კი — სახელური.  
გარდა ამისა საჭიროა იმდენი რიკი, რამდენი წყვილი მოთამა-  
შეცაა. რიკიც მაგარი ჯიშის ხისა ჯობია, მაჯის სიმსხო უნდა  
იყოს, დაახლოებით ერთი ციდა სიგრძისა.

მოთამაშენი ჯგუფებად განაწილდებიან „გადრის“ (ნ.  
ჯგუფებად განაწილება) საშუალებით. ამის შემდეგ რიკებს  
დაალაგებენ მოხერხებულ ადგილზე ერთიმეორის გვერდით,  
ისე, რომ ერთიმეორეს ეხებოდეს. მოთამაშენი დადგებიან რი-  
კებიდან 15-მდე ნაბიჯის დაშორებით, ერთ-ერთ მხარეს. საით-  
კენაც რიკებს თავები აქვთ მიქცეული, და იწყებენ კოშლების  
„გადასვლას“.

ყოველი მოთამაშე ცდილობს, რომ მისი კოშალი რაც შე-  
იძლება ახლოს დავარდეს რიკებთან; კოშლის რიკებზე მოხვე-  
ღრებაც ითვლება. მხოლოდ კოშალმა რიკები არ უნდა დაშა-  
ლოს, თორემ კოშლების გადასვლა თავიდან გახდება საჭირო.

როცა ყველა გადავა თავის კოშალს, იწყება შემოწმება  
(გაზომვა), ვისი კოშალიც ყველაზე ახლოს იქნება რიკებთან,  
მისი ჯგუფია გამარჯვებული. მხოლოდ პირველ რიგში უპირა-  
ტესობა ეძლევა იმ მოთამაშის ჯგუფს, რომლის კოშალიც  
რიკებზეა მიღებული, მაგრამ თუ მოწინააღმდეგეთა კოშლების  
თანასწორი რიცხვია რიკებზე მიღებული, მაშინ ამ კოშლებს  
აალაგებენ და მანძილი დანარჩენებიდან გაიზომება.

როცა გამოირკვევა, რომელი ჯგუფია გამარჯვებული,  
გამარჯვებულები დამარცხებულებს შეასხდებიან მხრებზე,  
მხოლოდ თითოეული — თავის „საღარს“. ყოველ წყვილს  
აქვს ერთი რიკი. მხრებზე მჯდომარეობით ხელში უჭირავთ თავიანთი

კოშლები. რიკი გდია მიწაზე. ყოველი მხრებზე მჯდომი ძირს  
დაგდებულ რიკს ესვრის კოშალს და სადამდისაც რიგს გააგრ—  
რებს, დამარცხებულმა იქამდე უნდა მიიყვანოს. ასე ატარებს,  
ვიდრე მხრებზე მჯდომის გასროლილი კოშალი არ ასცილდება  
რიკს, რის შემდეგ დამარცხებული თავისუფალია და მხრებზე  
მჯდომს ძირს ჩამოსვამს. თითოეული წყვილი თამაშს. აგრძე—  
ლებს მანამდე, ვაღრე მხრებზე მჯდომი კოშალს არ ააცილებს.

როცა ყველა გამარჯვებული ააცილებს კოშალს, ე. ი. ყვე—  
ლა დამარცხებული განთავისუფლდება, თამაში თავიდან  
იწყება.

### კოჭაობა და თოხესაობა

1. მონაწილეობს 20-მდე ცაჟი 10 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა კოჭები, რასაც მოთამაშენი თანა—  
სწორად ინაწილებენ. თამაშობენ უმთავრესად ზამთარში,  
კარგად მოტკეპნილ და მოყინულ თოვლზე. კოჭები ცხვრისაა,  
მათგან ერთი — „ბოტა“ საერთოა, იგი ვაცისაა და უფრო დი—  
დია. ზოგჯერ „ბოტა“ ამოხვრეტილია და შიგ ტყვიაა ჩასხმუ—  
ლი, რომ უფრო მძიმე იყოს.

თოვლზე იხაზება 5—6 ნაბიჯის სიგანის წრე. წრის შუაგუ—  
ლში კიდევ იხაზება ორი მტკაველი სიგანის წრე. გარეთა  
წრეს ჰქვია „კგალი“. პატარა წრეზე თანმიყოლებით კეთდება  
პატარა ორმოები, ანუ „ყვაპულები“. „ყვაპულები“ ისეთი  
ზომის უნდა იყოს, რომ მათში „ჩაღგმული“ კოჭების „ბოტას“  
მორტყმით ამოგდება შეიძლებოდეს. თამაშს იწყებს ერთი,  
დანარჩენები თავის რიგს ელოდებიან. მოთამაშეთა რიგის  
განაწილება ხდება „თავსას“ (იხ. გათვლა) საშუალებით.  
თითოეული მოთამაშე თავის კოჭს დებს ერთ-ერთ „ყვაპულ—

ში“, გარდა უკანასკნელი მოთამაშისა, რომლის კოჭისაც „საშ-ლელი“ ეწოდება, ის კოჭს კვალს შიგნით ასვრის, სადაც დაეცემა კოჭი, იქვე რჩება. „თავსა“ დაიჭერს „ბოტას“ კვალის გარედან უმიზნებს „საშლელ კოჭს“, თუ მოარტყა და „საშლელი კოჭი“ კვალს გარეთ გაიტანა, უფლება აქვს დანა-რჩენი კოჭებიც ასევე გაიტანს. კვალს გარეთ გატანილი კოჭები „მოგებულია“. როცა „თავსა“ კოჭს ვეღარ გაიტანს, სროლას ოწყებენ დანარჩენი მოთამაშენი, თავიანთი რიგის მიხედვით. სასროლად ყველა მათგანი ხმარობს „ბოტას“. თუ ყველამ ესროლა, მაგრამ კოჭები კიდევ დარჩა გასატანი, სრო-ლას ხელახლა იწყებენ. როცა ყველა კოჭს გაიტანენ, თამაში თავიდან დაიწყება, ე. ი. დაიწყება მეორე ხელი, ანუ ფორა, რომლის დროსაც მოთამაშეთა რიგი შებრუნდება: „თავსა“ გახდება ის მოთამაშე, რომელიც წინა ფორაზე უკანასკნელი იყო და ასე თანმიყოლებით.

2. თუ მოთამაშები მოისურვებენ, შეუძლიათ გაიყონ ორ ჯგუფად (ამხანაგებად, ანუ „ლეშკებად“). ამ ორი ჯგუფიდან რომელი ჯგუფის ანუ გუნდის წევრიც გაყოფის შემდეგ მოასწრებს და დაიძახებს „თავსაო“, იმ გუნდის წევრები იწყე-ბენ თამაშს. პირველად ესვრის დამწყები გუნდის ყველა მოთა-მაშე, რის შემდეგ დარჩენილი კოჭების გასატანად თამაშს იწყებს მოწინააღმდეგე გუნდი. გუნდებად დაყოფის შემთხვევა-ში ზოგჯერ წინასწარ დათქვამენ, რამდენი ხელი უნდა ითამა-შონ.

3. თუ კოჭი მსხვილფეხა საქონლისაა, მას „თოხსი“ ეწოდება. იგი უფრო დიდია. ასეთი კოჭებით თამაშს „თოხსა-ობა“ ეწოდება.

კოჭაობა და თოხსაობა ზაფხულში მიწაზეც შეიძლება.

4. კოჭებს „სვამენ“ ისევე, როგორც კაჭლებს და თამაშიც

6. 5. შერაზადიშვილი.

ისე მიმდინარეობს, როგორც „კაქლაობის“ დროს. ის მოთამაშე, რომელიც ყველა კოჭს წააგებს, თამაშიდან გაღის, გამატებულია, ვინც ყველაზე ბოლოს დარჩება; იგი ხელახლა გაუნაწილებს კოჭებს მოთამაშეებს და თამაშიც თავიდან იწყება. როგორც პირველ, ისე დანარჩენ ვარიანტებში, თამაშის დასასრულს ყველას მიაქვს იმდენი კოჭი, რამდენიც დასაწყისში ჰქონდა.

5. ენდრა-გენდრა, ეგი-ბეგი. მონაწილეობს 4 და მეტი ვაჟი 10 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა კოჭი. თითო-ეულმა მოთამაშემ კოჭი უნდა ააგდოს. თუ ზემოთ მოექცა კოჭის ვიწრო, სწორი მხარე — მოთამაშე იქნება „ბეგი“, თუ ზემოთ მოექცა „ბეგის“ მოპირდაპირე მხარე, მოთამაშე „კამჭა“ იქნება. როდესაც ზემოთ მოექცევა კოჭის განიერი, ჩაღრმავებული მხარე, — „ცრუპენტელა“ იქნება, მისი მოპირდაპირე მხარის ზემოთ მოქცევისას კი — „მჭერი“. მჭერი თავისუფალია, ბეგი სასჯელს გადაწყვეტს, (წკიპურტი, თითის დაკვრა და ა. შ.), კამჭა გადაწყვეტილებას ასრულებს. თუ ბეგი ან კამჭა რამდენიმე მოთამაშემ „დააყენა“, წინა მომდევნოს „გადაულოცავს“ (გადააბარებს) ბეგობას ან კამჭობას, ამასთან, ერთიმეორეს ქამარს დაპრავენ ხელისგულზე.

იმ მოთამაშემ კი, რომელიც კოჭს შემთხვევით „ცერზე“ (მეხუთე და მეექვსე მხარე კოჭისა) დააყენებს, რომელიმე ცხოველს უნდა წაჰპაძოს ხმით ან მოძრაობით, შემდეგ კი კოჭი ხელახლა ააგდოს.

### პუკუმალულობა

თამაშის ადგილი ისეთი უნდა იყოს, რომ მონაწილეებმა დამალვა შეძლონ.

1. დამალვა. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები

და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. ბავშვები ომელიმე მოთამაშეს შეარჩევენ — ეს იქნება „მაძებარი“. მაძებარი დგება ისეთ აღ-გილზე, საიდანაც დანარჩენებს, როცა ისინი იმაღებიან, უკრისტიანული დაინახავს. დამალულები მაძებარს „კიფუს“ ძახილით აძლევენ ვენ ნიშანს. ამ ნიშანზე მაძებარი იწყებს დამალულთა ძებნას, ვისაც იპოვის, გამოიყვანს. ნაპოვნები ეხმარებიან დანარჩენების ძებნაში. ასე გრძელდება, ვიდრე ყველას არ იპოვიან. თუ გაუჭირდათ ზოგიერთი მოთამაშის ბოვნა, ეძახიან და სთხოვენ დაიძახოს „კიფუს“. როცა ყველას ნახავენ, თამაში თავიდან იწყება, მხოლოდ მაძებარს სხვები სცვლიან რიგრიგობით. ზოგჯერ წინასწარ შეთანხმდებიან; რომ მაძებრად დადგეს ის მოთამაშე, რომელსაც პირველად იპოვიან.

**2. კუკუდამალობანა.** მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან.

ბავშვები აირჩევენ ერთ მოთამაშეს, რომელიც გაითვლის „წითელი ვაშლის...“ მიხედვით (იხ. წესებში). გათვლის შედეგად ერთ-ერთს მოუწევს „მაძებრობა“. მაძებარი იხუჭება. მკერდით მიეყრდნობა კედელს, ხეს ან სხვა რამეს, თვალებზე ხელს აიტარებს და ითვლის დაახლოებით 30-მდე (შეთანხმების მიხედვით). დანარჩენები თვლის დამთავრებამდე იმალებიან სხვადასხვა ადგილზე. მაძებარი დაამთავრებს თუ არა დათვლას, იტყვის ლექსს:

თვალი გამიხელია, ჩიტი გამიფრენია,  
ვინც არ არის დამალული, ყველა დამიჭერია

ახელს თვალს, ეძებს მოთამაშეებს, ვისაც დაინახავს, ეძახის სახელს და გარბის ნიშანთან, რომელთანაც დაიხუჭა, პეარებს მას ხელს და იძახის „მამისწრიაო“. იგი ვალდებულია ყველა დამალული მოთამაშე მოძებნოს. ვისაც ვერ იპოვის, ეძა-

ხის, რომ თვითონ გამოჩნდეს, რაც დამალულისათვის გამარჯვებაა. მაძებარი რომელსაც პირველად მიასწრებს, შემდეგ ხელზე ის მოთამაშე იხუჭება. თუ ნიშანთან ყველამ მდისწრო, ისევ მაძებარი იხუჭება.

3. კუკუმალობანა. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. გათვლით შეირჩევა „მაძებარი“, რომელიც რაიმე ნიშანთან იხუჭება (ნიშანს „ცეცხლი“ ეწოდება). მაძებარი დახუჭვისთანავე იწყებს თვალს, სხვები იმალებიან. დათვლის 30-მდე, რის შემდეგ თვალს გაახელს. დამალულები იძახიან „კუკუს“ ან „ჭიტას“, თანაც ცდილობენ, მაძებარს ცეცხლთან მირბენა, მასზე ხელის დაკვრა და „მიმისწრიას“ დაძახება მოასწრონ. ვინც ამას შეძლებს, თავისუფალია.

მაძებარი, თავის მხრივ, ცდილობს იპოვოს თითოეული დამალული მოთამაშე, დაიძახოს მისი სახელი, ხელი დაპკრას ცეცხლზე და ოქვას „მიმისწრიაო“. მაგრამ ეს არ კმარა. მაძებარმა ყველა ნაპოვნს სათითაოდ უნდა დაპკრას ხელი, ამ უკანასკნელებს კი უფლება აღარა აქვთ ცეცხლთან მისწრებისა. სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ არბენინონ მაძებარი, ვიდრე ეს უკანასკნელი ხელს დაპკრავდეს. ვისაც მაძებარი პირველად დაპკრავს ხელს და „ჩაჭრის“, შემდეგ ხელზე ის დაიხუჭება.

4. მალულობანა. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან.

შეთანხმებით, ერთ-ერთი მოთამაშე „მძებნელია“, იგი იხუჭება და იწყებს თვალს. დანარჩენებმა ამ ხანში უნდა მოასწრონ დამალვა. ოცდაათის დათვლის შემდეგ „მძებნელი“ ახელს თვალს და იწყებს დამალულთა ქებნას. თუ ყველა იპოვა, ისევ თვითონ იხუჭება, ხოლო თუ ვინმე ვერ იპოვა, ეძახის:

„ვერ გიპოვეო“, მაშინ დამალული გამოჩნდება და ლავრს  
მხრივ იძახის: გამარჯვება ჩემიაო“.

მეორე „ხელზე“ იხუჭება. ის, ვინც გაიმარჯვა. თუ რამდე-  
ნიმემ ერთად გაიმარჯვა, მათ შორის უნდა მოხდეს კენჭისყრა,  
რომელსაც კენჭი შეხვდება, „მაძებარი“ ის იქნება.

5. მწყემსობანა. მონაწილეობს 20-მდე ვაჟი 10 წლის ასა-  
კიდან. მონაწილენი იყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისყრით ერთ  
ჯგუფს მოუწევს დამალვა, ესენი იქნებიან „ცხვრები“, მეორე  
ჯგუფის მოთამაშენი კი — „მწყემსები“. ცხვრები იმალებიან,  
მწყემსები კი იწყებენ მათ ძებნას, ვისაც იპოვიან, დაიჭერენ  
(ხელი უნდა დაპკრან) და „ამწყვდევენ ბოსელში“ (აჩერებენ  
იმ ადგილზე, სადაც მოხდა ჯგუფებად განაწილება).

როცა ყველას დაიჭერენ, მდგომარეობა იცვლება: მწყემ-  
სები იქცევიან ცხვრებად და ცხვრები — მწყემსებად.

6. ყივილობანა. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგო-  
ნები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი გაითვლიან  
„წითელი ვაშლის...“ მიხედვით, ვინც ბოლოს დარჩება, ის იქ-  
ნება „მაძებარი“, „მამალი“, ხოლო ის, ვინც მის წინ გავა —  
„დედა“. მამალი დედას კალთაში თავს ჩაუდებს და თვალებს  
დახუჭავს, დანარჩენები კი ამ დროს გარბიან დასამალავად.

კალთაში თავჩადებული მამალი დაიწყებს „ყივილს“, დე-  
და ყოველი დაყივლების შემდეგ ეუბნება: „შუადღეა“, „სა-  
ლომოა“ და ა. შ. ბოლოს, როცა შეატყობს, რომ მოთამაშებმა  
დამალვა მოასწრეს, ეტყვის „გათენდა“. მამალი ადგება და  
წავა დამალულთა საძებნელად. ვისაც იპოვის, მოპყავს დედას-  
თან. თავის მხრივ დამალულებიც, ცდილობენ, თვითონ მოას-  
წრონ დედასთან მისვლა. შემდეგ „ხელზე“ მაძებარი იქნება  
ის მოთამაშე, ვისაც პირველად იპოვის, ყოფილი მაძებარი კი  
დედად იქცევა.

**7. შეჩერობანა.** მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი იყოფილი კუთხით ჭრის გაუფად. თითოეული ჭგუფი იმალება (ეფარებიან სეს, შუჩქენ სხვა რამეს). შემდეგ უთვალთვალებენ ერთიმეორეს. მოთამაშემ თუ მოწინააღმდეგის სხეულის რომელიმე ნაწილს მოჰკრა თვალი და იცნო, ეძახის: „შეჩერდი“. შეჩერებული მოთამაშე თამაშიდან გადის. ის ჭგუფი, რომლის ყველა მოთამაშეს მოწინააღმდეგენი ამგვარად „შეაჩერებენ“, წაგებულად ითვლება და თამაში თავიდან იწყება. თამაშის დროს ორივე ჭგუფის მოთამაშეებს, თუკი მოახერხებენ, უფლება აქვთ ზურგიდან შემოუარონ მოწინააღმდეგებს.

**8. ჩიტმალულაობა.** მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. „იწილო-ბიწილოს...“ გათვლით გამოირკვევა, ვინ იქნება მაძებარი. მაძებარი დაღგება რაიმე საგანთან (ხესთან, ქვასთან). როდესაც ყველანი დაიმალებიან და დაიძახებენ „კუკუს“ ან „გუგუს“, დახუჭულს უფლება აქვს, თვალი გაახილოს და ძებნა დაუწყოს მათ. ვისაც იპოვის, იძახის მის სახელს, გამორჩის ნიშანთან, არტყამს ხელს და ამბობს „მიმისწრიაო“. თუ ყველა მოთამაშემ მოასწრო დანიშნულ საგანზე ხელის დარტყმა და „მიმისწრიას“ დაძახება, ისევ თვითონ იხუჭება, თუ არა და — ის მოთამაშე, რომელსაც პირველად მიასწრებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანარჩენებს შეუძლიათ გამოჩნდნენ და თამაშიც ხელახლა დაწყება.

**9. ჭიტაკუკუ.** მონაწილეობს 10-მდე ვაჟი უმთავრესად 9—10 წლის ასაკისა.

„გაბუტვით“ მოთამაშენი გაიყოფიან ორ ჭგუფად. ერთი ჭგუფი იმალება და იძახის „კუკუს“, მეორე ჭგუფის მოთამაშენი კი მათ ეძებენ. ნაპოვნმა მპოვნელი ზურგზე უნდა მოი-

კიდოს და მიიყვანოს იმ ადგილამდე, სადაც ჭგუფებად განა-  
წილდნენ, ე. ი. „დედოსთან“.

დამალულთაგან ის მოთამაშე, რომელიც მანამდე უმას-  
წრებს ამ ადგილზე მოსვლას, ვიდრე იპოვიდნენ, თავისუფა-  
ლია და შემდეგ ხელზე მისი ჭგუფია მაძებარი.

## ლ ა ხ ტ ი

### ა) ლახტი, სარტყლაობა

1. მონაწილეობს 12-მდე ვაჟი 12 წლის ასაკიდან. თამაში-  
სათვის საჭიროა იმდენი სარტყელი, რამდენი წყვილი მონაწი-  
ლეცაა. თამაშის ადგილზე არ უნდა ეყაროს ქვები და მაგარი  
საგნები. სასურველია, ნიადაგი რბილი და ბალახიანი იყოს.

მოთამაშენი შემოხაზავენ 10-მდე ნაბიჯის სიგანის წრეს და  
განაწილდებიან ორ ჭგუფად. კენჭისყრით ერთ ჭგუფს მოუწევს  
წრეში ჩადგომა, ესენი „წრეში მდგომნი“, ანუ „დამცველები“  
არიან, ხოლო მოპირდაპირე ჭგუფის მოთამაშენი კი — „წრის  
გარეთ მდგომნი“, ანუ „თავდამსხმელები“.

დამცველები წრეში ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილის  
დაშორებით დაალაგებენ სარტყლებს ისე, რომ მათი ერთი  
ბოლო ხაზს ეხებოდეს, მეორე კი ცენტრისაკენ იყოს მიქცე-  
ული, და ჩადგებიან მცველებად; მათ სარტყლებზე ფეხის  
დაღგმის უფლება არა აქვთ. თავდამსხმელები სარტყლების  
მოტაცებას ცდილობენ გადარჩენით, გადაგორებით, წაწოლით  
და ა. შ. თუ მათ ერთი სარტყლის გატაცება მაინც მოახერხეს,  
დანარჩენებსაც ადგილად გაიტაცებენ, რადგან შეუძლიათ  
გატაცებული სარტყლით წვივებზე სცემონ დამცველებს და  
მისი გარტყმით წრიდან გამოიტანონ სხვა სარტყლებიც.

თუ დამცველები წრიდან გამოიჭრებიან, ან თავდამსხმელები ბი წრეში შეიჭრებიან, თავდამსხმელებს უფლება ეჭლოვათ მოტაცებული სარტყლით მუხლებზე სცემონ დამცველებს.

დამცველებს შეუძლიათ თავდამსხმელთა მიერ გატაცებული სარტყლების უკან დაბრუნებაც, თუკი მოქნეულ სარტყელზე ხელს წავლებენ და გამოპგლეჩენ. უკან დაბრუნებული სარტყელი დაირგოლება და დაიდება წრის შუაგულში, იქიდან მისი გატაცება კი ძნელია, რადგან ეს მოითხოვს წრეში შეჭრას და მასზე ფეხის, ხელის ან სხვა სარტყლის გაკვრას და წრიდან გამოტანას, რაც ხშირად თავდამსხმელთა „ჩაჭრით“ მთავრდება.

ყველა სარტყლის გატაცების შემდეგ იწყება დამცველთა „ახურება“, „ასუქება“, ანუ სარტყლებით ცემა. ზოგჯერ მოწინააღმდეგენი წინასწარ შეთანხმდებიან, რომ მხოლოდ წვივებზე სცემონ ერთმანეთს. ახურება გრძელდება მანამდე, ვიდრე დამცველები ერთ-ერთ თავდამსხმელს არ ჩაჭრიან. დამცველებს თავდამსხმელთა ჩაჭრის უფლება აქვთ თამაშის დასაწყისიდან-ვე. ჩაჭრა ხდება მუხლის ქვემოთ ფეხის (ტერფის) შეხებით, მხოლოდ ამ დროს მცველს მეორე ფეხი აუცილებლად წრის შიგნით უნდა ედგას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაჭრა არ ჩაითვლება.

ერთი მოთამაშის ჩაჭრა მთელი გუნდის ჩაჭრას ნიშნავს და წრეში ახლა ეს გუნდი უნდა ჩადგეს.

2. თამაში იმგვარადვე მიმდინარეობს, როგორც წინა ვარიანტში, მხოლოდ დამცველებს უფლება აქვთ, წართმეული სარტყლები წრის შუაგულში კი არ დაალაგონ დარგოლილი, არამედ წვივებზე ურტყან თავდამსხმელებს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც თავდამსხმელები წრეში შეიჭრებიან, ურტყან მუხლებზეც. დამცველს ასეთივე უფლება ეძლევა, თუკი იგი გაბედავს და წართმეული სარტყლით წრიდან გამოიჭრება.

3. თამაში მიმღინარეობს ისევე, როგორც პირველ ვარიანტში, მხოლოდ დამცველებს უფლება ექლევათ, ხელი ჩავლონ. რომელიმე თავდამსხმელს, შეიტაცონ იგი წრეში და ჩაჭრან.

თავის მხრივ, თავდამსხმელებს შეუძლიათ წრიდან გამოიტაცონ დამცველები, გამოტაცების შემდეგ დამცველები „ტომრებად“ იქცევიან.

„ტომარა“ გამტაცებელს ეკუთვნის, ჩაჭიდებს მას ხელს და სურვილისამებრ, საითაც უნდა და როგორც უნდა, ისე დაატარებს. მას შეუძლია „ტომარა“ გამოიყენოს წრიდან სარტყლის გასატაცებლად; „ტომარას“ დააჯახებს სარტყლის მცველს, თვითონ კი სარტყელს სტაცებს ხელს და გაიტაცებს.

„ტომარას“, ვიდრე მასზე პატრონს, ანუ მომტაცებელს ხელი აქვს ჩაჭიდებული, უფლება არა აქვს წინააღმდეგობის გაწევისა (წრეში დაბრუნების ცდისა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ტომარა თამაშის დროს მოასწრებს წრის შიგნით ფეხის დაბიჯებას.

4. თამაში ისევე მიმღინარეობს, როგორც პირველ ვარიანტშია აღწერილი, მხოლოდ დამცველები სარტყლებს მოთამაშეთა რიცხვზე ერთით ნაკლებს დააწყობენ. ამ შემთხვევაში უსარტყლოდ დარჩენილი მოთამაშე (იგი მარჯვე უნდა იყოს) „დედა“ იქნება.

„დედა“ საჭიროებისამებრ ხან ერთ მოთამაშეს ეხმარება. სარტყლის დაცვასა და მოწინააღმდეგის დაჭრაში და ხან მეორეს.

### გ) ღ ვ ღ ო ბ ა ნ ა

1. **ღვედის დამალვა.** მონაწილეობს 20-მდე ვაჟი 10 წლის. საკიდან. თამაშისათვის საჭიროა ღვედი (სარტყელი). თამაშობენ ყორესთან.

ერთ-ერთი მოთამაშე ღვედს მალაგს ყორეში (ყორის წინა-  
სწარ დათქმულ მონაკვეთის ფარგლებში), დანარჩენები ვძე-  
ბენ. ვინც იპოვის, უფლება აქვს, ამ ღვედით მანამდე ცემოს  
წვივებზე დანარჩენებს, ვიდრე ისინი წინასწარ დათქმულ  
ადგილამდე მიასწრებდნენ. შემდეგ ღვედს დამალაგს მპოვნელი.

თუ ღვედი ვერ იპოვეს, მაშინ გამოაჩენს დამმალავი და  
ისევე სცემს დანარჩენებს, როგორც მპოვნელი.

2. ღვედობანა. (ღვედის გატაცება). მონაწილეობს 10-მდე  
ვაჟი 12 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ღვედები  
(სარტყლები).

კენჭისყრის შედეგად ან სურვილით, ერთ-ერთი მოთამაშე  
თავის სარტყელს დარგოლავს და დადებს ძირს, მეორე კი  
დაუდება მცველად. მცველს ხელში უჭირავს საკუთარი  
სარტყელი.

დანარჩენები უტრიიალებენ გარშემო და ცდილობენ ფეხი  
გაპრიან და გაიტაცონ დარგოლილი სარტყელი. დამცველს  
უფლება აქვს, რამდენსაც მოსაწრებს, იმდენი ურტყას სარტყე-  
ლი მათ მუხლის ქვემოთ. გატაცების შემდეგ სხვისი სარტყელი  
დაირგოლება და დამცველადაც სხვა შეირჩევა.

## მ გ ე ლ ო ბ ა ნ ა

ა) ბ ა ტ ო ბ ა ნ ა

1. მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები  
6-7 წლის ასაკიდან. აირჩევენ „მგელს“, მის „შვილს“, აგრეთვე  
„დედას“ („დედა ბატს“). დანარჩენები დედა ბატის შვილები,  
ანუ „ჭუკები“ არიან.

მგელი და მისი შვილი გავლენ მოშორებით, საიდანაც

მგელი თავის შვილს გზავნის დედა ბატოან და აბარებს, შვილები ბი გამომიგზავნეო. დედა ბატი შეუთვლის: ჯერ თოთოები არიანო. მგელი თავის შვილს გზავნის მეორედ და ისევ ითხოვს შუკების გაგზავნას:

— თქვენი შესაჭმელი შვილები არცა მყოლია და არც მეყოლებაო — შეუთვლის დედა ბატი.

— ახლავე გამოგზავნე, თორემ დაგეცემი და სულ ერთიანად ამოგწყვეტო!

— რაც წილო, დაიქადნეო, — შეუთვლის დედა ბატი. და თავის შვილებს საბალახოზე გაგზავნის.

მგელი ამას გაიგებს და თავის შვილიანად მივარდება დედა ბატოან:

— სად არიან შენი შვილები?

— რა თქვენი საქმეა! — მიუგებს დედა ბატი.

— ჩეენ ვიპოვით! — დაიღრიალებენ მგლები და გაექანებიან ბატებისაკენ, რომლებიც იქეთ-იქით გაიფანტებიან.

იწყება „ომი“. ბატები დარბიან, მგლები დასდევენ, ვისაც ხელს დააკარებენ, გატაცებულად ითვლება.

ბატები ცდილობენ, დედა ბატს დააკარონ ხელი, რადგან მაშინ გადარჩენილებად ჩაითვლებიან, დედა ბატიც თავის მხრივ ეხმარება მათ.

ერთხელ ხელდაკარებულზე მეორედ ხელისდაკარება არ შეიძლება. ვის მხარეზეც მეტი ბატი აღმოჩნდება, ის მხარეა გამარჯვებული.

2. მოთამაშენი აირჩევენ „მწყემსსა“ და „მგელს“, დანარჩენები „ბატები“ არიან. სათამაშო აღგილიდან მოშორებით მგელი დანიშნავს თავის „ბუნაგს“ და იქ გაჩერდება. მწყემსი თავის ბატებს გაუშვებს „საბალახოზე“, რის შემდეგ ეძახის:

— ბატებო, ბატებო!



— რა გნებავთ? — უპასუხებენ ბატები.

— მგელია ტყეში, გამოიქეცით.

ბატები გამოიქცევიან, მაგრამ გზაზე მგელი დაწვდებოდა და ცდილობს მათ მოტაცებას. თამაში გრძელდება მანამდე, ვიდრე მგელი ყველას არ მოიტაცებს. მგელს მოტაცებულები ბუნაგში მიჰყავს და იქ აყენებს. როცა ყველა ბატს მოიტაცებს და ბუნაგში დააყენებს, თვითონ „ტყეში წავა“. ამ დროს ბუნაგში მოვარდება მწყემსი და თავის ბატებს მოიტაცებს. მოტაცებული ბატები „ყიყინით“ გარბიან.

### ბ) მ გ ლ ო ბ ა ნ ა

**1. გაშეშობანა.** მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. გაითვლიან ან სურვილის მიხედვით შეარჩევენ ორ „მგელს“ (შეიძლება ერთიც), დანარჩენები „კურდღლები“ არიან. კურდღლები დარბიან, მგლები კი დასდევენ, რომ ხელი დაჰკრან, ე. ი. „ჩაჭრიან“ („დაკენტონი“). ჩაჭრილები ადგილზევე უნდა გაჩერდნენ („გაშეშღნენ“) და მანამ ვერ ჩაეგმებიან თამაშში, ვიდრე რომელიმე კურდღლი ხელის დაკვრით არ გაათავისუფლებს მათ.

როცა ყველა კურდღლელს გააშეშებენ, თამაში ხელახლა დაიწყება. ახლა მგლები ისინი იქნებიან, რომელნიც სულ ბოლოს გააშეშეს.

**2. დაკენტობანა.** თამაშობენ გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. ერთ-ერთი მოთამაშე გამოუდგება დანარჩენებს და რომელსაც მოასწრებს და ხელს დაჰკრავს, „დაკენტილია“, „ჩაჭრილია“. ახლა „დაკენტილი“ გამოუდგება დანარჩენებს (ე. ი. გახდება „დამკენტავი“), რომ თავის მხრივაც ვინმე „დაკენტოს“ და ა. შ. ყოველი დამკენტავის

ჰელახლა დაკენტვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა  
მის მიერ დაკენტილი სხვას დაკენტავს.

3. თოხობანა. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგო  
ნები და ვაჟები 6-7 წლის ასაკიდან. ბავშვები შემოხაზავენ  
წრეს, აირჩევენ „დედას“ და „მელს“, დანარჩენები კი  
„შვილები“ არიან. ჯვარედინი ხაზების დასმით წრეხაზე მონი-  
შნავენ იმდენ ადგილს, რამდენი შვილიცაა. შვილები მონი-  
შნულ ადგილებზე ჩაიმუხლებენ. მათ დედა ჩამოუვლის. დედას  
ხელები ისე აქვს მომუჭული, თითქოს შიგ რაღაც აქვს.  
ჩამოვლისას თითოეულ შვილს ხელებს თავზე ადებს და  
ეუბნება: „შენ თაფლს დაგისხამ“, „შენ ერბოს დაგისხამ“,  
„შენ მურაბას“ და ა. შ. დედა დაიჭერს „თოხს“ (ჯოხს) და  
„სათოხარში“ მიდის. მისი სათოხარში ყოფნისას მოვა მგელი.  
შვილები მგელს რომ დაინახავენ, წამოხტებიან და წრეში და-  
იწყებენ სირბილს, რადგან წრიდან გამოსვლის უფლება არა  
აქვთ. მგელი დაუწყებს დევნის. ვისაც ხელს დააკარებს, მოტა-  
ცებულად ითვლება და მიჰყავს. როცა მგელი ყველა შვილს  
გაიტაცებს, დედა დაბრუნდება სათოხარიდან და შვილები  
რომ აღარ დახვდება, დაიწყებს ტირილს — „სად არიან ჩემი  
შვილებიო“. ბოლოს თოხს მხარზე გაიდებს და წავა საძებნე-  
ლად. იპოვის შვილებს, რომლებიც მოეხმარებიან, მგელს  
თოხის მირტყმით „წაჭცევენ“ და გამოიქცევიან. თან იძახიან:  
მგელი მოკვდა, გვიხარიაო. ამის შემდეგ სხვა მგელსა და დე-  
დას აირჩევენ.

4. კურდღლობანა, ხეზე ჩიტი. მონაწილეობს 15-მდე მო-  
თამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი  
აირჩევენ „მგელს“, დანარჩენები „კურდღლები“ ან „ცხვრები“  
არიან. მათ ხელი უკიდიათ (ან დგანან) რაიმე საგანზე, ანუ  
„ხვრელებზე“ (ხე, ქვა, ლობე და ა. შ.), ისინი ხშირად უნდა

ინაცვლებდნენ ადგილს საგნიდან საგანზე, ან ერთმანეთს უცვლიდნენ ადგილებს. მგელს უცლება აქვს, კურდებულები მხოლოდ მაშინ დაიჭიროს, როცა მას დანიშნულ საგანზე არ უკიდია ხელი (ან არ დგას ამ საგანზე), დაჭერის შემთხვევაში კურდებული მგლად იქცევა. მგლები ეხმარებიან ერთიმეორეს ყველა მოთამაშის მგლად გადაქცევაში. ამის შემდეგ თამაში თავიდან იწყება, მგელს ახალს აირჩევენ.

5. მგელობანა. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მონაწილენი დგებიან წრეზე. ერთ-ერთი მოთამაშე გაითვლის „მგელობანას“. ის მოთამაშე, რომელზედაც უკანასკნელი სიტყვა — „მგელი“ მოხვდება, „მგელია“ და ფეხზე რჩება. დანარჩენები უცბად ჩასხდებიან. ვისაც მგელი დაჯღომამდე დაჰკრავს ხელს, მისი მომხრე ხდება. დანარჩენები გარბიან. მგელი „თავისიანებით“ გაქცეულებს გამოუდგება, როცა ყველას დაიჭირენ, თამაში თავიდან დაიწყება.

6. მგლები მოდიან. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ირჩევენ „დედას“. ამის შემდეგ მოიტანენ ისეთ ქვებს, რომ ზედ შედგომა შეიძლებოდეს, და დაალაგებენ წრიულად. ქვები მოთამაშეთა რიცხვზე ერთით ნაკლები უნდა იყოს.

დედას ბავშვები მიჰყავს ქვებიდან 20-30 ნაბიჯის დაშორებით და აყენებს ერთ სწორ ხაზზე, რის შემდეგ იძახის: „მგლები მოდიან“. ბავშვები გამორბიან და დგებიან ქვებზე. რადგან ქვები მოთამაშეთა რიცხვზე ერთით ნაკლებია, ერთ-ერთი მოთამაშე, რომელიც მისვლას ვერ მოასწრებს, რჩება ქვის გარეშე, ე. ი., „უბინაოდ“. ყოველ შემდეგ „ხელზე“ თითო ქვას მოაკლებენ, ვიდრე სულ ბოლოს ერთი ქვა და ორი მოთამაშე

არ დარჩება. ვინც ამ ქვაზე შედგომას მოასწრებს, ის იქნება გამარჯვებული. შემდეგ ახალ ხელმძღვანელს აირჩევენ.

თუ მოთამაშეთა რიცხვი დიდია, შეიძლება ორ-ორი ან სამ-სამი ქვის მოკლებაც.

## მ ე ლ ა პ უ დ ა

1. მელაკიტკიტობანა. მონაწილეობს 6-7 წლის ასაკის: 20-მდე ბავშვი. მოთამაშენი შეარჩევენ ერთ მარჯვე ბავშვს, ანუ „მელიას“. მელია იკეთებს „კუდს“, „ულვაშებსა“ და „ყურებს“. დანარჩენი მოთამაშენი ჩააბამენ წრეს, რასაც „საქათმე“ ჰქვია. წრის შიგნით დააყენებენ ერთ მოთამაშეს („ქათამს“). მელა გარშემო უტრიალებს და ცდილობს მოთამაშეთა ხელებქვეშ გაძვრეს და საქათმეში შევიდეს. მოთამაშენი არ უშვებენ, მაგრამ მელა ბოლოს მაინც ახერხებს წრეში შეძრომას, რის შემდეგ ყველა მოთამაშე მას დაესევა; მელის „გაპუტავენ“: დააცლიან კუდს, ულვაშებს, ყურებს. ამის შემდეგ სხვა „მელასა“ და „ქათამს“ შეარჩევენ და თამაშს გაიმეორებენ.

2. მელაკორკოტაობა (მატარებლობანა). მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი აირჩევენ ორ „დედას“, ანუ „უფროსს“, რომლებიც „მსხალი და ვაშლით“ (იხ. ჯგუფებად განაწილება) მოთამაშეებს შუაზე გაიყოფენ. ამის შემდეგ თამაშის ადგილზე გაავლებენ ხაზს. ხაზის აქეთ-იქით, ერთიმეორის პირისპირ, დადგებიან „დედები“, ანუ „უფროსები“, თითოეულს წელში ხელების ჩაკიდებით მოებმებიან თავისი ჯგუფის მოთამაშენი, რის შემდეგ ხელებით ერთმანეთს ჩაეჭიდებიან თვით უფრო-

სები და რამე ნიშანზე იწყებენ ერთიმეორის გადაძლევას.  
თითოეულს მთელი მისი ჯგუფი ეხმარება.

რომელი ჯგუფიც იმდენად გადასძლევს მოწინააღმდეგის  
რომ მათ დედას თავის მხარეზე, ხაზს იქით გადაიყვანს, გამა-  
რჯვებულია.

ამის შემდეგ სხვა დედებს აირჩევენ და თამაშიც თავიდან  
დაიწყება.

3. მელაკულა. მონაწილეობს 10-15 მოთამაშე — გოგონები  
და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი აირჩევენ „კრუხს“  
და მელას“. დანარჩენები უკან მოებმებიან კრუხს. მელა გან-  
ზე გადგება და კრუხს სთხოვს:

— კრუხო, კუდი მოიქნიე!

— შორს გადი და მოვიქნევ, — უპასუხებს კრუხი.

მელა გაიწევს და ისევ სთხოვს:

— კრუხო, კუდი მოიქნიე!

— მდინარეს გადაახტი და მოვიქნევ.

მელა გადახტება (ცითომ მდინარეზე) და კრუხიც თავისი  
წიწილებით დატრიალდება. მელა გამოქანდება და რამდენსაც  
მოჰველეს, მიჰყავს. ყველას რომ მოიტაცებს, „მელა“ გადაიქ-  
ცევა „კრუხად“, „კრუხი“ კი — „მელად“.

4. მელობანა. მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე — გოგონე-  
ბი და ვაჟები 8 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი აირჩევენ „დედას“, „შვილს“ და „მელას“, და-  
ნარჩენები „ქათმებია“.

დედა მიღის „ბაზარში“, შვილი კი — „სათამაშოდ“. მელა  
იხელთებს დროს და ქათმებს სათითაოდ მოიპარავს.

დედა დაბრუნდება, ქათმებს რომ. ვეღარ ნახავს, მოძებნის  
თავის შვილს და ჰერითხავს:

— რა იქნენ ქათმები?

— მელა მოიპარავდა.

მოძებნიან და იპოვიან მელას.

— ჩემს ქათმებს შენ შეჭამდი.

— არა, არ შემიჭამია.

— აბა პირი დააღე.

მელა პირს დააღებს.

— ხორცი გაქვს პირში!

დედა და შვილი მელას ეცემიან და წააქცევენ (ვითომ მოკლავენ), მერე ქათმებსაც იპოვიან.

ამის შემდეგ სხვა მოთამაშებს აირჩევენ და თამაშს გაიმეორებენ.

5. მონაწილეობს 10-მდე ბავშვი 8 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი „შეარჩევენ „ოჯახის უფროსს“ და „მელაკულას“, დანარჩენები ოჯახის უფროსის „შვილები“ არიან. ყბა-ახვეული მელაკულა მიდის ოჯახის უფროსთან და ეუბნება:

— ბაბუამ გოგრაო!

ოჯახის უფროსი „შვილებს“ სათითაოდ უსინჯავს თავს და მელაკულას უპასუხებს:

— ჯერ არაა მწიფე, დამწიფდება და გამოვუგზავნი.

— ახლა გამოვიარე და შენს ბალჩაში ძალიან ბევრი ლორი და ძალლი დავინახე, — ეუბნება მელაკულა.

ოჯახის უფროსი „ბალჩაში“ მიდის. მელაკულა იხელთებს დროს და ბავშვებს სათითაოდ მოიტაცებს და მალავს.

„ოჯახის უფროსი“ რომ დაბრუნდება და „შვილები“ აღარ დახვდება, დაიწყებს ტირილს: მელაკულა ხელმეორედ მოდის, ყბა აღარა აქვს ახვეული და ტანსაცმელიც გამოცვლილი აქვს. იგი „ოჯახის უფროსს“ ეკითხება:

— რა გატირებს?

— ბავშვები დამეკარგა და მისთვის ვტირი.



- ცაში იქნებიან.
- ვიყავი და არ იყვნენ.
- წისქვილში იქნებიან.
- ვიყავი და არ იყვნენ.
- წყალში იქნებიან.
- არც იქ იყვნენ.

— ერთი კაცისას დავინახე ბავშვები, შენი ხომ არ არიან? — თუ კაცი ხარ, წამიყვანე და მიჩვენე.

მელაყუდა „ოჯახის უფროსს“ მიიყვანს იქ, საღაც ბავშვები არიან დამალულნი. გააჩერებს ახლოს და, თითქოს დაჭეტოლი კარი დახველროდეთ, ეუბნება:

— კლიტე არა მაქვს.

— მე მოგიტან.

„ოჯახის უფროსი“ მიდის, მოიტანს „გასაღებს“ (ჭოხს, ნაფოტს), რითაც მელაყუდა „გააღებს“ (ისე იქცევა, ვითომ მართლა აღებს), ოჯახის უფროსი თავის ბავშვებს იცნობს და გახარებულებს ურიამულით თან წაიყვანს.

## მ ი პ ა რ ვ ა

მონაწილეობს 15-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ირჩევენ მოთვალთვალეს. გაავლებენ, სწორ ხაზს, რომელზეც დგებიან. მოთვალთვალე დგება ხაზიდან 15-20 ნაბიჯის დაშორებით, მოთამაშეებისაგან გვერდშექცევით და შეუძლია თავის მიბრუნებით გაიხედოს მოთამაშეებისაკენ ან საწინააღმდეგო მხარეს.

როდესაც მოთვალთვალე საწინააღმდეგო მხარეს იხედება, მოთამაშეს უფლება აქვს წაიწიოს წინ, რამდენზეც მოასწრებს, ისე, რომ მოთვალთვალემ მისი მოძრაობა ვერ შენიშ-

ნის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთვალთვალე მას დააბრუნ-  
ებს საწყის ხაზზე. საწყის ხაზზე დაბრუნებული ყოველი მო-  
თამაშე წინ წაწევას თავიდან იწყებს. ის, ვინც მოთვალთვალის  
იმდენად დაუახლოვდება, რომ მხარზე ხელს დაპკრავს, გამარ-  
ჯვებულია და მოთვალთვალეს შესცვლის.

### 8 უ ჟ ა ნ ბ

თამაშობენ გოგონები და ვაჟები 6-7 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა ხუთი მტკველი სიგრძის ჭოხი (გა-  
დაზომავს თამაშის ერთ-ერთი მონაწილე). ჭოხის ზომას ყოვე-  
ლი მონაწილე სათითაოდ „ამოწმებს“, თამ ამბობს ლექსს:

„თითა, თითანა, ორო თითო, ორონა,  
სამო თითო, სამონა, ოთხო თითო, ოთხონა,  
მუჭა, მუჭანა, ჩემო ძმო, მსუჭანა,  
ვინ ვითხრა და ვინ ვიამბო, ეს რომ ხუთი მტკველია?..“

მოთამაშე ლექსის პირველი სტრიქონის თქმასთან ერთად  
ჭოხს გადაზომავს ჭერ ერთი და შემდეგ მეორე საჩვენებელი  
თითოთ (რეულისხმება თითის სიფართე, მეორე სტრიქონის  
თქმაზე საჩვენებელ თითებს დაემატება შუათითები, შემ-  
დეგ — არათითები, მეორხე სტრიქონზე კი — ნეკა თითებიც  
დაწყებული „მუჭადან“, ჭოხი იზომება მუჭის (ხუთივე თითის)  
ჩავლებით — რვაჭერ.

ასე „გადაზომილ“ ჭოხს მოთამაშე გადამტკაცლავს. ჩვე-  
ულებრივად, მართლაც გამოდის ხუთი მტკაველი, რაც ბავ-  
შვებს ამხიარულებს და ახალისებს.



მონაწილეობენ გოგონები და ვაჟები 15 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა მშვილდ-ისრის დამზადება. მშვილდისათვის შეარჩევენ შინდის ან თხილის ტოტს (შინდი-სა უფრო მაგარია). სიღიდე მოთამაშის ასაკზეა დამოკიდებული, სიმსხო კი ჭობია თანაბარი ჰქონდეს. მას გაასუფთავებენ, ბოლოებში გაუკეთებენ ნაჭდევებს, მოხრიან (მოშვილდავენ) და ზედ გადააცვამენ წინასწარ გამზადებულ ლარს (დაგრეხილი ნაწლავი, თოვი და ა. შ.). წვრილი ტოტებისაგან დაამზადებენ. შესაფერის ისრებსაც.

დასვამენ ნიშანს, დადგებიან მისგან რამდენიმე ნაბიჯზე და რიგრიგობით ესვრიან ისარს, ვინც მეტჯერ მოარტყამს, გამარჯვებულია. ნიშნამდე მანძილს ცვლიან სურვილსამებრ.

## ნაშაობა

მონაწილეობს 2 ან მეტი ვაჟი 15 წლის ასაკიდან. მოთამაშეთა რიცხვი წყვილი უნდა იყოს. ჯგუფურად განაწილება ხდება „გადრის“ საშუალებით. ერთი ჯგუფის მოთამაშენი იშვიან რიკებს (1 მტკაველი სიგრძისა და ცერზე უფრო მსხვილი ჭოხი) და სალებს (ხელისგულისოდენა ბრტყელი ქვა).

ერთ-ერთი მოთამაშე თავის რიქს ნებისმიერად გადაისვრის მოედანზე, შემდეგ ამავე ადგილიდან ყველა „გადადის“ თავის სალას. რომლის სალაც ყველაზე ახლოს დაეცემა რიკთან, მისი ჯგუფი გამარჯვებულია.

გამარჯვებულები ხელში დაიჭირენ თავ-თავიანთ რიქსა და სალას და ასე შესასხდებიან მხრებზე თავიანთ „გადრილებს“,

ანუ მოპირდაპირეებს („სადრებს“). ყოველმა მხარზე მჯდომარე რიყი უნდა დადოს სალაზე და ააგდოს მაღლა, შეტყობინებული რიყი თავისივე სალის მორტყმით გადააადგილებული თუ ეს ყველამ მოახერხა, ჩამოვლენ. თითოეული ამ აღგილიდან სალას ესვრის თავისსავე რიყს, (ხელში დაჭერილი სალით გაკვრა არ შეიძლება), რათა შორს გასტყორცნოს, რის შემდეგ „სადარმა“ ზურგზე უნდა მოიკიდოს და მიიყვანოს რიკამდე. აქ კი, დაწყებული მხარზე შეკდომიდან, ყველაფერი ხელახლა მეორდება.

თუ რომელიმემ რიყს სალა ააცილა, ან სალის მორტყმით რიყი ვერ გადააადგილა, ან რომელიმეს სალა გაუვარდა ხელიდან, თამაში თავიდან, „სალების გადასვლით“ უნდა დაიწყოს.

### ო ლ ი რ ლ ი ლ ო

თამაშობენ მცირე ასაკის ბავშვები. მოთამაშენი „არჩევან-არადანის“ მიხედვით ნაწილდებიან ორ ჯგუფად და დადგებიან მწერივებად ერთიმეორის პირისპირ 15-მდე ნაბიჯის დაშორებით. თითოეული ჯგუფის მოთამაშეებს ხელები მაგრად აქვთ ერთმანეთზე ჩაჭიდებული.

იწყება თამაში.

ერთი ჯგუფის რომელიმე მოთამაშე (ზოგჯერ ეს მოთამაშე წინ გამოდის) ეძახის მეორე ჯგუფის მოთამაშეებს:

— ოლირლილო!

— ოქროს კბილო! — უპასუხებენ მეორე ჯგუფიდან.

— ბავშვი გვინდა!

— თუ ბიჭი ხარ, წაიყვანე!

ოლირლილოს დამძახებელი გარბის და ეჯახება მოწინააღმდეგეთა მწერივს, რომ „გაიტანოს“, ე. ი. ხელი გააშვებინოს.

თუ გაიტანა, ორი მოთამაშიდან, რომლებსაც ხელი გააშვებინა, ერთ-ერთს წაიყვანს და თავის მხარეზე ჩაბამს თამაშში წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონაც ამ ჯგუფში დარჩება. თუ მოთამაშე მოწინააღმდეგთა მწკრივს განგებ არ „გაიტანს“, თამაშიდან გაიყვანენ. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე ჯგუფის მოთამაშენი იწყებენ ძახილს და ასე რიგრიგობით. როდესაც ერთ-ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშე მეორე მხარეზე აღმოჩნდება, თამაში დამთავრებულია და თავიდან შეიძლება დაიწყონ.

### ო პ ი ვ ა რ ა

მონაწილეობენ უმთავრესად 6-7 წლის ასაკის ბავშვები.

თამაშის ადგილზე დასობილია მსხვილი ბოძი, რომელსაც თავი დაახლოებით ერთი ხელის დაღებაზე მაჯის სიმსხომდე აქვს დაწვრილებული, რასაც „ყელი“ ეწოდება. ბოძს „ყელზე“ ჩამოცმული აქვს „ჭერი“ — 4 — 5 მეტრი სიგრძის მაგალითი ფიცარი.

მოთამაშენი ფიცარს მუცლითა და ფულ-მკერდით გადააწვებიან და ხელებით ჩაეჭიდებიან. ბოძის სიმაღლე ისეთი უნდა იყოს, რომ გადაწოლილი მოთამაშენი ფეხით მიწას სწვდებოდნენ.

ბავშვები ისე უნდა განაწილდნენ რომ ჭერის ორივე მხარეზე თანასწორი სიმძიმე იყოს. ამასთან ერთ მხარეზე გადაწოლილი ბავშვები სახით მეორე მხარეზე გადაწოლილების საწინააღმდეგო მხარეს უნდა იყვნენ მიქცეულნი. ამ მდგომარეობიდან ბავშვები მიწაზე ფეხის დარტყმით იწყებენ „ჭერთან“ ერთად ტრიალს. როცა საქმაო სისწრაფეს მიაღწევენ, ფეხებს მიწას მოაცილებენ და ინერციით ტრიალებენ. ბოძის

უელს ხშირად ცხიმს უსვამენ, რომ „ჭერმა“ უკეთ იტრიალრესაცები ზოგჯერ კი „ჭერის“ ნახვრეტში ნახშირს ჩაყრიან, რომ ურმისი მიმდევა თვალივით ჭრიალებდეს.

## ო ხ ო ი ნ ა ნ ა

მონაწილეობს 15-მდე ვაჟი 7 წლის ასაკიდან.

ქამრებში ხელის ჩავლებით მონაწილენი ერთიმეორეს მოებმებიან. წინა მოთამაშე მეთაურია და ხელში უჭირავს ლახტი. მეთაური უკან მობმულ მოთამაშეებს ზიგზაგისებურად ატარებს და გზა-კვალს უბნეეს, რომ როგორმე მწკრივიდნ მოუწყვეტლად შემოუტრიალდეს, მისწვდეს მათ და ფეხებზე ლახტი მიარტყას. მეთაური, როცა მოესურვება, იძახის: „ოხოინანა“, დანარჩენები ერთბაშად უპასუხებენ: „ოხოინანინა“. როცა მოისურვებენ, მეთაურს გამოცვლიან.

## ო ჩ ა ფ ე ხ ა

მონაწილეობენ გოგონები და ვაჟები 10 წლის ასაკიდან.

მონაწილენი დაამზადებენ თანაბარი სიმაღლის ოჩაფეხებს. ოჩაფეხებით დადგებიან ხაზზე და გათვლაზე („ერთი, ორი, სამი!“) იწყებენ ოჩაფეხებით სირბილს. რომელიც დანიშნულ ადგილზე მიასწრებს — გამარჯვებულია.

## რიპაობა, რიპ-ტაფელა, ტაფარიპაობა

რიკაობის ამა თუ იმ ვარიანტში მონაწილეობს 2-დან 10-მდე მოთამაშე, უმთავრესად ვაჟები 12 წლის ასაკიდან.

რიკაობის თითქმის ყველა ვარიანტისათვის თამაშის აზგი-  
ლი უნდა იყოს ვრცელი და თავისუფალი.

თამაშისათვის ძირითადად საჭიროა ორი ჭოხი: „რიკი“ და  
„ტაფელა“ („ტაფა“). რიკის სიგრძე დაახლოებით 1,5 მტკავე-  
ლია, ტაფელასი კი — 3-4 მტკაველი, სიმსხო, როგორც ერ-  
თისა, ისე მეორის, დამკიდებულია მოთამაშეთა ასაკზე, და  
დიამეტრით შეიძლება აღწევდეს 15-დან 20-30 მმ-მდე. სი-  
მაგრისათვის რიკი და ტაფელა უმჯობესია დამზადდეს შინდის  
ან თხილის ხმელი ტოტებისაგან, გარდა რიკისა და ტაფელისა,  
ხშირად გამოყენებულია ქვა, ხის საყე, ფიცრის ნაჭერი და  
ა. შ. რიკაობა საჭარველოში ძველთაგანვე ცნობილი ხალხუ-  
რი საბავშვო თამაშობაა, მაგრამ მას ზოგჯერ უფროსებიც თა-  
მაშობდნენ და ახლაც თამაშობენ.

### ა) ორმოსთან, პოლითან

1. თამაშისათვის საჭიროა რიკი და ტაფელა. მოთამაშენი  
მოედნის ერთ თავში ამოთხრიან დაახლოებით 1 მტკაველი  
დამეტრის ორმოს, „არჩევან-არადანის“ მიხედვით გაიყოფიან  
ორ ჭგუფად და ყრიან კენჭს.

თამაშის დამწყები ჭგუფის რომელიმე მოთამაშე დადგება  
ორმოსთან და ტაფელას (ტაფას) ისე დაიჭერს მუჭში, ანუ  
მჯილში, რომ მისი თავი 2-3 თითის დადებაზე მოექცეს მჯილის  
ზემოთ. რიკს ტაფის თავს უკან, მჯილზევე, დაიდებს გარდი-  
გარდმო (განივალ), აიქნევს ამ ხელს, რიკს ჰაერში აისვრის და  
ტაფის ქვემოდან ამოკვრით გასტყორცნის მოედნისაკენ.

რიკის ამგვარ გაკვრას „მჯილური“ ანუ „მუშტური“ გაკვრა  
ეწოდება.

მოწინააღმდეგენი რიკს დახვდებიან და, სადაც შეაჩერე-

ბენ, იქიდანვე დაუმიზნებენ და ესვრიან ორმოს. რიკის გამკვრელი მოთამაშე ამ დროს დგას ორმოსთან, ხელში ტაფქაველი უჭირავს და ცდილობს რიკის მოგერიებას, უკეთეს შემთხვევაში — მის შორს გატყორცნას. თუ ეს მოახერხა, მანძილს ორმოდან რიკამდე გადაზომავს ტაფით. რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა დაეწერება (ჩაეთვლება) და რიკსაც ხელახლა გაჰკრავს. მაგრამ, თუ მოპირდაპირე ჯგუფის მოთამაშეთაგან ორმოსაკენ ნასროლი რიკი ისე დაეცა, რომ ორმომდე მანძილი ერთი ტაფის სიგრძეზე ნაკლებია, მაშინ გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია და მის მაგიერ რიკი უნდა გაჰკრას მისი ჯგუფის სხვა მოთამაშემ. მოთამაშეთა მიერ დაგროვებული ქულები ერთიმეორეს ემატება. როცა ამ ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება, თამაშს იწყებენ მოწინააღმდეგენი.

რომელი ჯგუფიც უფრო ადრე შეასრულებს წინასწარ დათქმულ ქულათა რაოდენობას (100, 200 და ა. შ.) — გამარჯვებულია და შეუძლიათ თამაში თავიდან დაიწყონ.

**2.** მოთამაშე ამ ვარიანტში რიკს გადებს ორმოზე და ტაფის ამოკვრით მაღლა აისვრის, შემდეგ ტაფითვე გაჰკრავს<sup>1</sup>. თუ მოწინააღმდეგენი რიკს ჰაერში დაიჭერენ — გამკვრელი მოთამაშე „ჩამწვარია“ და მისი ჯგუფის მიერ შეგროვებული ქულები მოწინააღმდეგეთა კუთვნილებაში გადაღის. თუ რიკ მიწაზე დაცემას მოასწრებს — ესვრიან ორმოს. გამკვრელი მოთამაშე ამ დროს ორმოსთან დგას და ტაფით იგერიებს რიკს („უჩხრექს“), რომ ორმოს ააცილოს. თამაშის დანარჩენი წესები ივივეა, რაც წინა ვარიანტში. რომელი ჯგუფიც უფრო მაღლე „შეათავებს“ წინასწარ დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

<sup>1</sup> რიკის ასეთი გაკვრის საგანგებო სახელწოდება ან შეგვხვედრია.

ერთ-ერთი გამარჯვებულთაგანი რიკს გაპერავს. სადაც რიკი და-  
ვარდება, მოწინააღმდეგებმა გამარჯვებულები იქამდე უნდა — მიიყვანონ ზურგზე მოკიდებული.

3. (ბილა) თამაშისათვის საჭიროა „ტაფა“ და „ბილა“ (იგი-  
ვე რიკი). მოთამაშენი ამოთხრიან პატარა ორმოს და მისგან  
20-30 ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ „ბილას ხაზს“, შემდეგ  
გაიყოფიან ჯგუფებად და ყრიან კენჭს.

რიკის გაკვრა ხდება „მუშტურად“, ანუ „მჯილურად“. თუ  
ამგვარად გაკრული ბილა „ბილას ხაზს“ გადასცდა, ერთ-ერთი  
მოწინააღმდეგთაგანი ბილას დაიდებს ფეხზე და ისვრის ორ-  
მოსაკენ, რომ ბილა ორმოს დაუახლოოს. გამკვრელი მოთამაშე  
დახვდება და თავის მხრივ ცდილობს, რომ რიკს ტაფა შემოჰ-  
კრას და კიდევ უფრო შორს გადააგდოს. მაგრამ, თუ ბილა ბი-  
ლას ხაზს არ გადასცდა, მისი სროლა ხდება ჩვეულებრივად.  
გამკვრელი მოთამაშე ტაფას დადებს ორმოს წინ, გარდიგარ-  
დმო, მოწინააღმდეგენი კი ესვრიან ბილას, რომ ტაფას მოარ-  
ტყან. თუ მოხვდა, გამკვრელი ჩაჭრილია, თუ არადა, გამკვრელი  
ბილას თავს დაადებინებს პატარა ქვაზე და ტაფის დარ-  
ტყმით არეკნის, შემოჰკრას ტაფის და გასტყორცნის რაც შე-  
იძლება შორს. საამისოდ ეძლევა სამი ცდა. თუ პირველივე ცდა-  
ზე გაპერა, მანძილი ორმოდან ბილას დაცემის ადგილამდე იზო-  
მება ფეხის ტერფებით და ქულები ეთვლება ორმაგად, ხოლო  
თუ მეორე ან მესამე ცდით გაპერა — იზომება ნაბიჯებით და  
ეთვლება ჩვეულებრივად. ვინც მალე შეასრულებს ქულათა  
წინასწარ დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

4. კიბირობა. თამაშისათვის საჭიროა ორი მტკაველი სიგ-  
რძის „კიბირი“ (რიკი), აგრეთვე ყველა მოთამაშეს უნდა პქონ-  
დეს ტაფები (ჯოხები).

მოთამაშენი მოედნის შუაგულში ამოთხრიან ორმოს, ანუ

”ქოდს“ (შიგ ქუსლი უნდა იტეოდეს). იყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისცრით ერთ-ერთი გუნდი იწყებს თამაშს. დამწყებრი მოთამაშე დგება ქოდთან. მუჭში იჭერს ტაფას ისე, რომ ტაფის მცირე ნაწილი დარჩეს მუჭის ზემოთ. „კიბრი“ ანუ რიკი იდება მუჭზე, ტაფის წინ, გარდიგარდმო. მოთამაშე რიკს ხელის აქნევით მაღლა აისვრის, ქვემოდან ტაფას ამოჰკრავს და გადაისვრის, რაც შეიძლება შორს.<sup>1</sup> მოწინააღმდეგენი რიკს ჭოხებით უხვდებიან, რომ „დაკეპვონ“. ე. ი. ჭოხი მოარტყან და უკან დააბრუნონ. უკან დაბრუნებული რიკი თუ კოდს გადასცდა, გამკვრელი მოთამაშე „ჩაჭრილად ითვლება. თუ რიკი კოდს ვერ გადასცდა და კოდამდე რაიმე მანძილი დარჩა, მაშინ რიკს მისი დავარდნის ადგილიდან კოდისაკენ სამჯერ გადაზომავენ და იქვე გარდიგარდმო დადებენ. გამოიქცევა „მკეკვავი“, დაპკრავს რიკთან ფეხს და სამჯერ გადახტება კოდისაკენ. თუ მესამეჯერ გადახტომისას ფეხის ქუსლს კოდში ჩაჭრავს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, ხოლო, თუ ვერა, გამკვრელმა ხელახლა უნდა გაპკრას რიკს.

თუ, საერთოდ, ვერ „დაკეპვავენ“, მაშინ რიკს უსვრიან კოდს. ამ შემთხვევაში გამკვრელი ცდილობს ჭოხით რიკის მოგერიებას. თუ რიკს ჭოხი მოარტყა და გადააგდო, რამდენი ნაბიჯიც რიკამდე-გამოვა, იმდენი ქულა ეთვლება, ხოლო თუ რიკი ისე ახლო დაეცა კოდთან, რომ კოდსა და რიკს შორის ტაფა არ ჩაეტია, გამკვრელი „ჩაჭრილია“.

როდესაც ერთი ჭგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება, რიკის გაკვრას მოწინააღმდეგენი იწყებენ.

რომელი ჭგუფიც უფრო ადრე შეასრულებს წინასწარ დათქმულ ქულათა რიცხვს, მოგებულია.

<sup>1</sup> რიკის ასეთ გაკვრას „მუჭა“ ეწოდება.

**5. კოლოფობანა (კოდობანა).** თამაშისათვის საჭიროა ტრიკეტი, ანუ „მუჭა“ („დიდი რიყი“) 4-5 მტკაველი სიგრძისა, და თუ სიგრძით 2 რიდა.

მოთამაშენი ამოთხრიან ისეთი ზომის ორმოს („კოდს“), რომ შიგ მოთამაშის მუშტი ან ფეხის ქუსლი ჩაეტიოს, შემდეგ მოთამაშენი ნაწილდებიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შემდეგ ერთ-ერთი ჯგუფი იწყებს თამაშს. ამ ჯგუფის რომელიმე მოთამაშე დადგება კოდთან, ცალ ხელში იჭერს რიყს, მეორეში — ტაფას. რიყს აისტრიბს და გაპკრავს ტაფით, რაც შეიძლება შორს<sup>1</sup>. მოწინააღმდეგენი ცდილობენ რიყი ჰაერშივე დაიჭირონ. თუ დაიჭერენ, მოთამაშე, რომელმაც რიყი გაპკრა, ჩაჭრილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპირდაპირენი რიყს იმ ადგილიდან ესვრიან კოდს, საღაც მას შეაჩერებენ, ამ დროს რიყის გამკვრელი მოთამაშე დგას კოდთან და ტაფით ცდილობს რიყის აცილებას; თუ რიყი ტაფის მორტყმით გაღადაგდო, მანძილი კოდიდან რიყმდე იზომება ტაფით ან ნაბიჯებით. მიღებული რიცხვი ქულათა ოდენობას იძლევა. თუ რიყი კოდთან ისე ახლოს დაეცა, რომ ტაფის სიგრძეზე ნაკლები გამოღვა, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია. როცა ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება, მდგრმარეობა იცვლება და რიყს გაპკრავენ მეორე ჯგუფის მოთამაშენი. ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ერთი ჯგუფის მოთამაშენი არ შეასრულებენ „ფორსას“, ე. ი. წინასწარ დათქმულ რიცხვს ( მაგ. 100 და ა. შ.), რის შემდეგ თამაში მოგებულია და შეუძლიათ ახალი „ფორა“ დაიწყონ.

ჰაერში დაჭერის დროს მოთამაშემ რიყი არ უნდა მიიკაროს ტანჩე (ტანსაცმელზე), თორემ ასე დაჭერა არ ჩაითვლება.

**6. მიღი (ლაზური რიყაობა).** თამაშისათვის საჭიროა:

<sup>1</sup> რიყის ასეთ გაკვრას „ზრიბინა“ ეწოდება

- „მილი“, ანუ რიკი, დაახლოებით ერთი მტკაველი სიგრძისა, რომელსაც ორივე ბოლო იტიბად აქვს წათლილი, რაც აადვი-ლებს „ტაფის“ დაკვრით რიკის ჰაერში აგდებას (არეკას);
- „დოდუმალუ“, ანუ ჭოხი („სახრე“), სიგრძით ორი მტკავე-ლი.
- „გოწაჩამუ ბიგა“, ანუ „ტაფა“, სიგრძით ოთხი მტკავე-ლი.
- „ეწამალუ“ — სამ მტკაველამდე სიგრძის ჭოხი; რომელ-საც ერთი ბოლო 2-3 თითის დადებაზე რკალისებურად აქვს აშოთლილი.

მოთამაშენი განაწილდებიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შემ-დეგ ერთ ჯგუფს თამაშის დაწყება მოუწევს. ამ ჯგუფის მოთა-მაშენი თამაშის აღგილზე ამოთხრიან პატარა ორმოს, დამწყები მოთამაშე ორმოს თავზე გასდებს რიკს, ხოლო მის გვერდით ჭოხს („დოდუმალეს“) დადებს. რიკი და ჭოხი სათამაშო მოედ-ნის მიმართ გარდიგარდმოდ უნდა დაიდოს. დამწყები მოთამაშე ქვემოდან ჭოხის („ეწამალუს“) ამოკვრით (ამოკვრავს რკალის-ებურად ამოთლილი ბოლოთი) რიკს შორს გადაისვრის (გაუკ-ვრელად).

თუ რიკი მოპირდაპირეებმა მიწაზე დაცემამდე დაიჭირეს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, ხოლო, თუ მიწაზე დაცემისა და ახტომის ღროს დაიჭირეს, ძლიერად გაისცრიან ჭოხისაკენ, რომ მას დიღზე გადააცილონ. თუ ეს შეძლეს, გამკვრელი მო-თამაშე ჩაჭრილია. როდესაც რიკი ჭოხს საკმაოდ არ გადასცდე-ბა, გამკვრელ მოთამაშეს უფლება აქვს ჭოხთან დადგეს, გა-დაახტეს და თუ რიკთან დახტა, ჩაჭრილი აღარაა.

ამ შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა ჭოხის ამოკვრით ნასროლი რიკი მოწინააღმდეგეების მხარეზე დაცემასა და გა-ჩერებას მოასწრებს, დამწყებ (გამკვრელ) მოთამაშეს უფლება აქვს, რიკი ორმოს ახლოს დააგდოს, ერთ-ერთ ბოლოზე ტაფა

დაჭერას; არეკნოს და ტაფისავე შემოგვრით შორს გასტყობ-  
ცნოს. საამისოდ მას სამი ცდა ეძლევა.

თუ ამგვარად გატყორცნილი რიკი მოწინააღმდეგებს ცეცხ-  
ლაიჭირეს, დამწყებ გუნდს ეთვლება ერთი „ხელი“. მაგრამ თუ  
მოწინააღმდეგებმა რიკი მიწაზე დაცემამდე, ან დაცემისა და  
ახტომის დროს დაიჭირეს, უფლება აქვთ, რიკი ჯოხს ესროლონ,  
რის დროსაც გამკვრელი მოთამაშე ტაფით დგას ჯოხთან და  
„იცვს“ მას. თუ რიკი ჯოხთან ისე ახლოს დაეცა, რომ მასა და  
ჯოხს შორის ტაფა არ ჩაეტია, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია,  
თუ არა, ეს „ხელი“ ეთვლება და თამაშს თავიდან დაიწყებს. ასე  
გაგრძელდება თამაში, ვიღრე გუნდი ხუთ „ხელს“ არ შეასრუ-  
ლებს.

თუკი არ ჩაიჭრება, ერთ მოთამაშეს შეუძლია ხუთივე „ხე-  
ლის“ შესრულება. ხუთი ხელის შესრულების შემდეგ, მოთამა-  
შე ტაფას ისე დაიჭერს მუჭში, რომ დიდი ნაწილი ზევით მოექ-  
ცეს, ხოლო რიკს გარდიგარდონ დაიდებს მუჭზე, ხელის აქნე-  
ვით აისვრის და ტაფით გაპერავს. ამას „იუ“ ეწოდება. თუ  
მოწინააღმდეგებმა რიკი მიწაზე დაცემამდე ან მიწაზე დაცემი-  
სა და ახტომის დროს დაიჭირეს, ჯოხს ესვრიან, თუ ამ დროს  
გამკვრელმა ტაფა დაუხვედრა და რიკი უკან დააბრუნა, „იუ“  
შესრულებულად ითვლება, ხოლო თუ რიკი ჯოხთან ისე ახლოს  
დაეცა, რომ მასა და ჯოხს შორის ტაფა არ ჩაეტია, გამკვრელი  
მოთამაშე ჩაჭრილია.

„იუ“-ს შემდეგ, ზემომოყვანილი წესების დაცვით, კიდევ  
ერთი ხელი უნდა შესრულდეს, რასაც მოპყვება „ქანქა“. „ქან-  
ქა“ იმგვარადვე სრულდება, როგორც „იუ“, მხოლოდ გამკვრე-  
ლმა ტაფა ისე უნდა დაიჭიროს ხელში, რომ მუჭის ზემოთ  
მცირე ნაწილი დარჩეს. „ქანქას“ შემდეგ კიდევ უნდა შესრულ-  
დეს ერთი „ხელი“ და ამით მოთავდება ერთი „კირილი“.

„კიკილის“ შესრულების შემდეგ თამაშის გაგრძელების უფლება აქვს მხოლოდ იმ მოთამაშეს, რომელმაც „კიკილი“ მოაწერა თავა, მისი ჯგუფის დანარჩენი მოთამაშენი მის „ლეკვებრზე“ ითვლებიან და თამაშის უფლება არა აქვთ, ვიდრე „კიკილის“ შემსრულებელი ახალი კიკილის სამ ხელს არ მოათავებს, რის შემდეგ ლეკვები „ცოცხლდებიან“.

ერთი მხარის მიერ „კიკილის“ შესრულების შემდეგ მოწინააღმდეგებს მათ მიერ შესრულებული ყველა „ხელი“ ეკარგებათ („ჩაეშლებათ“), ხოლო, თუ ამის შემდეგ დაწყებული თამაშის შედეგად მანამდე შეასრულეს „კიკილი“, ვიდრე „კიკილის“ პირველად შემსრულებელი ახალი „კიკილის“ სამ ხელს მოათავებდეს, მაშინ ამ უკანასკნელის „ლეკვები“ ცოცხლდებიან და თამაშში ებმებიან.

რომელი მხარეც მეტ „კიკილის“ შეასრულებს, გამარჯვებულია.

#### 7. რიკ-ტაფელა. თამაშისათვის საჭიროა ტაფა და რიკი.

მონაწილენი ამოთხრიან პატარა ორმოს და მის გარშემო შემოხაზავენ სამი-ოთხი ნაბიჯის სიგრძე-სიგანის ოთხკუთხედს. რის შემდეგ განაწილდებიან ჯგუფებად და ყრიან კენჭს.

დამწყებრივ მოთამაშე დადგება ორმოსთან და რიკს ნებისმიერად გაჭერავს მოწინააღმდეგებისაკენ რაც შეიძლება შორს.

მოწინააღმდეგებმა რიკი უნდა ისროლონ იმ აღვილიდან, სადაც მას შეახერებენ, და სცადონ ოთხკუთხედში ჩაგდონ. ამ დროს რიკის გამკვრელი მოთამაშე დგას ოთხკუთხედში და ცდილობს, ნასროლი რიკის ტაფით მოგერიებას, მოგერიების შემთხვევაში მანძილს ოთხკუთხედიდან რიკამდე გადაზომავს ტაფით, რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა ეთვლება. გაკრული რიკის ჰაერში დაჭერის ან რიკის ოთხკუთხედში ჩაგდების შემ-

თხვევაში გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია და მის მაგიერ თა-  
მაშს იწყებს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე.

როცა ყველა ჩაჭრება, თამაშს მოწინააღმდეგენი იწყებენ  
რომელი ჯგუფიც უფრო ადრე შეასრულებს წინასწარ დათქმულ  
რიცხვს, გამარჯვებულია.

8. **ფუცაბილა,** მიწის ბილა. თამაშისათვის საჭიროა ბილა,  
ანუ რიყი და ჯოხები (ტაფები). თამაშის ადგილზე გაავლებენ  
ხაზს (ან ნიშნად დადებენ რაიმე საგანს). მისგან 10-მდე ნაბიჯზე  
ამოთხრიან მოგრძო ორმოს, რომლის სიგრძე რიკის სიგრძეზე  
ერთი-ორი თითის დადებით ნაკლები უნდა იყოს. ორმოს ერთი  
ბოლო, რომელიც ხაზის საწინააღმდეგო მხარესაა მიქცეული,  
შედარებით ღრმა და განიერია (დაახლოებით ფეხის ქუსლი  
რომ ჩაეტევა), ხოლო მეორე ვიწროა და სილრმითაც ნაკლებია.  
ასე, რომ ორმოში ჩადებული რიკის ხაზისაკენ მიქცეული ბო-  
ლო ოდნავ ორმოს ზემოთ დარჩება.

ამის შემდეგ ერთ-ერთი მოთამაშე დანარჩენებს ანაწილებს  
ჯგუფებად, რის შემდეგ ხდება კენჭისყრა.

დამწყები ჯგუფის ერთ-ერთი მოთამაშე დგება ორმოსთან,  
მოწინააღმდეგენი კი ნიშანს იქით ჩასაფრდებიან ჯოხებით.

დამწყები მოთამაშე რიკს ორმოზე გარდიგარდმო დადებს  
და მას ქვემოდან ჯოხის ამოკვრით მაღლა ააგდებს, რომ ჯოხი-  
საკე შემოკვრით ხაზს გადააცილოს.

ხაზის იქით მდგომი მოპირდაპირენი რიკს უხვდებიან ჯოხე-  
ბით და ცდილობენ რიკი შემოკვრითვე უკან დააბრუნონ.

თუ დამწყებმა მოთამაშემ რიკი ხაზს ვერ გადააცილა, ან  
ხაზს გადაცილებული რიკი მოწინააღმდეგებმა ჰაერში ჯოხე-  
ბის გარტყმითვე ისევ ხაზს აქეთ გადმოაგდეს, გამკვრელი მო-  
თამაშე ჩაჭრილია და მის ადგილს იჭერს მისი ჯგუფის სხვა მო-  
თამაშე, ხოლო თუ რიკი ხაზს გადასცდა, მაშინ გამკვრელი

ჭოხს გარდიგარდმო დადებს ორმოზე, მას მოწინააღმდეგენი რიკს ესვრიან იმ ადგილიდან, სადაც შეაჩერეს. თუ რიკი მოხვდა ჭოხს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, თუ არა — გამკვრელი რიკს ჩადებს ორმოში და ორმოდან ამოყოფილ ბოლოზე დაპკრავს ჭოხს, რომ რიკი მაღლა ავარდეს, რის შემდეგაც გაპკრავს ჭოხითვე. ეს შეუძლია გაიმეოროს სამჯერ. თუ ერთ-ერთი ცდის შედეგად რიკი ხაზს გადასცდა, მაშინ გამკვრელებს მოპირდაპირენი მოიკიდებენ ზურგზე და ხაზიდან ორმომდე მიიყვანენ, ხოლო თამაშს იგივე მოთამაშე თავიდან დაიწყებს. მაგრამ თუ მოთამაშემ რიკი სამი ცდითაც ვერ გადააცილა ხაზს, ჩაჭრილია და თამაშს აგრძელებს მისი ჯგუფის სხვა მოთაშიშე. როდესაც ყველა ჩაიჭრება, ორმოსთან დგებიან მოპირდაპირენი.

### ბ) ორმხრივი

**1. კიბირობა (ხის ბურთით).** ამ სახის რიკაობა დიდად განსხვავდება დანარჩენებისაგან.

თამაშისათვის საჭიროა: 1. „რიკი“ („კიბირი“) — ხის ბურთი. კაცის მუშტზე ღილი. 2. „მიჯნა“ („საყე“) — ბრტყელი ქვა სიგრძით 1,5-2 მტკაველი, სიგანით 1 — 1,5 მტკაველი. 3. ჭოხები („ტაფუნები“) — სიგრძით 5-6 მტკაველი. ტაფუნა უნდა ჰქონდეს ყოველ მოთამაშეს.

მოთამაშენი მიჯნას, ანუ საყეს დადგამენ მოედნის შუაგულში და მის ძირში აქეთ-იქით ამოთხრიან პატარა ორმოებს. ამის შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შედეგად ერთ-ერთ ჯგუფს შეხვდება თამაშის დაწყება. ჯგუფები ჯოხებით დადგებიან მიჯნის ანუ საყის აქეთ-იქით ოც-ოც ნაბიჯზე. დამწყები ჯგუფის რომელიმე მოთამაშე ბურთს ხელით გადაისვრის მო-

წინააღმდეგებისაკენ, ეს უკანასკნელის ბურთს შეაჩერებენ ჯოხებით და ხელით ესვრიან მიჯნას (საყეს). თუ ააცილეს, ტურ-  
თი ინერციით დაბრუნდება თამაშის დამწყები გუნდის მოქმ-  
ანზე, ესენი თავის მხრივ ჯოხებით შეაჩერებენ ბურთს და ხე-  
ლითვე ესვრიან მიჯნას (საყეს) და ა. შ. ბურთს ესვრიან შეჩე-  
რების ადგილიდან.

თუ ბურთი მიჯნას მოხვდა, ბურთის მომრტყმელები მოწინააღმდეგებს მიჯნის (საყის) ძირას ამოთხრილ ორმოში ჩაუდებენ პატარა ქვას, ანუ „კვერცხს“. ხოლო თამაშს თვითონ დაიწყებენ. ასე ხდება ბურთის ყოველი მორტყმის შემდეგ. რომელი ჯგუფიც მეტ „კვერცხს“ ჩაუდებს მოწინააღმდეგებს, გამარჯვებულია.

2. (ოთხი ქვით). მოწინააღმდეგენი იყოფიან ორ ჯგუფად. ჯგუფები ერთიმეორისაგან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით დადგებიან. თითოეული ჯგუფი თავის მხარეზე დებს ორ ქვას, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია სამი-ოთხი ნაბიჯით (დამოკიდებულია მოთამაშეთა რიცხვზე).

დამწყები ჯგუფის ერთ-ერთი მოთამაშე დადგება ქვებს შორის და ეცდება რიკი ისე გაჰქრას, რომ მან მოწინააღმდეგეთა ქვებს შორის „გაიაროს“. მოწინააღმდეგენი რიკს დახვდებიან ტაფელებით და ცდილობენ დააბრუნონ უკან, რომ პირიქით, გამკვრელების ქვებს შორის „გაატარონ“. გამკვრელებიც თავიანთი ტაფელებით ხვდებიან უკან დაბრუნებულ რიკს და ა. შ.

თუ დამწყები მოთამაშის მიერ გაკრულმა რიკმა მოწინააღმდეგების ქვებამდე ვერ მიაღწია, ან ასცდა მათ, ანდა უკან დაბრუნებულმა რიკმა გამკვრელთა ქვებს შორის გაიარა, რიკს მოწინააღმდეგები გაჰქრავენ, მაგრამ თუ დამწყები მოთამაშის მიერ გაკრულმა რიკმა მოწინააღმდეგეთა ქვებს შორის გაიარა,

ან მოწინააღმდეგეთა მიერ უკან დაბრუნებულმა რიკმა გამ-  
კვრელთა ქვებამდე ვერ მიაღწია, ანდა ამ ქვებს ასცდა — რეკონსტრუქ-  
გაპკრავენ ისევ თამაშის დამწყებნი. თითოეული ჯგუფის მოთა-  
მაშენი რიკი გაპკრავენ რიგრიგობით. მოწინააღმდეგეთა ქვებს  
შორის რიკის გატარება იძლევა ერთ ქულას. რომელი ჯგუფიც  
მეტ ქულებს შეაგროვებს — გამარჯვებულია.

3. **ტაფელაობა (ჰორა).** მოედნის შუაგულში მოთამაშენი  
ჩასობენ ერთი მტკაველი სიგრძისა და ერთი ციდა სიგანის  
„პალოს“ (სქელი ფიცრის წვერწათლილ ნაკერს), რომელსაც  
თავი სწორად უნდა ჰქონდეს გადაჭრილი. პალოზე განდაგან  
„დაიდგმება“ ორ ციდამდე სიგრძისა და ერთი ციდა სიგანის  
ფიცარი (ჰორა). უმჯობესია რიკი ყველა მოთამაშეს ჰქონდეს.  
პალოდან ორივე მხარეზე გადაზომავენ თანაბარ მანძილებს და  
მონიშნავენ ხაზებით ან რაიმე საგნებით. შემდეგ გაიყოფიან  
ორ ჯგუფად, დადგებიან მონიშნულ ადგილებზე და ფიცარს  
(ჰორას) რიგრიგობით ესვრიან რიკებს. ვინც კორას ჩამოაგ-  
დებს, მის ჯგუფს ეწერება ათი ფორა, კორას კი თავის ადგილზე  
დადგამენ მოწინააღმდეგენი. რომელი ჯგუფიც აღრე შეასრუ-  
ლებს ფორების წინასწარ დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

4. **თუ** სათამაშო ადგილი ვრცელი არაა, „პალოს“ ჩასობენ  
მოედნის ერთ მხარეზე, ჯგუფები კი დადგებიან მის მეორე  
მხარეზე, ერთიმეორის გვერდით. რიკების მაგიერ შეიძლება  
სალების გამოყენებაც.

თამაშის დანარჩენი წესები იგივეა.

5. **ქუცაბილა.** თამაშისათვის საჭიროა რიკი („ბილა“), გარ-  
და ამისა, ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ჯოხი.

მონაწილენი გაიყოფიან ორ ჯგუფად, მოედნის შუაზე  
გაატარებენ „ნიშანს“ (ხაზს). და დადგებიან აქეთ-იქით ათ-ათ  
ნაბიჯზე. შემდეგ ერთ-ერთი ჯგუფის რომელიმე მოთამაშე

რიკს დაიჭერს ხელში და ესვრის („გაუქნევს“) მოწინააღმდევ-  
გებს. ეს უკანასკნელი რიკს დახვდებიან და თუ ჯოხო მოზრ-  
ტყეს, ეწერებათ ერთი ქულა. თუ რიკი ჯოხის მორტყმება—უკნე-  
დაბრუნდა და ნიშანს გადასცდა, მაშინ მას ისვრის ისევ თამა-  
შის დამწყები. ხოლო თუ რიკი ნიშანს არ გადასცდა, იგი ჯოხის  
მომრტყმელმა უნდა ესროლოს თამაშის დამწყებთ. თუ დამხვ-  
დურებმა რიკს საერთოდ ვერ მოარტყეს ჯოხები, მაშინაც  
თვითონ ისვრიან რიკს. რიკი ყოველთვის მაღლა უნდა ისრო-  
ლონ, წინააღმდევ შემთხვევაში, ხელახლა ასროლინებენ.  
გამარჯვებულია ის მხარე, რომელიც უფრო ადრე შეასრულებს  
ქულათა წინასწარ დათქმულ რიცხვს.

### გ) ორგვაობა

**1. კუდარიკაობა.** თამაშისათვის საჭიროა ორი მოზრდილი  
ქვა, ტაფელა და რიკი, რომელსაც ბოლოები ირიბად აქვს წა-  
თლილი ტაფელის დასაკვრელად. ქვები ერთიმეორის უკან  
უნდა დალაგდეს და ზედ რიკი დაიდოს. მოთამაშენი იყოფიან  
ორ გვუფად, ყრიან კენჭს. გამკვრელი მოთამაშე დგება ქვებთან.  
იგი ცალ ხელში დაიჭერს ტაფას და ფეხებს შორის გაიტარებს  
უკანა მხრიდან, ტაფის აკვრით რიკს ააგდებს მაღლა, ტაფიან  
ხელს უკანვე გაატარებს და რიკს ლონივრად გაპკრავს.<sup>1</sup>

თუ რიკი მიწაზე შემთხვევით წვერით დაესო, მოთამაშემ  
უნდა მოასწროს „ილი მე“-ს დაძახება, რის შემდეგ უფლება  
ეძლევა რიკი იქვე, დაცემის ადგილზევე „დასვას“, დაჰკრას  
ტაფა „ცერზე“ (ირიბად წათლილ ბოლოზე), არეკნოს და

<sup>1</sup> ამგვარი გაქვრის შესაბამისი სახელწოდება არ შეგვხვედრია. შეიძლება პირობით ვუწოდოთ „ფეხებშუა გამოტარებით გაკვრა“.

გაპკრას ხელმეორედ; მაგრამ, თუ მოწინააღმდეგემ დაასწრო  
„ილი მე“-ს დაძახება, მაშინ რიკი ხელახლად უნდა გაპკრას.

— გაკრულ რიკს ორივე შემთხვევაში ხვდებიან მოწინააღმდე-  
გენი და თუ ჰაერშივე (ძირს დავარდნამდე) დაიჭერენ — გამ-  
კვრელი მოთამაშე ჩაჭრილია. თუ რიკი ჰაერში დაჭერამდე  
რაიმეს მოხვდა, „გაცივებულია“ და მისი დაჭერა აღარ ითვლე-  
ბა.

გაკვრის შემდეგ გამკვრელი ტაფას მიწაზე დადებს, ქვებს  
შორის, გარდიგარდმო.

მოწინააღმდეგენი რიკს ისვრიან მისი შეჩერების ადგილი-  
დან. თუ რიკი ტაფას მოხვდა — გამკვრელი ჩაჭრილია, თუ ამ  
მოხვდა, — გამკვრელები უკანა ქვას მოუდებენ პატარა ქვას  
ან კუნძუს, ეს არის „კუდი“. კუდს კუდი „მოებმება“ ყოველი  
აცილების შემდეგ.

როცა გუნდების მდგომარეობა შეიცვლება და გაკვრას  
მოწინააღმდეგენი დაიწყებენ, ისინი მოპირდაპირეთა მიერ  
რიკის ყოველი აცილების შემდეგ „მოიხსნიან“ ერთ კუდს და,  
თუ ყველა კუდს ასე „მოიშორებენ“, მაშინ პირიქით, იწყებენ  
მოპირდაპირეთათვის „კუდის მობმას“. თამაშის დამთავრები-  
სას, რომელი ჯგუფებისაგანაც მობმული კუდები დარჩება,  
გამარჯვებულია.

2. ქვები იმგვარადვე ლაგდება, მხოლოდ გაკვრა ხდება  
წვეულებრივად, ტაფის ფეხებშუა გატარების გარეშე. გამკვრე-  
ლი გაპკრავს თუ არა რიკს, თან უნდა გაპკრეს და, თუ რიკი  
ცერზე დადგა — „დაუწვერებს“, ე. ი. ტაფას დაპკრავს რიკის  
აყირავებულ თავს, არეკნის და გაპკრავს ხელმეორედ. „დაწვე-  
რება“ შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

მოწინააღმდეგენი რიკს მისი შეჩერების ადგილიდან ესვრი-  
ან ქვებშუა დადებულ ტაფას, თუ ასცდა, გამკვრელი რიკს

დადებს ძირს, ქვებთან ახლოს, დაპკრავს ტაფას, არეკინის  
ჰაერში და გაპკრავს. თუ რიყი ცერზე დაღვა, კვლავ შეუძლია  
დაწვერება. დაწვერება ახლაც ორჯერ შეიძლება.

რიყის საბოლოო შეჩერების ადგილიდან ქვებამდე მანძილი  
გადაიზომება ტაფით — რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა  
ეთვლება გამკვრელს. რომელი ჯგუფიც მეტ ქულას დააგრო-  
ვებს, გამარჯვებულია. დანარჩენი წესები ისეთივეა, როგორიც  
პირველ ვარიანტში.

3. თამაშის ძირითადი წესები იგივეა, მხოლოდ გაკვრის  
შემდეგ ტაფა იდება არა ქვებს შორის, არამედ ქვებზე, და  
რადგანაც ქვები ერთიმეორისაგან რიყის ზომაზეა დაშორებუ-  
ლი, ტაფას აქეთ-იქით ექნება თავები გადაშვერილი. თუ  
ამგვარად დადებულ ტაფას რიყი ასცდა, მანძილს ქვებიდან  
რიყის დაცემის ადგილამდე გადაზომავენ ტაფით, რამდენი  
ათეულიც გამოვა, მოწინააღმდეგებს იმდენი კუდი „მოებმე-  
ბა“ (კენჭი დაედება).

4. ორქვაობა. ერთიმეორის გვერდით დადებენ ორ ქვას.  
რიყი გაიდება ქვებზე, გამკვრელი რიყს ტაფით მაღლა აისვრის  
და გაპკრავს. შემდეგ ტაფას ქვებს შორის დადებს მიწაზე. ამ-  
რიგად, ტაფის მიმართულება მოედნის სიგრძის მიმართულების  
შესაბამისი იქნება. მოწინააღმდეგენი ასე დადებულ ტაფას თუ  
რიყს მოახვედრებენ, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია. აცილე-  
ბის შემთხვევაში გამკვრელი რიყს დადებს (თავს დაადებინებს)  
პატარა ქვაზე, ტაფის დაკვრით არეჭნის და გაპკრავს, ხოლო  
მანძილს რიყამდე გადაზომავს ტაფით. რამდენიც გამოვა, იმდე-  
ნი ქულა ეთვლება. ვინც ადრე მოათავებს ქულების წინასწარ  
დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია; ისინი დამარცხებულებმა  
ზურგზე უნდა მოიკიდონ და 10-15 ნაბიჯზე გაატარონ.

5. რიკ-ტაფელა. თამაშისათვის საჭიროა ტაფა, რიყი და ორი

მოზრდილი ქვა. მოთამაშენი ქვებს დაალაგებენ სათამაშო აღგი-  
ლის ერთ თავში იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ქვებზე რეაციული  
კის გადება. ამის შემდეგ ნაწილდებიან ორ ჯგუფად და ყრის კენჭს.

დამწყები ჯგუფის ერთ-ერთი მოთამაშე რიკს დადებს ქვებ-  
ზე, ტაფის ამოკვრით აისვრის მაღლა და ტაფითვე ღონივრად  
გაპკრავს. თუ ჰაერში ასროლილ რიკს ტაფა ააცილა, მოთამაშეს  
უფლება. აქვს ის ხელი, რომელშიც ტაფა უჭირავს, ამოიტაროს  
აწეულ თანამოსახელე ფეხქვეშ და ცდა ამგვარად გაიმეოროს.  
თუ კიდევ ააცილა — „ჩაჭრილია“. გაკრულ რიკს დახვდე-  
ბიან მოწინააღმდეგენი და სადაც გააჩერებენ, იქიდან ესვრი-  
ან ტაფას, რომელსაც გამკვრელი მოთამაშე ქვებზე დადებს. თუ  
რიკი ტაფას მოარტყეს, ან ქვეშ გაუქვრინეს, გამკვრელი მოთა-  
მაშე ჩაჭრილია. აცილების შემთხვევაში გამკვრელი მოთამაშე  
ქვებზე ტაფის მაგიერ დადებს რიკს, ტაფის აკვრით აისვრის  
მაღლა, ტაფითვე გაპკრავს და მანძილს ქვებიდან რიკის დავარ-  
დნის ადგილამდე გადაზომავს ნაბიჯებით (ან ტაფით). რამდენი  
ნაბიჯიც გამოვა, იმდენი ქულა დაეწერებათ. ჩაჭრილი მოთამა-  
შის მაგიერ თამაშს აგრძელებს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე.  
რომელი ჯგუფიც აღრე შეასრულებს დათქმულ რიცხვს, გა-  
მარჯვებულია.

6. ტაფარიკაობა. საჭიროა ტაფა, რიკი, აგრეთვე ერთი  
კაკლისინდენა და ორი მოზრდილი ქვა (ზოგჯერ მოზრდილ  
ქვების ნაცვლად ხმარობენ 3-4 მტკაველი სიგრძის ჯოხს — ის.  
ქვემოთ). მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად და კენჭს  
ყრიან.

დამწყები მოთამაშე რიკს აისვრის და გაპკრავს ტაფით. რიკს  
მოწინააღმდეგენი დაუხვდებიან და, თუ ჰაერში, მიწაზე დაცე-  
მამდე, დაიჭირეს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია. თუ რიკი

მიწაზე დაეცა, მაშინ გამკვრელი ტაფას დადებს ქვებზე, რომ-  
ლებიც მოედნის ერთ თავში ისე უნდა იყოს დალაგებული, უკი-  
მათზე ტაფა გაიდოს. ზოგჯერ ქვების ნაცვლად ჩამოტანა მოწინა-  
მტკაველი სიგრძის ჭოხს და ტაფას მასზე მიაყუდებენ. მოწინა-  
აღმდეგენი ამგვარად დადგმულ ტაფას რიკს იმ ადგილიდან ეს-  
ვრიან, საღაც შეაჩერეს. თუ მოარტყეს, ან ქვეშ გაუძვრინეს,  
რიკის გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია. აცილების შემთხვევაში  
რიკის გამკვრელი რიკს დადებს პატარა ქვაზე ისე, რომ ცალი  
ბოლო ამ ქვას ორი-სამი თოთის დადებაზე გადასცდეს. ამ ბო-  
ლოზე დაპკრავს ტაფას, რიკს არეკნის, გაპკრავს და მანძილს  
ქვებიდან რიკამდე ტაფითვე გადაზომავს. რამდენიც გამოვა, იმ-  
დენი ქულა ეწერება.

თუ პატარა ქვაზე დადებულ რიკს მოთამაშემ დაკვრის  
დროს ტაფა ააცილა, უნდა მოასწროს „ილის“ დაძახება. მაშინ  
გამეორების უფლება ექნება. თუ „ილის“ დაძახება მოწინააღ-  
მდეგეებმა დაასწრეს, ეს მოთამაშე ჩაჭრილად ჩაითვლება.

ზოგჯერ ქვებიდან 40-50 ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ  
ხაზს, რომელსაც „ილის“ ხაზი ეწოდება. თუ პატარა ქვიდან არ-  
ეკნილი და შემდეგ ტაფის შემოკვრით გატყორცნილი რიკი ამ  
ხაზს გადასცდა, მოთამაშე ჩაჭრილად ითვლება. შეიძლება პირ-  
იქითაც — მოთამაშე ჩაჭრილად ჩაითვალოს, თუ რიკი ხაზს  
არ გადასცდა.

ჩაჭრილს სცვლიან მისი ჯგუფის სხვა მოთამაშენი. როცა  
ყველა ჩაიჭრება, რიკს მოწინააღმდეგენი გაპკრავენ.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც უფრო ადრე შეასრუ-  
ლებს წინასწარ დათქმულ ქულათა რიცხვს.

## 1. ქვის საყესთან (ბერა, ნიშანი, მიწნა, საზანი).

1. თამაშისათვის საჭიროა რიყი, ტაფელა და ქვის საყე. სა-  
 ყეს დაღვამენ მოედნის თავში. მოთამაშენი განაწილდებიან ორ  
 ჯგუფად და ყრიან კენჭს. თამაშის დამწყები დაღვება ქვასთან  
 და რიყს ტაფელათი გაპკრავს ნებისმიერად. მოწინააღმდეგენი  
 სადაც შეაჩერებენ რიყს, იქიდან ესვრიან საყეს. გამკვრელი  
 რიყს იგერიებს და თანაც ცდილობს ტაფელის შემოკვრით  
 შორს გატყორცნოს.

თუ რიყი საყეს მოხვდა, გამკვრელი „ჩამწვარია“, ხოლო თუ  
 შორს დაეცა, მანძილს საყედან რიკამდე გადაზომავს ტაფელით.  
 ვთქვათ, გადაიზომა 45 ტაფელა, ეს უდრის 45 ქულას, მაგრამ  
 აქედან გამკვრელი 5 ერთეულს „შეინახავს“, ოთხი ათეულის.  
 მიხედვით კი უფლება ეძლევა რიყის „აკენკვა“ (კენჭვლა) სცა-  
 დოს ოთხერ. რამდენ კენჭვლასაც შესრულებს, მოწინააღმდე-  
 გებს აბამს იმდენ ორ „კუდს“. ამის ნიშანად საყის ძირას ამ-  
 დენივე კენჭს დებს. ხოლო შენახულ ხუთეულს მიუმატებს შემ-  
 დეგ შესრულებულ ქულებს. როცა ამ გუნდის ყველა მოთამა-  
 შე ჩაიჭრება, თამაშს იწყებენ მოპირდაპირენი, რომლებმაც  
 ჯერ მობმული ქუდები უნდა გადაყარონ („მოიშორონ“), ხოლო  
 შემდეგ თვითონ მოაბან.

2. რიყაობის ამ ვარიანტის პირველი ნახევარი იგივეა, მხო-  
 ლოდ ქულების დათვლის შემდეგ გამკვრელი რიყს „დასვამს“  
 პატარა ქვაზე, ტაფელას დაკვრით არექნის და ტაფელასავე  
 გაკვრით გასტყორცნის. თუ მოპირდაპირენი რიყს ჰაერშივე და-

იჭერეს, გამკვრელი ჩამწვარია, წინააღმდეგ შემთხვევაში სა-  
დაც შეაჩერებენ, მანძილი საყედან იქამდე გადაიზომება ტუ-  
ფით და წინა „45 ქულას“ ახალი ქულები მიემატება. რომელი  
ჯგუფიც უფრო აღრე შეასრულებს ქულების წინასწარ დათ-  
ქმულ რიცხვს, გამარჯვებულია.

3. მოთამაშენი დადგამენ „ბერას“ (ქვას). დამწყები მოთამა-  
შე დაღება ბერასთან და გაპკრავს რიკს.

მოწინააღმდეგენი რიკს მისი შეჩერების ადგილიდან ესვრი-  
ან ბერას. ამ დროს გამკვრელი მოთამაშე დგას ბერასთან და  
ტაფით ცდილობს რიკის მოგერიებას. თუ რიკი ბერას მოხვდა,  
ან თუ მასთან ახლოს დაცუ ისე, რომ მანძილი ერთი ტაფის  
სიგრძეზე ნაკლებია, გამკვრელი „ჩამწვარია“. თუ რიკი შორს  
დაცუმა, მანძილი გადაიზომება ტაფით, რამდენიც გამოვა იმდე-  
ნი ქულაეთვლებათ გამკვრელებს. რომელი მხარეც მალე შეა-  
სრულებს წინასწარ დათქმულ ქულათა რაოდენობას, გამარჯვე-  
ბულია. ამ მხარის ერთ-ერთი მოთამაშე იწყებს რიკის „აკენწ-  
ვლას“. რიკს დააგდებს ტაფაზე და რამდენჯერაც აპკრავს ტა-  
ფით ისე, რომ მიწაზე არ დაუცარდეს, იმდენი კენწვლა იქნება,  
ზოლო რამდენჯერაც აკენწვლავს, იმდენჯერ ზედიზედ გაპკრავს  
რიკს. მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთი მოთამაშე ასე გაკრულ  
რიკს დაიდებს ტერთზე და იმდენჯერ ისვრის, ე. ი. „გამოკენ-  
წლავს“, რამდენჯერაც იყო გაკრული. მან რიკი შეიძლება კიდეც  
გადააშოროს ბერას. ასეთ შემთხვევაში გამარჯვებულებს ზურ-  
გზე აღარ მოიკიდებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამარჯვე-  
ბულები ზურგზე მოკიდებული უნდა მიიყვანონ რიკის საბო-  
ლოო შეჩერების ადგილიდან ბერამდე.

4. გაშლილი ანუ ლამფური. მოთამაშემ რიკიცა და ტაფე-  
ლიც უნდა დაიჭიროს ცალ ხელში. რიკი უნდა ააგდოს და იმავე

ჰელით შემოჰკრას ტაფელა<sup>1</sup>. თუ ააცილა, მოწინააღმდეგენი დაუძახებენ: — „ბილა მოგივიდაო“, და იგი „ჩამწვარია“, თუ გაჰკრა, მოწინააღმდეგენი რიკს მისი შეჩერების აღვილიდან ესვრიან საყეს. გამკვრელი დგას საყესთან და ტაფის საშუალებით ცდილობს რიკის მოგერიებას, თუ რიკი საყეს მოხვდა, გამკვრელი ჩამწვარია.

თუ რიკი შორს დაეცა, მანძილს საყედან რიკამდე გადაზომავენ ტაფელით — რამდენი ათეულიც გამოვა, იმდენ „კუდს“ მოაბამენ მოწინააღმდეგეს. თუ რიკს პაერში დაიჭერენ, გამკვრელი მოთამაშე ჩამწვარია.

5. მუჭარიკაობა. როცა რიკს ერთი ხელის მუჭზე (მჯილზე) დაიდებენ და მეორე ხელით ტაფელას გაჰკრავენ, ამგვარ რიკაობას „მუჭარიკაობას“ უწოდებენ. ასეთ რიკაობაში კუდის მობმა არ ხდება. ვინც ადრე მოათავებს ქულების დათქმულ ოდენობას — გამარჯვებულია. გამარჯვებულები დამარცხებულებმა ზურგზე უნდა მოიკიდონ და წინასწარ დათქმულ მანძილზე ატარონ.

6. რიკ-ტაფელა. თამაშისათვის საჭიროა ტაფა, რიკი და მოზრდილი ქვა. მოთამაშენი დადგამენ ქვას, ანუ „ნიშანს“, რის შემდეგ განაწილდებიან ორ ჯგუფად და ყრიან კენჭს. ლამწყები მოთამაშე დადგება ქვასთან და გაჰკრავს რიკს. მოწინააღმდეგეებმა რიკი იმ ადგილიდან უნდა ესროლონ ქვას, სადაც მას შეაჩერებენ. თუ ააცილეს, დამწყები მოთამაშე ხელახლა გაჰკრავს რიკს, მოწინააღმდეგენიც ხელახლა ესვრიან ქვას (ნიშანს). თუ კვლავ ააცილეს, მაშინ მათ რიკის გამკვრელები ზურ-

1 რიკის ამგვარი გაკვრის საგანგებო სახელწოდება არ შეგვხვედრია, მას პირობით შეგვიძლია ვუწოდოთ ცალი ხელით ზრიპინა, ჩვეულებრივი (ორი ხელით) ზრიპინასაგან განსხვავებით.

გზე უნდა მოიკიდონ და რიკის სროლის ადგილიდან ნიშნამდე  
მიყვანონ. შემდეგ თამაშს იგივე მოთამაშე გააგრძელებს.

გაკრული რიკის ჰაერში დაჭრის ან რიკის ნიშანზე მოწერ  
ტყმის შემთხვევაში, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია და მის  
მაგიერ თამაშს იწყებს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე. როცა ყვე-  
ლანი ჩაიჭრებიან, თამაშს იწყებენ მოწინააღმდეგენი.

7. ციხებილა. თამაშისათვის საჭიროა ჯონი, ანუ ტაფელა;  
ბილა, ანუ რიკი; გაუსხებავი, ფოთლიანი ტოტები და ბრტყელი  
ქვა. ქვის მოთამაშენი დადგამენ მოედნის ერთ თავში. ქვის  
სიგრძე-სიგანე ზოგჯერ ერთნაირია და ორ მტკაველს აღწევს.

მონაწილეებს გამოყოფა ორი ხელმძღვანელი, რომლებიც  
მოთამაშებს გაინაწილებენ. თუ რომელიმე კარგ მოთამაშეზე  
დავა მოუვიდათ, დავა გადაწყდება ქვის ან ნაფოტის აგდებით.  
თუ მოთამაშეს მეწყვილე აღარა ჰყავს და კენტად რჩება, მაშინ  
მას ერთ-ერთი ჯგუფი აიყვანს. სამაგიეროდ, მეორე ჯგუფის  
რომელიმე მოთამაშე, როცა ამ ჯგუფის თამაშის ჯერი იქნება,  
ორჯერ ითამაშებს. ამას „ბედელი“ ეწოდება.

კენჭს ყრიან „ჯოხით“ ანდა ქვის ან ნაფოტის აგდებით.  
დამწყები მოთამაშე დადგება ქვასთან, ანუ „ციხესთან“, და გაპ-  
კრავს რიკს: მოწინააღმდეგენი რიკს დახვდებიან გაუსხეპავი  
ტოტებით. თუ რიკი „დაკოდეს“, ე. ი. მიწაზე დაცემამდე ტო-  
ტები მოახვედრეს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, თუ არადა,  
სადაც გააჩერებენ, იქიდან ესვრიან ქვას. გამკვრელი მოთამაშე  
რიკს იგერიებს ჯოხით, რომ ქვის არ მოხვდეს, თუ მოხვდა, იგი  
ჩაჭრილია.

გარდა ამისა, რიკის ჯოხით მოგერიება ხელსაყრელია ქულე-  
ბის შეგროვების თვალსაზრისითაც, რაღანაც მანძილი ქვიდან  
რიკის დაცემის ადგილამდე გადაიზომება რიკით, ხოლო თუ  
რიკი თვითონ ასცდა ქვას, — ჯოხით. რომელი მხარეც მალე შე-

თავებს ქულების წინასწარ დათქმულ რიცხვს, გამარჯვებულია.

გამარჯვებულთაგან ერთ-ერთი გაპკრავს რიკს, მოწინააღმდეგენი დახვდებიან, რომ ჰაერშივე დაკოდონ, ე. ი. ფოთლიანი ტოტები დაპკრან; თუ დაკოდეს, თავისუფლები არიან, ხოლო თუ ვერ „დაკოდეს“, მაშინ გამარჯვებულები რიკის დაცემის ადგილიდან ზურგით უნდა მიიყვანონ ქვამდე.

8. (ცეცხლაბილა). მოედნის ერთ თავში დადგამენ მოზრდილ ქვას, რომელსაც „ცეცხლი“ ეწოდება. თამაშისათვის აგრეთვე საჭიროა თხილის ტოტისაგან გამოთლილი ბილა (რიკი) და ბილას ჭოხი (ტაფუნა).

მოთამაშეთაგან ორი იტყვის — „გადავრიგდეთო“, დანარჩენებს ერთმანეთს შორის გაინაწილებენ და კენჭს ყრიან.

თამაშის დამწყები ჭგუფის ერთი მოთამაშე დადგება ცეცხლთან და გაპკრავს რიკს. მოწინააღმდეგენი რიკს დახვდებიან. თუ იგი ჰაერშივე დაიჭირეს, გამკვრელი ჩაჭრილია, თუ რიკმა მიწაზე დაცემა და გაჩერება მოასწრო, ესვრიან ცეცხლს, ხოლო თუ რიკი მიწაზე დაეცა, მაგრამ მოწინააღმდეგებმა მას მოძრაობის დროს მიუსწრეს და შეაჩერეს, მაშინ რიკის ერთერთი შემჩერებელთაგანი ცეცხლისაკენ ზურგშექცევით დადგება, ცალ ხელს ყურზე მოიკიდებს და მეორე ხელით რიკს ზურგს უკან გადაისვრის, რომ ცეცხლს მიუახლოოს და შემდეგ, სადაც რიკი გაჩერდება, იქიდან პირდაპირ ესროლოს ცეცხლს.

თუ ცეცხლთან მდგომი მოთამაშის გაკრული რიკი ძალიან შორს წავიდა, დამხვდურებს უფლება აქვთ, რიკის მიწაზე დაცემამდე მოასწრონ დაძახება: „შორსააო“, ამ შემთხვევაში ისინი ჭერ ზურგშექცევით ისკრიან რიკს, რომ ცეცხლს დაუახლოონ, შემდეგ კი — პირდაპირ. სროლის დროს რიკი მსროლელმა უნდა მოასწროს და დაიძახოს, „წინ ფეხიო“, მაშინ ის რიკის

შეჩერების ადგილიდან ფეხს გადაადგამს წინ და ასე ესვრის ცაცხლს, მაგრამ თუ რიკის გამკვრელმა დაასწრო და თაიძახა, „უკან ფეხიო“, მაშინ პირიქით, მსროლელმა ფეხი უკან უნდა გადადგას.

რიკის გამკვრელი ჭოხით დგას ცეცხლთან და ცდილობს რიკის მოგერიებას (ჭოხის შემოკვრით შორს გადაგდებას), რადგან, თუ რიკი ცეცხლს მოხვდა ან ისე ახლოს დაეცა მასთან, რომ ცეცხლსა და რიკს შორის ჭოხი ვერ ჩაეტია, გამკვრელი ჩაჭრილად ითვლება.

თუ რიკი ცეცხლიდან შორს დაეცა, მანძილი ცეცხლიდან რიკამდე გაიზომება ჭოხით, რამდენიც გამოვა, გამკვრელებს იმდენი ქულა ეთვლებათ. თითოეულ ათეულს „ბაჭყაყათი“ ეწოდება. რამდენი ბაჭყაყათიც გამოვა, იმდენი დამატებითი გაკვრის უფლება ეძლევა გამკვრელს, მხოლოდ დამატებითი გაკვრის შესრულება გაძნელებულია: მოთამაშემ მკლავზე უნდა გადაიდოს თანამოსახელე ფეხი და ასე (ფეხსქვეშ ამოტარებული ხელით) გაჰქრას რიკი.

დამატებითი გაკვრის დროს თუ დამხვდურებმა რიკი ჰაერ-შივე დაიჭირეს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, მაგრამ თუ რიკის ჰაერში დაჭრა ვერ მოახერხეს, მაშინ მათ შეუძლიათ გააკეთონ „მიწაჩხოტია“ — ვიდრე რიკი შეჩერდებოდეს, ფეხი გაჰქრან ცეცხლთან უფრო ახლოს მიგორების მიზნით. მაგრამ შემდეგ რიკს ცეცხლს კი აღარ ესვრიან, არამედ მასზე მიყუდებულ ჭოხს. ამრიგად, დამატებითი გაკვრის დროს რიკის მოგერიება აღარ ხდება. თუ მოწინააღმდეგეებმა რიკი ჭოხს მოარტყეს, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, აცილების შემთხვევაში კი გამკვრელები რიკამდე მანძილს აღარ ზომავენ, რადგან ამ აცილების შედეგად ეთვლებათ. ერთი „კეხი“. მათ შეუძლიათ მოწინააღმდეგეებს უთხრან („გაეხუმრონ“), „კეხი დაგადგი-

თო“. ქულების ის ოდენობა, რომლებიც ბაჭყაყათებს (თეულებს) გადარჩება, „შემოინახება“ და შემდგომ დაგროვებულ ქულებს დაემატება. ჩაჭრილი მოთამაშის მაგიერ თამაშს აგრძელებს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე. როცა თამაშის დამწყები ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაჭრება, თამაშს იწყებენ მოწინააღმდეგენი, რომელი ჯგუფიც მეტ კეს დაადგამს მოწინააღმდეგეს, ის ჯგუფია გამარჯვებული.

**9. ცრუბილა.** თითოეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ჯოხი „ტაფა“, გარდა ამისა, საჭიროა „ბილა“, ანუ რიკი, და ქვა ან ხის ნაჭერი, რომელსაც დაახლოებით ერთი მტკაველი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ექნება. მას ცრცელ ადგილზე დადგამენ, ეს იქნება ნიშანი, ანუ „ბინა“. ბინისაგან ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით გარდიგარდმო დადებენ რიკს. ერთ-ერთი მოთამაშე დადგება ბინასთან, ხელში დაიჭერს ჯოხს და ჯოხის თავს გაპკრავს რიკს, რომ გააგოროს. ასევე იქცევიან სხვებიც. როცა რიკს ვეღარ მისწვდებიან, ჯოხი უნდა ესროლონ. ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ერთ-ერთი მონაწილეთაგანი არ ააცილებს ჯოხს, რის შემდეგ ყველა მოთამაშეს, გარდა ამცილებლისა, უფლება ეძლევა, სადაც მოასწრებს და რამდენჯერაც მოასწრებს, იმდენჯერ გაპკრას რიკს. ამცილებელმა კი უნდა სდიოს რიკს, შეაჩეროს („გააკავოს“) თავისი ჯოხით, შეჩერების ადგილიდან ესროლოს და მოარტყას ბინას; დანარჩენები კი ჯოხებით უნდა დადგნენ ბინასთან და ხელი შეუშალონ (ჯოხით გაპკრან და გადაუგდონ რიკი). ასე გრძელდება თამაში, ვიდრე რიკი ბინას არ მოხვდება. შემდეგ თამაში თავიდან იწყება. მხოლოდ, ახლა თამაშს იწყებს ის მოთამაშე, რომელიც რიკს დასდევდა.



1. მოთამაშენი დაასობენ ტაფაზე უფრო დიდი ზომის ჭობს ანუ საყეს, რომელსაც თავი სწორად აქვს გადაჭრილი, შემდეგ განაწილდებიან ორ ჯგუფად და ყრიან კენჭს. გამკვრელი რიკს დადებს საყეზე, ტაფის შემოკვრით გასტყორცნის, დადგება საყესთან და მოწინააღმდეგის მიერ საყისკენ ნასროლ რიკს ტაფით იგერიებს. მოგერიებული რიკიდან საყემდე მანძილი გადაიზომდება ტაფით და იმდენი ქულა ჩაეთვლება, რამდენიც გამოვა.

მოწინააღმდეგებმა თუ რიკი საყეს მოარტყეს ან ისე ახლოს დასცეს საყესთან, რომ ერთი ტაფაც არ გადაიზომება — გამკვრელი ჩაჭრილია. როცა ამ ჯგუფს ყველა მოთამაშე ჩაიჭრება, საყესთან დგებიან მოწინააღმდეგენი.

რომელი ჯგუფიც მალე შეასრულებს წინასწარ დათქმულ რიცხვს, გამარჯვებულია.

2. მოთამაშენი განაწილდებიან „არჩევან-არადანის“ წესით, თამაშისათვის საჭიროა „ტაფა“, „რიკი“, „მანჭო“ და ჯოხები ან ფარჩები. დაასობენ მანჭოს, რომლის სიმაღლე მიწის ზემოთ 70-მდე სმ აღწევს. მანჭოს თავი სწორად უნდა ჰქონდეს გადაჭრილი.

დამწყები ჯგუფის მოთამაშე რიკს დადებს მანჭოზე და ტაფის შემოკვრით გატყორცნის. მოწინააღმდეგენი რიკს დახვდებიან ჯოხებით და ფარჩებით. თუ გატყორცნილ რიკს რომელიმემ ჯოხი ან ფარჩეი მოარტყა — გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, ხოლო თუ ასეთი დარტყმის შედეგად რიკი დაბრუნდა უკან და მანჭოს გადასცდა — დამხვდური მოთამაშეა ჩაჭრილი და მის ჯგუფს აქმდე დაგროვილი ქულები მთლიანად ეკარგება.

თუ გაქრული რიყი ისე დაეცემა, რომ მოწინააღმდეგენი  
ვერ მოასწრებენ შეხებას, მაშინ ისინი რიყს მისი დაცემის უდიურეული  
გილიდან ესვრიან მანჭოს. თუ რიყი მანჭოს მოხვდა ან მაჲთანავითია  
ისე ახლოს დაეცა, რომ მანძილი ერთი ტაფის სიგრძეზე ნაკლე-  
ბია — გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია. თუ რიყი მანჭოდან ერ-  
თი ტაფის სიგრძეზე შორს გაჩერდა, მანძილს მანჭოდან რიყამ-  
დე იმავე ტაფით გადაზომავენ და რამდენიც გამოვა, იმდენი  
ქულა დაეწერება გამკვრელებს. რომელი ჯგუფიც აღრე „ავა“  
100-მდე — გამარჯვებულია.

3. თამაშს გააჩნია ვარიანტი, რომლის დროსაც მოთამაშე  
მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება ჩაჭრილად, როცა რიყი  
მოხვდება „მანჭოს“, ან მანჭოზე მიყუდებულ ტაფას, ანდა  
გაძვრება მანჭოსა და ტაფას შორის. გატყორცნილ რიყს ფარ-  
ჩებით და ჯოხებით მხოლოდ იმისთვის აჩერებენ, რომ შორს  
არ წავიდეს.

4. კორიჩაობა. თამაშის ადგილი უნდა იყოს 100-მდე ნაბი-  
ჭის სიგრძისა და 50-მდე ნაბიჭი სიგანისა. თამაშისათვის საჭი-  
როა საყე, ანუ მანჭო, ანუ 70-მდე სმ სიგრძის მაჯის სიმსხო ჯოხი,  
ტაფელა და რიყი. რიყის მოყვანილობა ბრტყელია. მისი სიგანე  
6-მდე სმ-ია, სისქე 2 სმ, სიგრძე — 25 სმ.

თამაშისათვის ჭიდევ საჭიროა „კორიჩა“. კორიჩა დაახლო-  
ებით ბატის კვერცხისოდენა ხის ნაჭერია. მაგრამ არა მრგვალი,  
არამედ მრავალწახნავოვანი. საყეს თავი სწორად აქვს გადაჭრი-  
ლი, ბოლო ჭი წათლილი, მიწაში ჩასასობად. დასობილი საყი-  
დან 30 ნაბიჭის დაშორებით გაავლებენ ხაზს, ანუ საზღვარს.  
შემდეგ მოთამაშენი გაიყოფიან ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს კენ-  
ჭის ყრის შედეგად მოუწევს თამაშის დაწყება. დამწყები მოთა-  
9. ზ. შერაზადიშვილი.

მაშე კორიჩას დადებს საყეზე და ტაფელის ძლიერი შემოკვრით  
გასტყორცნის საზღვრის ხაზისაკენ.

მოწინააღმდეგენი, რომელთაც უფლება არა აქვთ გადმო-  
სცდნენ საზღვრის ხაზს, კორიჩას მისი შეჩერების აღგილიდან  
ესვრიან საყეზე მიყუდებულ რიყს. რიყი ისე უნდა იყოს მიყუ-  
დებული საყეზე, რომ მის ქვეშ კორიჩა ვერ გაძრეს. თუ კორი-  
ჩა რიყს არ მოხვდა, გამკვრელებს ეწერებათ ერთი ქულა.

თუ მოთამაშემ გაკვრის დროს კორიჩას ააცილა ტაფელა, ან  
გაკრული კორიჩა არ გადასცდა საზღვრის ხაზს, ან გაჯრული  
კორიჩა მოწინააღმდეგებმა დაიჭირეს ჰაერში, ან კიდევ მოწი-  
ნააღმდეგების ნასროლმა კორიჩამ რიყი წააქცია, — გამგვრელი  
მოთამაშე ჩაჭრილია და მის აღგილს იკავებს მისი ჯგუფის სხვა  
მოთამაშე. როცა ამ ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება — ჯგუ-  
ფები მდგომარეობას იცვლიან, ვინც მეტ ქულას შეაგროვებს —  
გამარჯვებულია. თუ წინასწარ იქნება დათქმული, დამარცხე-  
ბულებმა გამარჯვებულები ზურგზე უნდა მოიკიდონ და საყე-  
დან საზღვრის ხაზამდე და საზღვრის ხაზიდან საყემდე მიიყვა-  
ნონ.

5. რიყამუჭა. თამაშისათვის საჭიროა სამი ჭოხი: 1,5 მტკავე-  
ლი სიგრძის რიყი, 4-5 მტკაველი სიგრძის „მუჭა“, ანუ „ტაფა“  
და დასასმელი ჭოხი — „კორი“, ანუ „კოლი“ 4-5 მტკაველი  
სიგრძისა.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. დამწყები გუნდის მოთა-  
მაშენი ჯერ „კორს“ ჩაასობენ მიწაში, ხოლო მის ძირში პატარა  
ორმოს ამოთხრიან. კორს თავი სწორად აქვს გადაჭრილი, რომ  
ზედ რიყის დადება შეიძლებოდეს. რიყი კორის თავზე გარდი-  
გარდმო დაიდება. დამწყებმა მოთამაშემ რიყი ტაფის ერთი  
შემოკვრით უნდა გატყორცნის (წინააღმდეგ შემთხვევაში  
ჩაჭრილია) და ტაფა კორზე მიაყუდოს. მოწინააღმდეგი გუნდის

მოთამაშენი სადაც შეაჩერებენ რიკს, იმ ადგილიდან ესვრიან  
მიყუდებულ ტაფას: თუ მოარტყეს და ჩამოაგდეს, გამკვრელთან  
მოთამაშე „ჩაჭრილია“. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამკვრელუბა  
რიკის ყოველ აცილებაზე კორის ძირის ამოთხრილ პატარა ორ-  
მოში მოწინააღმდეგებს ჩაუდებენ პატარა ქვას („კვერცხს“).  
როცა დამწყები ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება და გუნდე-  
ბის მდგომარეობა შეიცვლება, ე. ი. კორთან დადგებიან მოპირ-  
დაპირენი, მოწინააღმდეგეთა მიერ რიკის ყოველ აცილებაზე  
გადააგდებენ ორმოში ჩადებულ ერთ „კვერცხს“. თუ თამაშის  
დამწყებთა მიერ ჩალაგებული ყველა კვერცხი გადაყარეს (ე. ი.  
ორმო „გაწმინდეს“), თვითონ იწყებენ მოწინააღმდეგებისა-  
თვის კვერცხების ჩალაგებას. საბოლოოდ, რომელი ჯგუფის  
ჩალაგებული კვერცხებიც დარჩება, ის ჯგუფია გამარჯვებული.

6. **რკალსაყე.** ასო „ი“-ს მაგვარად მოხრილ სახრეს მიწაზე  
ორივე ბოლოთი ჩაასობენ, ეს იქნება „რკალსაყე“. საყის სიმა-  
ღლე 70-მდე სმ უდრის. მონაწილენი გაიყოფიან ორ ჯგუფად  
და ყრიან კენჭს. დამწყები ჯგუფი დადგება საყესთან. რიკის  
გაკვრა ხდება ისე, როგორც ეს „მჯიღურ“ რიკაობაშია.

მოწინააღმდეგებმა რიკი უნდა გააძვრინონ საყეში, ან მო-  
არტყან მას. თუ ეს შეძლეს — გამკვრელი ჩაჭრილია და მის ად-  
გილს იჭერს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე. თუ არადა, გამკვრე-  
ლი რიკს დადებს მიწაზე, ტაფის დარტყმით არეკნის, გაპკრავს  
და მანძილს რიკამდე გადაზომავს ტაფით, რამდენიც გამოვა,  
იმდენი ქულა ეთვლება. რომელი ჯგუფიც აღრე მოათავებს ას  
ქულას — გამარჯვებულია.

7. **საყედ „დგამენ“** არა მოხრილ სახრეს, არამედ ტაფაზე  
რამდენადმე გრძელსა და მსხვილ ჭოხს. რიკის გაკვრის შემდეგ  
ტაფას ამ ჭოხზე მიაყუდებენ ისე; რომ ქვეშ რიკის გაძვრენა  
შეიძლებოდეს.

ყველა დანარჩენი წესი იგივეა, რაც წინა ვარიანტში.

8. საყის კიბირი. მიწაზე დაარჭობენ თოხის ტარის საყეს, რომელსაც თავი სწორად აქვს გადაჭრილი. თამაშის დამტკადმ წყები საყეზე გარდიგარდმო გადებს კიბირს (რიკს) და ტაფელის მხოლოდ ერთი მოქნევით გასტყორცნის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაჭრილია.

მოწინააღმდეგენი დახვდებიან კიბირს და თუ ჰაერშივე (ძირს დაგარდნამდე) დაიჭერენ, თამაშის დამწყები მთელი გუნდი „გამოსულია“. თუ რიკს ჰაერში ვერ დაიჭერენ, სადაც შეაჩერებენ, იქიდან ესვრიან საყეს. თუ კიბირი საყეს მოხვდა, გამკვრელი ჩაჭრილია, ხოლო თუ ასცდა, მაშინ გამკვრელებს ეწერება ერთი ქულა.

რომელი ჯგუფიც ადრე შეასრულებს ქულათა დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

9. ყავრის ბილა. თამაშისათვის საჭიროა ბილა (რიკი), ჯოხები (ტაფები) და ყავარი. მოთამაშენი მოედნის ერთ თავში დაასობენ 4-5 მტკაველი სიმაღლისა და ერთი მტკაველი სიგანის ყავარს ისე, რომ სიბრტყით მოქცეული იყოს მოედნისაკენ. მისგან 15-20 ნაბიჯის დაშორებით დადებენ „ნიშანს“ (ქვას), ზოგჯერ კი ხაზს გაავლებენ.

მოთამაშენი გაიყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შემდეგ ერთი ჯგუფი იწყებს თამაშს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი მოთამაშე რიკს გარდიგარდმო დადებს ყავარზე და ჯოხის ერთი შემოქვრით (წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაჭრილია) გაჭკრავს მოედნისაკენ. მოწინააღმდეგენი ჯოხებითვე უხვდებიან: თუ რიკი ვერ გადასცდა ნიშანს, ან მოწინააღმდეგებმა დაიჭირეს ჰაერში, ანდა ჯოხით დააბრუნეს უკან ისე, რომ რიკი ყავარსა და ნიშანს შორის დაეცა, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია; ხოლო თუ რიკი დაეცა ნიშანს გარეთ, მაშინ მოწინააღმდეგენი ამ აღვილიდან

ესვრიან ყავარს. გამკვრელი მოთამაშე ყავართან დგას ჭოხით  
და იცავს ყავარს რიკის მოხვედრისაგან. თუ რიკი ყავარს შოხებ  
და, გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია, თუ ასცდა, ან გამკვრელი  
ჭოხის დარტყმით მოიგერია, მაშინ გამკვრელი ყავრიდან რიკა-  
მდე გადათვლის ნაბიჯებს, რამდენი ნაბიჯიც გამოვა, იმდენი  
ქულა ეწერება. რომელი მხარეც უფრო ადრე შესარულებს  
წინასწარ დათქმულ რიცხვს, ის მხარეა გამარჯვებული.

**10. ჩილიკა-ჭოხი, ბილა (ციფრებით).** მიწაში ჩაასობენ ტა-  
ფელაზე უფრო დიდ ჭოხს. თამაშისათვის საჭიროა აგრეთვე  
ტაფელა და ბილა. ბილა ოთხწახნაგიანია, სიგრძით 7-8 სმ-ია და  
ბოლოები წათლილი (წარვეტებული) აქვს სუფთად. ბილს  
თითოეული გვერდის განი 3-4 სმ-ია. გვერდებზე თანმიყოლე-  
ბით აწერია ციფრები: 0, 3, 6, 12. ბილას, მაგარი რომ იყოს,  
ამზადებენ ბზის ხისაგან.

მოთამაშენი განაწილდებიან ორ ჯგუფად და ყრიან კენჭს.  
თამაშის დამწყები ბილას დააგდებს მიწაში ჩარჭობილი ჯოხის  
ახლოს, მოედნისაკენ მიქცეულ წათლილ წერზე დაკრავს ჯოხს  
და ჰაერში არექნილ ბილას ჯოხითვე გაპკრავს. მოწინააღმდე-  
გენი დახვდებიან და, თუ ჰაერში (მიწაზე დავარდნამდე) დაიჭე-  
რენ, გამკვრელი ჩაჭრილია, თუ ვერ დაიჭერენ, იმ ადგილიდან,  
სადაც შეაჩერებენ, ესვრიან ჯოხებზე მიყუდებულ ტაფელას.  
ტაფელა ისე უნდა იყოს ჯოხზე მიყუდებული, რომ ქვეშ ბილას  
გაძვრენა შეიძლებოდეს. თუ ბილა ტაფელას მოხვდა, ან მის  
ქვეშ გაძვრა, ანდა, საერთოდ, ტაფელა ჩამოაგდო, გამკვრელი  
ჩაჭრილია.

თუ ბილა ყველაფერს ასცდა, გამკვრელს უფლება აქვს  
იმდენჯერ გაჰკრას, რომელ რიცხვზედაც „დაღგება“ მოწინა-  
აღმდეგებისაგან ნასროლი (აცილებული) ბილა.

ამ დროს ყოველი მოქნევა, თუ კი ჯოხი ბილას ან მიწას

შეეხო — ცდად ითვლება. მანძილი ბილას საბოლოო შეჩერების  
ადგილიდან მიწაში ჩასობილ ჯოხამდე ნაბიჯებით ასრულდებოდა.

ამის შემდეგ გამკვრელი ბილას დააგდებს მიწაზე, ჯოხის  
დარტყმით არენის და დაიწყებს ბილას კენჭვლას. რამდენჯე-  
რაც იქენჭლავს (აპერავს ჯოხს ჰაერში), იმდენზე გამრავლდება  
დათვლილი ნაბიჯების რიცხვი. კენჭვლისათვის მოთამაშეს ეძ-  
ლევა მხოლოდ ერთი ცდა. რომელი ჭგუფიც უფრო აღრე შე-  
ასრულებს ქულათა დათქმულ რიცხვს — გამარჯვებულია.

11. ხშირად ბილას ჯოხი (ტაფელა) პატარა ფიცრის ნაჭერს  
წარმოადგენს, ზოგჯერ კი მას ორობის ფორმა აქვს, ხოლო  
ბილას „ჩილიკას“ უწოდებენ და აწერია ციფრები: 0, 6, 12 და  
24.

ამ ვარიანტში ჯოხს კი არ ასობენ, არამედ პირდაპირ მიწაზე  
დებენ გაკვრის ადგილზე და მოწინაღმდეგებმაც ჩილიკა ძირს  
დადებულ ჯოხს უნდა ესროლონ.

ზოგჯერ გაკვრის ადგილიდან რამდენიმე ნაბიჯზე გაავლებენ  
ხაზს, ან დადებენ ნიშანს. თუ გამკვრელმა პირველივე გაკვრით  
ჩილიკა ამ ნიშანს არ გააცილა — ჩამწვარია.

### ე) ხაზის (საზღვრის) გავლებით

1. გასაკეჭინი და დასახვედრი ხაზებით. თამაშისათვის საჭი-  
როა რიკი და ტაფა.

მოთამაშენი ერთიმეორისაგან 50-მდე ნაბიჯის დაშორებით  
გაავლებენ 2 ხაზს (ან დადებენ ნიშნებს). აქედან ერთი „გასაკე-  
ჭინი“ ხაზია, მეორე — „დასახვედრი“. ამის შემდეგ გაიყოფიან  
ჭგუფებად და ყრიან კენჭს. თამაშის დამწყები დადგება გასა-  
კეჭინ ხაზზე, ერთი ხელით აისვრის რიკს, მეორეთი კი გაჰკეჭინს  
(გაპერავს ტაფის). თუ რიკი დასახვედრ ხაზს გადასცდა, მოი-

ტანს გასაკეჭნ ხაზზე, თავს დააღებინებს („დადგამს“) პატარა ქვაზე, ტაფის დარტყმით არეკნის და ტაფისავე შემოკურობის გაპეჭნის (გასტყორცნის), მანძილს კი მისი შეჩერების ადგილიდან გასაკეჭნ ხაზამდე გაზომავს ნაბიჯებით. რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა ეწერება.

მაგრამ, თუ პირველად გაკრული რიკი დასახვედრ ხაზს ვერ გადასცდა, მოთამაშეს უფლება აქვს რიკს გაუსწორებლად დაპკრას ტაფა, არეკნოს და კვლავ გაპკრას, „გაპეჭნის“ და თუ ისევ ვერ გადააცილა დასახვედრ ხაზს, ჩაჭრილია და თამაშს იწყებს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე.

თუ გაპეჭნილი (გაკრული) რიკი მიწაზე დაესო, მოთამაშემ უნდა მოასწროს „ილის“ დაძახება და რიკი ხელახლა გაკეჭნის, თორემ თუ მოწინააღმდეგებმა მოასწრეს „ილის“ დაძახება — ჩაჭრილია.

რიკის გაკეჭნისათვის ყოველ მოთამაშეს ეძლევა სამი ცდა, თუ ვერც ერთ ცდაზე ვერ გაკეჭნა — ჩაჭრილია; ჩაჭრილია აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე ცდაზე სრულიად ააცილა რიკს ტაფა. როცა ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშე ჩაიჭრება, თამაშს იწყებს მეორე ჯგუფი. რომელი ჯგუფიც ადრე შეასრულებს წინასწარ დათქმულ რიცხვს (200, 300, 500 და ა. შ.) — გამარჯვებულია.

2. (საზღვრის გავლებით). მოთამაშენი რიკის გაკვრის ადგილიდან 30-მდე ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ საზღვარს. რიკის გაკვრა ხდება ისე, როგორც „მჯიღურ ბილაშია“ მოცემული. მოწინააღმდეგენი რიკს თავიანთი ჯოხებით დაუხვდებიან საზღვარს იქით და თუ მიწაზე დაცემამდე მოარტყამენ ჯოხს და საზღვარს გადმოაცილებენ — გამკვრელი მოთამაშე ჩაჭრილია და მისი ჯგუფის მოელი ქულები მოწინააღმდეგების ქულებს ემატება. თუ რიკი საზღვარს იქით დაეცა, მანძილი რიკიდან

საზღვრის ხაზამდე გადაიზომება ტაფით და რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა ეთვლებათ გამკვრელებს. თუ გაყრულმა რიგმა საზღვრამდეც ვერ მიაღწია — გამკვრელი მოთამაშე ჩატრილია რომელი ჯგუფიც აღრე შეასრულებს ქულათა დათქმულ ოდენობას — გამარჯვებულია.

### 8) (რიპის გამგრა)

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად.

თითოეული ჯგუფი შეარჩევს თითო ძლიერ მოთამაშეს, ისინი სათითაოდ გაპტრავენ რიკს; რომელიც უფრო შორს გასტყორცნის, იმისი ჯგუფია გამარჯვებულები მოწინააღმდეგებმა ზურგზე უნდა მოიკიდონ და გაატარონ ოცამდე ნაბიჯზე ან რიკის გატყორცნის მანძილზე. ამ დროს გამარჯვებულები დამარცხებულებს (მომკიდებლებს) დასძახიან: „კოტილაი-კოტას“.

### 9) ორი ჯოხის დასხით

თამაშისათვის საჭიროა რიკი, ტაფელები — თითოეული მოთამაშისათვის და ტაფელების ზომის სამი ჯოხი. ორი ჯოხი ჩასობილია მიწაში, მათი თავები ისეა გადაჭრილი, რომ ზემოდან მესამე ჯოხი გაიდოს. რიკის გაკვრა ისევე ხდება, როგორც „მჯიდურ“ რიკაობაში.

მოწინააღმდეგენი ცდილობენ რიკით ზედა ჯოხი ჩამოაგდონ, რადგან ამ შემთხვევაში გამკვრელი მოთამაშე ჩატრილია, ხოლო მისი ჯგუფის ქულები მოწინააღმდეგების კუთვნილებაში გადადის, ასევე ხდება გაკრული რიკის ჰაერში (მიწაზე დაცემამდე) დაჭერის შემთხვევაში. მაგრამ თუ რიკი ჯოხებს შორის გაძვრა, მხოლოდ გამკვრელი მოთამაშეა ჩატრილი. მოწინააღ-

მდეგეების მიერ რიკის აცილების შემთხვევაში გამკვრელი რიკის მიწაზე დადებს, წვერზე დაპრავს ტაფას; არექნის და ტაფაზე ფისავე შემოკვრით გატყორცნის, ხოლო მანძილს რიკამდება მრავალი სი გატყორცნის ადგილიდან გადაზომავს ტაფით. რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა ეთვლება. რომელი ჯგუფიც მალე შეასრულებს 100 ქულას — გამარჯვებულია.

### საბან-ბუმბულაობა, ცხენობანა

1. მონაწილეობს 5-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 10 წლის ასაყიდან. ორი მოთამაშე დადგება ერთიმეორის პირისპირ. თითოეული მათგანი მარცხენა ხელით ჩაეჭიდება საკუთარი მარჯვენა ხელის მაჯას. ხოლო შემდეგ თავისუფალი მარჯვენა ხელებით ჩაეჭიდებიან ერთიმეორის მარცხენა ხელების მაჯებს. ისინი ამგვარად გადაჭვარედინებულ ხელებზე რიგრიგობით დაისვამენ ან გადაიწვენენ დანარჩენებს და აქანავებენ აქეთ-იქით, თანაც იძახიან: „საბან-ბუმბულაობა“, „საბან-ბუმბულაობა“... როცა მოესურვებათ, გადაისვრიან ისეთ ადგილზე, საღაც არაფერს იტკენს. მოთამაშეები ერთიმეორეს ენაცვლებიან.

2. ერთმანეთისაგან 10-15 ნაბიჯის დაშორებით დანიშნავენ ორ ადგილს. მონაწილეებს ამგვარად გადაჭვარედინებულ ხელებზე დასმით რიგრიგობით გადაპყავთ ერთმანეთი ერთი დანიშნული ადგილიდან მეორემდე.

### ს ა ლ ა ო ბ ა

სალაობის ამა თუ იმ ვარიანტში მონაწილეობს 2-დან 10-მდე ვაჟი 12 წლის ასაყიდან. სათამაშო ადგილი ვრცელი დათავისუფალი უნდა იყოს.

**1. სალაობა, ჭიკორაობა.** თამაშისათვის საჭიროა კუჭის ენც „ქოჭური“, ანუ „ჭიკორი“ — დაახლოებით კუჭურის ფენა მრგვალი ქვა (სასურველია კაჟისა) და „სალები“, ანუ ხელის-გულისოდენა ბრტყელი ქვები. სალა ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს.

დასვამენ ჭიკორს და მისგან ერთ მხარეს (საითაც უფრო მოხერხებულია) „გადაღიან“ სალებს. სალები მათი შეჩერების ადგილიდან უნდა ესროლონ ჭიკორს; პირველად ესვრის ის მოთამაშე, რომლის სალაც ყველაზე შორს არის და ასე თანმიმდევრობით. თუ რომელიმე მოთამაშემ სალა ჭიკორს მოახვედრა და გადაადგილა, იქიდან, სადაც ჭიკორი იყო დასმული, მისი შეჩერების ადგილამდე მანძილს გადაზომავს ფეხის ტერფებით და რამდენიც გამოვა, იმდენი ქულა ჩაეთვლება. შემდეგ კოჭი ხელახლა დაისმება და თამაში ისევ მეორდება, ხოლო ქულები ერთიმეორეს ემატება.

მოგებულია ის მოთამაშე ან მხარე, რომელიც პირველი შეასრულებს წინასწარ დათქმულ რიცხვს (100, 200).

**2. ჭიკორი,** ანუ კოჭური იდგმება არა მიწაზე, არამედ „ბერაზე“ (მოზრდილი, ბრტყელი ქვა).

დამარცხებულებმა გამარჯვებულები ზურგზე უნდა მოიკიდონ და „ბერადან“ წინასწარ დანიშნულ ადგილამდე მიიყვანონ.

დანარჩენი წესები ისეთივეა, როგორც წინა ვარიანტში.

**3. ჭიკორს** ეძახიან „კოჭს“ და „ტიკჭირას“. თამაშის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ სალების მაგიერ ხმარობენ ჭოლოკებს (ხოხებს).

თამაშის ყველა დანარჩენი წესი იგივეა, რაც წინა ვარიანტებში.

**4. თამაშისათვის** საჭიროა ორი სალა. მონაწილეობს ორი

მოთამაშე. ერთ-ერთი მოთამაშე იმ ადგილიდან, საღაც თვითონ დგას, სურვილისამებრ „გადადის“ - სალას, რომელსაც მეორე მოთამაშე იმავე ადგილიდან ესვრის თავის სალას. თუ ააცილა მის სალას ახლა პირველი ესვრის, თუ მანაც ააცილა, ისევ მეორე მოთამაშე ესვრის და ა. შ. სალას ესვრიან ყოველთვის იმ ადგილიდან, საღაც შეჩერდება.

რომელიც მოახვედრებს, გამარჯვებულია და მოწინააღმდეგემ სალის სროლის ადგილიდან მორტყმის ადგილამდე ზურგით უნდა მიიყვანოს. შემდეგ სალას გამარჯვებული გადადის.

**5. ფოხუჭი.** თამაშის ადგილი უნდა იყოს ვრცელი და თავისუფალი.

მონაწილენი დადგამენ დიდ, ბრტყელ ქვას, ზედ დადებენ ფოხუჭს, ანუ კვერცხისოდენა მრგვალ ქვას. ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს სალა.

ფოხუჭიდან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით გავლებულია ხაზი, საიდანაც ჭველა მოთამაშე გადადის თავის სალას. ვინც ყველაზე ახლოს დასცემს, პირველი იქნება და ასე, თანმიმდევრობით. პირველი მოთამაშე დადგება ხაზზე და სალას ესვრის ფოხუჭს. თავიანთი რიგის მიხედვით ესვრიან დანარჩენებიც. ვინც ფოხუჭს გადააგდებს, თავისუფალია, ვინც ვერა — ესვრის მეორედ, მესმედ და ა. შ. სულ ბოლოს დარჩენილი „დამცველი“ გახდება. ამის შემდეგ მოთამაშენი დგებიან ხაზზე და სალებს რიგრიგობით ესვრიან ფოხუჭს. რამდენჯერაც გადააგდებენ, იმდენჯერ ხელახლა უნდა „დადგას“ „დამცველმა“.

რომელიც ფოხუჭს გადააგდებს, თავისუფლად შეუძლია აიღოს თავისი სალა, ამცილებლისათვის კი ეს საქმე საფრთხილოა, რადგან დამცველს უფლება აქვს, ხელის დაკვრით დაჭრას იგი. მაგრამ, დამცველს ეს უფლება ეკარგება, თუ ამცილებელი მოთამაშე მოასწრებს და თავის სალას ფეხს დაადგამს,

ან თუ ფოხუჭი გადაგდებულია; ამიტომ ამცილებელიც მაშინ  
გარჩდის სალის ასაღებად, როცა ფოხუჭი გადაგდებულიც.

გარდა ამისა, თუ ამცილებელმა თავის სალაშე ფხების დად  
გმა მოასწრო, უფლება აქვს სალა ერთი ფეხის დახმარებით მე-  
ორე ფეხზე შეიგდოს, ფეხითვე აისროლოს და ხელში დაიჭი-  
როს, თუ ეს მოახერხა, დამცველი ვეღარ დაიჭირს მას, თვითონ  
კი შეუძლია სალა ხელახლა ესროლოს ფოხუჭს. თუ მოთამაშე  
პირდაპირ ხელში აიღო სალა, დამცველს უფლება აქვს გამოე-  
კიდოს და დაჭრას იგი. იმ შემთხვევაში, როცა სალა მოხვდება,  
მაგრამ ფოხუჭი არ გადავარდება, დამცველმა ფოხუჭს სამჯერ  
უნდა მოჰკიდოს ხელი, ისე ვერც ერთ მოთამაშეს ვერ დაჭრის  
„დაჭრილი“ მოთამაშე იყავებს დამცველის ადგილს.

6. სალაობის შემდგომი ვარიანტი ფოხუჭისაგან დიდად არ  
განსხვავდება, მხოლოდ აქ გამოყენებულია ერთი მტკაველი  
სიგრძის და ერთ ციდამდე სიგანის ბრტყელი ქვა.

მოთამაშენი ერთიმეორებზე 10-მდე ნაბიჯის დაშორებით  
გაავლებენ ორ ხაზს, ერთ ხაზზე დადგამენ ქვას და მეორე ხა-  
ზიდან ესვრიან სალებს, რათა მოარტყან და წააქციონ. მცველმა  
ქვა ყოველი წაქცევის შემდეგ ფეხზე უნდა დააყენოს.

თამაშის დანარჩენი წესები იგივეა, რაც ფოხუჭში.

7. ქვასალაობა. მოთამაშენი დადებენ ბრტყელ ქვას და აქე-  
დან „გადადიან“ თავიანთ სალებს. სალებს მათი დაცემის ადგი-  
ლიდან ესვრიან ბრტყელ ქვას. პირველად ესვრის ის მოთამაშე,  
რომლის სალაც ყველაზე უფრო შორს დაეცემა, და ასე თანმიმ-  
დევრობით. ვინც ააცილებს, „ჩამწვარია“ და ღროებით გადის  
თამაშიდან. მომრტყმელები კი ხელახლა გადადიან თავიანთ  
ქვებს და აგრძელებენ თამაშს.

მოთამაშეთა რიცხვი თანდათან მცირდება, ვინც სულ ბო-  
ლოს დარჩება, გამარჯვებულიც ის არის.

8. ჩიკორი. თამაშისათვის საჭიროა „ჩიკორი“ — მოზრდილი შრგვალი ქვა. გარდა ამისა, ყველა მოთამაშეს აქვს საკუთარი „სალა“. მოთამაშენი დადგამენ „ჩიკორს“. ეს ადგილი „ბინა“ იქნება. ოციოდე ნაბიჯის მოშორებით გაავლებენ ხაზს. ამ ხაზი-დან „გადადიან“ სალებს და ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს დააგდონ „ჩიკორთან“. ამის შემდეგ მანძილს ზომავენ. ვისი სა-ლაც ყველაზე შორს იქნება, ვალდებულია ბინიდან ხაზამდე ზურგით მიიყვანოს ის მოთამაშე, რომლის სალაც ყველაზე ახ-ლოს იქნება „ჩიკორთან“. შემდეგ ამავე მიზნით თანმიყოლე-ბით იზომება მანძილი დანარჩენების სალებამდეც. ყოველი შემდგომი შორსმდებარე სალის პატრონმა უნდა გადაიყვანოს ახლოსმდებარე სალის პატრონი. კენტად დარჩენილი სალის პატრონი თავისუფალია. ამის შემდეგ თამაში თავიდან იწყება.

9. ჩხირაობა. მონაწილეობს 10-მდე ვაჟი 10 წლის ასაკიდან.

ყოველ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს სალა და ფანქრისხელა ჩხირი.

გაავლებენ ხაზს და ჩხირებს მის გასწვრივ თითო გოჭის სიღრმეზე ჩაასობენ. ჩხირები ერთიმეორსაგან დაშორებული უნდა იყოს აგრეთვე თითო გოჭით.

ამის შემდეგ ჩხირების დასმის ადგილიდან „გადიან“ სა-ლებს და სადაც სალები შეჩერდება, იქიდან ესვრიან ჩხირებს. პირველად ესვრის ის მოთამაშე, რომლის სალაც ყველაზე შორს იქნება, და ასე თანმიმდევრობით. ყოველი მოთამაშე ცდი-ლობს, რაც შეიძლება მეტი ჩხირი წააქციოს. ის მოთამაშე რომ-ლის ჩხირიც წაიქცევა, ჩხირის წამქცევს შეისვამს ზურგზე და მიიყვანს წინასწარ დათქმულ ადგილამდე, როცა ყველა ესვრის, თამაში თავიდან იწყება, მიუხედავად იმისა, ყველა ჩხირი წა-იქცევა თუ არა.. ვისი ჩხირიც არ წაიქცევა, ის თავისუფალია.

**10. ჭორაობა.** მონაწილეობს 10-მდე ვაჟი 15 წლის ასაკიდან. თამაშის ადგილი უნდა იყოს ვრცელი და თავისუფალი.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად: იპოვიან კვერცხისოდენა მრგვალ ქვას „ჭოროხს“, ანუ „ჭორს“ (უმთავრესად კაუისა) და „დაღგამენ“ 1-2 მტკაველი სიმაღლის ბრტყელ ქვაზე („დასადგმელზე“). თითოეულ მოთამაშეს აქვს მუშტისოდენა მრგვალი ქვა, ანუ „სატანო“. ამ „სატანოებს“ „გადადიან“ „ჭორის“ დადგმის ადგილიდან და საღაც გაჩერდება, იქიდან ესვრიან „ჭორს“. პირველად ესვრის ის, ვინც ყველაზე შორსაა. თუ ააცილა, ესვრის მეორე, შემდეგ მისი მომდევნო და ასე თანმი-ყოლებით.

ის მოთამაშე, რომელიც „ჭორს“ გადააგდებს, „ჭორის“ გაჩერების ადგილის მონიშვნისათვის მიწაში ასობს „ჯოხს“. „ჭორს“ ხელახლა „დგამენ“. იგი ყველა მოთამაშემ უნდა გადააგდოს და შეჩერების ადგილი ჯოხით მოინიშნოს. ბოლოს ხდება შემოწმება. მოგებულია იმ მოთამაშის ჯგუფი, რომელ-მაც ყველაზე შორს გაიტანა „ჭორი“ და ჩხირი ყველაზე შორს დაასო. მოწინააღმდეგებმა მოგებულები მხრებზე უნდა შეის-ვან, „ჭორის“ დასადგმელი ქვიდან მიიყვანონ უშორეს ჯოხამდე და მოიყვანონ უკან. შემდეგ თამაში ხელახლა იწყება.

## ს ი ლ ლ გ ა ნ ა

**1.** მონაწილეობს 2 მოთამაშე 8 წლის ასაკიდან. თამაშისა-თვის საჭიროა სუფთა სილა (ქვიშა). ერთ-ერთი მოთამაშე სი-ლის (ქვიშის) გროვაში დამალავს 4-5 სმ სიგრძის ჩხირს, შემ-დეგ კი ამ გროვას 3-4 მტკაველზე წააგრძელებს.

მოპირდაპირე ხელის თითებს ერთიმეორეში ჩახლართავს

და ხელებს ასე დაადებს წაგრძელებულ ქვიშის გროვას სამ აღ-  
გილზე. თუ დამალული ჩხირი ამ სამიღან ერთ-ერთ აღგილზე  
მაინც აღმოჩნდა, გამარჯვებულია და ჩხირს თვითონ დამალავს;  
თუ არადა, ჩხირის დამმალავი მას ხელისგულზე დააყრის სი-  
ლას და შიგ ჩამალავს ჩხირს. შემდეგ თვალებს აუხვევს და  
15-20 ნაბიჯზე მისვეულ-მოხვეულად ატარებს, სილას თავის  
ჩხირიანად საღმე დააყრევინებს, ჩხირის დამალვის აღგილზე  
დააბრუნებს და ხელს გაუშვებს.

თვალებახვეული მოთამაშე წაგა და გაჩერდება იმ აღგილზე,  
საღაც მისი აზრით, გამარჯვებულმა სილა გადააყრევინა. აქ მას  
შეუძლია თვალი აახილოს და, თუ სილა მისგან სამ ნაბიჯზე  
უფრო შორს არაა დაყრილი, ჩხირი მოძებნოს. თუ იპოვა — და-  
მარცხებულად აღარ ჩაითვლება და ჩხირსაც თვითონ დამა-  
ლავს.

2. მონაწილეობს 5-მდე გოგონა და ვაჟი 8 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა ქვიშა. ბავშვები მოაგროვებენ ქვი-  
შას, შიგ ჩასასხენ ჩხირს და ჩამალავენ.

მონაწილენი ქვიშის გროვას, რომელშიც ჩხირია დამალუ-  
ლი, რიგრიგობით, ორივე ხელით, მანამ აცლიან ქვიშას, სანაშ  
ჩხირი არ გამოჩნდება, მაგრამ ქვიშის შემოცლა ჩხირის გამო-  
ჩხირის შემდეგაც გრძელდება, ვიდრე ერთ-ერთი მოთამაშე  
ჩხირს არ წააჭცევს.

ამის შემდეგ ამ ჩხირს ისევ იმგვარადვე დამალავენ.

ჩხირის წამჭუვმა ქვიშაში სამჯერ უნდა გაურიოს ხელი,  
თუ ჩხირი იპოვა — თავისუფალია, თუ ვერ იპოვა — ახლა ნი-  
კაპი უნდა გაურიოს სამჯერ. თუ კიდევ ვერ იპოვა, შეუძლია  
გამოაჩინოს შებერვით, წინააღმდეგ შემთხვევაში დამარცხებუ-  
ლია.



მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 7 წლის ასაკიდან. ერთ-ერთი მოთამაშე ცხვირსახოცა ან ქალდს ასწევს მაღლა და უშვებს ხელს. ვიდრე ცხვირსახოცი (ქალალდი) ძირს დაეცემა, ყველა მოთამაშემ უნდა გაიცინოს და შეწყვიტოს სიცილი დავარდნისთანავე. ვინც წესებს ვერ დაიცავს, ცხვირსახოცა დაარტყამენ.

### სპის ხილვა, ჯოხის პიპორჩი

1. მონაწილეობენ ვაჟები 15 წლის ასაკიდან.

თამაშის ადგილი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად რბილი (ნაყარი მიწა, ნახერხი, ქვიშა და ა. შ.). ბოძებზე გადებენ ხეს. ბოძები მოთამაშეებზე ოდნავ მაღლი უნდა იყოს. ხეზე გადა-  
ადებენ ორად მოკეცილ თოკს. მოთამაშე თოკის მოკეცილ ბო-  
ლოში ჩადგამს ორივე ფეხს, ხოლო თოკის ორივე თავისუფალ  
ბოლოს ერთად დაიჭერს და თავისიკენ მოზიდავს, რომ თავისი  
თავი მაღლა „იყვანოს“, რათა „სკა მოიხილოს“,

მოთამაშეს, თუ მარჯვედ არ მოიქცა, თოკიდან ფეხები უს-  
ხლტება და დაბლა ეცემა, რადგან ამ დროს ფეხები მაღლა  
მიუდის, თავი კი დაბლა.

2. თოკის ერთ ბოლოს ჩააბამენ რიკს. მოთამაშე ამ რიკზე  
უნდა დადგეს და თოკის თავისუფალი ბოლო თავისკენ მოზი-  
დოს.

მოთამაშეს რიკიდანაც უსხლტება ფეხები და, თუ მარჯვედ  
არ მოიქცა, ეცემა.



1. მონაწილეობს 5—7 მოთამაშე — გოგონები და ვეუძნებელი 7 წლის ასაკიდან. თამაშობენ ადრე გაზაფხულზე ტყემლის მჯვახე ნაყოფით. მოთამაშენი ტყემალს თანასწორად გაინაწილებენ და შეარჩევენ სუფთა და უბალახო დაქანებულ ადგილს, რომ ზედ ტყემლის ნაყოფი კარგად დაგორდეს.

გაავლებენ ხასს, საიდანაც მოთამაშენი რიგრიგობით დააგორებენ ტყემალს. ყოველი მათგანი ცდილობს, რომ მისი ტყემალი მოხვდეს მანამდე დაგორებულ რომელიმე ტყემალს. თუ არც ერთს არ მოხვდა, ტყემალი ძირს რჩება, ხოლო თუ მოხვდა, ყველა მანამდე დაგორებული ტყემალი მოგებულად ითვლება; მომხვედრებელი ტყემალს აკრეფს და თამაშის ხელახლა დაწყებისათვის პირველად თვითონ დაიგორებს. ვისაც ტყემალი გამოელევა, თამაშიდან გადის, ვინც სულ ბოლოს დარჩება, ისაა გამარჯვებული. იგი მოთამაშებს ხელახლა გაუნაწილებს ტყემალს და თამაშიც თავიდან იწყება.

თამაში შეიძლება თხილით, კაჭლითა და ა. შ.

2. რამდონასა, კენტი თუ ლუწი. თამაშობენ ორნი. თამაში-სათვის საჭიროა მკვახე ტყემალი. მოთამაშენი ტყემალს თანა-სწორად გაინაწილებენ. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე ტყემალს მალავს მუჭუში და ეკითხება მეორეს: „რამდონასა?“ მეორე უპასუხებს, ვთქვათ: „ორონას“; „სამონასა“ და ა. შ. თუ გამოიცნო რამდენი ტყემალია დამალული, ტყემლები მისია, თუ არადა, დამმალავს უნდა მისცეს იმდენი ტყემალი, რამდენიც იყო დამალული.

სხვა შემთხვევაში დამმალავი მოპირდაპირეს ეკითხება:

„კენტი თუ ლუწი?“ და მოგება-წაგებაც ლუწისა და კენტის  
გამოცნობით წყდება. თამაში თხილით ან კენჭითაც შეიძლება:

## გვარობები

1. მონაწილეობენ უმთავრესად ვაჟები 12 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ვრცელი და თავისუფალი ადგილი (მდინარის პირი, მინდორი). მოთამაშენი ერთმანეთს ეჭიბრებიან ქვის მაღლა და სწორად, ანდა სიშორეზე სროლაში, მდინარეზე, ხრამზე ქვის გადაცილებაში და ა. შ.

2. თამაშობენ წყლის პირას (მდინარე, ტბა, წყალსატევი, ზღვა).

მოთამაშენი შეარჩევენ ბრტყელ ქვებს, სათითაოდ ძლიერად მოიქნევენ და გასტყორცნიან ისე, რომ დატრიალდეს (დაბზრიალდეს), წყლის ზედაპირზე ბრტყლად დაეცეს და ხტუნვა-ხტუნვით გაცურდეს. ვისი ქვაც მეტ ნახტომს გააკეთებს წყლის ზედაპირზე — გამარჯვებულია.

## გორობანა

ქორობანას ამა თუ იმ ვარიანტში მონაწილეობს 20-მდე გოგონა და ვაჟი, უმთავრესად 7 წლის ასაკისა.

1. ამ ვარიანტში მონაწილეობენ ბავშვები 5 წლის ასაკიდან. აირჩევენ „კრუხსა“, და „ქორს“, დანარჩენები „წიწილები“ არიან. წიწილები კრუხს უკან გამოებმებიან და მასთან ერთად ტრიალებენ.

ქორი ცდილობს, წიწილები სათითაოდ გაიტაცოს, რისთვისაც საქმარისია ხელი დაჰკრას მათ. ყველა წიწილის მოტაცების შემდეგ, კრუხი თავის მხრივ ცდილობს, ქორს დაჰკრას.

ხელი, ე. ი. „დაპკორტნოს“, თუ ეს მოახერხა — ქორი იქცევა კრუხად და კრუხი — ქორად, რითაც თამაში განახლდება (თავიდან დაიწყება). როცა მოისურვებენ, კრუხსა და ქორს გამოცვლიან.

2. ქორაწიწილაობა. მოთამაშენი აირჩევენ „დედას“ და „ქორს“, დანარჩენები „წიწილები“ არიან. ქორი გამოეკიდება წიწილებს და, თუ რომელიმეს ხელი დაპკრა, მოტაცებულად ითვლება და მიჰყავს, თან გზადაგზა ქალალდის ნაკუწებს (ბუმბულს) ჰყრის. დანარჩენები დედასთან ერთად გაპყვებიან „კვალს“ და თან ქათმებივით იძახიან: „კიახ-კიახ... კიახ-კიახ... აგერ ბუმბული... აგერ ბუმბული...“ და ა. შ. ბოლოს მიაგნებენ გატაცებულ წიწილას, შემოეხვევიან და მიჰყავთ უქან.

3. ქორაგინგილაობა. მოთამაშენი აირჩევენ „კრუხს“, ანუ „დედას“ და „ქორს“, დანარჩენები „წიწილები“ არიან.

კრუხს წიწილები მოებმებიან უკან. ამ დროს ქორი მოდის და კრუხს ეუბნება: ერთი წიწილა გამატანეო. კრუხი უბასუხებს: გაიწიე, მანდ დანა გდია და აიღეო. ქორი გაიწევს და მიმოიხდავს ირგვლივ, მაგრამ დანა არსად გდია. ასე მეორდება რამდენგრძელე. როცა ქორი „დარწმუნდება“, რომ კრუხი ატყუებს, გამოექანება და რომელ წიწილასაც ხელს სტაცებს, მოტაცებულად ითვლება. ასე რიგრიგობით იტაცებს წიწილებს, მიჰყავს და ცალკე აყენებს. როდესაც ყველა წიწილას მოიტაცებს, მერე თვით კრუხის მოტაცებას მოინდომებს. ქორსა და კრუხს შორის გაიმართება ჩხუბი („ჭიდაობა“), რომელიც წააქცევს, გამარჯვებულიც ის არის. ამის შემდეგ სხვა მოთამაშებს ირჩევენ.

4. ქორიაბედობა. ბავშვები ირჩევენ „კრუხს“, ანუ „დედას“ და „ქორს“, დანარჩენები „წიწილები“ არიან. ქორი მიწება ჩიჩქნის ჭოხით, წიწილები კი დედას მოებმებიან. დედა იძახის:

„ქორო, ბუდეს დაგინგრევ!“ „მე წიწილას წაგართმევ!“ — უპა-  
სუხებს ქორი. ბოლოს წიწილები დედას მოსცილდებიან. ქორს  
შემოეხვევიან და ეუბნებიან: სარკე-სავარცხელი გვათხვეო.  
ქორი მისცემს ნაფოტს, რომელიც ყველა წიწილას ხელში გაივ-  
ლის. უკანასკნელი იტყვის: ეს რა სარკე-სავარცხელიაო, და  
გადააგდებს. ქორი ჩამოივლის და ყველას სათითაოდ ეჭითხება:  
სარკე-სავარცხელი რა უყავი? პირველი მოთამაშე მეორეზე  
მიუთითებს, ამას მივეციო, მეორე — მესამეზე, მესამე — მე-  
ოთხეზე და ო. შ. უკანასკნელი ეუბნება: არ მომეწონა და გადა-  
ვაგდეო. ქორი მობრუნდება და კრუხს ეუბნება: სამაგიეროდ  
ერთი ყვინჩილა მასესხეო.

— არა მყავსო.

— აბა, დაიყივლონო.

წიწილები დაიყივლებენ.

— ეს რა ბევრი ყვინჩილა გყოლიაო, — ეტყვის ქორი,  
გაქანდება და მანამ არ მოეშვება, ვიდრე სარკე-სავარცხლის  
გადამგდებს ხელს არ დაადებს. ეს თუ მოახერხა, წიწილა მო-  
ტაცებულად ჩაითვლება და მიჰყავს. შემდეგ მობრუნდება და  
ქვლავ ითხოვს: ერთი ყვინჩილა მასესხეო.

— რაც მოიტაცე, ისიც არ შეგრჩენიაო!

— რომ მოვიტაცე, ბატონს მივართვიო.

— შენც შეგარცხვინე და შენი ბატონიცაო.

ქორი კიდევ დააპირებს წიწილების მოტაცებას, მაგრამ  
ამ დროს კრუხი დაიძახებს, „მივესიოთო“, და ყველანი ქორი-  
საქენ გაქანდებიან. შეშინებული ქორი გარბის, კრუხი და წი-  
წილები კი გატაცებულ წიწილას გაათავისუფლებენ. კრუხი  
მას ყურში ჩაჰკიდებს ხელს და წამოიყვანს. ამის შემდეგ ახალ  
„ძრუხს“ და „ქორს“ იირჩევენ.

5. ქორის ბებია. ერთ-ერთ მოთამაშეს თვალებს ნაჭრით

აუხვევენ, ის იქნება „ქორის ბებია“. დანარჩენები შემოეხვევან  
ვიან მას და ეკითხებიან:

- ნამ, ნამ, რასა ჭამ?
- ერბო-კვერცხს.
- მე მაჭმევ?
- არა.
- ჩემს ამხანაგს?
- არც იმას.

მაშინ დაესევიან, წააქცევენ და აქეთ-იქით გაიფანტებიან.  
ქორის ბებია ცდილობს ვინმე დაიჭიროს. ვისაც დაიჭერს, მომ-  
დევნო ხელზე „ქორის ბებია“ ის იქნება.

6. ქორობზრიალა (წერა-წერა), (ქორი კვდება, მიხარია).  
ბავშვები აირჩევენ „ქორსა“ და „დედას“, დანარჩენები „წიწი-  
ლები“ იქნებიან.

წიწილები მოებმებიან დედას, მასთან ერთად აქეთ-იქით  
ტრიალებენ და იძახიან — „ქორი კვდება, მიხარიაო“. ქორი  
დასდევს წიწილებს და, რომელსაც კი ხელს დაკარებს, „მოტა-  
ცებულია“ და ცალკე გაჰყავს. ასე დაიჭერს ყველას, რის შემ-  
დეგ წიწილები იწყებენ ქორისათვის სადილის „მზადებას“:  
ერთიმეორეზე ალაგებენ ჭოხებს, ვითომდა სადილია. სადილის  
დამზადების შემდეგ წიწილები ქორს „დააბანინებენ“ ხელს  
(ისე იქცევიან, ვითომ აბანინებენ), რის შემდეგ ქორი ფეხს  
გაჰკრავს..„სადილს“ და გარბის. წიწილები და დედა გამოუდგე-  
ბიან, დაიჭერენ და წააქცევენ.

ამის შემდეგ სხვა „ქორსა“ და „დედას“ აირჩევენ.

7. ქორობულობანა. მონაწილენი აირჩევენ „დედას“ და  
„ქორს“, დანარჩენები „წიწილები“ არიან. ქორი ჭოხებითა და  
ნაფოტებით გაიკეთებს ბუდეს და ზედ დაჭდება. წიწილები დე-

დას უკან მოებმებიან და „კუდს“ (რიგის ბოლოს) აქეთ-იქრთ  
იქნევენ. დედა იძახის:

— ქორო, ბუდეს დაგინგრევ!

— მე წიწილას წაგარომევ, — უპასუხებს ქორი.

ასე გაიმეორებენ რამდენჯერმე.

— ღორები არიან ყანაში, — ეტყვის ქორს დედა.

ქორი „გამოსარეკად“ მიღის. დედა აიღებს „სავარცხელს“  
(ჭოხს ქორის ბუდიდან) და თმას „ივარცხნის“. დავარცხნის  
შემდეგ გადასცემს უკან ჩაბმულ „წიწილას“; წიწილაც დაივარ-  
ცხნის და მომდევნო წიწილას გადასცემს, ასე ბოლომდე; უკა-  
ნასქნელი სავარცხელს გადააგდებს.

ქორი დაბრუნდება და სავარცხელს მოიკითხავს: რა უყავი  
ჩემი სავარცხელი? — ეუბნება დედას.

— ამას მოვეცი, — უჩვენებს უკან ჩაბმულ წიწილაზე. ისიც  
თავის მხრივ მეორეზე მიუთითებს და ასე ბოლომდე, უკანას-  
ქნელი წიწილა კი ეუბნება: წყალში გადავაგდეო.

ქორი გაექანება და, რომელ წიწილასაც ხელს სტაცებს, მიჰ-  
ყავს; ასე მიჰყავს ყველა.

დედა პირში დაიჭერს ჭოხს, ტირის და კრუხივით კრუხ-  
კრუხებს, ქორი ეკითხება:

— რა გატირებს?

— შვილები დავკარგე.

— რითი მოგიყვანო?

— ყურით.

ქორი გაბრუნდება, ერთ-ერთ წიწილას ყურში ხელს ჩავ-  
ლებს, მოიყვანს და გამოაყოფინებს ენას.

— შენია თუ არა.

— არა.

ქორი ისევ ყურში სტაცებს ხელს წიწილას და უკანვე მიჰ-

ყავს. ამ დროს დედა მიაძახებს: „კი, კი, ჩემია, მხოლოდ ვეღარ ვიცანიო“. ქორი წიწილას მოაბრუნებს და დატოვებს. ასევე უცხოული მოიყვანს დანარჩენებსაც და გაბრუნდება.

ქრუხი ერთ-ერთ წიწილას ქორთან „დოქებს“ (ნაფოტებს, ჯოხებს). გაატანს და დააბარებს: „ამაში ღვინო ჩამისხი, ამაში — რძეო“ და ა. შ. ქორი წიწილის მიტანილ დოქებს გადაჰყრის. წიწილა ამ ამბავს დედას მიუტანს. დედა მიდის ქორთან და ეკითხება:

— რატომ გატეხე?

წყალზე გავატანე გასარეცხად და გაუტეხიათო.

დედა გამობრუნდება და დოქებს ხელახლა გაგზავნის, მაგრამ იგივე მეორდება. ამაზე დაიწყება დავა:

— რად გატეხე?

— მე არ გამიტეხია.

— არა გრცხვენია, რომ ტყუიხარ!

ქორი წავა, დედა კი მასთან „ღამის გასათევად“ თავის წიწილებს გაგზავნის. ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდებიან.

— რაზე გაწვენდათ? — ეკითხება დედა.

— განა ეკლებზე, გაქათქათებულ ლოგინზე.

— რას გასმევ-გაჭმევდათ?

— თაფლსა და ღვინოს.

— მასპინძლობა კარგი სცოდნია და რაღა მეთქმის.

ამის შემდეგ თამაში თავიდან დაიწყება.

### კუდის ტაციობა

1. ბორბალა. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 12 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა ჯოხი და ძველი ქუდი. მოთამაშენი შემოხაზავენ წრეს, წრის სიღიდე მოთამაშეთა რაოდენობაზეა

დამოკიდებული. წრის ცენტრში ჩაასობენ ჭოხს და „დაახურავენ“ ქუდს.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. კენჭისყრის შემდეგ ერთი ჯგუფი დაღვება წრეში, მეორე — წრის გარეთ. წრეში მყოფნი იცავენ ქუდს, წრის გარეთ მყოფნი ცდილობენ მის გატაცებას.

მოპირდაპირე თუ ქუდს მოიტაცებს, დამცველმა მას წრიდან გასვლამდე უნდა დაურტყას ხელი ქუდზე, რის შემდეგ ქუდი თავის ადგილზე ბრუნდება.

თუ ქუდი წრის გარეთ გაიტაცეს, წრის გარეთ მყოფნი გამარჯვებულებად ითვლებიან და ახლა ისინი დგებიან ქუდის მცველებად, ხოლო ყოფილი მცველები წრის გარეთ გადიან და ცდილობენ ქუდის გატაცებას.

ზოგჯერ წრის შუაგულში დასვამენ ან ცალ მუხლზე დააჩოქებენ რომელიმე მოთამაშეს და ქუდსაც მას ახურავენ. თამაში იმგვარადვე მიმდინარეობს.

2. მოვლილია. მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე. უმთავრესად ვაჟები 12 წლის ასაკიდან. თამაშისათვის საჭიროა ქუდი და ჭოხი.

მოთამაშენი ჭოხს დაასობენ თამაშის ადგილიდან 50-100 ნაბიჯის მოშორებით. რის შემდეგ „გადრის“ საშუალებით ნაწილდებიან ორ ჯგუფად, თამაშის დაწყებისათვის კენჭს ყრიან „ქუდის აგდებით“.

იმ გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე, რომელსაც ჩადგომა ერგო წილად, იჩიქებს ცალ მუხლზე, მეორე ფეხი გაწვდილი აქვს თავისუფლად; თავზე ახურავს ქუდი. მოწინააღმდეგენი ცდი-

ლობენ ქუდი გაიტაცონ, ღაჩოქილმა კი მუხლევემოთ ფეხის  
მიყარებით უნდა „დაჭრას“ რომელიმე მათგანი. ერთის „დაჭრას“  
ნიშნავს მთელი გუნდის „დაჭრას“, რის შემდეგ გუნდების მოწინააღმდეგა-  
ებს.

ღაჩოქილს ან მისი ჯგუფის სხვა მოთამაშეს, ვიდრე მოწინააღმდეგენი ქუდს გაიტაცებდნენ, უფლება არა აქვს ქუდს შე-  
ეხოს, ხოლო თუ მოწინააღმდეგებმა ქუდი გაიტაცეს, შეუძლიათ დახვდნენ ქუდის გამტაცებელს, ან გამოუდგნენ, რომ ქუდი „დაუხელონ“ (ქუდზე ხელი მოუკიდონ). ქუდის გამტაცე-  
ბელს მხოლოდ მისი სადარი უნდა დახვდეს, სხვები დანარჩენ მოწინააღმდეგებს აკავებენ, რათა ქუდის გამტაცებელს ვერ დაეხმარონ.

თუ გამტაცებელს გაუჭირდა და ქუდი თავისი ჯგუფის სხვა მოთამაშეს გადასცა, მაშინ ქუდის „დახელვა“ შეუძლია ყველა მოთამაშეს.

„დახელილ“ ქუდს „ძალა ეკარგება“ და უკან უნდა დაბრუნდეს, მხოლოდ ახლა სხვა მოთამაშემ უნდა დაიჩოქოს და დახუროს იგი.

თუ მოწინააღმდეგებმა ქუდის ჯოხზე ჩამოცმა მოასწრეს, თამაში მოგებული აქვთ და ჯგუფების მდგომარეობა იგივე რჩება.

3. მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 10 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა ძველი ქუდი (ან რაიმე ნაჭერი).

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად. შემდეგ გაავლებენ „საზღვრის“ ხაზს, რომლის ერთ მხარეზე ერთი ჯგუფი დადგება, მეორეზე — მეორე.

თითოეული ჯგუფის მოთამაშენი თავისი მოედნის მხარეზე, საზღვრიდან 15 ნაბიჯის დაშორებით, დასასობრივ ჯოხს, რომელ ზედაც ქუდას (ან ნაჭერს) ჩამოჰკიდებენ და მის გარშემო შემოხაზვენ 5—6 ნაბიჯის სიგანის წრეს, ამის შემდეგ იწყება თამაში. თითოეული ჯგუფი ცდილობს მოიტაცოს „მოწინააღმდეგეთა“ ქუდი (ნაჭერი). ყოველ მოთამაშეს უფლება აქვს „დაჭრას“ საზღვარზე გადამოსული მოწინააღმდეგები, რისთვისაც საკმარისია ხელი დაპრას მას. დაჭრილები „დაჭრის“ ადგილზევე უნდა გაჩერდნენ; ნაბიჯის გაღადგმის უფლება ორა აქვთ, ვიდრე მათივე ჯგუფის მოთამაშე არ გაათავისუფლებს ხელის დაკვრით, შემდეგ ჩვეულებრივად ჩაებმებიან თამაშში. წრეში შესვლა მხოლოდ მოწინააღმდეგე ჯგუფის მოთამაშეებს შეუძლიათ (ამის შემდეგ მათი დაჭრა მხოლოდ წრის გარედან შეიძლება).

თუ მოთამაშემ ქუდი მოიტაცა და დამცველებმა საზღვარზე გადასვლამდე დაჭრეს, უკან დაიბრუნებენ, დაჭრილი კი დაჭრის ადგილზე გაჩერდება (ვიდრე გაათავისუფლებდნენ).

საზღვარს გადაცილებული ქუდი მოტაცებულად ითვლება და თამაში თავიდან უნდა დაიწყოს.

4. მონაწილეობს ორი და მეტი მოთამაშე ვაჟი 12 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა ხუთიოდე მტკაველი სიგრძის ჯოხი, ძველი ქუდი და ყაბალახი ან სარტყელი.

მოთამაშენი ქვებით ან ხაზებით მონიშნავენ ორ ადგილს ისე, რომ მათ შორის მანძილი დაახლოებით 30-მდე ნაბიჯი იყოს. მანძილს ნიშნებს შორის გაყოფენ ორ ნაწილად, ისე რომ ერთი მხარე ორჯერ მეტი იყოს მეორეზე. გაყოფის ადგილზე დაასობენ ჯოხს და ზედ ჩამოჰკიდებენ ქუდს.

შეთანხმების ან კენჭისყრის შედეგად ერთი მოთამაშე დაღ-  
გება ერთ ნიშანთან, მეორე — მეორესთან. ის მოთამაშე, რომ-  
ელიც გრძელ მხარეზე მოხვდება, ქუდის დამცველია, მეორე  
კი — გამტაცებელი. დამცველს ხელში უჭირავს მოხერხებულ-  
ად დაკეცილი ყაბალახი ან სარტყელი.

სამის დათვლაზე ან სხვა ნიშანზე მოთამაშენი ერთდროულ-  
ად ერთმანეთისაკენ გაიქცევიან. გამტაცებელმა უნდა მიირჩი-  
ნოს ქუდთან, გაიტაცოს იგი და მოასწროს თავის ნიშანთან  
დაბრუნება, ვიდრე დამცველი წამოეწეოდეს, თორემ თუ დამ-  
ცველი წამოეწია, შეუძლია, მანამ ურტყას ზურგში ყაბალახი  
(ან სარტყელი), ვიდრე ქუდის გამტაცებელი თავის ნიშანამდე  
მიაღწევს. თუ მცველი ქუდის მომტაცებელს წამოეწია და ყაბა-  
ლახი (სარტყელი) დაპკრა, მცველია გამარჯვებული, თუ არა-  
და — გამტაცებელი. შემდეგ „ხელზე“ დამცველის ადგილს  
სხვა მოთამაშე დაიკავებს:

### შუდში ჩახედაობა, ჩერის ჭამა

მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე, უმთავრესად ვაჟები 15  
წლის ასაკიდან. მოთამაშეთაგან შეირჩევა ქუდში ჩამხედავი და  
მისი „დედა“ (მეპატრონე), ანუ ქუდის დამჭერი.

„მეპატრონე“ დაიჭერს ქუდს და მასში თავს ჩააყოფინებს  
„ჩამხედავს“ ისე, რომ ვერაფერს ხედავდეს. „ჩამხედავი“ წელ-  
შია მოხრილი და ხელები ზურგებით უკანა აქვს შემოწყობილი.  
ერთ-ერთი მოთამაშე ხელს დაპკრავს ხელისგულებზე. ჩამხე-  
დავს ყოველი დარტყმის შემდეგ უფლება იქვს თავი ამოიღოს  
ქუდიდან და გამოიცნოს, ვინ დაარტყა. თუ ვერ გამოიცნო, იგი-  
ვე მეორდება, ხოლო თუ გამოიცნო, მის მაგიერ დგება ის, რო-  
მელმაც დაარტყა.

## (შ ი რ ა მ ა ლ ა)

მონაწილეობს 8 მოთამაშე — ვაჟები 15 წლის ასაკიდან თამაშის ადგილზე არ უნდა ეყაროს ქვები და სხვა მაგარი საგნები.

მოთამაშენი განაწილდებიან ორ ჯგუფად. ქენჭისყრის შედეგად ერთ ჯგუფს მოუწევს „დადგომა“. ჯგუფის ორი მოთამაშე დადგება ერთიმეორის ზურგშექცევით. ამ მდგომარეობაში ისინი ერთმანეთს ხელებით ჩაეჭიდებიან და ერთიმეორის საწინააღმდეგო მხარეს წაიხტონებიან; ორნიც აქეთ-იქიდან (გვერდებიდან) ამოუდგებიან, თავს დახრიან და ისე ღრმად მოიხრებიან წელში, რომ პირველად დამდგარ მოთამაშეებს „ქედით“ თეძოებზე მიეყრდნობიან.

მოწინააღმდეგენი სათითაოდ გამორბიან ერთ-ერთი მხრიდან და ამ მხარეს მდგომ ღრმად მოხრილ მოთამაშეს ზურგზე ხელებს დაჰკრავენ და მეორე მხარეს ყირამალა გადავლენ (მოთამაშეთა ზურგზე გადაკოტრიალდებიან), თუ რომელიმე ვერ გადავიდა (ვერ გადაკოტრიალდა), გუნდების მდგომარეობა შეიცვლება. ახლა იმ ჯგუფის მოთამაშენი დაიწყებენ ყირამალა გადაკოტრიალებას, რომელიც იდგა. ზოგჯერ იმ მოთამაშეებს, რომელთა ზურგზეც უნდა გადაკოტრიალდნენ, ზემოდან რამეს (მაგ. ძველ პალტოს) გადააფარებენ, რომ უფრო მოხერხებულად გადაკოტრიალდნენ. „დადგომილებს“, თუკი მოესურვებათ, შეუძლიათ ერთიმეორეს შეუცვალონ ადგილები.

## შ ე მ რ ვ ლ ა

მონაწილეობს 15-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 12 წლის ასაკიდან. მოთამაშეთაგან ერთ-ერთი „ბოძია“, მეორე — „ჩამომვლელი“ („შემომვლელი“).

„ბოძი“ „ჩამომვლელს“ ჩაეჭიდება ცალი ხელის მაჯაში და  
იწყებს ადგილზე ტრიალს, მის გარშემო ტრიალებს „ჩამომვლელი უკანასკნელი  
ლიც“, რომელსაც დანარჩენები, რამდენსაც მოასწრებენ, რომ ამავე დროის დანარჩენები  
დენს დაპრავენ.

თუ „ჩამომვლელმა“ მოასწრო და რომელიმე მოთამაშეს  
თვითონ დაპრა ხელი, ეს უკანასკნელი „დაჭრილად“ ითვლება.  
ამის შემდეგ დაჭრილი დგება ბოძად, ხოლო ჩამომვლელის აღ-  
გილს იჭერს ის, რომელიც მანამდე იდგა ბოძად. ჩამომვლელი  
კი დანარჩენ მოთამაშებს შეუერთდება.

### შურდული, გვეშარტულა

მონაწილეობენ უმთავრესად ვაჟები 12 წლის ასაკიდან.

თამაშისათვის საჭიროა ვრცელი თავისუფალი ადგილი.

კანაფისაგან მკვიდრად მოქსოვენ ერთი ხელის დადება ნა-  
ჭერს (ჭილობს), ორი მხრიდან გრძლად დაუტოვებენ თავისივე  
ძაფებს, კარგად შეგრეხენ და ერთ ბოლოზე გაუკეთებენ  
ყულფს, ხოლო მეორეზე — ნასკვს. მოთამაშე ყულფში გაუყ-  
რის შუა თითს, მეორე ბოლოს კი ნასკვით დაიჭერს ცერსა და  
საჩვენებელ თითებს შორის. ამის შემდეგ ქვეშარტულის ნაქ-  
სოვ ნაწილში ჩადებს ქვას, მძლავრად მოიქნევს ხელს, თითები-  
დან გაუშვებს განასკვულ ბოლოს და გატყორცნის ქვას. ვინც  
უფრო შორს და სწრაფად გატყორცნის — გამარჯვებულია.  
შურდულის, ანუ ქვეშარტულის დამზადება შეიძლება მაგარი  
მზა ქსოვილის ნაჭრისა და მკედის ძაფისაგანაც.

## ჩემო პარგო დედაო



მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები 6—7 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ხელიხელჩაკიდებული ჩამწკრივდებიან. თავში მდგომი იძახის:

„ჩემო კარგო დედაო, თოხები მჭირდებაო!“

„მობრძანდი და ინებე, რადგანაც გჭირდებაო, — უპასუხებს მწკრივის ბოლოში მყოფი.«

ამის შემდეგ თავში მდგომი გამოუძლვება მოთამაშეებს, გააძვრენს მწკრივის ბოლოში მდგომი უკანასკნელი ორი მოთამაშის ხელებქვეშ, მთელ დანარჩენ მწკრივსაც თან გაიყოლებს და იმგვარადვე დადგებიან, როგორც პირველად იდგნენ, მხოლოდ ბოლოდან მეორე მოთამაშე ზურგშექცეული და მკერდზე ხელებგადაჭვარედინებული აღმოჩნდება. ასევე გრძელდება თამაში, ვიღრე ყველა მონაწილე (გარდა მწკრივის თავსა და ბოლოში მდგომებისა) ზურგშექცეული და მკერდზე ხელებგადაჭვარედინებული არ დარჩება. შემდეგ მწკრივის თავსა და ბოლოში მდგომი მოთამაშენი მწკრივს ერთიმეორეს საწინააღმდეგო მხარეს ლონივრად გასწევენ, რომ გაწყვიტონ. მწკრივის გაწყვეტის შემდეგ, ვის მხარეზეც მეტი მოთამაშე აღმოჩნდება, გამარჯვებულია.

## ჩეირის (პენშის) დამალვა

ამ სათაურქვეშ გაერთიანებულ თამაშობებს მხოლოდ თამაშის პირველი ნაწილი (ჩხირის დამალვა) აქვს საერთო, ისე კი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

1. მონაწილეობს 10-მდე ვაჟი 10 წლის ასაკიდან. მოთამაშენი ერთმანეთისაგან 20—30 ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ

ორ ხაზს .ამის შემდეგ გამოპყოფენ ერთ მონაწილეს .ეს იქნება „დედა“ . დანარჩენები დადგებიან ერთ-ერთ ხაზზე მწკრივადული ყოველი მათგანი ხელებს ერთმანეთზე ხელისგულებით მიაღდია ებს და ამგვარად გამოწვდის წინ . თითოეულს ხელის თითებში დატანებული აქვს გამონასკვლი ცხვირსახოცი (ცხვირსახოცის ნაცვლად შეიძლება ფუჩქების, ბალახის ან შტოს ხმარებაც) . დედა ყველა მოთამაშეს სათითაოდ ჩამოუვლის და ერთ-ერთს, სხვების შეუმჩნევლად, ხელში ჩაუდებს პატარა ჩხირს . ის მოთამაშე, რომელსაც ჩხირი აქვს, როგორც კი ხელსაყრელ დროს იხელთებს, გარბის მეორე ხაზისაკენ . დანარჩენები ცდილობენ გაქცეულს ცხვირსახოცი დაარტყან (შეიძლება ესროლონ კიდეც), თუ დაარტყეს, გაქცეული უკან ბრუნდება, თუ არა და დგება მეორე ხაზზე . პირველ ხაზზე მდგარი მოთამაშენი . ჩუმაღ ირქმევენ სახელებს, მაგ : „ბათუმი“, „ქუთაისი“ და ა . შ . დედა მეორე ხაზზე მდგომს ჩამოუთვლის ყველა შერქმეულ სახელს და ეკითხება, რომელი გირჩევნიაო . ვის სახელსაც მეორე ხაზზე მდგომი ამორჩევს, ის მოთამაშე უნდა წვიდეს მასთან, მოიკიდოს ზურგზე და მიიყვანოს პირველ ხაზთან . ამის შემდეგ თამაში მეორდება, შეიძლება ხელმძღვანელის გამოცვლაც .

2. კენჭისდამალვა (ხტომით) . მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 12 წლის ასაკიდან . თამაშის აღგილზე არ უნდა იყოს ქვები და სხვა მაგარი საგნები . მოთამაშენი აირჩევენ ორ „დედას“, ეს უკანასკნელნი დანარჩენებს გაინაწილებენ „არჩევან-არადანის“ მიხედვით . მოთამაშენი ერთმანეთისაგან 30-მდე ნაბიჯის დაშორებით გაავლებენ ორ სწორ ხაზს . „დედები“ დადგებიან ერთ-ერთ ხაზზე, ერთმანეთისაგან 3—4 ნაბიჯის დაშორებით, სახით მეორე ხაზისაკენ, მათ თავთავიანთი მოთამაშენი დაუდგებიან ერთიმეორის შემდეგ და უკან .

ჰყრიან კენჭს. ერთ-ერთ გუნდს თამაშის დაწყება მოუწევს.  
 ამ გუნდის „დედა“ დაიჭერს ჩხირს (ან კენჭს,) ჩამოუტყლებს  
 თავის გუნდის ყველა მოთამაშეს და ხელებში ჩაუდებს ხელ  
 ებს, თან ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქოს  
 თითოეულ მათგანს ჩხირი გადასცა. სინამდვილეში ჩხირს ერთ  
 მოთამაშეს ჩაუდებს ხელში. შემდეგ ამ ჯგუფთან მოდის მოწი-  
 ნააღმდეგების დედა და ცდილობს გამოიცნოს, ვისა აქვს ჩხი-  
 რი დამალული. თუ ვერ გამოიცნო, ჩხირის დამმალავი ჯგუფის  
 სულ უკანა მოთამაშე გამოიქცევა, ფეხს დაპკრავს ხაზზე და  
 გადახტება. სადაც დახტება, იმ ადგილის გასწვრივ ჩაჯდება,  
 ჩხირს კი ისევ ეს ჯგუფი დამალავს. თუ მოწინააღმდეგებმა  
 კენჭი კიდევ ვერ იპოვეს, მაშინ იმგვარადვე გამორბის ამ ჯგუ-  
 ფის უკან დარჩენილი მეორე მოთამაშე. ეს მოთამაშე ფეხს  
 დაპკრავს არა ხაზზე, არამედ იმ ადგილზე, სადაც მის წინ  
 გადამხტარმა მოთამაშემ დახტომის დროს ფეხის ქუსლები  
 დაპკრა. თუ კენჭი მოწინააღმდეგებმა იპოვეს, კენჭს ეს უკა-  
 ნასკნელები დამალავენ. ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ერთ-  
 ერთი გუნდი ამგვარი ხტომით დანიშნულ ადგილს (მეორე  
 ხაზს) არ მიაღწევს; ეს გუნდი გამარჯვებულად ითვლება.  
 ზოგჯერ გუნდები დადგებიან (ან დასხდებიან) ერთიმეორის  
 პირისპირ, ერთმანეთისაგან 40—40 ნაბიჯის დაშორებით. შუაში  
 გავლებულია ხაზი, რომელი გუნდიც ამ ხაზამდე მიასწრებს,  
 ისაა გამარჯვებული.

3. ჩათქმობანა. მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგო-  
 ნები და ვაჟები 6 წლის ასაკიდან. მოთამაშენი აირჩევენ ერთ  
 „მრიოგებელს“ (ჩამომრიგებელს). დანარჩენები ჩამოსხდებიან  
 ერთად. მრიოგებელი დაიჭერს პატარა ჩხირს, მოთამაშეებს სათი-  
 თაოდ ჩამოუვლის და ჩხირს „ჩამოურიგებს“. მან ისეთი  
 შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს, თითქოს ყოველ მათგანს

ჩხირს აძლევდეს. სინამდვილეში ჩხირს, სხვებისაგან შეუმჩნევ-  
ლად, გადასცემს ერთ-ერთ მოთამაშეს. ამის შემდეგ მრიგებელი  
დგება რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით და იძახის: „ოქროს ფერი და  
ფერო, ჩემთან მოდი!“ „ოქროსფერი“, ე.ი. ის მოთამაშე,  
რომელსაც ჩხირი აქვს, წამოხტება, რათა გაიჭირეს, დანარჩენე-  
ბი ცდილობენ დაიჭირონ. თუ დაიჭირეს, ჩხირს დამჭერი  
მოთამაშე არიგებს, თუ არა და — „ოქროსფერი“.

### ცარიელია თუ სავსე (ზოშვილოლი)

მონაწილეობს 2-დან 20-მდე გოგონა და ვაჟი 6—7 წლის  
ასაკიდან. მოთამაშენი იყოფიან 2 ჯგუფად, ჯგუფები დაღვები-  
ან ორ მწერივად, სახით ერთმანეთისაკენ, ერთიმეორისაგან  
2—3 ნაბიჯის დაშორებით. ერთ-ერთი გუნდის მოთამაშენი შე-  
ბრუნდებიან, რომელიმე მათგანი ცალ ხელში დამალავს კენჭს,  
შემდეგ ისევ შემობრუნდებიან. თითოეული მათგანი თავის  
პირისპირ მდგომ მოწინააღმდეგეს გაუშვერს ორივე ხელს და  
უკითხება: „ცარიელია თუ სავსე“ („ბოშმიდოლი“)? თითოეულ  
მოწინააღმდეგეს შეუძლია მხოლოდ მოპირდაპირის ერთი  
რომელიმე ხელის გასინჯვა. თუ კენჭი ვერ იპოვეს, დამმალავშა  
თვითონ უნდა აჩვენოს კენჭი. კენჭის პოვნის შემთხვევაში  
მპოვნელებს უფლება აქვთ მოწინააღმდეგებს ქამრის ბოლო  
(უაბზინდო) ან თითო დაპკრან ხელის ზურგზე, ხოლო შემდეგ  
კენჭი თვითონ დამალონ და პირიქით, თუ ვერ იპოვეს, თვითონ  
„დაისჯებიან“ და კენჭსაც ისევ მოპირდაპირენი დამალავენ.

### ც ე ც ხ ლ ო ბ ა ნ ა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები  
12 წლის ასაკიდან. მოთამაშენი განაწილდებიან ორ ჯგუფად.  
11. ჭ. შერაზადიშვილი.

თითოეული ჯგუფი თამაშის ადგილზე ერთიმეორისაგან 25—30  
ნაბიჭის დაშორებით დადებს მოზრდილ ქვას. ქვას „ცეცხლი“  
ეწოდება. მოედნის შუაგულზე გაავლებენ ხაზს — „საზღვარს“  
და დაიწყებენ თამაშს. ჯგუფები მოთამაშებს რიგრიგობით  
გზავნიან ერთიმეორის ცეცხლისაგნ. თამაშის არსი იმაში მდგო-  
მარეობს, რომ ფეხის მიკარებით „აღებული“ იქნას მოწინააღ-  
მდეგთა ცეცხლი. მოწინააღმდეგთა ცეცხლის აღების უფლე-  
ბა ყველა მოთამაშეს აქვს. ასევე ყველა მოთამაშეს აქვს  
უფლება „დაჭრას“ საზღვარს გადმოცილებული მოწინააღმდე-  
გე, რომელიც მასზე გვიან „გამოვიდა“, ე. ი. მოსცილდა საკუ-  
თარ ცეცხლს, უფრო აღრე გამოსული მოთამაშის დაჭრა კი არ  
ჩაითვლება.

მოწინააღმდეგის დაჭრა ხელის დაჭარებით ხდება.

დაჭრილი მოთამაშე ადგილზევე აჩება. მას არც ერთი ნაბი-  
ჭის გადადგმის უფლება არა აქვს, ვიდრე მისი ჯგუფის მოთა-  
მაშენი არ „დაიხსნიან“, რისთვისაც საკმარისია ერთ-ერთი  
მათგანი ხელით შეეხოს მას. დაჭრილს უფლება აქვს ხელი  
გაუწოდოს დასახსნელად მომავალ მოთამაშეს. თითოეულ  
გუნდს ცეცხლთან დაყენებული ჰყავს მცველი, მაგრამ ზოგჯერ  
მცველები იძულებული არიან წავიდნენ თავიანთი მოთამაშე-  
ების დასახსნელად. ასეთ შემთხვევაში ამ მხარის ცეცხლის  
აღება უფრო ადვილი ხდება. რომელი მხარეც მოახერხებს  
მოწინააღმდეგთა ცეცხლის აღებას, მოგებულია. მოთამაშეს,  
რომელიც მოწინააღმდეგთა ცეცხლს მიუახლოვდება, შე-  
უძლია ამ უკანასკნელთა გალიზიანება — „მოგიხტიო “და სხვა  
ამგვარი სიტყვებით.

ცეცხლის აღების შემდეგ თამაში შეიძლება განმეორდეს.

ციგით, ანუ დომაზურით, ანუ ჯონგურით

თამაშისათვის საჭიროა ციგა, მას დომბურასაც, ანუ ჭოხ-  
გურასაც უწოდებენ და ხელმარჯვე ბავშვები თვითონ აკე-  
თებენ.

მონაწილეობენ გოგონები და ვაჟები 5 წლის ასაკიდან.  
თუ სასრიალო ფერდობის დაქანება ნაკლებია, უფრო პატარე-  
ბიც ებმებიან ციგაობაში.


ციგა ასე მზადდება: მუხის გულისაგან ან წიფლისაგან  
(შეიძლება სხვა ხის, უკიდურეს შემთხვევაში, უბრალო ფიც-  
რის გამოყენებაც) გამოთლიან და გაასუფთავებენ 2 ბასკას.  
ბასკების სიგრძე ასაკზე დამოკიდებული და დაახლოებით  
25—35 სმ შეიძლება იყოს. სიფართე საკმარისია 3—4 სმ,  
სისქე — 4—5 სმ.

თითოეულ ბასკას ერთ ბოლოს 2 თითის დადებაზე ცერად  
წაათლიან და შემოასწორებენ, რომ თოვლს არ წამოედოს.

ბასკებს დაალაგებენ ერთმანეთის პარალელურად, ერთიმე-  
ორისაგან 20—25 სმ დაშორებით და ზედ თანაბრად დაჭედე-  
ბენ ფიცრებს, ისე, რომ ბასკების წათლილი ბოლოები, რომ-  
ლებიც ქვემოთ იქნება მოქცეული, თავისუფალი დარჩეს.

ფიცარს წინა მხრიდან ორ ადგილზე გახვრეტენ და თასმის  
ან თოკის სახელურს გამოაბამენ: თუ ფიცარს გარშემო შემო-  
ეჭედება წვრილი, თითის სისქე რიცები, ციგა დასაჯდომად  
უფრო მოხერხებული იქნება. ასეთი ციგებით, ანუ დომბურე-  
ბით, ანუ ჭოხგურებით ბავშვები ზამთარში თოვლიან ფერდობ-  
ზე სრიალებენ, ხშირად კი ზაფხულობით თანაბარსა და სუფთა  
ბალახოვან, ზოგჯერ კი უბალახო ფხვიერ ფერდობებსაც არ

ერიდებიან და ერთიმეორეს ეჭიბრებიან, ვინ უფრო შორს და  
სწრაფად გასრიალდება.



## ციგურაობა

სახელურიანი ციგურიგით (რჩალციგურიგით)

მონაწილეობენ უმეტესად ვაჟები 8 წლის ასაკიდან.

დაამზადებენ ასეთივე ბასკებს მუხის გულისაგან ან წიფლის  
ხისაგან, როგორც ზემოთა აღწერილი. ბასკების სიგრძე მოთა-  
მაშის ფეხსაცმლის სიგრძეზე დაახლოებით 10 სმ-ით მეტი  
უნდა იყოს.

ბასკებს თავიდან 5 სმ და ბოლოდან 3 სმ დაშორებით 15 მმ  
დიამეტრის ქონებულით გაბურლავენ 3 სმ სილრმეზე. ამის  
შემდეგ სახელურებისათვის შეარჩევენ შესაფერისი სიგრძისა  
და სიმსხო თხილის ნედლ ტოტებს. ტოტები სუფთა უნდა  
იყოს, ოღონდ კანი არ უნდა გაეცალოს და ნაჭდევი (დანის)  
არ ჰქონდეს — რათა არ გატყდეს. ტოტებს თავებს გაუსუფთა-  
ვებენ და მსხვილი ბოლოებით ჩაარჭობენ ბასკების გაბურლულ  
თავებში, ტოტებს თანდათან მოლუნავენ (თანაც ხელში მოქნი-  
ან), მორკალავენ და წვრილი ბოლოებით ბასკების გაბურლულ  
ბოლოებში ისე ჩაარჭობენ, რომ ტოტებმა (რკალებმა) წაგრძე-  
ლებული ქართული „ი“-ის სახე მიიღოს. მათი ბოლოები კარ-  
გად უნდა იყოს ფოსოებში ჩასმული და ლურსმნით დამაგრე-  
ბული, ხოლო მათ შორის ჩადგმული ფეხი (ფეხსაცმლით)  
კარგად იჭედებოდეს. მოციგურავე ხელებს სახელურებში  
(რკალებში) ჩასჭიდებს და ფეხებს დადგამს ბასკებზე სახელუ-  
რების ბოლოებს შორის. სახელური ისეთი სიმაღლისა უნდა

იყოს, რომ ჩაჭიდებისათვის მოთამაშეს ოდნავ მუხლებში გამოხატა მოხარა სჭირდებოდეს.

მოთამაშე, ანუ მოციგურავე, სახელურიანი ციგურებით (რკალციგურებით) დადგება კარგად დატკეპნილ და თანაბრად დაქანებულ თოვლიან ფერდობზე და სრიალით ეშვება დაბლა. სახელურიანი ციგურებით ზაფხულობით სწორ, ბალაზოვან ფერდობსაც ეტანებიან. თუ დიდი სისწრაფის შენელება უნდათ, სახელურებს, რკალებს, თავისკენ მოსწევენ, ბასკებს „ქუსლებზე“ შეაყენებენ და დაამუხრუკებენ. ზოგჯერ ამ მიზნით ბასკების ქუსლები ზემოდან ნაწილობრივ ჩათლილი, დათხელებულია. სახელურებიანი ციგურებით შეიძლება მიმართულების შეცვლაც.

მოთამაშენი ხშირად ერთიმეორეს ეჯიბრებიან გასწრებაში.

## ც ი ხ თ ა ნ ა

მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 12 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი შემოხაზავენ რამდენიმე ნაბიჯის სიგანის წრეს, შუაზე დაასობენ ჭოხს, რომელსაც ციხე ეწოდება და ნაწილდებიან ორ ჭგუფად, კენჭისყრის შემდეგ ერთ-ერთ ჭგუფს მოუწევს „ჩადგომა“. ეს ჭგუფი იცავს ციხეს. მეორე ჭგუფი თამაშობს წრის გარეთ და ცდილობს ციხის „აღებას“. თუ ამ ჭგუფის რომელიმე მოთამაშე ჭოხს შეეხება, ციხე აღებულია და ციხის მცველად მისი ჭგუფი დგება. დამცველები ცდილობენ ხელი დაპრიან წრეში შეჭრილ მოწინააღმდეგებს, სანამ იგი ციხეს შეეხებოდეს. თუ ეს მოახერხეს, წრეში შემოჭრილი მოთამაშე ჩაჭრილია („მოკლულია“). და თამაშიდან გადის. თავის მხრივ მცველებს წრიდან გამოსვლის უფლება არა აქვთ, წინა

აღმდეგ შემთხვევაში ისინიც ჩატრილებად („მოკლულებად“) ჩაითვლებიან. თუ მოიერიშე მხარის მოთამაშენი ისე — ჩატრენა რომ ციხე ვერ აიღეს, დამარცხებული არიან და მომდევნო „ხელზე“ ციხის მცველად იგივე ჯგუფი რჩება.

## ც ხ ე ნ თ ბ ა ნ ა

შონაწილეობენ უმთავრესად ვაჟები 4—5 წლის ასაკისა.

ყოველი მონაწილე შეარჩევს 1 მეტრამდე სიგრძის ჭოხს („ცხენს“) და ჩააბამს თოკს („აღვირს“); ასევე შეარჩევს პატარა ჭოხს მათრახისათვის. ამ უკანასკნელს ერთ თავზე მოაბამს წვრილი თოკის ყულფს მაჭაზე გადასაცმელად, მეორეზე ქი — ოდნავ მსხვილ თოკს, „მათრახის ენას“.

მოთამაშენი მოახტებიან თავიანთ ცხენებს, ერთ ხელში და-იჭერენ აღვირს, მეორეში — მათრახს, „დააჭენებენ“ აქეთ-იქით და ცდილობენ მოძრაობითა და ხმით ხან ცხენს მიჰბაძონ, ხან მხედარს.

ასეთ „ცხენოსნებს“ შეუძლიათ მოაწყონ შეჯიბრებაც („მარულა“), — დადგებიან ერთ ხაზზე და სამის დათვლაზე გაჭენ-დებიან. რომელიც მიასწრებს წინასწარ დანიშნულ ადგილამდე (20—30 ნაბიჯი), გამარჯვებულია.

## ც ხ ე ნ ს ა ვ ყ ი დ ი , ვ ი ნ ი ყ ი დ ი ს ...

1. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 15 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი სურვილისამებრ წყვილდებიან, რომ ერთიმეორე „დაიცვან“. ერთ-ერთი მოთამაშე იძახის: „ცხენსა ვყიდი, ვინ იყიდის?“ მეორე უბასუხებს რომელიმე მოთამაშეზე: „პეტ-რე იყიდის“. პეტრეს დამცველმა უნდა „დაიცვას“ პეტრე და

მოწინააღმდეგეს უპასუხოს: „პეტრე არ იყიდის, პავლე (ან სხვა) იყიდის“. თავის მხრივ პავლეს დამცველმა უნდა უპასუხოს არ იყიდის და სხვა რომელიმე მოთამაშე დადგინდება და.

თუ „დამცველს“ პასუხი შეეშალა ან შეცდომით თავისი დამცველი დასახელა, ანდა დროზე, ან სრულებით ვერ უპასუხა, მას დანარჩენები წკიპურტით უმასპინძლდებიან.

თამაშის გართულებისათვის ზოგჯერ მოთამაშენი ირქმევენ ქნელად სათქმელ ან ერთმანეთის სახელებს.

2. რადა ფიდო. მონაწილეობს 10-მდე გოგონა და ვაჟი 7 წლის ასაკიდან.

რომელიმე მათგანი იწყებს თამაშს და ერთ-ერთ დამსწრე-თაგანზე, ვთქვათ, ფიდოზე, იძახის:

— გზაზე ფიდო მოდიოდა!  
— რადა ფიდო! — უმალვე უპასუხებს ფიდო.  
— მაშ ვინა? — სასწრაფოდ უბრუნებს კითხვას თამაშის დამწყები.

— თეკლა! — გადააქვს თეკლაზე თამაში ფიდოს.  
— რადა თეკლა? — უმალვე ეკითხება თეკლა.  
— მაშ ვინა? — სწრაფადვე სვამს კითხვას ფიდო.  
— მანანა! — უპასუხებს თეკლა და ო. შ.

ვისაც კითხვის დასმა და პასუხის გაცემა შეეშლება, ან და-უგვიანდება, თამაშიდან გადის. ვინც ბოლომდე დარჩება, გა-მარჯვებულია.

თუ მონაწილენი გამოგონილ სახელებს შეირქმევენ, თამა-ში უფრო რთულსა და ხალისიან სახეს მიიღებს.

## ძალის გადაყვანა, ბურალაობა



1. მონაწილეობს 2 გოგონა ან ვაჟი 7 წლის ასაკითან. თამაშისათვის საჭიროა 7—8 მტკაველი სიგრძის მაგარი ძაფი (უმ-ჯობესია მკედი), ძაფის ბოლოები ერთადაა განასკული.

ერთ-ერთი მოთამაშე ძაფში ორივე ხელის მტკავებს გაუყრის. ძაფს თითოეული ხელის ზურგზე (ცერების წინ თითოეულ შემოიხვევს, მათში ერთიმეორის მოპირდაპირე შუა თითებს გაუყრის და გასჭიმავს ხელის ზურგებისა და შუა თითების დახმარებით. ძაფი ექვსტოლად გაკეცილი აღმოჩნდება, რომელთაგან ორ-ორი ერთიმეორებზე გადაჯვარედინებულია.

მოპირდაპირე მოთამაშე გადაჯვარედინებულ „ტოლებს“, გადაჯვარედინების ადგილას აქეთ-იქიდან მოსდებს ცერსა და საჩვენებელ თითებს, ამოსწევს და ქვემოდან ამოუტარებს ძაფის თავისუფლად დაჭიმულ ტოლებს; რის შემდეგ თავის თითებზე „გადაიტანს“.

შედეგ ძაფი ასეთივე ხერხით ხან ერთ მოთამაშეს გადააქვს და ხან მეორეს, რაც თითქმის დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ზოგჯერ ძაფი ისეა გადატანილი, რომ უმჯობესია ცერა და ნეკა თითების ჩაკიდება და ისე გადატანა. მარცხდება ის მოთამაშე, რომლის ხელიდანაც ძაფის სწორად (აუბურდავად) გადატანა აღარ მოხერხდება, ამის შემდეგ თამაში თავიდან იწყება.

2. თამაშის გასაძნელებლად ძაფზე მძივებივით აასხამენ ბალახების თესლს და ასე ცდილობენ მის გადატანას.

### ძიძგი-ძიძგი, მამალა

მონაწილეობს 2 და მეტი მოთამაშე, უმთავრესად ვაჟები 8 წლის ასაკიდან. თამაშს იწყებს ორი მოთამაშე. ისინი მკლა-

ვებს მკერდზე გადაიჯვარედინებენ, ცალ ფეხზე დადგებიან და დაიწყებენ ასკინკილით ხტომას, დროდადრო ერთმანეთს მხრევ ბით (მკერდზე გადაჯვარედინებული მკლავების გახსნა და ხელისკვრა არ შეიძლება) ეჯახებიან, რათა ერთმანეთს მეორე ფეხიც დაადგმევინონ მიწაზე.

ამ დროს დანარჩენი მოთამაშეები მღერიან: „ძიძგი-ძიძგი, მამალა, შენ იცი და მაგანა“.

სიმღერას ტაშსაც აყოლებენ და უფრო მეტად აქეზებენ.

ხშირად მოთამაშე ცდილობს მოწინააღმდეგე მოატყუოს (თთქოს ეჯახება, უცბად კი უმტყუნებს), რომ მეორე ფეხიც დაადგმევინოს მიწაზე. ამიტომ თამაშის წინ უნდა დათქვან, იყოს თუ არა მოტყუება.

როცა ერთ-ერთი ჩაიჭრება (მეორე ფეხსაც დაადგამს მიწაზე), მის მაგივრად სხვა მოთამაშეს გამოიყვანენ.

## ¶ ა ბ ი ძ გ ე ბ ა

მონაწილეობს 10—მდე ვაჟი 10 წლის ასაკიდან. მონაწილენი ერთიმეორისაგან 10—15 ნაბიჯის დაშორებით დანიშნულენ ორ ადგილს. ორნი კენჭისყრით ან თავისი სურვილით დადგებიან ერთ მონიშნულ ადგილზე, ერთიმეორის გვერდით. დანარჩენები უკანიდან მოუდგებიან 2—3 ნაბიჯის მოშორებით.

პირველი ორი მოთამაშე ნახევრად მომუჭულ ხელებში იცემირება, როგორც ღურბინდში, ამ დროს ერთ-ერთ მათგანს ვინმე წაუბიძებს და წინ წააგდებს. მეორე მოთამაშე ეკითხება: — შენი წამბიძგებელი ვინ არისო. თუ პირველი მიხვდა, მის ადგილზე უნდა დადგეს წამბიძგებელი, თუ არა და წამბიძგებელი შეისვას ზურგზე, მიიყვანოს მეორე ნიშანთან და ისევ უკან მოიყვანოს.



მონაწილეობს სამი ვაჟი 15 წლის ასაკიდან.

ერთი მათგანი გულდაღმა დაწვება, ორნი ისე მოუსხდებიან აქეთ-იქიდან, რომ წელზე ფეხები გადააწყონ და ერთმანეთში ისე ჩახლართონ, რომ დაწოლილი მოთამაშის წამოდგომის დროს ერთომეორე დაიკავონ. დაწოლილი ცდილობს წამოდგეს და ორივე მოთამაშე ასწიოს. შემდეგ სხვა მოთამაშე დაწვება გულაღმა და ასე გრძელდება თამაში.

### ჭიპონია

მონაწილეობს 6 — 7 წლის ასაკის 5-მდე ბავშვი. მოთამაშენ დადგებიან წრიულად. ერთი მოთამაშე ცალ ხელს ჩაჰკიდებს მეორე მოთამაშის ხელის ზურგს (თითებით მიეჭიდება კანზე), მეორეს მესამე მოთამაშე ჩაეჭიდება იმგვარადვე, მესამეს — მეოთხე და ა. შ. თითოეულ მოთამაშეს მეორე (თავისუფალი) ხელი გაწვდილი უნდა ჰქონდეს განზე. ის მოთამაშე, რომლის ხელიც სულ ზემოთ მოექცევა, „ხელმძღვანელი“ იქნება. იგი თავისუფალი ხელით თავისივე ხელს ჩაეჭიდება და იძახის: „წიავ, წიავ, წიპონია, კატას კვერცხი უპოვნია, შეუწიგავს დაუჭიამია. პირზე სცხია, უხარია“. რის შემდეგ ზემოთა ხელს უცბად დაჰკრავს განზე გაშვერილ ხელზე იმ მოთამაშეს, რომლის ხელზეც მეორე ხელი უკიდია. ამ უკანასკნელს უფლება აქვს თვითონ „ხელმძღვანელს“ დაჰკრას იმ ხელზე, რომელიც მისი ხელისათვის აქვს ჩაჰკიდებული, მაგრამ ხელმძღვანელი სწრაფად გამოაცლის ამ ხელს და სულ ქვემოთ ამოსდებს. ასე რომ, მეორე მოთამაშემ შეიძლება თავისივე ხელს დაჰკრას, რაც მხიარულებას იწვევს. ვისი ხელიც ზემოთ დარჩება, ახლა ის გახდება „ხელმძღვანელი“.

1. მონაწილეობენ გოგონები და ვაჟები 6—7 წლის ასაკიდან.

თამაშობენ წყაროსთან, ნაკადულთან, რუსთან, საერთოდ, გამდინარე წყალთან. მოძებნიან კორჩიოტას („ქაწარკუწურას“) ძირს (ბოლქვს) და შუაგულში გაუყრიან 15-მდე სმ სიგრძის სწორსა და სუფთა წვრილ ჭოხს. ბოლქვს (ჭოხის გარშემო) თანაბარი დაშორებით ჩასობენ ერთი და იგივე სიგრძის 7—8 ცალ პატარა ჩხირს (ანუ „ფრთებს“), ეს იქნება „წისქვილის ბორბალი“. ამის შემდეგ ნაკადულში (რუში, გამდინარე წყალში) ერთმანეთისაგან 7-8 სმ დაშორებით თანაბარ სიმაღლეზე ჩასობენ 2 ცალ ორკაპ ჭოხს. ამ ჭოხებზე წისქვილის ბორბალს ისე გადებენ, რომ ფრთები გამდინარე წყალში ჩაეშვას. წყლის ლინება „წისქვილს“ ააბრუნებს.

ბორბალი შეიძლება დამზადდეს ჩალის ლეროსაგან ან სხვა მსგავსი მასალისაგან, რომელშიაც აღვილად შეიძლება ჩხირების ჩარჭობა.

2. ხვარხვალაობა. მონაწილეობენ გოგონები და ვაჟები 4 წლის ასაკიდან.

მოთამაშენი შეარჩევენ დაქანებულ აღგილს, საღაც მიწა ფხვიერია (ხვარხვალი). ფერდობზე ამოთხრიან პატარა ღარს, კარგად დატკეპნიან და გაასწორებენ. შემდეგ ზემოდან ყრიან ფხვიერ მიწას, რომელიც ღარს ნაფქვავივით მოჰყვება.

### ხელის, გაჯის გადაჭევა

მონაწილეობენ უმთავრესად ვაჟები 10 წლის ასაკიდან. მონაწილენი მინდობზე ერთმანეთისაგან 1—1,5 მტკაველის

დაშორებით მიწას ორ ადგილზე ქვის დარტყმით ოდნავ ჩაა-  
ლრმავებენ, ან ჭოხით ამოთხრიან. შემდეგ ერთობეობის ცირკუ-  
პირ დაწვებიან, პირველად მარჯვენა ხელის იდაყვებულ ჩადებულ  
ჩალრმავებულ ადგილებში, ხელის ნებებს ერთობეორეს თანაბ-  
რად ჩასჭიდებენ და თანაბარი მდგომარეობიდანვე იწყებენ ერ-  
თომეორის ხელის (მაჯის) გადაწევას.

თუ მოპირდაპირის გადაწეული ხელი მიწას შეეხო, ხელი  
(მაჯა) გადაწეულად ითვლება. შემდეგ იწყება შეორე (მარცხე-  
ნა) ხელის გადაწევა.

ხელის გადაწევის დროს ჩალრმავებული ადგილიდან იდაყ-  
ვის ამოღება დამარცხებად (გადაწევად) ითვლება. რომელიც  
ორივე ხელს (მაჯის) გადაწევინებს, გამარჯვებულია.

ხელის (მაჯის) გადაწევა იდაყვების რაიმე საგანზე (მაგ. მა-  
გიდა) დაყრდნობითაც შეიძლება.

## ს ე პ ე ბ უ ნ ა

მონაწილეობს 2 ან მეტი გოგონა და ვაჟი 12 წლის ასაკი-  
დან. როცა მოთამაშეთა რიცხვი ორზე მეტია, გაიყოფიან ორ  
ჯგუფად.

თამაშისათვის საჭიროა ერთი ცალი სიმინდის მარცვალი,  
ანუ „ცხვარი“, და 7 ცალი შუაზე გაპობილი კაქლის ცარიელი  
ხეჭრ (ნაჭუჭი). რომელიმე მოთამაშე (ანუ ჯგუფი) ორიდან  
ერთ-ერთ ხეჭრში მალულად „ცხვარს დაამწყვდევს“. თუ მო-  
პირდაპირემ პირველივე ხეჭრში იპოვა ცხვარი, თამაშის დაწყე-  
ბა მისია, თუ არადა, ცხვრის დამწყვდევი მოთამაშისა (ან ჯგუ-  
ფისა).

თამაშის დამწყები აგრეთვე მალულად, 7-დან ერთ-ერთ  
ხეჭრში „დაამწყვდევს ცხვარს“. მოპირდაპირე რომელ ხეჭრსაც

უნდა, იმას ასწევს პირველად, ანდა ჯოხს დაადებს, რომ ხეჭო  
თვით დამტყვდევმა ასწიოს და გასინჯოს. თუ ცხვარი პირველად  
ვე ხეჭოში იპოვა, გადის „საის“ და ეწერება 6 ქულა, ხოლო თუ  
მეექვსე ხეჭოში იპოვა — ეწერება 5 ქულა. ყველა დანარჩენ  
შემთხვევაში ცხვრის დამტყვდევს ეწერება 5 ქულა. მპოვნელს  
კი არც ერთი. „ცხვრის დამტყვდევა“ ხდება რიგრიგობით. რო-  
მელი მოთამაშეც უფრო ადრე შეასრულებს ქულების და-  
თქმულ რიცხვს (50, 100), გამარჯვებულია.

2. თუ ცხვარი პირველივე, ანდა მეექვსე ხეჭოში აღმოჩნდა,  
მპოვნელს არაფერი არ ეწერება, სამაგიეროდ, ახლა თვითონ  
ამტყვდევს ცხვარს.

თუ ცხვარი აღმოჩნდა მეორე ხეჭოში, დამტყვდევს ეწერე-  
ბა 10 ქულა, თუ მესამეში — 8 ქულა, თუ მეოთხეში — 4 ქულა,  
თუ მეხუთეში — 3 ქულა და ცხვარსაც იგივე მოთამაშე ამ-  
ტყვდევს. ასევეა, თუ ცხვარი აღმოჩნდა მეშვიდე ხეჭოში, მხო-  
ლოდ ამ შემთხვევაში მპოვნელს ეწერება 2 ქულა.

## ს ვ ა რ უ ლ ა ო ბ ა

მონაწილეობს 20-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები  
12 წლის ასაკიდან. თამაშობენ უმთავრესად ზამთარში, ახალ  
თოვლში.

მოთამაშენი აირჩევენ „უფროსს“. „უფროსი“ ამა თუ იმ  
მოთამაშეზე „ბრძანებს“, რომ იგი „ამოსვარონ“ თოვლში, და-  
ნარჩენები ამ უკანასკნელს მიესევიან, წააქცევენ, აგორავებენ  
და აყრიან თოვლს. როდესაც უფროსი საქმაოდ ჩათვლის,  
ბრძანებს, „გაათავისუფლეთო“. შემდეგ სხვებზეც იძლევა  
„ბრძანებებს“, ბოლოს თვით უფროსსაც მიესევიან და „აგუნ-  
დავებენ“. მეტე კი ახალ უფროსს აირჩევენ.



მონაწილეობს 30-მდე მოთამაშე — გოგონები და ვაჟები 15 წლის ასაკიდან. მოთამაშენი დგებიან ორ მწკრიად ხით ერთმანეთისაკენ. მწკრივებს შორის გავლა უნდა შეიძლებოდეს.

მოთამაშენი წყვილ-წყვილად ჩაჰებულ ხელებს მაღლა ასწევენ, რითაც გაკეთდება „ხიდი“; ანუ „ჭიშკარი“.

ერთ-ერთი მოთამაშე კენტად უნდა დარჩეს. იგი გაივლის „ჭიშკარში“ (ე. ი. „ხიდზე“), აირჩევს რომელიმე მოთამაშეს და გაივანს „ჭიშკრის“ ბოლოში. იქ ორივენი დანარჩენ მოთამაშე-ებს ამოუდგებიან. ასევე მოიქცევა შემდეგი კენტად დარჩენილი მოთამაშე და ა. შ.

### ხოინაობა, გზრიალა

თამაშობენ უმთავრესად ხუთი წლის ასაკის ბავშვები. თამაშისათვის საჭიროა „ხოინა“ და წვრილი თოკის მათრახი. ხოინა ბზრიალას მაგვარია, მზადდება რქის წვერისაგან.

მოთამაშე ხოინას ხელით დაბზრიალებს და შემდეგ მათრახს ურტყამს და ახანგრძლივებს ბზრიალს. ხშირად მოთამაშენი ეჯიბრებიან ერთიმეორეს, თუ ვინ უფრო დიდხანს აბზრიალებს ხოინას. ხოინობას უმეტესად ზამთარში თამაშობენ, კარგად მოტკეპნილ თოვლზე.

### ხულა

მონაწილეობენ მცირე ასაკის ბავშვები. ბავშვები აგროვე-

ბენ ნაფოტებს და ჭოხებს, ალაგებენ ოთხუთხად (თავებს ერთ-  
მანეთზე გადაუდებენ) და აშენებენ ხულას, ანუ „ხუხულას“

## პირითი

მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — ვაჟები 15 წლის ასაკი-  
დან. თამაშის ადგილი უნდა იყოს ვრცელი. თამაშისათვის სა-  
ჭიროა „ჯირითი“, ანუ თხილის ჭოხი, სიგრძით ორ მეტრამდე,  
დაახლოებით 3 სმ დიამეტრით. „ჯირითს“ ორივე ბოლო სწო-  
რად აქვს „მომორილი“, ანუ გადაჭრილი (ბოლო წვეტიანი არ  
უნდა ჰქონდეს). მოთამაშენი შუა მოედანზე გავლებენ ხაზს.  
ამ ხაზის ორივე მხარეზე, 30—40 ნაბიჯის დაშორებით, კიდევ  
გატარებენ თითო ხაზს და შემდეგ იყოფიან ორ ჭგუფად. კენ-  
ჭისყრის შედეგად ერთ-ერთი გუნდი იწყებს თამაშს. ამ გუნდის  
რომელიმე მოთამაშე საკუთარი ხაზიდან ისვრის ჭირითს. თუ  
ჭირითი მოედნის შუაზე გატარებულ ხაზს გადასცდა, მოწინა-  
აღმდეგებს მოედნის ბოლოს ამოთხრილ პატარა ორმოში ჩა-  
უდებენ ერთ „კვერცხს“ (პატარა ქვას, კენჭს); ჭირითს კი ახლა  
მოწინააღმდეგები ისვრიან აგრეთვე საკუთარი ხაზიდან, თუ  
ვერ გადასცდა და მოედნის საკუთარ მხარეზე დაეცა, მაშინ  
ორივე გუნდის მოთამაშენი ცდილობენ მიასწრონ და გაიტაცონ  
იგი. რომელი მხარეც მოასწრებს და გაიტაცებს ჭირითს, ის  
მხარე ისვრის თავისი საკუთარი ხაზიდან.

თუ ჭირითს მოწინააღმდეგე ჰაერში დაიჭირს, ეს ტყორცნა  
მტყორცნელს არ ჩაეთვლება, ხოლო ჭირითის დამჭერს შეუძ-  
ლია იქიდანვე სტყორცნოს ჭირითი, სადაც დაიჭირა. რომელი  
გუნდიც მეტ „კვერცხს“ ჩაუდებს მოწინააღმდეგეს, მოგებუ-  
ლია.

## ჯოხეზით თამაში

მონაწილეობს 10-მდე მოთამაშე — გოგონები და უკუები 10-შლის ასაკიდან. ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს 5—6 მტკავე-ლი სიგრძის ჭოხი. ერთ-ერთი მოთამაშე ჭოხებს დაილაგებს შელავებზე და ერთბაშად გადახრის თავს უკან. ძირს დაყრილ ჭოხებს ადგილზევე ასწორებენ, ერთმანეთის პარალელურად ალაგებენ ისე, რომ ჭოხსა და ჭოხს შორის ფეხის ტერფი სიგანეზე თავისუფლად ჩაეტიოს. მანძილი პირველი ჭოხიდან ბოლო ჭოხამდე ერთ ლაჭზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაგრამ არც ისე დიდი, რომ მოთამაშეებს ჭოხებზე გადახტომა გაუჭირდეთ. ჭოხების გადალაგ-გადმოლაგება არ შეიძლება.

ის მოთამაშე, რომლის ჭოხიც ყველაზე წინ არის, გამოიქცევა, ფეხს დაპკრავს ჭოხების წინ, გადახტება და ჭოხებს იქით ცალ ფეხზე დახტება, შემობრუნდება და ბოლოდან ასკინკილით გადაახტება თითოეულ ჭოხს და ისევ იმ ბოლოში გავა, საიდანაც თავდაპირველად გადახტა. აქედან ასკინკილით, ზიგზაგისებურად გაივლის ჭოხებს შორის, ერთი მხრიდან შევა პირველ და მეორე ჭოხებს შორის, გამოვა მეორე მხრიდან, ამ მხრიდან შევა მეორე და მესამე ჭოხებს შორის, გამოვა პირველ მხარეს და ასე ბოლომდე, ბოლოში გასვლისას შემოუვლის უკანასკნელ ჭოხს და ახლა აქედან გამოივლის ზიგზაგისებურად. როცა ისევ იმ ბოლოში გამოვა, საიდანაც თავდაპირველად გადაახტა ჭოხებს, თავისუფალია და თავის ჭოხსაც აიღებს. პირველი ჭოხის აღების შემდეგ მომდევნო ჭოხი დაიდება პირველის ადგილზე, დანარჩენებს შორის მთელი მანძილი გვლავ თანასწორად განაწილდება. თუ მოთამაშე ვერ გადაახტა ჭოხებს, ან გადახტომის შემდეგ მისი ჭერის დამთავრებამდე მიწას დააკარა მეორე ფეხი, ჩაჭრილია და მისი ჭოხი ბოლოში ყველა ჭოხის უკან დაიდება.

თამაშში ყოველთვის წინა ჯოხის პატრონი ებმება. როცა მარტო ორი მოთამაშე დარჩება, ჯოხების დალაგების საზღვრებში მნიშვნელობა აღარ აქვს და გადახტომა ხდება ერთი „მხარის“ ან ლაჯის სიგრძეზე. ის მოთამაშე, რომელიც სულ ბოლოს დარჩება, არის „ყარაული“.

ამის შემდეგ მოთამაშენი მიწაზე დაასობენ დაახლოებით 5 მტკველი სიმაღლის ჯოხს, ზედ ნიშანად ჩამოაცვამენ ძველ ქუდს, თუნუქის ყუთს ან მსგავს რაიმეს, თვითონ კი დადგებიან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით, სადაც გაავლებენ ხაზს, აქედან რიგრიგობით ესვრიან თავიანთ ჯოხებს, რომ ნიშანი ჩამოაგდონ. ვინც ჩამოაგდებს, თავისუფალია და თავის ჯოხსაც აიღებს, ხოლო ნიშანს ხელახლა ყოველთვის დადგამს „ყარაული“. ვინც ააცილებს, იგი ასკინკილით უნდა მივიდეს თავის ჯოხის ასაღებად და ასკინკილითვე დაბრუნდეს უკან. და თუ მეორე ფეხიც დააკარა მიწას, „ყარაულს“ უფლება აქვს ხელი დაჰკრას მას, რის შემდეგ „დაჭრილია“ და მან „ყარაული“ უნდა შესცვალოს. როცა ყველა თითოჯერ ჩამოაგდებს ნიშანს, თამაში თავიდან იწყება.

## ჯოხვეზ ამოტრიალება, ჯოხვეზ გაძრობა

მონაწილეობენ უმთავრესად ვაჟები 12 წლის ასაკიდან. თამაშობისათვის საჭიროა ერთ მეტრამდე სიგრძის მაგარი ჯოხი.

მოთამაშე ჯოხს ბოლოებში ხელებს ისე ჩაჰკიდებს, რომ ძლიერი ხელი ზემოდან (დატაცით) ჰქონდეს მოკიდებული, მეორე ხელი კი — კვემოდან (ამოტაცით). იგი სუსტი ხელით უავის წინ ჯოხს მიწას დააბჯენს და თანდათან იწყებს მის გარშემო გულაღმა ამოტრიალებას.

მოთამაშეს რაც უფრო ახლოს უჭირავს ჯოხის ბოლოსთან

სუსტი ხელი, მით უფრო ძნელია ამ ვარგიშის შესრულება,  
ამიტომ უმჯობესია, პირველიდ ეს ხელი ჭოხის ბოლოებან და—  
ახლოებით ერთ მტკაველზე ჩასჭიდოს, ხოლო შემდეგ შეიძლე  
ბა ამ ზომის თანდათან შემცირება. ჭოხვეშ ცალ მხარეზე  
ამოტრიალებაში გაწაფვის შემდეგ მოთამაშები ეჩვევიან მე-  
ორე მხარეზე ამოტრიალებას; რისთვისაც ჭოხს ხელებს შებრუ-  
ნებით ჩაჰვიდებენ.

გათვლის, ჯგუფებად განაწილებისა და  
კანცისერისათვის

I. გათვლა

1. ადუქ, დადუქ, მანდიკო, ხერხო ბიჭი ზანდიკო, ტკაც-  
ტკუც, რა ნახეს, წუწყი ვირთხა გალახეს, ზედ ხაფანგი დაამ-  
ხვეს.

2. ანეკი, ბანეკი, თვრამეტი, ცხრამეტი და ოცი.

3. ანკა, ბანკა, ჩემმა ძმამ დამკრა, ისეთია ჩვენი პური, რო-  
გორც თეთრი ბამბა.

4. ბრინჯი, ბრინჯი, დავითა, პატარა ბიჭი წაიქცა, საშველად  
რომ გავექანე, წამოხტა და გაიქცა.

5. ბოლო მთის. ენჩი, ბენჩი, დამიალული, კენჭი, ანკეჭია,  
ბანკეხია, ბოლო მთის.

6. დათვლა. ერთ-ერთი იწყებს თამაშის მსურველთა დათ-  
ვლას, თავის თავიც უნდა მიათვალოს; რომელ მოთამაშესაც  
ყველაზე ბოლოს მიათვლის, ის იხუჭება.

7. ეგლე, დუგლე, ყარა, ყურე, აფინჯილე, ედერ ქა, ძალი,  
კუფი, ჭახი, ჭუხი, ია, ვარდი, ბუჩი.

8. ენკი, ბენკი, სიკლისა, ენკი, ბენკი, შა, გა-ვი-და.

9. თავსა. მონაწილეთაგან, ვინც დაბაწრებს, იძახის — „თა-  
ვსაო“. დანარჩენები ასევე მოსწრებაზე იძახიან: „მე — მეორე“,

„შე — მესამე“, „შე — მეოთხეო“ და ა. შ. დამწყებრივ კოუნია“ დანარჩენები თავიანთი რიგის მიხედვით ჩაებმებიან თამაშები.

10. იწილო, ბიწილო, შროშანო, გვრიტილო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი ფესვი, ფესვმანდური, სიკო, წოლი, კალმა-ხური, აბდაუბდა, გადაჯექი, წკიპ და რიკ.

11. მგელობანა. მგელობანას ვთამაშობდი, პირველ დღესა ველი, ვინც პირველი გავა, ის იქნება მგელი.

12. ნაირ-ნაირები, ჭიქა-საინები, ნემსები და მახათები, მოხა-ტული ქალალდები, ნარმა, მიტყალი, რა გინდა, მითხარი. გამ-თვლელი მას, ვისაც უკანასკნელი სიტყვა მოხვდება, ეკითხება, რა სურს ჩამოთვლილი საგნებიდან. ვთქვათ, ამ უკანასკნელმა „ქალალდები“ დასახელა. გამთვლელი ხელახლა გაითვლის და ვისაც ხელახლა გათვლისას სიტყვა „ქალალდები“ მოხვდება, ის გასულია. მაგრამ გათვლა ამ სიტყვებზე არა წყდება, ბოლომდე გრძელდება და ვისაც უკანასკნელი სიტყვა „მითხარი“ მოხვდე-ბა, ახლა მას ეკითხება გამთვლელი, რა სურს ჩამოთვლილი საგნებიდან. ხელახალი გათვლა იწყება იმ მოთამაშიდან, რო-მელმაც ესა თუ ის საგანი აირჩია.

13. ტამელა. ტა-ტა, ტამელა, ბევრი პურის მჭამელა, შენც ჭამე, მეც მაჭამე, ბაბუასაც შეუნახე.

14. ტაში, ტაში, ჩქარა ტაში, ტურამ წაილო ლავაში, არსენა-ანთ გიგო სანადიროდ იყო, კურდლელი რომ დაინახა, თოფი ასე უყო, ბუჟ!

15. ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა, მეზობლისას გადავარდა. შენ თუ მე, თვალი დახუჭე.

16. ყინგა არის, მაკანქალებს, მეზობლისას გამაგზავნეს, დავიწუნე ბოლოკი, მომაყოლეს ჭოლოკი.

17. წითელი ვაშლი ვას უნდა, შენ თუ მე, თვალი დახუჭე!

1. არჩევან-არადანი. — არჩევანი (ან „არჩი“) მე, — ამბობს ერთ-ერთი „დედა“ (რომელიც დაასწრებს).

— არადანი (ან „არადი“) მე, — უპასუხებს მეორე.

— გიორგი მე.

— არსენა მე.

ამის შემდეგ არჩევნის თქმაც და არჩევანიც ეკუთვნის მეორეს, არადანი კი — პირველს და ასე რიგრიგობით, ვიდრე ყველას არ გაინაწილებენ.

თითოეული „დედა“ ცდილობს, თავის ჭგულისათვის საუკეთესო მოთამაშენი შეარჩიოს.

2. გაბუტვა. მოთამაშენი შეარჩევენ ორ „დედას“. ისინი განზე გავლენ — „გაიბუტებიან“.

დანარჩენი მოთამაშენი წყვილდებიან. ყოველი წყვილიდან ერთ-ერთი დაირქმევს „ოქროს“, მეორე — „ვერცხლს“. ამის შემდეგ თითოეული წყვილი მიღის „გაბუტულებთან“, რომლებიც რიგრიგობით ირჩევენ ან „ოქროს“ ან „ვერცხლს“.

3. გადრა (თითოს ჩაკიდება). მოთამაშენი დაწყვილდებიან: თითოეული შეარჩევს დაახლოებით თავისი წონისა და სიძლიერის მოთამაშეს, ანუ „სადარს“, ე. ი. მოხდება „გადრა“. თითოეული წყვილის მოთამაშენი ერთმანეთს ჩაჰკიდებენ ხელებს ერთი მათგანი ცერა თითოთ, ხოლო მეორე — ნეკა თითოთ.

ამის შემდეგ მოთამაშეთაგან ვინმე დაიძახებს:

— ცერიანები იქით და ნეკიანები აქეთო!

ის მოთამაშენი, რომლებსაც დაწყვილების დროს ცერა თითები ჰქონდათ ჩაკიდებული, გადიან ერთ მხარეს, მეორენი კი — მეორე მხარეს. თითოეული მხარე ცალკე ჭგულია.

4. თითების ჩვენება. შეარჩევენ ორ „დედას“. დანარჩენები დაწყვილდებიან და გადიან განზე, ერთი მათგანი აიტჩევს სა-  
ჩვენებელ თითს, მეორე — შუათითს. შემდეგ წყვილ-ჭყვილად  
მიდიან „დედებთან“ და ეკითხებიან, თუ რომელს რომელი  
თითი სურს.

5. მსხალი და ვაშლი. „დედები“ გადიან განზე. ისინი ჩუ-  
მად დაირქმევენ სახელებს — ერთი — „ვაშლს“, მეორე —  
„მსხალს“. ამის შემდეგ დადგებიან ერთიმეორის პირისპირ და  
მაღლა აწეულ ხელებს ერთიმეორეს ჩასჭიდებენ, ეს იქნება  
„გვირაბი“.

ამ გვირაბში მოთამაშენი სათითაოდ გაივლიან, დედები  
თითოეულ მათგანს ეკითხებიან, რა ურჩევნია მას — „ვაშლი  
თუ მსხალი“. იმის მიხედვით, თუ რომელი მოთამაშე რას ირ-  
ჩევს, ან ერთი „დედის“ ჯგუფში მოხვდება, ან მეორისა.

ასეთი განაწილებით ჯგუფებში უმეტესად სხვადასხვა ოდე-  
ნობის მოთამაშენი მოხვდებიან.

### III. კენჭისყრა

1. გრძელ-მოკლე ჩხირებით. აიღებენ იმდენ ჩხირს (ასანთის  
ლერს), რამდენიც მოთამაშეა, და ყველას სხვადასხვა ზომაზე  
წაატეხენ თავს; ერთ-ერთი მოთამაშე ჩხირებს ისე დაიჭერს  
ხელში, რომ მათი სიგრძე შეუმჩნეველი იყოს. ამგარად დაჭე-  
რილი ჩხირებიდან თითოეული მოთამაშე ამოაძრობს თითო  
ჩხირს, შემდეგ კი ჩხირებს ისევ ერთმანეთს დააზომებენ,  
ვისიც ყველაზე გრძელი იქნება, თამაშსაც ის დაიწყებს. დანა-  
რჩენებიც თავიანთი ჩხირების ზომის მიხედვით თანმიმდევრო-  
ბით ჩატარებიან თამაშში.

2. თავს წაატეხენ მხოლოდ ერთ ჩხირს და ვისაც ეს ჩხირი  
შეხვდება, ის მოთამაშე „ჩაღვება“ ან დაიწყებს თამაშს.

3. კენჭის ან ჩხირის დამალვით. ერთ-ერთი „დედა“ ცალ ხელში დამალავს კენჭს ან ჩხირს და ხელებს გაუწვდის მოწოდებული ნააღმდეგე ჯუფის „დედას“. თუ ამ უკანასკნელმა გამოიცნო, რომელ ხელშია დამალული კენჭი (ან ჩხირი), თამაშს იწყებს მისი ჯუფი, თუ არადა — მოწინააღმდეგეთა.

4. ქვის ან ნაფოტის აგდებით. შეარჩევენ პატარა ბრტყელ ქვას ან ნაფოტს, მის ერთ მხარეს დაასველებენ, ეს მხარე იქნება „წვიმა“, მეორე კი — „დარი“. ასეთ ქვას (ნაფოტს) დაიჭერს ხელში და ეკითხება მეორეს — „წვიმა გირჩევნია თუ დარიო“. როცა გაიგებს, რომელი მხარე სურს მოპირდაპირეს, ბზრიალით აისვრის მაღლა, რომლის მხარეც ზემოთ მოექცევა, მისი ჯუფი იწყებს თამაშს.

5. ქუდის აგდება. მოთამაშენი („დედები“) წინასწარ შეთანხმდებიან, რომელმა გუნდმა დაიწყოს თამაში ქუდის აღმა დაცემისას და რომელმა — პირიქით, დაღმა დაცემისას. შემდეგ ერთ-ერთი ქუდს აისვრის ისე, რომ პარული რაც შეიძლება მეტჯერ ამოტრიალდეს.

6. ცხვრის დამწყვდევა. ერთ ცალ კაკალს (ნიგოზის ნაყოფს) გააპობენ შუაზე, გამოილებენ გულს და ორივე ხეჭს დაალაგებენ პირქვე. ერთ-ერთი მხარე რომელიმე მათგანში დამალავს, ანუ „დაამწყვდევს“ ერთ ცალ მარცვალს (სიმინდისა, ლობიოსი და ა. შ.) ან კენჭს, ანუ „ცხვარს“.

თუ მოპირდაპირე მხარის მოთამაშე პირველი ხეჭის აწევით იპოვა „ცხვარი“, თამაშს მისი მხარე იწყებს, თუ არადა — მოპირდაპირე.

7. ჯონის გადაზომვით. ჯონის (ტაფელას) ერთი ბოლო წვრილი უნდა იყოს, მეორე მსხვილი. „დედები“ შეთანხმდებიან, თუ რომელს რომელი ბოლო ეკუთვნის. ამის შემდეგ

ერთ-ერთი დედა ჭოხის გაქვრით გაისვრის რიკს და მანძილს  
რიკის დაცემის ადგილამდე გადაზომავს ჭოხით. გადაზომვა  
იწყება ჭოხის ერთ-ერთი ბოლოთი და წარმოებს ჭოხის გადა-  
ტრიალებით მიწიდან აუღებლად (ჭერ ერთი ბოლოა წინ, მე-  
რე — მეორე, მერე — ისევ პირველი და ა. შ.). რომელი გგუფის  
არჩეული ბოლოთიც დამთავრდება გადაზომვა, ის კგუფი  
იწყებს თამაშს.

ქართულ ხალხურ თამაშობათა კლასიფიკაციის საკითხს დღემდე სხვა ავტორებიც შეხებიან. ეს ბუნებრივიც არის. ყველა, ვინც მოისურვებს თამაშობანი, ან თამაშობათა ესა თუ ის ჯგუფი მკითხველთა ფართო საზოგადოებას წარუდგინოს, რა თქმა უნდა, შეეცდება, გარკვეული წესის მიხედვით დაალაგოს ისინი, რათა ერთიანი, მწყობრი შთაბეჭდილება დატოვოს. გარდა ამისა, არ შეიძლება, რომ კლასიფიკის საკითხს ავტორები არ მიუდგნენ ვიწრო პროფესიული თვალსაზრისითაც.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მერქვილაძემ თამაშობათა დალაგებისა და კლასიფიკაციის დროს ყურადღებჲ უმთავრესად გაამახვილა გამოყენებული ინვენტარისა და ნაწილობრივად ძირითადი მოძრაობების („ცალ ფეხზე ხტომით თამაში“, „თვალახვეული თამაში“, „გრძელი ბაჭრით თამაშობა“, „ბურთით თამაშობანი“ და ა. შ.) მიმართ. რსფსრ პედაგოგიური მეცნიერების აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. რ. გ. ნათაძემ თამაშობათა კლასიფიკაცია მოგვცა „მათში მოცემულ მოქმედებათა სახეობის მიხედვით“ (ლოკომოტორული“, „ბრძოლის“, „საგანთა ტყორცნის“, „იარალის გამოყენების“, „ინტელექტური“, „კონსტრუქციული“, „ინსცენირებითი“).

თამაშობათა კლასიფიკაციის დროს სხვა დამახსიათებელი შეიძლება ყურადღება მიექცეს, მაგრამ ყველა მათგანს თავისი დანიშნულება და გამართლება გააჩნია,

აშიტომაც რომელიშე შათგანის გაუთვალისწინებლობა, მისთვის სრულიად გვერდის ავლა, არავითარ შემთხვევაში ცნობილი იქნება, უფრო მეტიც, თამაშობათა კლასიფიკაციის დროის ფრაგმენტი ვეღ მათგანს შეუძლია გარკვეული სასარგებლო დახმარების გაწევა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას. ამ მოსაზრებით, ინტერესმოკლებული არ იქნება, ყურადღება გამახვილდეს თამაშობებში მოთამაშეთა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხზე. თამაშობათა ამ თვალსაზრისით კლასიფიკაციის ცდის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია ქართული ხალხური თამაშობანი (და მათ შორის სპორტული თამაშობანიც), უპირველეს ყოვლისა, დაიყოს სამ მთავარ დარგად (სახელ) ესენია:

1. ინდივიდუალური ხასიათის თამაშობანი,
2. წინამძღვანი თამაშობანი,
3. ორგუფიანი (ორგუნდიანი) თამაშობანი.

თითოეული დამახასიათებელი დარგი თავის მხრივ იყოფა შემადგენელ ნაწილებად.

I. ა) ინდივიდუალური ხასიათის თამაშობათა დარგიდან, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ისეთი თამაშობანი, რომლებიც გამიზნულია ძირითადად ერთი მოთამაშისათვის და აუცილებლად არ მოითხოვს მოწინააღმდეგე მხარის (მოპირდაპირის) არსებობას. ასეთ თამაშთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, „ხოინაობა“, „წისქვილაობა“, „ჯოხქვეშ ამოტრიალება“ და სხვა მსგავსი თავშესაქცევი ხასიათის თამაშობანი და გართობანი, რომლებსაც ზოგადად ერთის, ანუ მარტოხელას თამაშობანი შეიძლება ეწოდოს.

ბ) ამავე დარგის თამაშობებიდან უთუოდ უნდა გამოცალკევდეს ისეთი თამაშობანი, რომლებიც მხოლოდ ორ მოთამაშეს, ორ მონაწილეს გულისხმობს, ამასთან ესენიც ერთიმეორის მოწინააღმდეგენი არიან, მაშასადამე, თითოეულ

მოპირდაპირე მხარეზე (ასეთი მხარე კი მხოლოდ ორია) თითო  
მოთამაშეა. ამგვარ თამაშობებს განეკუთვნებიან მაგალითად „დიძგი-დიძგი მამალა“, „თხილის ტყაობა“, „კენტი თუ ლუ-ჭი“, „აგრეთვე „გასწორობანა“ და ა. შ. ასეთ თამაშობებს შეიძლება ორთა თამაშობანი ეწოდოს.


გ) ამავე ღარგიდან უნდა გამოიყოს მესამე წყება თამაშობებისა, რომლებშიც თამაშის წესის დაურღვევლად შეიძლება ჩაებას ორზე მეტი მოთამაშე, ამასთან თითოეული ამ მოთამაშეთაგანი დამოკუიდებელი მოწინააღმდეგე მხარეა და არც ერთი რაიმე განსხვავებული უფლებით არ სარგებლობს. ასეთ თამაშობათა რიცხვს მიეკუთვნებიან, მაგალითად,— „გადახტი-გადამეტობანა“ (თავხტომელი), „სალაობის“ ცალკეული ვარიანტები, „ქაკლაობის“ ვარიანტების უმრავლესობა, ხოლო სპორტული თამაშობებიდან — „გადრი“, „თარჩია“, „ყაბახი“ და ა. შ. ასეთ თამაშობებს შეიძლება ეწოდოს — თამაშობანი ორზე მეტი მოწინააღმდეგე მხარეთი.

II. მეორე, წინამძლოლიან თამაშობათა ღარგიც იგრეთვე სამ ნაწილად უნდა გაიყოს. სამივე ნაწილისათვის რაც მეტია მოთამაშეთა რიცხვი (გარკვეულ საზღვრამდე), უმჯობესია (ამასთან სასურველია იყოს სამზე მეტი). ამავე ღროს, მნიშვნელობა არა აქვს კენტი იქნება თუ ლუ-ჭი — მოთამაშეთა ოდენობა; რაც მთავარია, მოთამაშეთაგან ერთს ან რამდენიმეს მინიჭებული აქვს განსხვავებული უფლება, რაც თამაშის გაძლოლაში, წარმართვაში მდგომარეობს.

ა) ამ ღარგიდან უთუდ ცალკე უნდა გამოიყოს გართობითი ხასიათის თამაშობანი, რომელთაც მიეკუთვნება, მაგალითად, — „აფრინდა-აფრინდა“, „სიცილობანა“, „რათა ფიდო“ და ა. შ.

ბ) ცალკე უნდა გამოიყოს აგრეთვე სიუჟეტიანი თამაშობა-

ქართველობის კლასიფიკაციის სქემა



ნი, რომელთაც მქვეთრად განსხვავებული ამბავი, შინაარსი გააჩნიათ. ასეთ თამაშობათა რიცხვს მიეკუთვნება — „მგელონი ბანას“, „ქორობანას“, „კუკუმალულობანას“, „კატაგვობანას“ გარიანტები და ა. შ.

გ) ასევე ცალქმ უნდა გამოიყოს თამაშობა წარმოდგენითი ხასიათის სანახაობაზე, როგორიცაა, მაგალითად, „ყეენობა“, „ბერიქაობა“ და ა. შ., რომლებისთვისაც დამახასიათებელია სახეობითი ნიშნები.

III. სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს მესამე, ორჯერ თან ან ის ან უ ორგუნდ იანი თამაშობათა დარგი, რომლის ძირითადი ნიშანთვისებაა მოთამაშეთა ორ მოპირდაპირე მხარედ, მაგრამ ამავე დროს ორჯერულად, ორ გუნდად გაყოფა, როცა თითოეულ ჯგუფში, გუნდში, არანაკლები 2 მოთამაშეა, მონაწილეა (თუმცა ასეთ თამაშობათა უმრავლესობა შეიძლება ჩატაროს ორმა მოთამაშემაც, როცა თითოეულ მოპირდაპირე მხარეზე თითო მოთამაშეა, მაგრამ ეს ნიშანდობლივი თვისება არ არის).

ა) თამაშობათა ამ დარგიდან პირველ რიგში უნდა გამოიყოს ისეთი თამაშობანი, როცა გუნდებად განაწილებას აქვს მხოლოდ მექანიკური ხასიათი, რამდენადაც ეს გუნდები სინამდვილეში ერთიმეორის მოწინააღმდეგე მხარეებს კი არ წარმოადგენენ, არამედ აღგილი იქვს მხოლოდ სიმძიმის ან სხვა რამე ნიშნის მიხედვით განაწილებას. ასეთ თამაშობათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს „ოჭივარა“, „ღულყაობა“ და ა. შ. ამ ჯგუფის თამაშობებს შეიძლება ეწოდოს ორჯერულიანი მარტივწესიანი თამაშობანი.

ბ) ამავე დარგიდან გამოიყოფა ორჯერ იანი რთულწესიანი თამაშობანი. ამ თამაშობებს, მართალია, საკმაოდ რთული წესები გააჩნია, მაგრამ ეს წესები მყარი

არ არის, არ ითვალისწინებს დროისა და მოთამაშეთა ოდენობის  
მყაცრ რეგლამენტაციას და ამის გამო, უმეტეს შემთხვევაში კუთხით  
მრავალ ვარიანტს შეიცავს. ასეთ თამაშობათა რიცხვს განაცადება  
კუთვნება, მაგალითად, „რიკაობის“, „ლახტის“, „ბურთაობის“  
ვარიანტების უმრავლესობა და ა. შ.

გ) დაბოლოს, ამავე მესამე დარგიდან უნდა გა-  
მოიყოს მესამე ჯგუფი ორჯგუფიანი (ორგუნდიანი) მყარწესი-  
ანი (სპორტული) თამაშობების სახით, რომელთა თამაშის  
წესები მყარია, ითვალისწინებს დროსა და მოთამაშეთა რიცხ-  
ვის მყაცრ რეგლამენტაციას და ა. შ. ასეთ თამაშობებს განე-  
კუთვნება სპორტული თამაშობების უმრავლესობა, მაგალითად:  
„ლელო“, „ჭაქუნი“, „ფარბურთი“, „ცხენბურთი“ და ა. შ.

ამავე დროს, საჭიროა, რომ ქლასიფიკაციის ამ წესის გა-  
მოყენების შემთხვევაშიც თითოეული დასხელებული ჯგუფის  
თამაშობანი, როცა ასეთი ჯგუფები მრავალ თამაშობას შეიცავს,  
დალაგდეს მათში გამოყენებული ინვენტარის, ანბანური რი-  
გისა და სხვა ნიშნების გათვალისწინების მიხედვითაც.

## ვარგულთი

### 1. საყებულთი

საქართველოში გავრცელებულ უამრავ თამაშობათა შორის საყებურთი განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით საყე არის იგივე „ხალა“, ხალა კი „გრძელი წვრილი ჭოხია“. სიტყვა „საყე“ შემონახულია საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. მაგალითად, ლეჩებუმში საყე ეწოდება მწარე ბლის ხისგან გამოჭრილ თოხის ტარის ზომის მსხვილ ჭოხს, რომელსაც თავში დამაგრებული აქვს იმავე ხისაგან გამოთლილი ნახევარი მეტრი სიგრძის თხელი ჭოხი ისე, რომ საყემ ჭვრის გამოსახულება მიიღოს. ასეთ საყეს ადრე გაზაფხულზე, ხვინის დაწყების წინ, დგამენ ყანაში, რაღანაც წინათ სწამდათ, რომ ის ყანას „იცავდა“ სეტყვის. გვალვისა და „ავი თვალისაგან“.

ამგვარ საყეს დგამდნენ ეზოშიც, ჭიშკართან, მხოლოდ მას, დამატებით, ორივე მხრიდან დაუსვამდნენ ასკილის თითო გრძელსა და ექლიან ტოტს, რომელთა თავებს საყის ზემოდან ერთმანეთზე გადაგრეხდნენ.

საყეს დგამდნენ კალოზეც, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საყე ვერხვისა იყო, რაც შეიძლება მაღალი და სწორი.

ლეჩებუმში გავრცელებულია ერთი თამაში „რიკაობა“. ამ თამაშობაში გამოყენებულია ქვა, რომელსაც ერთი და იმავე

<sup>1</sup> გაღმოყეთებულია ქართული ხალხური თამაშობიდან.

დროს უწოდებენ „საყესაც“ და „მიჯნასაც“, რაც იმას უნდა  
ნიშნავდეს, რომ გარკვეულ პერიოდში საყე და „მიჯნა“ მოთხოვდა  
და იგივე მნიშვნელობის ორი სახელწოდება ყოფილა.  
სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც, „დასაყული“ არის:  
„ადგილი დაცული, სადაც უთქმელად ვერავინ შევიდეს“.

მაშასადამე, „დასაყული“ ადგილი ყოფილა ხის ან ქვის  
საყით მონიშნული ნაკვეთი, ხოლო საყე — მიჯნის ფუნქციის  
შემსრულებელი საგანი.

ამრიგად, საყე მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული მოსა-  
ვლიანობასთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიწათმოქმედებას  
მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა საყესთან დაკავში-  
რებული თამაშობების წარმოშობაში.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ერთი ჩვეულე-  
ბაც: თუ სიმინდის ყანას ნადი თოხნიდა, ის მთოხნელი, რო-  
მელიც საყის ახლოს გაივლიდა, უნდა წასულიყო ნადის პატ-  
რონის ოჯახში და საუზმე მოეტანა.

დამახასიათებელია, რომ საყისათვის ხის მოსაჭრელად  
მიღიოდა მხოლოდ ოჯახის უფროსი. იგი ღამით გაიძარებოდა  
„უბრად“ და ცდილობდა გზაზეც არავის შეხვედროდა, თუ  
შეხვდებოდა — არ გამოლაპარაკებოდა, წინააღმდეგ შემთხვე-  
ვაში საყე „ძალას დაჰკარგავდა“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი აღარაა, რომ ხალხს  
როგორც ხის, ისე ქვის საყე გამოუყენებია თამაშობებში,  
სადაც, ბუნებრივია, თავისი სახელწოდება გაღმოპყოლია და  
დღემდე შემოუნახავს.

ამიტომ არის, რომ რაჭაში, ლეჩეუმში და იმერეთის ზოგი-  
ერთ რაიონში მოიპოვება ქვის, ჭოხის და რკალისებურ საყეს-



თან დაკავშირებული მთელი რიგი თამაშობანი რიყაობისა და  
ბურთაობის სხვადასხვა ვარიანტის სახით.<sup>1</sup>

მაგალითად, ერთ შემთხვევაში დადგამენ საყეს და მას გამოიყენების ერთი დანიშნული ადგილიდან ესვრიან ბურთს (ან პატარა ქვებს). გამარჯვებულია ის, ვინც მეტჯერ მოარტყავს.

სხვა შემთხვევაში საყედ დგამენ სახრეს, რომელსაც რკა-  
ლისებურად მოხრიან და ორივე ბოლოთი ჩაარჭობენ მიწაში,  
თამაშის არსი ბურთის გაძვრენაში მდგომარეობს.

ლეჩებუმში გავრცელებულია ერთგვარი თამაშობა, რომე-  
ლიც „რიკტაფელას“ სახესხვაობას წარმოადგენს. ამ თამაშის  
დროს ჭოხს, რომელსაც „საყე“ ეწოდება და რომელიც და-  
ახლოებით თოხის ტარის ზომისაა, მიწაში არჭობენ. გარდა  
საყისა, ამ თამაშობაში გამოყენებულია რიკი, რომელსაც „კი-  
პირი“ ეწოდება; ამის გამო თამაშობასაც „საყის კიპირს“  
უწოდებენ.

კიდევ უფრო საინტერესოა რიყაობის მეორე სახეობა —  
ე. წ. „კიპირობა“, რომელიც ორმხრივ რიყაობას წარმოადგენს  
და რომლის დროსაც საყეს დგამენ მოედნის შუაგულში, ხოლო  
„კიპირს“ („რიკს“), რომელიც სინამდვილეში კაცის მუშტზე  
მსხვილი ხის ბურთია (და არა ჭოხი), საყეს აქეთ-იქიდან ესვრი-  
ან ჭოხებით შეიარაღებული მოპირდაპირე ჯგუფის მოთამაშე-  
ნი.

აქვე უნდა იქნას შენიშნული, რომ ზოგიერთი თამაშობანი,  
რომლებიც წინამდებარე წიგნშიც არის შეტანილი, საინტე-  
რესოა იმით, რომ მათში გამოყენებულ ერთ-ერთ ძირითად  
სათამაშო საგანს წარმოადგენს რიკიდან ხის ბურთზე გარდამა-

<sup>1</sup> იხ. თამაშობებში.

ვალი სახეები (ფორმები),<sup>1</sup> რაც საინტერესო მოვლენად უნდა  
იქნეს მიჩნეული ქართული ხალხური თამაშობების კეტტელი  
ჭავუნის განვითარების ისტორიისათვის.

მოტანილი, დღემდე კარგად შემონახული ეთნოგრაფიული  
მასალების მიხედვით, ნათელი ხდება, რომ საყესთან დაკავში-  
რებული თამაშობანი საკმაოდ აღრეულ ხანაში უნდა წარმო-  
შობილიყვნენ, ისინი შექმნილნი არიან ნამდვილად აღილო-  
ბრივ ნიადაგზე და ქართველი ხალხის შემოქმედების ნაყოფს  
წარმოადგენენ.

## 2. ფარგლენთი

საყებურთი მიმზიდველი ხალხური თამაშობაა, მაგრამ მას  
გააჩნია არსებითი ნაკლიც, სახელდობრი ის, რომ ყველა მოთა-  
მაშე ერთდროულად ვერ მონაწილეობს თამაშში. ამიტომ მის  
სპორტულ თამაშობად — ფარგლენთად გადაკეთების დროს,  
უპირველეს ყოვლისა, ეს გარემოება იქნა მხედველობაში მი-  
ღებული. ამ ნაკლის გამომწვევი მიზეზი თამაშის ცალმხრი-  
ობაში მდგომარეობდა და მისი თავიდან აცილება აღვილად  
მოხერხდა ორმხრივი თამაშის შემოღებით — საყე დაიღვა  
მოედნის ორივე მხარეზე.

აქედან გამომდინარე, თამაშის მიზანი გახდა საკუთარი  
საყის დაცვა და მოწინააღმდეგის საყეზე იერიში, — მასზე  
ბურთის მორტყმა, რამაც ბურთის მიღება-გადაცემის წესების,  
მოთამაშეთა რიცხვისა და ბურთის, საყისა და მოედნის ზომე-  
ბის დადგენა მოითხოვა.

<sup>1</sup> იხ „ცრუბილა“, „კორიჩაობა“ (რიყაობაში), „კოუო“ (ლორობანაში).  
და ა. შ.

რაღგანაც ამ თამაშისათვის ბეჭვით გატენილი ბურთი არ გამოდგებოდა, ჰაერით გაბერილი ბურთი იქნა გამოყენებული ასეთი ბურთი უფრო მოძრავია და თამაშს დინამიურ ხასიათს აძლევს, მაგრამ 7—8 სმ დიამეტრის მქონე ბურთის მიღება-გა-დაცემა ტექნიკურად იოლი და უფერული ოღმოჩნდა; ამიტომ შემოღებულ იქნა ცალი ხელით თამაში (როგორც მარჯვენა, ისე შარცხენა ხელით) და ბურთის ორი ხელით დაჭერა აიკრძალა, ასევე აიკრძალა ხელში აღებული ბურთის სხეულზე მიკარება. გარდა ამისა ბურთის დიამეტრი გადიდებულ იქნა 12—13 სმ-მდე. ასეთი ზომის ბურთის ცალი ხელით დაჭერა მოთამა-შისაგან მოითხოვს გარკვეულ წვრთნას, რაღგანაც გამოუცდელ მოთამაშეს ის სწორედ მაშინ უსხლტება ხელიდან, როცა უკვე დაჭერილი ჰგონია.

უმნიშვნელო ცვლილებები იქნა შეტანილი საყის ზომაში. სახელწოდება „საყე“ კი შეიცვალა უფრო შესაფერისი ტერმი-ნით — „ფარი“, და თამაშისაც „ფარბურთი“ ეწოდა.

სათამაშო მოედნის ზომა განსაზღვრულ იქნა 800 კვ. მ ფართობით, რაც სრულიად საქმარისია ამ თამაშისათვის, ამას-თან მოედანიც ადვილად მოეწყობა, რაც ხელს შეუწყობს ფარ-ბურთის გავრცელებას.

კუთხის ხაზების გატარებით თავიდან არის აცილებული მრავალი სიძნელე და გაუგებრობა. ამ ხაზებმა ოთხჯუთხა მოედანს (სწორკუთხედს) ჩამოჰკვეთეს ის ადგილები, საიდანაც შესაძლებელი იყო ფარზე ბურთის გვერდიდან მოხვედრება, რაც მეტისმეტად აძნელებდა მსაჯის მოვალეობას.

ასევე გააადვილა მსაჯის მუშაობა თავდამსხმელთათვის და დამცველთათვის ფართან მისვლის მანძილის განსაზღვრამ. არც ერთ მოთამაშეს, გარდა „მცველისა“, რომელიც რეალებს შორის არის დაყენებული, უფლება არა აქვს გადალახოს.

დაცვის რკალი, ხოლო მცველს ეკრძალება გაცვრის. რკალის  
გადალახვა, რითაც ერთმევა ფარის მთლიანად დაფარვის  
საშუალება.

რკალებს შორის მცველის დაყენებამ თამაში უფრო საინტე-  
რესო გახდადა.

რკალების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი  
საშუალებით თავდაცვისა და თავდასხმის ყველა უახლოესი  
წერტილი ფარიდან თანასწორ მანძილზეა დაშორებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოთამაშებს აეკრძალათ ხელში  
აღებული ბურთით ორ ნაბიჯზე მეტის გადადგმა, რამაც თამაშს  
მისცა კოლექტიური ხასიათი და მყაცრად შეზღუდა ინდივიდუ-  
ალური თამაშისაკენ მიღრეკილება, თუმცა ამით ნაწილობრი-  
ვად საზღვარი დაედო მოთამაშეთა ინიციატივის გამოჩენის  
შესაძლებლობას. ამ არასასურველი შედეგის თავიდან აცილება  
მოხერხდა მოთამაშისათვის ბურთზე განმეორებითი შეხების  
უფლების მინიჭებით.

თამაშის ხასიათისა და მისი შესაფერი მოედნისათვის მიზან-  
შეწონილი აღმოჩნდა გუნდი — 6 მოთამაშის შემადგენლობით.  
ვარდა ამისა, გუნდში შედის 3 სათადარიგო მოთამაშე.

უარბურთისათვის თამაშის ხანგრძლივობა განისაზღვრა 30  
წუთით. ეს დრო გაიყო ორ ნაწილად.

ქართული ხალხური თამაშობის გადაკეთების შედეგად  
შიღებული ახალი სპორტული თამაშობა — „ფარბურთი“  
როგორ თამაშს არ წარმოადგენს, ამასთან ამაღლებს კოლექტი-  
ურობის გრძნობას, ხელს უწყობს გამძლეობის, სრსწრაფის,  
შოქნილობისა და მოსაზრებულობის განვითარებას; ამდენად



იგი ერთგვარ სამსახურს გაუწევს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისა და ფიზიკური აღზრდის საქმეს.

## თავაშის წევები

სათამაშო მოედანი

**§ 1. საერთო დახასიათება.** ფარბურთის მოედანი წარმოადგენს ეპენის კუთხედს. მისი ძირითადი ნაწილი 30 მეტრი სიგრძისა და 20 მეტრი სიგანის სწორკუთხედია, რომელსაც მოქლე გვერდების მხრიდან ემატება 10 მეტრი სიმაღლის ტოლფერდა სამკუთხედები.

მოედნის საერთო ფართობი 800 კვ. მეტრია. გასწვრივი ღერძის სიგრძე — 60 მეტრი. ზედაპირი სწორია და ბალახიანი, ან თიხითა და ქვიშით, უკეთეს შემთხვევაში, აგურის ფხვნილით დატკეპნილი. სასურველია მოედნის ერთი ბოლო მრჩეული იყოს სამხრეთისაკენ, მეორე — ჩრდილოეთისაკენ.

**შენიშვნა:** ასეთი ზომის სათამაშო მოედანი გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ოფიციალური შეხვედრებისათვის, დანარჩენ შემთხვევებში, როცა მოედნის საერთო ფართობი გვზოლუდას ან თამაშის ჩატარება გვიხდება დარბაზის პირობებში, დასაშვებია სათამაშო მოედნის შემცირება.

**§ 2. დახაზვა.** მოედანი იხაზება კირის ხსნარით. ხაზების ზომა შედის მოედნის შემადგენლობაში და მათი სიგანე 5-დან 8 სმ-დეა.

პირველად მოინიშნება სწორკუთხედი და შემდეგ მასზე აიგება სამკუთხედები (სწორკუთხედების მოქლე გვერდების გავლება საჭირო არ არის). მოედნის გრძელ გვერდებს ეწოდება

გვერდითი ხაზები, მოქლე გვერდებს (სამკუთხედების ფერ-  
დებს) კი კუთხის ხაზები.

ამის შემდეგ გასწვრივ ღერძზე ვიპოვით ბოლოებიდან 0,5,  
6 და 7 მეტრის მანძილზე მდებარე წერტილებს, რომლებიდანაც  
კუთხის ხაზების გადაკვეთამდე გავავლებთ:

ა) 0,5 მეტრის დაშორებით მდებარე წერტილზე — ფ ა რ ი ს  
ხ ა ზ ს, რომელიც გასწვრივი ღერძის პერპენდიკულარულია.

ბ) 5 მეტრის დაშორებით მდებარე წერტილიდან — გ ა კ-  
ვ რ ი ს რ კ ა ლ ს.

გ) მესამე წერტილზე — დ ა ც ვ ი ს რ კ ა ლ ს.

დაბოლოს, მოედნის გასწვრივი ღერძის ბოლოებიდან ოც-  
ოცი მეტრით დაშორებულ წერტილებზე შემოიხაზება 25 სმ  
რადიუსის მქონე წრეები, რომელთაც მისალმების წრე-  
ები ეწოდება.


§ 3. მოედნის ნაწილები. ფარის ხაზის გატარებით მიღებულ  
მოედნის ნაწილს ფ ა რ ი ს ა რ ე ეწოდება. ფარის ხაზსა და  
გაკვრის რკალს შორის მოთავსებულ ნაწილს — გ ა კ ვ რ ი ს  
ა რ ე; ხოლო გაკვრისა და დაცვის რკალებს შორის მოთავსე-  
ბულ ნაწილს — დ ა ც ვ ი ს მ ო ე დ ა ნ ი.

მოედნის დანარჩენი ნაწილი ძირთადი მოედანია.

მოედნის აღმოსავლეთ ნაწილს ეწოდება მარჯვენა  
მხარე, დასავლეთს — მარცხენა.

## საჭირო საგნები

§ 4. ფარი. ფარი ასე მზადდება: ავიღებთ საჭირო ზომის  
ფურცლოვან ლითონს (უმჯობესია თითბრისა ან ფოლადისა),  
რომლის ზედაპირზედაც დაკხაზავთ 30 სმ სიგრძის გვერდის  
მქონე კვადრატს. ამ უკანასკნელის ერთ-ერთ გვერდზე მოვძებ-



ნით შუა წერტილს, საიდანაც, კვადრატის ერთი წვეროდან მეორემდე, გარედან შემოვხაზავთ ნახევარწრეს. ლითუნის ფურცელს გამოვჭრით მიღებული ნახაზის მიხედვით და მოვიდებოთ ფარს (ნახ. 2). ნახევარწრეს მოპირდაპირე გვერდი იქნება ფარის ფურცელი.

ფარისათვის საჭიროა ფეხი, უმჯობესია იგი დავამზადოთ შესაფერი ზომის რკინის მიღლისაგან. მიღლი უნდა მოვღუნოთ და მისი ერთი ბოლო დავამაგროთ მძიმე საგანზე, მეორე ბოლოზე კი, რომელიც წინ იქნება წამოხრილი, ჩამოიკიდება ფარი, ისე, რომ ფარის ფურცელი მიწიდან 50 სმ. სიმაღლეზე იყოს.

ფარის ფეხზე, მიწიდან 60 სმ სიმაღლეზე უნდა დავამაგროთ დარტყმის შემანელებელი მქლავი, რომელიც გამოწვდილი იქნება ფარისაქენ და რომელიც დასრულდება გარდიგარდმოთთითით. თითო უნდა იმყოფებოდეს ფარს უკან 2 — 3 სანტი-მეტრზე და მისი სიგრძე ფარის სიგანეს უნდა შეეფარდებოდეს.

ფარი ისე უნდა დაიდგას, რომ მისი ფურცელი პირდაპირ ფარის ხაზს დასცემოდეს.

**შენიშვნა:** ფარის დამზადება შეიძლება ხისგანაც: დასაშვებია მისი ფეხის მიწაში ჩამაგრებაც.

თუ ფარი ლითონისაა, ჭობია თოთოეული ფარი შედგებოდეს ორი ფურცლისაგან, რომლებიც ერთიმეორეზე დაცილებული იქნება რამდენიმე მიღლიმეტრით. ასეთი ფარი ბურთის მორტყმის დროს თავისებურ ხმას გამოსცემს.

**§ 5. ბურთი.** ბურთი მრგვალია, მისი გარშემოწერილობა 40 — 42 სმ-ია, წონა — 200 გრამადე. ბურთი ტყავისაგან მზადდება, მასში თავსდება რეზინის გარსი, რომელიც ჰაერით იბერება.

**§ 6. სასტვენი.** თამაშის ჩასატარებლად საჭიროა ორი სასტვენი, რომლებიც გათვალისწინებულია მსაჭებისათვის.



§ 7. გუნდების შემაღვენლობა. ფარბურთის სრული გუნდური გუნდების 9 კაცისაგან შედგება, აქედან 3 სათადარიგოა.

თამაში მონაწილეობს ორი გუნდი, თითოეულში 6 მოთა-  
მაშეა, რომელთაგან ერთი „მცველია“. გუნდი ირჩევს გუნდის-  
თავს. თუ თამაშის დასაწყისისათვის მოთამაშეთა რიცხვი 4-ზე  
ნაკლებია, გუნდს არა აქვს თამაშის დაწყების უფლება. თუ  
მოთამაშეთა რიცხვის ასეთი შემცირება თამაშის დაწყების  
შემდეგ მოხდა (რა მიზანითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვე-  
ული), თამაში წყდება.

თამაშის დროს გუნდს სამი მოთამაშის შეცვლის უფლება  
აქვს. დამცველის შეცვლა მთელი თამაშის განმავლობაში მხო-  
ლოდ ერთხელ შეიძლება.

დაგვიანებულ მოთამაშეს უფლება აქვს თამაშში შევიდეს  
მხოლოდ მსაჭის ნებართვით.

მსაჭის უნებართვოდ თამაშიდან გასული მოთამაშე თამაშზე  
არ დაიშვება, არც სხვა მოთამაშით შეიცვლება (უნებართვო  
გასვლად არ ჩაითვლება ის შემთხვევა, როცა მოთამაშე მოედ-  
ნის გარეთ მოექცევა თამაშის დროს, ან ერთი-ორი წუთით გავა  
ჩატმულობის გასასწორებლად).

თუ დაზიანება აშკარაა, მოთამაშეს უფლება აქვს მოედანი  
უნებართვოდ დატოვოს.

რაიმე დანაშაულისათვის (უხეში თამაში, ყვირილი და ა. შ.)  
მსაჭის მიერ მოედნიდან გაძევებული მოთამაშე სხვა მოთამა-  
შით არ შეიცვლება.

**შენიშვნა:** 1-ლი ს-ის შენიშვნით გათვალისწინებულ შემ-  
თხვევაში მიზანშეწონილია გუნდების გამოყვანა სათამაშო  
მოედნის სიდიდის შესაბამისად შემცირებული შემაღვენლო-

ბით, მხოლოდ ამ პარაგრაფში გათვალისწინებული წესების  
დაცვით.

§ 8. მოთამაშეთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მოთამაშეთა  
ტანსაცმელია: მაისურა ან ხალათი და მოკლე ან ჩაშვებული  
შარვალი. ფეხსაცმელი უნდა იყოს რბილძირიანი და უქუს-  
ლო.

გუნდის მთელი შემაღენლობა ატარებს ერთი ფერისა და  
თარგის ტანსაცმელს. თამაშზე მოწინააღმდეგე გუნდები სხვა-  
დასხვა ფერის ტანსაცმლით გამოდიან. დასაშვებია თხელი  
ქსოვილის ქუდები. თითოეულ მოთამაშეს მკერდზე და ზურგზე  
აკერია რიცხვი 1-დან 9-მდე. მცველი ატარებს რიცხვს: „2“,  
გუნდისთვი რიცხვს: „1“. რიცხვის ფერი განსხვავებული უნ-  
და იყოს ტანსაცმლის ფერისაგან. რიცხვის სიმაღლე 12 — 15  
სმ-ია, სიგანე 6 — 8 სმ, ხაზის სიფართე 2 — 3 სმ. აკრძალულია  
ისეთი საგნების ტარება, რომლებითაც თამაშის დროს მოსა-  
ლოდნელია მოთამაშის დაზიანება.

§ 9. მსაჯების ძირითადი უფლება-მოვალეობანი. თამაშის  
ჩასატარებლად ინიშნება ორი მსაჭი.

მსაჯების ძირითადი მოვალეობაა თამაშის წესების დაცვა და  
საღაო საკითხების აღგილზევე გადაწყვეტა:

ა) თამაშის დაწყების წინ მსაჯები შეთანხმდებიან და გაი-  
ნაწილებენ საქმეს: ერთი მსაჭი თამაშის პირველ ნახევარში იქ-  
ნება პასუხისმგებელი ბურთის მოძრაობასა და ბურთის გადამ-  
ცემი და მიმღები მოთამაშეების მოქმედებაზე. ხოლო მე-  
ორე — ყველა დანარჩენი მოთამაშის მოქმედებაზე; მეორე ნა-  
ხევარში კი პირიქით. დამატებით დროში მსაჯები მოვალეობას  
ინაწილებენ თამაშის ძირითადი ნახევარების ანალოგიურად. მაგ-  
რამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბურთის გადამცემს ან მიმღებ  
მოთამაშეს პირველი მსაჭისათვის ზურგი აქვს შექცეული, ბურ-

თის მიღება-გადაცემასთან დაკავშირებული წესის დარღვევისა-  
თვის პასუხისმგებელია მეორე მსაჯიც.

ბ) თამაშის დაწყებამდე მსაჯები ამოწმებენ, თუ რამდენად  
ეფუძნდება მოცემულ წესებს სათამაშო მოედანი, თამაშისათვის  
საჭირო საგნები, გუნდების შემადგენლობა, ჩატარების და სხვ.

გ) მსაჯებს ევალებათ თამაშის დაწყებამდე გააფრთხილონ  
და არ დაუშვან თამაშებ ის მოთამაშე, რომელიც სათანადოდ  
არ არის ჩატარები, თუ მსაჯებმა თამაშის დროს შენიშვნეს ამგვა-  
რი დარღვევა, უფლება აქვთ გააძეონ მოთამაშე. უკანასკნელ  
შემთხვევაში მოთამაშეს უფლება აქვს დაბრუნდეს მოედანზე,  
მხოლოდ მსაჯების ნებართვით.

დ) დაგვიანებული, შემცვლელი და ტანსაცმლის გასასწო-  
რებლად გაძევებული მოთამაშის (ჩაც გათვალისწინებულია  
ამივე პარაგრაფის „გ“ ნაწილში) თამაშე დაშვება მსაჯებს შე-  
უძლიათ მხოლოდ მაშინ, როცა ბურთი თამაშგარეა.

ე) თითოეულმა მსაჯმა შესაფერისი სასჯელი უნდა დაადოს  
თამაშის წესის დამტრვევ მოთამაშეს, მაგრამ არა იმ შემთხვევა-  
ში, როცა სასჯელს წესის დამტრვევი მოთამაშის გუნდისათვის  
თამაშის სიტუაციის მიხედვით სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ვ) თითოეულ მსაჯს უფლება აქვს თამაშის წესების დამტ-  
რვევი მოთამაშე გააფრთხილოს, განმეორების შემთხვევაში კი  
გააძევოს იგი.

ზ) მსაჯებს უფლება აქვთ შეაჩერონ თამაში წესის დარღვე-  
ვის ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოების (ძლი-  
ერ არახელსაყრელი ამინდი, მაყურებელთა ჩარევა და სხვ.)  
დროს კი შეუძლიათ სრულიადაც შესწყვიტონ, მხოლოდ ასეთ  
შემთხვევაში მსაჯები ვალდებული არიან შეადგინონ აქტი მი-  
ზეზის აღნიშვნით და აცნობონ ორგანიზაციას, რომელმაც და-  
ნიშნა თამაში.

თ) მოთამაშის მიერ თამაშის წესების უხეში დარღვევის შემთხვევაში (უხეში თამაში, ყვირილი, უშმაწური ჟიტყვების ხმარება, უზრდელი საქციელი, მსაჯთან შეკამათება და სხვ.), მსაჯს უფლება აქვს მოთამაშე გაუფრთხილებლად გააძვოს.

ი) მოთამაშის მძიმე დაზიანების დროს მსაჯს შეუძლია შეაჩეროს თამაში დაზიანებული მოთამაშის გაყვანამდე.

კ) მსაჯები ზუსტად იცავენ თამაშისათვის განსაზღვრულ დროს და ვალდებული არიან დაუმატონ გაუთვალისწინებელი მიზეზით დაკარგული დრო, მაგრამ ამის შესახებ უნდა გააფრთხილონ გუნდისთვები.

ლ) თამაშის მიმღინარეობის შესახებ მსაჯები აღგენენ აქმს.

მ) მსაჯების გადაწყვეტილებანი თამაშის დროს საბოლოოა.

## თავაზი

**§ 10. მოედნის მხარეთა ამორჩევა.** მსაჯის ნიშანზე მოთამაშენი მოედანზე გამოდიან. გუნდის მცველები დგებიან მისალმების წრეებში, სახით ერთმანეთისაკენ, დაარჩენები უდგებიან გვერდში, მოედნის მარჯვენა ხერიდან. მისალმების შემდეგ ხდება კენჭისყრა. გუნდი, რომელსაც შეხვდა კენჭი, ირჩევს მოედნის მხარეს და იწყებს თამაშს. თამაში იყოფა ორ ნახევრად. მეორე ნახევრისათვის ხდება მოედნის მხარეთა შეცვლა. მეორე ნახევრებში თამაშს იწყებენ მოწინააღმდეგები.

**§ 11. თამაშის ხანგრძლივობა, ძირითადი და დამატებითი დრო.** თამაშის თითოეული ნახევრის ხანგრძლივობა 15 წუთია. შესვენება პირველ და მეორე ნახევრებს შორის — 10 წუთი.

გაცდენილი დრო ემატება იმ ნახევარს, რომელშიაც მოხდა გაცდენა.

თუ თამაშის ორივე ნახევრის შემდეგ ქულების ოდენობა თანაბარია, ხოლო შეჯიბრების პირობები (მაგ. ოლიმპიური) ამას ვერ ეგუება, მსაჯები ვალდებული არიან დანიშნონ და მატებითი დრო — 10 წუთი, გადაწყვეტილება აცნობონ ორივე გუნდისთავს და მოხდინონ ხელახალი კენჭისყრა.

გუნდი, რომელსაც შეხვდა კენჭი, ირჩევს მოედნის მხარეს და თამაშის მეორე ნახევრის დამთავრებიდან 5 წუთის გასვლის შემდეგ მსაჯის ნიშანზე იწყებს თამაშს. კიდევ 5 წუთის შემდეგ მსაჯი წყვეტს თამაშს ერთი წუთით, ამ სანზი ხდება მოედნის ნახევრების შეცვლა, რის შემდეგ თამაშს იწყებს მოწინააღმდეგი. თუ შედეგი კვლავ ვერ იქნა მიღებული, თამაში ჩაითვლება ფრედ და გადათამაშება უნდა მოხდეს მეორე დღეს.

დროის აღრიცხვა იწყება ბურთის თამაშში შესვლის მომენტიდან.

**§ 12. თამაშის დაწყება.** თამაში იწყება „გაკვრით“: გუნდის მცველი დგება საკუთარი გაკვრის არეში, ერთი ხელით აისვრის ბურთს და მეორეთი გაპკრავს. თუ ბურთი საკუთარი დაცვის რკალს მიწაზე შეუხებლად გადაპკვეთს, ბურთი თამაშში შესულად, ხოლო თამაში დაწყებულად ითვლება. თუ ბურთმა დაცვის რკალი ვერ გადასჭრა მიწაზე შეუხებლად, ან გასცდა მოედნის ფარგლებს ისე, რომ მას სხვა მოთამაშე არ შეხებია, ცდა მეორდება.

თამაშის დასაწყებად გაკვრისათვის მცველს ეძლევა ორი ცდა, თუ ორივე ცდა უშედეგო აღმოჩნდა, მაშინ თამაშს ამავე გაკვრის არედან იწყებს მოწინააღმდეგის რომელიმე მოთამაშე, იმავე პირობების დაცვით. დანარჩენი მოთამაშენი სურვილისამებრ განლაგდებიან მოედანზე.

**შენიშვნა:** ბურთზე ხელის აცილება ცდად ითვლება.

§ 13. ბურთით თამაში. მოთამაშეს მოედნის სათანადო ფარგლებში თამაშის დროს უფლება აქვს:

ა) შეეხოს ბურთს, აიღოს იგი ცალი ხელით და შიაწოდოს სასურველ მხარეს სროლის, მიწაზე დარტყმის ან გაგორების საშუალებით.

ბ) განმეორებით (მხოლოდ არა იმავე ხელით) დაეუფლოს ბურთს იმ შემთხვევაში, როცა ბურთს წასვლის შემდეგ არ შეხებია სხვა მოთამაში.

გ) წართვას მოწინააღმდეგეს — ბურთზე ხელის დატაცებით.

დ) გააგდებინოს ხელიდან — ბურთზე ხელის დაკვრით.

ე) სროლით გადაიტანოს ერთი ხელიდან მეორეში.

მოთამაშეს ეკრძალება:

ა) ორივე ხელით ბურთზე ერთდროული შეხება.

ბ) ხელში აღებული ბურთის სხეულზე მიკარება.

გ) ხელში აღებული ბურთით ორ ნაბიჯზე მეტის გადადგმა.

დ) ბურთზე ფეხით შეხება.

ე) ყოველგვარი უხეში შეხება მოწინააღმდეგეზე.

ვ) 3 მეტრზე ნაკლები მანძილით მიახლოება იმ მოთამაშეს-თან, რომელიც ასრულებს გაკვრას „ბურთის შემოტანის“, „საჭარიმო გაკვრის“ და „ბურთის გათამაშებით საჭარიმო სროლის დროს“.

§ 14. შეჭრა. მცველი „შეჭრილ“ მდგომარეობაშია: 1. თუ გაკვრის არიდან მის მიერ გაკრულმა ბურთმა მას გაკვრის არეშივე მოუსწრო; 2. თუ თამაშის დროს გადაჭრა გაკვრის რეალი;

დანარჩენი მოთამაშენი „შეჭრილ“ მდგომარეობაში ითვლებიან, თუ თამაშის დროს დაცვის რქალი გადაჭრეს.

§ 15. ბურთი თამაშგარე. ბურთი თამაშგარე მდგომარეობა-

შია: 1. თუ გასცდა მოედნის ფარგლებს, ან შეჩერდა გაკვრის არეში; 2. თუ მსაჯმა შეაჩერა თამაში.

**§ 16. ბურთის შემოტანა.** თუ ბურთი თამაშის დროს მოედნის ფარგლებს გასცდა, შემოაქვს მოწინააღმდეგებს, იმ ადგილიდან, სადაც ბურთმა გადასჭრა ძირითადი მოედნის ფარგლები. თუ ბურთს უკანასკნელად მცველი ეხებოდა, მისი შემოტანა ხდება დაცვის რკალის ნებისმიერი ადგილიდან. ბურთის შემოტანა ხდება მსაჯის ნიშანზე.

ბურთის შემოსატანად მოთამაშე დგება ხაზზე (ან რკალზე), ერთი ხელით აისვრის ბურთს, მეორეთი შემოჰკრავს. თუ მოთამაშემ ბურთს ხელი ააცილა, ან ბურთი ისე გასცდა მოედნის ფარგლებს, რომ მას სხვა მოთამაშე არ შეხებია, ბურთი შემოაქვს მოწინააღმდეგებს.

გაკვრისა და ფარის არეში შეჩერებული ბურთი შემოაქვს დამცველს, შემოტანა ხდება გაკვრის არიდან.

**§ 17. საჯარიმო გაკვრა.** მე-13 პარაგრაფში გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში მსაჯი აჩერებს თამაშს და მოწინააღმდეგებ გუნდის სასარგებლოდ ნიშნავს „საჯარიმო გაკვრას“.

საჯარიმო გაკვრა ხდება წესის დარღვევის ადგილიდან, მსაჯის ნიშანზე.

საჯარიმო გაკვრის შესასრულებლად მოთამაშე ერთი ხელით აისვრის ბურთს და მეორეთი გაჰკრავს. ბურთი თამაშშია, თუ მას შეეხო სხვა მოთამაშე. თუ დარღვევა დამცველის მიერ მოხდა, საჯარიმო გაკვრა სრულდება დაცვის რკალის სათანადო ადგილიდან.

**შენიშვნა:** თუ მოთამაშემ გაკვრის ცდის დროს ბურთის ხელი ააცილა. ან ბურთი ისე გასცდა მოედნის ფარგლებს, რომ მას

სხვა მოთამაშე არ შეხებია, გაკვრის ამავე ადგილიდან სარულებს მოწინააღმდეგე.

§ 18. საჯარიმო სროლა. მე-14 პარაგრაფში გთვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში მსაჯი ნიშნავს „საჯარიმო სროლას“.

საჯარიმო სროლა ხდება წესის დამრღვევი მოთამაშის ფარზე, დაცვის რეალიდან, ცალი ხელით, ნებისმიერად, მხოლოდ მსაჯის ნიშანზე.

საჯარიმო სროლის შესრულების შემდეგ ბურთი დამცველ შემოაქვს.

§ 19. საჯარიმო სროლა ბურთის გათამაშებით. წინასწარგანზრახული უხეში თამაშისა და ზედმეტი ლაპარაკისათვის მსაჯს უფლება აქვს წესის დამრღვევი მოთამაშის გუნდის ფარზე დანიშნოს „საჯარიმო სროლა ბურთის გათამაშებით“, რაც შემდეგში მდგომარეობს:

მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე წესის დარღვევის ადგილიდან ასრულებს „გაკვრას“, მისი გუნდის დანარჩენი მოთამაშენი მოედანზე განლაგებული არიან ნებისმიერად, ყოველ მათგანს უფლება აქვს ბურთი მიიღოს თამაშის წესების დაცვით (მხოლოდ არა აქვს ბურთის სხვაზე გადაცემის უფლება) და ესროლოს ფარს.

ბურთის გათამაშებით საჯარიმო სროლის შესრულების დროს წესის დამრღვევი გუნდისაგან თამაშში მონაწილეობს მხოლოდ მცველი. დანარჩენებს უფლება აქვთ ნებისმიერად განლაგდნენ მხოლოდ სწორკუთხედის არეში და არ იმოძრაონ, ვიდრე ბურთი მოედანს არ გასცდება ან მას დამცველი არ შეეხება. თუ დამცველი ბურთს შეეხო, თამაში ჩვეულებრივად გრძელდება.

თუ ბურთი ისე გასცდა მოედანს; რომ მას მცველი არ შე-  
ხებია, შემოაქვს დამცველს.

**შენიშვნა:** 1. ამ §-ით გათვალისწინებული გაკვრის შესასრუ-  
ლებლად დაზარალებულ გუნდს ეძლევა მხოლოდ ერთი ცდა  
მე-17 ს-ის შენიშვნაში გათვალისწინებული წესების დაცვით.

2. თუ დაზარალებული გუნდის მოთამაშენი შეეცდებიან  
გააჭიანურონ „საჯარიმო სროლა ბურთის გათამაშებით“, მსახს  
უფლება აქვს მოწინააღმდეგე მხარეს მისცეს „საჯარიმო  
გაკვრა“.

**§ 20. სადაო ბურთი.** თუ თამაში გაუთვალისწინებელი მი-  
ზეზით (ცუდი ამინდი, მაყურებელთა ჩარევა და ა. შ.) შეწყდა,  
ბურთი სადაოა.

სადაო ბურთი შემოაქვს ერთ-ერთ მსახს, იგი დგება მო-  
ედნის განივი ღერძის ბოლოზე და ბურთს გადაისცრის ისე,  
რომ მისალმების წრეებს შორის დაეცეს.

**§ 21. ბურთის ფარზე მორტყმა და თამაშის შედევი.** თუ  
ბურთი მოხვდა ფარს, მოწინააღმდეგეს ეწერება ერთი ქულა.  
მოხვედრება არ ჩაითვლება, თუ თავდამსხმელთაგან რომელიმე  
მოთამაშე „შეჭრილ“ მდგომარეობაში იძყოფებოდა.

სპუთარ ფარზე ბურთის მოხვედრება მოწინააღმდეგეს  
ეთვლება.

გამარჯვებულად ითვლება ის გუნდი, რომელიც თამაშის  
დასასრულისათვის მეტ ქულებს მოაგროვებს.



ତାଲାକୁଳେ ଶ୍ରୀଶ୍ରୀ


1. əməsəsə

ლახტის სათამაშო მოედანი წარმოადგენს წრეს. ერთი და  
იგივე ცენტრიდან შემოხაზულია ორი წრეხაზი — შიგნითა,  
ანუ ლახტისა — 2,5 მ რადიუსით და გარეთა — 5 მ რადიუსით.  
ლახტის წრეხაზი მოედანს ყოფს ორ ნაწილად — შიგნითა, ანუ  
ლახტის წრედ და გარეთა წრედ. თითოეული წრეხაზის სიფარ-  
თე 5 სმ-ია და შედის იმ წრის ზომაში, რომელსაც შემოსაზღ-  
ვრავს. ლახტის წრეხაზი გაყოფილია 5 თანაბარ ნაწილად.  
გაყოფის ადგილებიდან ცენტრის მიმართულებით გავლებულია  
120 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანის ლახტის ხაზები (5 ხაზი).

ცენტრი წარმოადგენს „მცირე წრეს“ 20 სმ ღიაშეტრით. მოქდანი (სასურველია, იყოს ბალახიანი) იხაზება კირის სნარით.

<sup>1</sup> გარეთ წრის შემოხატვა აუცილებელია მხოლოდ საჩიონონ ან უფრო დიდი შეჯიბრებების დროს.


## გარეთა წრეხაზი



### 2. ლაპტევისი და სასტანცი

თამაშისათვის საჭიროა გამძლე ტილოს ან ტყავის 5 ცალი ლაპტევი, ანუ სარტყელი (ქამარი) მისი სიგრძე 115—120 სმ-ია, სიგანე — 3—4 სმ, სისქე — 2 მმ-მდე. ლაპტევის ორივე ბოლო შემოჭრილია ენისებურად.

თითოეული ლახტი გაშლილი დაიდება ლახტის ხაზზე და  
ერთი ბოლოთი ეხება წრეხაზის გარეთა კიდეს.



### 3. გუნდების შემაღების ლობა და ჩაცვლობა

თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი. თითოეულში 7 მოთა-  
მაშეა, მათგან 2—სათადარიგოა. გუნდს ჰყავს გუნდისთავი.

თამაშში გუნდი მონაწილეობს 5 კაცის შემაღების ლობით.  
გუნდი, რომლის შემაღების ლობა 4 კაცზე ნაკლებია, თამაშზე  
არ დაიშვება. თუ ასეთი შემცირება თამაშის დროს მოხდა, თა-  
მაში წყდება. გუნდს ორივე შემთხვევაში ეწერება წაგება.

თამაშის განმავლობაში გუნდს უფლება აქვს, სათადარიგო  
შოთამაშეებით შეცვალოს ორი მოთამაშე. წესის დარღვევი-  
სათვის გაძევებული მოთამაშე არ შეიცვლება.

იმ შემთხვევების გარდა, როცა დაზიანება აშკარაა, მსახის  
ნებართვის გარეშე თამაშიდან გასული მოთამაშე თამაშზე არ  
დაიშვება და არც სხვა მოთამაშით შეიცვლება.

მოწინააღმდეგე გუნდების ტანსაცმელი ერთიმეორისაგან  
განსხვავდება მხოლოდ ფერით. ტანსაცმელი შედგება: ჩაშვე-  
ბული შარვლისა, ქუდისა, ერთი წყვილი წინდისა, რბილძირიანი  
უქუსლო ფეხსაცმლისა და ბლაგვაბზინდიანი ქამრისაგან, (წელ-  
ზე შემოსარტყმელად). ხალათი და შარვალი იკერება ჩვეულე-  
ბრივი ბამბის, ტილოს, ან შალის ქსოვილისაგან, უჭიბოდ.

ხალათი ჩატანებული უნდა იყოს შარვალში. შარვლის  
წინდებში. ჩატანება აკრძალულია. ჩაცმულობის წესების  
დამრღვევნი მდგომარეობის გამოსწორებამდე თამაშზე არ და-  
იშვებიან.

მსაჯის წინაშე გუნდები გუნდისთავების წინამძღოლობით  
მწყობრად გამორბიან მოედაზე და ლახტის წრეში ერთიმე-  
ორეს ესალმებიან. გუნდისთავები მსაჯის დახმარებით ყრიან  
კენჭს.

კენჭისყრით ერთ-ერთ გუნდს მოუწევს ლახტის წრეში  
ჩადგომა. ყოველი მოთამაშე დაღება ლახტთან, მოწინააღმდე-  
გენი ითამაშებენ „გარეთ“. მსაჯის ნიშანზე იწყება თამაში.  
წრეში ჩამდგარნი იცავენ ლახტებს. მოწინააღმდეგენი ცდილო-  
ბენ გატაცებას.

შენიშვნა: თამაშის დაწყებისათვის თუ „შიგნითა“  
გუნდში მხოლოდ 4 მოთამაშეა, მე-5 ლახტი დაირგოლება და  
დაიღება „მცირე წრეში“. იგი ლახტის ხაზზე გადააქვთ მე-5  
მოთამაშის გამოცხადებისთანავე, ან ლახტის პირველი გატა-  
ცების შემდეგ.

„გარეთა“ მოთამაშეებს უფლება აქვთ:

1. მიპარვის, წაწოლის, გაგორების, ხელის კვრისა და სხვა  
საშუალებით ხელი დასტაცონ, ფეხი გაპერან და გაიტაცონ  
ყოველი ლახტი, მათ შორის, „მცირე წრეში“ მდებარეც“.
2. გატაცებული ლახტები გადასცენ ერთიმეორეს. მათი  
საშუალებთ გაიტაცონ დანარჩენი ლახტებიც. საჭიროების  
დროს მიეშველონ ერთიმეორეს.

3. ნებისმიერად დაიჭირონ ხელში გატაცებული ლახტი და  
წვივებზე ურტყან „შიგნითა“ მოთამაშეებს.

4. ლახტის წრიდან „გამოითრონ“, ან დაიჭირონ წრიდან  
გამოსული ყოველი „შიგნითა“ მოთამაშე და აქციონ „ტომ-

რად“, დააჯახონ „ტომარა“ წრეში მდგომ სხვა მოთამაშეს და  
ამგვარად გაიტაცონ ლახტი.

„შიგნითა მოთამაშებს უფლება აქვთ:

1. მუხლს ქვემოთ ტერფის შეხებით „დაჭრან“ გარეთა მო-  
თამაშენი.

2. ლახტის წრიდან გამოუსვლელად ხელი ჩავლონ გარეთა  
მოთამაშეებს, „შეითრიონ“ წრეში და „დაჭრან“.

3. ხელიდან გამოსტაცონ და დაიბრუნონ გარეთა მოთამა-  
შეების მიერ გატაცებული ლახტები და წვივებზე ურტყან მო-  
წინააღმდეგებს.

4. მიეშველონ ერთმანეთს და გაცვალონ ადგილები ყოველი  
ლახტის დასაცავად.

შენიშვნები: 1. მოთამაშე „დაჭრილად“ არ ჩაითვლება,  
თუ „დაჭრელი“ დაჭრის ღრის იმდენად იყო გამოსული წრი-  
დან, რომ ერთი ფეხითაც არ ეხებოდა წრეხაზს.

2. ერთი მოთამაშის „დაჭრა“ ნიშნავს მთელი გუნდის  
„დაჭრას“, თამაში წყდება და შესვენების შემდეგ წრეში დგება  
„დაჭრილი“ გუნდი.

3. „ტომარა“ ეკუთვნის მომტაცებელს, რომელსაც „ტომა-  
რაზე“ ხელი უკიდია მქლავში ან ქამარში, სხვისათვის მისი  
„გადაცემა“ აქრძალულია, ხოლო აქეთ-იქით გაუმართლებელი  
ტარების ან გარეთა წრიდან გამოყვანის შემთხვევაში, მსახს  
შეუძლია მისი „გაშვება“.

4. „ტომარას“, ვიდრე მასზე „პატრონს“ ხელი უკიდია, ან  
ვიდრე იგი ცალი ფეხით მაინც არ შეეხება ლახტის წრეხაზს,  
უფლება არა აქვს წინააღმდეგობის გაწევისა, ან თამაშში ჩაბ-  
მისა.

5. ლახტის გაწყვეტის შემთხვევაში თამაში ახლდება ზუს-  
ტად იმავე მდგომარეობიდან, რომელშიაც შეწყდა ბრძოლა.



წესის დარღვევად ითვლება: ლახტის მორტყმა მუხლის ზემოთ; გარეთა წრიდან გამოსვლა; „დაჭრის“ ცდის დროს მუხლის ზემოთ ფეხით შეხება, ხელის ჩავლება ტანსაცმელში; ლახტის გადაადგილება ან მასზე ფეხის დადგმა შიგნითა მოთამაშის მიერ; ზედმეტი ლაპარაკი, მსაჯთან შეკამათება და უხეში საჭციელი.

შენიშვნა: თუ მცველის ფეხის დადგმით ლახტი აშკარად გადარჩა გატაცებას, იგი გატაცებულად ითვლება.

#### 6. თამაშის ხანგრძლივობა

თითოეულ შეხვედრაში გუნდმა უნდა ითამაშოს ერთხელ წრეში და ერთხელ გარეთ. შუალედში ეძლევა 5 წუთიანი შესვენება. გუნდის მდგომარეობა იცვლება „ჩაჭრისთანავე“ ან ლახტის გატაცების მე-5 შემთხვევისთანავე.

შენიშვნა: თუ ორივე შეხვედრის შედეგი ფრეა, ხოლო გამარჯვებულის გამოვლინება აუცილებელია, ინიშნება ორი დამატებითი შეხვედრა 10 წუთიანი შესვენებით. თუ საკითხი ჭიდებ არ გადაწყდა, განმეორებითი შეხვედრა ინიშნება მეორე დღისათვის.

#### 7. მსაჯობა და თამაშის ჯედობი

მსაჯი წესის დარღვევისათვის მოთამაშეს აფრთხილებს, ხოლო განმეორებისა და უხეში თამაშისათვის მოედნიდან აძევებს.

ლახტის გაწყვეტის, მოთამაშის დაზიანების, უხეში თამა-

შის ან სხვა მსგავს შემთხვევაში მსაჭს შეუძლია შეაჩეროს თამაში მდგომარეობის აღდგენამდე, მას უფლება აქვს, გადადოს თამაში განსაკუთრებულ შემთხვევაში (ძლიერ ცუდი ამინდი, მაყურებელთა ჩარევა და სხვ.).

თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჭს თამაშის შედეგები შეაქვს ოქმში, ხელს აწერინებს ორივე გუნდის წარმომადგენელს და შედეგს აცხადებს.

მსაჭის გადაწყვეტილებანი თამაშის დროს საბოლოოა. გასაჩივრება შეიძლება ერთი საათის განმავლობაში თამაშის დამთავრებიდან.

საჩივარს წერენ გუნდის წარმომადგენელი და გუნდისთვის და გადასცემენ შეჯიბრების მომწყობი ორგანიზაციის წარმომადგენელს.

ლახტის ყოველი გატაცებისათვის გარეთა გუნდს ეწერება ერთი ქულა, ხოლო აკლდება თითო ქულა ლახტის ყოველი „დაქარგვისათვის“.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.

თუ პირველობის გათამაშებაში, გამარჯვებულთა მიხედვით, ორი გუნდი ერთსა და ომავე ადგილზე გამოვიდა, უპირატესობა ეძლევა იმ გუნდს, რომელმაც ქულათა მეტი ოდენობა დააგროვა.

„საჯილდაო ქვა“ გლუვი ზედაპირის მქონე მრგვალი ქვაა.  
მისი დამზადება სხვადასხვაგვარად შეიძლება.

1. შეიძლება შეირჩეს საამისოდ გამოსაღები ქვა. ამ შე-  
მოხვევაში აუცილებელი არაა, რომ ქვა უთუოდ თანაბრად  
მრგვალი იყოს. მთავარია, არ ჰქონდეს თითის მოსაჭიდი შე-  
რიცხვი და ჩაღრმავებები, ე. ი. უნდა იყოს გლუვი ზედაპირი-  
სა.

2. მისი „გამოკვერცხაც“ (გამოთლა) არ არის ძნელი საქმე,  
მით უმეტეს, თუ მასალად აღებული იქნება რბილი, ადვილად  
სათლელი ქვა.

3. კიდევ უფრო იოლად შეიძლება მისი დამზადება ხრე-  
შისა და ცემენტის სნარისაგან; შეიძლება მაგარი კირის  
(დუღაბის) გამოყენებაც.

4. ბოლოს, ცხადია, უმჯობესი იქნება მისი დამზადება  
ლითონისაგან ქარხნული წესით.

ამასთან, კარგი იქნება, თუ ყველა შემოხვევაში გათვალის-  
წინებული იქნება ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის  
სხვადასხვაობა, ამის მიხედვით შეირჩევა და დამზადდება  
სხვადასხვა ზომის (მაშასადამე, წონის) საჯილდაო ქვა,  
რათა ყველას შეეძლოს ივარჩიშოს და სცადოს თავისი ძალ-  
ები.

ქარხნული წესით საჯილდაო ქვის დამზადება შეიძლება ორ-  
ნაირად: 1) სხვადასხვა ზომისა და წონის ლითონის ბურთობე-

ბის სახით. 2) შესაძლებელია დამზადდეს ერთი მიზანული  
ბურთობი, რომელსაც დაემატება საწონები.

საწონების დამზადებას და მოკლებისათვის ბურთობს შე-  
იძლება ჰქონდეს ღრმული; ამის გარდა, შესაძლებელია ისეთი  
საწონების დამზადებაც, რომლებიც ზემოდან (გარედან) მოერ-  
გება ბურთობს და დამაგრდება შესაფერის ნაჭდევში საგანგე-  
ბო ღილაკის ჩასმით. ასეთივე ღილაკები და ნაჭდევები უნდა  
ჰქონდეს საწონებსაც ერთიმეორებზე მოსარგებად.

მიზანშეწონილია ბურთობს ჰქონდეს 40 სმ დიამეტრი და  
30 კგ წონა, ხოლო საწონებს — 5, 10, და 20 კგ წონა. ასეთ  
შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ხუთ-ხუთი კილოგრამის მო-  
მატებით სიმძიმე თანდათან გაიზარდოს 80 კგ-მდე, რაც სრუ-  
ლიად საემარისია. თუმცა, შემდეგისათვის გამორიცხული არაა  
უკეთესი ვარიანტების შერჩევა.

უფრო მცირე სიმძიმის საწონების მაგიერობა შეიძლება  
გასწიოს „საჯილდაო ქვაში“ გამოყენებული სვეტის დიფერენ-  
ცირებამ, — ერთის მაგიერ იყოს სხვადასხვა სიმაღლის 3 სვე-  
ტი.

5-მდე სმ სიმაღლისა „ქარის გაყენებისათვის“,

50-მდე სმ სიმაღლისა („მუხლამდე აწევისათვის“).

80-მდე სმ სიმაღლისა (ამჟამად არსებულის შესაბამისი).

ეს სვეტები უნდა განლაგდეს 1 მეტრი დიამეტრის მქონე  
წრეხაზის გარშემო. წრეხაზი უნდა გაიყოს 4 თანაბარ მონაკვე-  
თად (სექტორად). პირველ მონაკვეთზე (პირდაპირ მიწაზე) და-  
იდოს თვით საჯილდაო ქვა, მეორეზე დაესოს 5 სმ სიმაღლის  
სვეტი, მესამეზე — 50 სმ სიმაღლისა, ხოლო მეოთხეზე —  
80 სმ სიმაღლისა.

მოვარგიშე ჩადგება წრეში, სვეტებს შორის, და შეეცდება  
თითოეული სიმძიმე თანდათან გაღაანაცვლოს მიწიდან დაწყე-

ბული უმაღლეს სვეტამდე და უკან, — უმაღლესი სვეტიდან  
მიწამდე. მას ყველა ამ ვარჩიშისათვის მიეცემა განსაზღვრული  
დრო, 3—5 წუთი, რაც ნებისმიერად შეუძლია გაანაწილოს თი-  
თოეულ წონაზე და უნდა მიეცეს 2—3 ცდის უფლება.

სიმძიმე დაძლეულად არ ჩაითვლება, თუ მოვარჩიშემ ყვე-  
ლა ვარჩიში ვერ შეასრულა, ან დროში ვერ ჩაეტია, ანდა აწე-  
ვის დროს სხეულზე მიიქრა ქვა. აკრძალულია ხელის თითების  
ერთმანეთში ჩახლართვაც. აწევის დროს ხელები ერთმანეთს  
დაშორებული უნდა იყოს.

საჯილდაო ქვის სიმრგვალე, მისი აწევის წესი მოვარჩიშეს  
საშუალებას არ აძლევს მოეჭიდოს ისეთ სიმძიმეს, რაც მის  
ძალ-ღონესა და შესაძლებლობას აღემატება, მაშასადამე, არც  
საზიანოა მისი ორგანიზმისა და ჯანმრთელობისათვის. ეს მნიშ-  
ვნელოვანი ღირსებაა უსაფრთხოების თვალსაზრისით. რაც ქარ-  
თული ხალხური სპორტის ამ სახეობაში იოლად ჩაბმის საშუ-  
ალებას იძლევა, რადგან შესაძლებელია მასობრივი სახის შე-  
ჯიბრება (კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე სპორტსმენების  
გამოსავლინებლად) ჩატარდეს განსაკუთრებული მომზადების  
გარეშე.

ყოველივე ეს დიდად შეუწყობს ხელს სპორტში ფართო მა-  
სების მოზიდვას, სპორტის პოპულარიზაციას საერთოდ. ამ  
თვალსაზრისით, საჯილდაო ქვას დიდი სარგებლობის მოტანა  
შეუძლია.

საჯილდაო ქვა ყოველ სოფელში ხალხის თაგშეყრის ყველა  
ადგილზე უნდა ეგდოს.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

## თამაშობანი

შესავალი	5
აქენქობანა, ავტოლური, კენტლობა	7
ანათითი	8
ასკინქილა, სიკინქილი	8
აფრინდა-აფრინდა	9
ბორა-ბორა	9
ბურთაობა	10
ბუღრაობა	35
გასწორობანა, შარა-შარა	35
გვიმრობანა	39
გუნდაობა, თოვლაბურთა	42
დანისპირაობა, დანასობანა	42
დიფტი გორაკს	44
დულყაობა, აიწონა-დაიწონა, კონა-კოჭა	45
დღეღამობანა	45
ეს სახლ-ეარი ვისია	46
ევისი მეზობლობა გურას	47
ზუილა	47
„ზურგობანა“	48
თავზე გადახტომა	49
თავმდგურობანა	52
თვალახვეულა	53
თითების გადავლა	53
თოქის გაწევა	54
თოლაურია, ჩაქა	54
თულა	55
თხილის მირტყმა, მტკავლაობა	55
თხილის ტაკაობა	56
კაქლაობა	56
„კაქლაობა“ კოჭებით	62
კატათაგვობანა	63
კენჭაობა	63
კოდობანა (კენჭებით)	75
კორაობა	77



ქურთაობა, მსაჯულობა)	77
კოშლაობა	78
კოჭიაობა და თოხესაობა	80
კუკუზალულობა	82
ლაპტი	87
მგელობანა	90
მელაკუდა	95
მიარეა	98
მუჭანა	99
მშვილდ-ისარი, ჯიხამშვილდი	100
ნაჭობა	100
ოღირღილო	101
ოქივარი	102
ოხონანა	103
ოჩაფეხა	103
რიკაობა, რიკ-ტაფელა, ტაფარიკაობა	103
საბან-ბუბულაობა, ცხენობანა	137
სალაობა	137
სილობანა	142
სიცილობანა	144
სკის ხილვა, სამი ჯოხის კიპორჭი	144
ტყემლაობა	145
ქვასროლია	146
ქორობანა	146
ქუდის ტაციაობა	151
ქუდში ჩახედაობა, ქერის ჭამა (ყირამალა)	155
შემოვლა	156
შურდული, ქვეშარტული	157
ჩემო კარგო დედაო	158
ჩხირის (კენჭის) დამალვა	158
ცარიელია ოუ საგსე (ბოჭმიდოლი)	161
ცეცხლობანა	161
ციგაობა	163
ციგურიობა	164
ციხობანა	165
ცხენობანა	166
ცხენსა ვყიდი, ვინ იყიდის	166
ძაფის გადაყვანა, ბუწალაობა	168
ძიძგი-ძიძგი. მამალა	168
წაბიძება	169
წამოდგომა	170

წიპონია	170
წისქვილობანა	171
ხელის, მაჯის გადაწევა	171
ხეჭებუნა	172
ხეარულობა	173
ხიღობანა, ჭიშექრობანა	174
ხოინაობა, ბზრიალა	174
ხულა	174
ჯირითი	175
ჯოხებით თამაში	176
ჯოხებეშ ამოტრიალება, ჯოხებეშ გაძრომა	177
წესები (გათვლის, ჭიშულებად განაწილებისა და კენჭისყრისათვის)	179
I. გათვლა	179
II. ჭიშულებად განაწილება	181
III. კენჭისყრა	182
თამაშობათა კლასიფიკაციისათვის	185
სპორტული თამაშობანი	191
1. საყებურთი	191
2. ფაზბურთი	194
<b>ლაპტი</b>	<b>210</b>
საჭილდაო ქვე	217



რედაქტორი ე. მაისურაძე  
მხატვარი შ. ფორჩებიძე  
შასტრული რედაქტორი ლ. ლვინჯილია  
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზია  
კორექტორი შ. მსხლაძე  
ამომშეგები გ. ბერიძე

L. 3. № 1181

ပေါ်စာမျက်နှာပေး 6/VI-79 ပြ. ဗြိုလ်ချုပ်ရွှေဘူတ္တ၊ ရွှေပါ-  
ရွှေပြည့်လ 24/VII-80 ပြ. စာအံပြည့် ဂျာလျှောက် ၁၃,  
70×108<sup>1/82</sup>, ဒေါက်ဆိပ်တော် ၉၈။ စာအံရွှေ-  
ပြုခွဲ-စာဌာနမျက်နှာပေး ၈၀.

სე 06118. ტირავი 2000. შეკვეთა № 1767.  
ფასი ნა კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ გამსახუმის  
სამხრეთ ოსეთის საოლქო პოლიგრაფიული  
სამოწ გაერთიანება, ცხინვალი, მოსკოვის ქ., 5.

Юго-Осетинское областное полиграфическое производственное объединение Госкомиздата ГССР, Цхинвали, Московская, 5.



Шеразадишвили Закария Васильевич  
ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ИГРЫ  
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5

522/9



არამათების ცენტრული ბიბლიოთეკა



K 48.990/2